

შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა

საკითხები

I I I

შრომების კრებული



გამოცემა „უნივერსალი“

თბილისი 2011

„სოლისტური შექმნებისთვის ხაზისხბი“  
გამოცემა 2009 წლიდას

რედაქტორი:

ირაკლი განველიძე

სარედაქციო საბჭო:

ადამ მახარაძე, ტარიელ ებრალიძე, რეზო  
მანველიძე, გურამ ჩაგანავა, ნოდარ ბა-  
რაძიძე, ინეზა ზოიძე, გურანდა  
შამილიშვილი, ნატალია ლაზბა, ზაზა  
ბურგაძე, ირაკლი გორგილაძე.

რეცენზები:

პროფ. შალვა აბზიანიძე,  
პროფ. კახაბერ სურგულაძე,  
პროფ. იოსებ სანიკიძე.

**ISSN 1987-7684**

© სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,  
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტატამენტი №417.

E-mail [irakli.manvelidze@yahoo.com](mailto:irakli.manvelidze@yahoo.com)

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

**Shota Rustaveli State University**

**Faculty of social sciences, business and law**

**Department of Social Sciences**

# **Problems of Social Sciences**

**III**

**PROCEEDINGS**



**Publishing House „Universal“**

**TBILISI-2011**

**Issued since 2009**

**Editor**

*Irakli Manvelidze*

**Editorial Board:**

*Adam Makharadze, Rezo Manvelidze, Tariel ebralidze, Nodar Baramidze, Guram Chaganava, Guranda Shamilishvili, Natalia Lazba, Ineza Zoidze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze.*

**Prof. Shalva Abzianidze**

**Prof. Kakha Surguladze**

**Prof. Ioseb sanikidze**

**ISSN 1987-7684**

**© The Department of Social Sciences**

**Address: 417, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,**

**E-mail irakli.manvelidze@yahoo.com**

**Publishing House „Universali“**

**Publishing House „universali~, 2011**

---

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

**Государственный университет имени  
Шота Руставели**

**Факультет социальных наук, бизнеса и правоведения**

**Департамент социальных наук**

# **Вопросы социальных наук**

**III**

**Сборник трудов**



**Издательство «Универсал»**

**Тбилиси 2011**

## **Сборник**

**«Вопросы социальных наук» выходит с 2009 года**

***Редактор:***

**Ираклии Манвелидзе**

***Редакционный совет:***

*Адам Махарадзе, Резо Манвелидзе, Тариел Ебралидзе,,  
Заза Буркаძе, Гуранда ШамилиШвили, Иракли Горгиладзе,  
Нодар Барамидзе, Гурам Чаганава, Инеза Зоидзе, Лазба  
Наталья.*

***Рецензенты:***

профессор Шалва Абзианидзе;  
профессор Кахабер Сургуладзе;  
профессор Иосеб Саникидзе.

**ISSN 1987-7684**

**© Департамент социальных наук**

**Адрес: Грузия, Батуми, Ниношвили 35, II корпус университета,  
департамент социальных наук #417.**

E-mail [irakli.manvelidze@yahoo.com](mailto:irakli.manvelidze@yahoo.com)

**Издательство «Универсал», 2011**

---

Тбилиси, 0179, проспект И. Чавчавадзе 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30

**შინაარსი  
C o n t e n t s  
Оглавление**

**ფსიქოლოგია**

**Psychology**

**П с и х о л о г и я**

არჩილ ბერიძე	
ჟინიანბა-აგრესიულობის ბიოლოგიური	
საფუძველი.....	15
Archil Beridze	
<b>Biological Basis of the Obstinacy and Aggression .....</b>	<b>27</b>
Арчил Беридзе	
<b>Биологические основы упрямства и агрессивности.....</b>	<b>27</b>
ილია კეჭამაძე	
შფოთვა და მისი დიაგნოსტიკა მოსწავლეებთან .....	28
Илья Кечакмадзе	
<b>Тревожность и диагностика тревожности у</b>	
<b>школьников .....</b>	<b>38</b>
Ilia Kechakmadze	
<b>Anxiety and Anxiety Diagnostics Among Schoolchildren.....</b>	<b>38</b>
ილია კეჭამაძე	
ფსიქოლოგიური სამსახური სკოლას.....	39
Ilia Kechakmadze	
<b>School Psychological Service .....</b>	<b>49</b>
Илья Кечакмадзе	
<b>Психологическая служба школе.....</b>	<b>50</b>

ილია კეჭაყმაძე	
აღქმის პათოლოგია .....	51
Ilia Kechakmadze	
<b>Pathology of the Perception .....</b>	<b>58</b>
Илья Кечакмадзе	
Патология восприятия.....	58
ილია კეჭაყმაძე	
ფენომენულოგიური თვალსაზრისი	
ფსიქოპათოლოგიაში .....	59
Ilia Kechakmadze	
<b>Phenomenological View in Psychopathology .....</b>	<b>67</b>
Илья Кечакмадзе	
<b>Феноменологический взгляд в психопатологии .....</b>	<b>67</b>
მარინა ჭელიძე	
ფსიქიატრიის ევოლუციური მიმართულების	
პრობლემები .....	68
Marina Chelidze	
<b>Problems for Evolutionary Psychiatry.....</b>	<b>72</b>
Марина Челидзе	
<b>Проблемы направления эволюционной психиатрии .....</b>	<b>72</b>
რუსუდან კეჭაყმაძე	
სტრესის დაძლევის სოციალური ფაქტორები.....	73
Rusudan Kechakmadze	
<b>Social Factors of Stress .....</b>	<b>82</b>
Русудан Кечакмадзе	
<b>Социальные факторы преодоления стресса .....</b>	<b>83</b>

<b>რუსუდან კეჭაყმაძე</b>	
<b>ფსიქოდიაგნოსტიკა – ფსიქოლოგიის ერთ – ერთი</b>	
<b>დარგი.....</b>	<b>84</b>
Rusudan Kechakmadze	
<b>Diagnostics is One of the Branches of Psychology.....</b>	<b>90</b>
Кечакмадзе Русудан	
Психодиагностика – одна из отраслей психологии.....	91
<b>ციალა ტუღუში</b>	
<b>ერიხ ფრომი .....</b>	<b>92</b>
Tsiala Tugushi	
<b>Erich Fromm.....</b>	<b>96</b>
Циала Тугуши	
Эрих Фромм .....	96
<b>ციალა ტუღუში</b>	
<b>ქცევის მართვის სტრატეგიები კლასში .....</b>	<b>97</b>
Tsiala Tugushi	
<b>The Strategy of Behavior Management in Class .....</b>	<b>101</b>
Циала Тугуши	
Стратегии управления поведением в классе .....	102
<b>ციალა ტუღუში</b>	
<b>დასწავლის უნარის დარღვევა და მისი ნიშნები .....</b>	<b>103</b>
Tsiala Tugushi	
<b>Violations of Learning and its Characteristics .....</b>	<b>108</b>
Циала Тугуши	
<b>Нарушения навыков обучения и его признаки .....</b>	<b>108</b>
<b>რუსუდან ბერიძე</b>	
<b>წნევაზე ფიქსირებული სომატოფორმული</b>	

<b>აშლილობა.....</b>	<b>109</b>
Rusudan Beridze	
<b>Somatoform Disorder Fixed on the Hypertension.....</b>	<b>115</b>
Русудан Беридзе	
<b>Соматоморфное расстройство фиксированное на давление .....</b>	<b>116</b>
<b>რუსუდან ბერიძე</b>	
<b>საპროფორიენტაციო მუშაობის ორგანიზება</b>	
<b>სკოლაში .....</b>	<b>117</b>
Rusudan Beridze	
<b>The Organization of Professional Orientation</b>	
<b>Work in School .....</b>	<b>122</b>
Русудан Беридзе	
<b>Организация профориентационной работы в школе....</b>	<b>122</b>
<b>შორენა მესხიძე</b>	
<b>განათლების მართვის ოპტიმიზაციის პრობლემა</b>	
<b>განათლების სოციალური სივრცის შინაგანი</b>	
<b>სტიმულების საფუძველზე .....</b>	<b>124</b>
Shorena Meskhidze	
<b>The Problems of the Optimization of the Management of the Education on the Basis of the Internal Stimulus of the Social Space .....</b>	<b>130</b>
Шорена Месхидзе	
<b>Проблема оптимизации управления образованием на основе внутренних стимулов социального пространства .....</b>	<b>130</b>
<b>შორენა მესხიძე</b>	
<b>სასწავლო პროცესის მართვის ფსიქოლოგიური</b>	

<b>თავისებურებანი .....</b>	<b>131</b>
Shorena Meskhidze	
<b>Psychological Peculiarities of the Management of the Educational Process.....</b>	<b>135</b>
Шорена Месхидзе	
<b>Психологические особенности управления учебным процессом .....</b>	<b>135</b>
ნათელა ემინაძე	
ასთენიური განცდების ექსპერიმენტული შესწავლა .....	
Natela Eminadze	
<b>Experimental Study of Asthenical Experiences .....</b>	<b>137</b>
Натела Еминадзе	
<b>Экспериментальное исследование астенических переживаний.....</b>	<b>144</b>
ინგა ზარანდია	
განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები ს სწავლებაინკლუზიურ გარემოში.....	<b>145</b>
Inga Zarandia	
<b>The Teaching of the Children with Special Requirements in the Inclusive Environment .....</b>	<b>141</b>
Инга Зарандия	
<b>Обучение детей с особыми требованиями в инклюзивной среде .....</b>	<b>151</b>
ინგა ზარანდია	
მართლწერის კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია .....	<b>152</b>
Inga Zarandia	
<b>Cognitive Neuropsychology of the Spelling.....</b>	<b>156</b>
Инга Зарандия	

<b>Когнитивная нейропсихология правописания.....</b>	<b>157</b>
ინგა ზარანდია	
<b>ნათხემი.....</b>	<b>158</b>
Inga Zarandia	
<b>The Cerebellum .....</b>	<b>162</b>
Инга Зарандия	
<b>Мозжечок .....</b>	<b>162</b>
ქეთევან ბერიძე	
<b>სტრესის დაძლევის პიროვნული ფაქტორები .....</b>	<b>164</b>
Ketevan Beridze	
<b>Personal Factors of the Stress.....</b>	<b>176</b>
Кетеван Беридзе	
Личностные факторы преодоление стресса .....	176
ქეთევან ბერიძე	
<b>რწმენები და ლოგიკური ღონეები ნეირო</b>	
<b>ლინგვისტურ პროგრამირებაში .....</b>	<b>177</b>
Ketevan Beridze	
<b>Nature of Belief and Logical Levels in NLP .....</b>	<b>181</b>
Кетеван Беридзе	
<b>Природа убеждения и логические уровни в НЛП .....</b>	<b>182</b>
მარინა მასხულია	
<b>ფსიქოლოგიური პრაქტიკის ჩატარების პრობლემები.</b>	<b>183</b>
Marina Maskhuliâ	
<b>Problems of Psychological Practice.....</b>	<b>190</b>
Марина Масхулия	
<b>Проблемы проведения психологической практики .....</b>	<b>190</b>

გურამ ჩაგანავა	
<b>კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპიის</b>	
თავისებურებები.....	191
Guram Chaganava	
<b>Peculiarities of the Client-Centered Therapy .....</b>	205
Гурам Чаганава	
<b>Особенности клиент – центрированной терапии .....</b>	206
გურამ ჩაგანავა	
<b>მორენოს ფსიქოთერაპიის საკითხები.....</b>	207
Guram Chaganava	
<b>The Problems of Moreno Psychotherapy .....</b>	212
Гурам Чаганава	
<b>Проблемы психотерапии Морено.....</b>	212
გურამ ჩაგანავა	
<b>ფსიქოთერაპიული პარადიგმები.....</b>	213
Guram Chaganava	
<b>Paradigms of the Psychotherapy.....</b>	261
Гурам Чаганава	
<b>Парадигмы психотерапии.....</b>	261
მაია თოიძე	
ჟან ჰიაჟეს თეორიის მიხედვით კოგნიტური	
განვითარების პრობლემა .....	262
Maya Toidze	
<b>Problem of Jean Piaget's Cognitive Development Theory.....</b>	269
Майя Тойдзе	
<b>Проблема когнитивного развития по теории</b>	
<b>Жана Пиаже.....</b>	270

## **ჟურნალისტიკა**

### **Journalism**

#### **Журналистика**

გურანდა შამილიშვილი

**ფსიქოკური ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება**

თანამედროვე ქართულ მასმედიაში .....271

Guranda ShamiliSvili

**Mental health issues in the materials of the Georgian Press ..285**

Гуранда Шамилишвили

**Вопросы психического здоровья в материалах грузинской**

прессы .....286

ნესტან მამუჭაძე

**ახალი მედიის პრობლემები .....287**

Nestan Mamuchadze

**The Problems of the New Media .....292**

Нестан Мамучадзе

**Проблемы новых средств массовой информации.....293**

## **პოლიტიკური მეცნიერებები**

### **Political science**

#### **Политические науки**

ირაკლი მანველიძე

**ევროკავშირი გლობალურ პოლიოტიკაში.....294**

Irakli Manvelidze

**European Union In The Global Policy .....320**

Иракли Манвелидзе

**Евросоюз в глобальной политике .....320**

ირაკლი გორგილაძე	
ერთიანი ევროპა - ახალი გეოპოლიტიკური	
სივრცე.....	322
<b>Irakli Gorgiladze</b>	
<b>EU - New Geopolitical Area.....</b>	<b>338</b>

## ფ ს ი პ რ ლ ო გ ი ა

### შინიანობა-აბრესიულობის ბიოლოგიური საზომველი

**არჩილ ბერიძე**

ზემოთ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნების საფუძველზე, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ უინიანობა-ჯიუტობა დარიგებების, რჩევების, მითითებების, ბრძანებების გათავისებისა და, საერთოდ, თავშეკავება-მოთმინების წინააღმდეგ მიმართული ფსიქიკური მოვლენებია. ისინი ბავშვის ქცევების კორექციის საშუალებას არ იძლევიან. მაგრამ, რადგან უინიანობა და ჯიუტობა ძირითადად მაინც ფსიქიკური მოვლენის სახით წარმოგვიდება, ამის სინამდვილედ ცნობა მანამდე არ იქნება გამართლებული, ვიდრე ამ ფსიქიკურ ფუნქციას არ მოენახება მოქმედების ბიოლოგიური საფუძველი, რადგანაც, როგორც ცნობილია, ყოველი ფსიქიკური მოვლენა – ეს იქნება შემეცნების ფსიქიკური პროცესები თუ ემოციური მდგომარეობანი, წარმოუდგენელია ორგანიზმში შესაბამისი ფიზიოლოგიური საფუძვლის, ბიოლოგიური სუბსტრატის არსებობის გარეშე. ცნობილია, რომ ფსიქოლოგის სახელმძღვანელოებში ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების განხილვისას ყოველთვის ცდილობენ, უჩვენონ მათი წარმოშობისა და მოქმედების ბიოლოგიური საფუძველი. ამიტომ უინიანობა-ჯიუტობა და მათი უკიდურესი გამოვლინება – აგრესიულობა, ბიოლოგიურ

საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას იძენს ჟინიანობა-ჯიუტობისა და აგრესიულობის საფუძვლის ბიოლოგიური მექანიზმების გამოვლინება და დადგენა, აღზრდის პროცესში მათი მოქმედების კანონზომიერების გამოყენება.

ამ მიმართებით განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ უკვე დიდი ხანია, რაც ფსიქოლოგთა ყურადღებას იქცევს დაბადების მომენტში ბავშვის ტირილისა და კივილის საპროტესტო რეაქციები. დაბადების მომენტში, განსაკუთრებით კი, დაბადების შემდეგ პირველ წუთებსა და პირველ საათებში ახალშობილის მიერ გამოვლენილ ტირილსა და კივილს მრავალი მკვლევარი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგალითად, ფრონდი, პრაერი, უზნაძე და სხვები თვლიან, რომ ეს პირველი უსიამოვნო შეგრძნებების მიერ გამოწვეული განცდები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ შემდგომში გარემოდან მომდინარე გამლიზიანებლებზე ბავშვის საპასუხო რეაქციების თავისებურებებს. „ყოველ შემთხვევაში, – წერს დ. უზნაძე, – დაბადების აქტის დროს ბავშვის სხეული, რომლისათვისაც ამ მომენტამდე ყოველი გარეგამდიზიანებლის ზეგავლენა სრულიად უცნობი იყო, ერთბაშად ამ უკანასკნელის უხეში შეტევის მსხვერპლად იქცევა. თავისთვად იგულისხმება, ბავშვის ორგანიზმი გარემოს ამ პირველ ძლიერ შეტევას ურეაქციოდ ვერ ტოვებს. და ეს პირველი, ამავე დროს, უეჭველად უაღრესად ინტენსიური რეაქცია, შეუძლებელია, განსაკუთრებულ ღრმა კვალს არ აჩენდეს ახალშობილის თოთო ორგანიზმს და იმდენად ღრმას, რომ ყოველი შემდეგი რეაქცია, რამდენადც იგი გარეგამლიზიანებლის ზეგავლენით იქნება გამოწვეული, ამ პირველი რეაქციის კვალის მიხედვით არ

მიმდინარეობდეს. ამიტომ პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის ცხოვრების პირველი პერიოდი, ე. წ. ახალ-დაბადებულობის ხანა, მანამ გრძელდება, სანამ ეს მდგო-მარეობა არ შეიცვლება, ე. ი. სანამ ბავშვი გარეგამდიზი-ანებელთა ზემოქმედების საპასუხოდ ამ სტერეოტიპულ რეაქციას თავს არ დაანებებს“ (31, 47).

მაგრამ, ბავშვი ეს მტკივნეული, პირველადი გან-ცდა კონკრეტულად, თუ რა ისეთ კვალს ტოვებს, რომე-ლიც შემდგომში ბავშვის რეაქციების თავისებურებებს განსაზღვრავს, ამის შესახებ დ. უზნაძე იქვე რაიმე მო-საზრებას არ იძლევა. ამ კონკრეტული ფსიქიკური კვა-ლის ცოდნას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, თუ არ ვიცით დაბადების მომენტში გარემოს მტკივნეული ზემოქმედების შედეგად ბავშვის არსებაში კონკრეტულად რანაირი კვალის დატოვება ხდება, შეუძ-ლებელი იქნება მის ნინააღმდეგ ან სასარგებლოდ მიზან-შეწონილი აღმზრდელობითი ღონისძიების გატარება. ამი-ტომაც, პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია, დადგენილ იქნას ის ფსიქოფიზიოლოგიური წარმონაქმნი, შენაძენი თუ კვალი, რომელიც დაბადებისთანავე ყალიბდება ბავ-შვის არსებაში, გარემოს პირველი მტკივნეული ზემოქმე-დების შედეგად და, რომელსაც შეუძლია გარკვეული ზე-გავლენა მოახდინოს ბავშვის შემდგომ რეაქციებზე.

არსებული მეცნიერული მონაცემები კი ამ საკით-ხში შემდეგი თვალსაზრისის შემუშავების შესაძლებლობას იძლევა:

პირველ რიგში, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფსიქოლოგიაში ახალშობილი ბავშვის პირველი რეაქციები – ტირილი და კივილი – ემოციურ მოვლენებად არის მიჩნეული. „ჯერ ერთი, – წერს რ. ნათაძე, – როგორც ბავშვის გამომსახველი მოძრაობებიდან ჩანს, ემოციური

ბუნების განცდები ადამიანს დაბადებიდან გააჩნია. ბავშვის პირველი ყვირილი და საზოგადოდ, წევატიური რეაქციები თითქმის ყოველგვარ გამღიზიანებელზე, რაც ახალდაბადებულის პერიოდისათვის არის დამახასიათებელი, წევატიური ხასიათის, ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული.“ (25, 546).

გამომდინარე აქედან, რადგანაც ახალშობილის კივილი და ტირილი ემოციური ხასიათის რეაქციებად არის მიჩნეული, დადგენილ უნდა იქნას, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ეს, ახალშობილის ტირილისა და კივილის ემოციური რეაქციები, როგორ აღმოცენდებიან და მიმდინარეობენ ისინი. ამის შესახებ დ. უზნაძე გარკვეულად სარწმუნო ფაქტებსა და მოსაზრებებს გვაწვდის და მიუთითებს, რომ ემოციურ განცდებს საფუძვლად უდევს არა რაღაც ზოგადი ფიზიოლოგიური პროცესები, არამედ კონკრეტული ფიზიოლოგიური კერების აქტიურობით გამოწვეული შინაორგანული ცვლილებები:

„...კენონის ცდებიდან, – წერს დ. უზნაძე, – გამოირკვა, რომ ემოციური განცდები მართლაც უეჭველად გარკვეულ სომატურ (სხეულთან დაკავშირებული – ა. ბ.) ცვლილებებთან არიან დაკავშირებული, როგორც ამას განსაკუთრებით ჯემსი მიუთითებდა. ოღონდ ეს ცვლილებები, პირველ რიგში, ჰუმორალური ბუნების აღმოჩნდა; სახელდობრ, გამოირკვა, რომ ისინი შინასეკრეციის ჯირკვლების, კერძოდ, თირკმელზედა ჯირკვლების აქტიურობასთან ყოფილან დაკავშირებულნი. კენონი თავის ექსპერიმენტულ ცხოველში, კატაში „ინტენსიურ ემოციურ მდგომარეობას – გაბრაზებას იწვევდა ყველა იმ სპეციფიკური სხეულებრივი ნიშნით, რომელიც ამ მდგომარეობისათვისაა დამახასიათებელი. სათანადო გამოკვლევა ყველა ასეთ შემთხვევაში ამტკიცებდა, რომ ცხოველს

შაქრის გაძლიერებული გამოყოფა ენტებოდა, რაც თირკმელზედა ჯირკვალის ჰორმონის ადრენალინის ჰიპერსეკრეციაზე მიუთითებდა“ (32, 157).

გრძნობისა და ემოციების ადრინდელი მკვლევარები ცდილობდნენ, მიეგნოთ ემოციების აღმძვრელი საერთო მექანიზმი. ემოციები კი როგორც ზემოთ ითქვა, თავისი ბუნებით ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, სიბრაზის, შიშის, სიცილის, ტირილის, ნაღვლიანობის, სიხარულის, სინანულის, სირცხვილის ემოციებს თითქმის არაფერი საერთო არა აქვთ ერთმანეთთან, ისინი სრულიად განსხვავებულ განცდებს წარმოადგენენ. აქ ჩამოთვლილი და სხვა ემოციების აღმძვრელი მექანიზმების განცალკევებულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კვლევა არ განხორციელებულა, რამაც დიდი სიძნელები წარმოშვა ემოციის გენეზისის დადგენის საკითხში.

უკანასკნელ ხანებში იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგი-ერთ ქვეყანაში აგრესიული მოქმედების ფაქტები ძლიერ მომრავლდა (მაგალითად, აშშ-ში 1995 წელს 21 ათასი მკვლელობა და მილიონზე მეტი კრიმინალური დანაშაული დაფიქსირდა. (20, 769), მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა აგრესიულობის ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების კვლევას, რომლის შედეგებიც საკმაოდ ვრცლად წარმოდგენილია ქვემოთ დ. მაიერსის ჩვენ მიერ გამოყენებულ მონოგრაფიაში.

დ. უზნაძე კი მის წინა პერიოდში განეული კვლევის შედეგებს აჯამებს და ასეთ დასკვნას აკეთებს:

„ამრიგად, – წერს იგი, – ვეგეტატიური ნერვული სისტემისა და ენდოკრინული აპარატის მონაწილეობა ემოციური განცდების გენეზისში, უეჭველია. მაგრამ უდავოა ისიც, რომ მარტო ეს საკმარისი არაა. ადამიანის

ემოციური განცდის აღმოცენება ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. თანამედროვე ფიზიოლოგიაში ეს აზრი სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს, და დღეს დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადამიანის ემოციური განცდა მართლაც ცენტრალური წარმოშობის ფაქტს წარმოადგენს, რომ იგი თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს ეყრდნობა“ (32, 158).

როგორც ვხედავთ, დ. უზნაძე გამორიცხავს ემოციური განცდების აღმოცენებას ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ რას მოჰყავს თვითონ ტვინი ასეთ მოქმედებაში, ამის შესახებ არაფერს ამბობს, რადგანაც, როგორც ჩანს, მაშინ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ იყო დადგენილი ის, თუ რა სახით მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემა ემოციური განცდის აღმოცენებაში.

ახლა კი არსებული გამოკვლევებისა და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, ნათლად გამოიკვეთა, თუ როგორ მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემა ემოციური განცდების, განსაკუთრებით კი ჭირვეულობის, უინიანობის, სიბრაზისა და აგრესიულობის ემოციების აღმოცენების პროცესში. ეს მონაწილეობა კი შემდეგში მდგომარეობს: გარემო სიტუაციის ზემოქმედებას, პირველ რიგში, ცენტრალური ნერვული სისტემა აღიქვამს შეგრძნების სათანადო ორგანოების საშუალებით. ასეთი აღქმის გარეშე ცენტრალური ნერვული სისტემა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს გარემოს ზემოქმედებაზე მიზანშეწონილი საპასუხო რეაქციის განხორციელებას. ვთქვათ, ბრმასთან რომ დათვი ორ მეტრში მივიდეს, ბრმა მაინც სრულიად მშვიდ მდგომარეო-

ბას შეინარჩუნებს, რადგანაც ბრმა დათვს ვერ ხედავს, ვერ აღიქვამს.

აღქმის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას გადაამუშავებს ცენტრალური ნერვული სისტემა და იმის მიხედვით, თუ რას უქადის აღქმული სიტუაცია, ცენტრალურ ნერვულ სისტემას მოქმედებაში მოჰყავს ის ორგანოები, რომელთა მოქმედებაც აუცილებელია მოცემულ მომენტში. მოსალოდნელი საფრთხის არსებობისას მოქმედებაში მოჰყავს ტირილის, კივილის, გაქცევისათვის და ა. შ. საჭირო ორგანოები და პროტესტის, სიბრაზის, აგრესიულობის აღმძვრელი შინასეკრეციის ჯირკულები, რომელთა მიერ გამოყოფილი პორმონი განსაზღვრავს ემოციური განცდის სახეს.

არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლებელია არსებობდეს სხვადასხვა სახის ემოციის გამომწვევი პორმონები – სიბრაზის, სიცილის, სინანულის, ნაღვლიანობის, სიხარულის, აღტა-ცების და ა. შ. ემოციების აღმძვრელი ცალ-ცალკე პორმონები, რომელთა კვლევა ჩვენს ძალებს აღემატება. მაგრამ არ არის გამორიცხული ისიც, რომ სისხლის შემადგენლობაში პორმონ ადრენალინის რაოდენობა განსაზღვრავდეს ამ ემოციების ერთმანეთისაგან განსხვავებას.

მაგრამ ერთი რამ ამჟამად სრულიად დადგენილია, კერძოდ, ის, რომ ადამიანის ემოციური განცდების აღმოცენებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პორმონი ადრენალინი:

„ამრიგად, – დაასკვნის დ. უზნაძე, – ინტენსიური რეაქციების – შიშისა და გაბრაზების – შემთხვევაში ორგანიზმში ადრენალინის გაძლიერებული სეკრეცია დასტურდება“ (32, 157).

გამომდინარე ზემოთ ნათქვამიდან, თუ „ინტენსიური რეაქციების – შიშისა და გაპრაზების შემთხვევაში ორგანიზმში ადრენალინის გაძლიერებული სეკრეცია დასტურდება“ (32, 157), და „ძლიერი ემოციების... შემთხვევაში ადრენალინის რაოდენობა სისხლში მკვეთრად მატულობს“ (41, 100-101), მაშინ ახალშობილი ბავშვის ფსიქოფიზიკური რეაქცია – ტირილი და კივილი – ჰორმონ ადრენალინის მოქმედების შედეგად უნდა იყოს გამოწვეული. ეს მოსაზრება კიდევ უფრო მისაღები გახდება, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ „მშობიარობის ბოლო წუთებში, – როგორც გ. კრაიგი წერს, – ახალშობილის ორგანიზმი დიდი რაოდენობით გამოიმუშავებს აფექტის ჰორმონებს, ადრენალინსა და ნორადრენალინს“ (57, 184).

ამის საფუძველზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ დაბადებისთანავე ბავშვის პირველი რეაქციები – ტირილი და კივილი თირკმელზედა ჯირკვლის აქტიურობის ნიადაგზე გამოყოფილი ჰორმონ ადრენალინის ზემოქმედების შედეგად აღძრული ემოციური მდგომარეობანია.

მაგრამ ისმება კითხვა, ჰორმონი ადრენალინი კონკრეტულად როგორ ახერხებს ტირილისა და კივილის ფსიქიკური აქტივობის აღძვრას, ამ ფსიქიკური რეაქციების განხორციელებას?

სპეციალური მეცნიერული ლიტერატურის მიხედვით, ადრენალინი აძლიერებს ქსოვილების მიერ ჟანგბადის ათვისების უნარს, ხელს უწყობს სისხლში შაქრის მომატებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ავინროებს წვრილ პერიფერიულ სისხლძარღვებს და მაღლა სწევს სისხლის წნევას, აძლიერებს და ახშირებს გულის ცემას, აჩქარებს სუნთქვას,“ (43, 19).

თუ, ერთი მხრივ, ადრენალინის მოქმედება ორგანიზმის ასეთ ძლიერ გააქტიურებას იწვევს, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე დროს განაპირობებს სიბრაზის ემოციის წარმოშობას, მაშინ ცხადი ხდება, რომ ახალშობილი ტირილისა და კივილის რექციის შედეგად დატოვებული კვალი ადრენალინის გამოყოფი ჯირკვლების ჰიპერსეკრეციის უნარის სახით უნდა განაგრძობდეს ბავშვი თავის არსებობასა და მოქმედებას. აქედან კი ცხადი ხდება, რომ ჰიპოტონია ადრენლინის ჰიპერსეკრეციია ორგანიზმში ერთდროულად უზრუნველყოფს სიბრაზის ემოციასაც და ორგანიზმის სათანადო აქტიურობაში მოყვანასაც. შენორედ ამის შედეგი უნდა იყოს შემდგომში გამლიზიანებლის ზემოქმედებაზე ბავშვის საპასუხო რეაქციების თავისებურებანი.

დ. უზნაძე ბავშვის ორ ძირითად ინსტინქტს გამოყოფს, რომელიც თან დაპყვება ბავშვს დაბადებისას:

„ყოველი ორგანიზმი, – წერს დ. უზნაძე, – რაიმე ძირითადი ტენდენციის მატარებელია, ... ბავშვს, როგორც ვიცით, ორი ასეთი ტენდენცია აქვს: ჰიპერველი – თავდაცვის ინსტინქტია, ხოლო მეორე – მოძრაობის ანუ ფუნქციობის ინსტინქტი. ჰიპერველი გარე ან შიდაგამლიზიანებელთა საპასუხოდ იწყებს მოქმედებას: სათანადო მოძრაობათა საშუალებით ცოცხალი ორგანიზმი თავის დაცვას ცდილობს... მეორე – მემკვიდროებით მიღებულ ორგანოთა ამოქმედებისათვის მისწრაფების სახით იჩენს თავს. ორგანოები მათი სტრუქტურის შესაფერისად ისწრაფვიან იმოქმედონ და იმოძრაონ“

სწორედ, ასეთ თანდაყოლილ ინსტინქტურ, ფუნქციონალურ შესაძლებლობას განეკუთვნება ტირილის, კივილისა და კიდურების მოძრაობის ფუნქციონალური ტენდენციები. აგრამ ისინი სრულიად თავისთავად, დამოუ-

კიდებლად, სპონტანურად მოქმედებაში ვერ მოვლენ. მათ ასამოქმედებლად რაღაც შინაგანი ბიძგია საჭირო.

ცნობილია, რომ ახალშობილ ბავშვს სხვა არაფრის გაკეთება არ შეუძლია, გარდა ზოგადი, დიფუზიური რეაქციის განხორციელებისა, რისთვისაც მას ბუნებრივად, გენეტიკურად მოცემული აქვს ასეთი რეაქციის აღმდვრელი ჰორმონ ადრენალინის გამომყოფი შინასეკრეციის ჯირკვლები. ახალშობილი ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემა ორგანიზმის საპროტესტო თავდაცვით მოქმედებაში მოსაყვანად სწორედ თავის ნერვულ იმპულსებს, პირველ რიგში, ამ ჰორმონ ადრენალინის გამომყოფ შინასეკრეციის ჯირკვლებში გზავნის. მათი ამოქმედების შედეგად გამოყოფილ ჰორმონებს სისხლში მოხვედრისთანავე ბავშვის ორგანიზმი გაცხოველებულ აქტიურობაში მოჰყავს და უზრუნველყოფს ახალი გარემოპირობების მტკიცნეულ ზემოქმედებაზე თავდაცვით საპროტესტო დიფუზიური რეაქციების განხორციელებას – ტირილსა და კივილს.

ამრიგად, მტკიცნეული შეგრძნების საპასუხოდ რეაქციის თუ ემოციის აღძვრაში ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან ერთად, ბიოლოგიური ორგანო, ენდოკრინული მექანიზმიც მონაწილეობს. დაბადების პირველსავე წუთებში შინასეკრეციის ჯირკვლების მიერ ბავშვის ორგანიზმში გამოყოფილ ჰორმონ ადრენალინს მოქმედებაში მოჰყავს ტირილსა და კივილში მონაწილე ყველა ბიოლოგიური ორგანო, დაწყებული ფილტვების გაცხოველებულ მოქმედებაში მოყვანიდან, დამთავრებული სათანადო ძვალ-კუნთოვანი ორგანოების ამოქმედებით. დაბადების პირველსავე წუთებიდან ასე ამოქმედებული და ძალაში შესული უკმაყოფილებისა და პროტესტის აღმდვრელი ეს ფუნქციონალური მექანიზმი აქტიურ მდგომარეობაში

მოსვლის ტენდენციას შემდგომშიც ინარჩუნებს. დ. უზნაძის თვალსაზრისის მიხედვით, პორმონ ადრენალინის გამოყოფი ჯირკვლები თავისი ფუნქციონალური შენაძენისაგან გათავისუფლებას ადვილად ვეღარ ახერხებს და შინაგანი და გარეგანი გარემოს ყოველ უსიამოვნო ზემოქმედებაზე თითქმის ყოველთვის უკმაყოფილებისა და პროტესტის შემცველ რეაქციებს იძლევა, რაც ჭირვეულობასა და უინიანობაში გამოიხატება.

ჩვენი აზრით, ახალი გარემო პირობების მტკიცეული ზემოქმედებით გამოწვეული შეგრძნების შედეგად აღძრული რეაქციის მიერ ახალშობილში დატოვებულ, დ. უზნაძის მიერ ნაგულისხმევ, წარუშლელ კვალს, სწორედ ტირილისა და კივილის უზრუნველყოფი პორმონ ადრენალინის გამოყოფი ჯირკვლების გააქტიურებული მდგომარეობა წარმოადგენს.

დაბადების შემდეგ მტკიცნეული შეგრძნებების შესამსუბუქებლად, ტირილისა და უინიანობის მომენტში, ბავშვზე განეული მომსახურება, რის შედეგადაც ბავშვი გარკვეულ შვებას გრძნობს, კიდევ უფრო აღრმავებს ამ კვალს, აძლიერებს, სრულყოფს და განამტკიცებს შესაბამისი ნერვულ-ენდოკრინული სისტემის ფუნქციონალურ შესაძლებლობას. მას კი მომავალში გარკვეულ პირობებში ნამდვილად შეუძლია განსაზღვროს გარემოს ზემოქმედებაზე საპასუხო რეაქციების თავისებურებანი, გამოიწვიოს უკმაყოფილებისა და პროტესტის შემცველი ტირილის, ჭირვეულობის, უინიანობისა და სიბრაზე-აგრესიულობის შეუკავებელი რეაქციები.

## **ლიტერატურა:**

დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, შრომები, ტ. v ,  
თბილისი, 1997.

Крайг Г. Психология развития, Питер, 2002

Майерс Д. Психология, Минск, 2001

**Archil Beridze**

### **Biological Basis of the Obstinacy and Aggression**

#### **Summary**

In the investigation there was found that negative behavior of a man is based on the psychological processes. Special attention is paid to the secretion of the hormones by the glandule which called the aggressive behavior.

**Арчил Беридзе**

### **Биологические основы упрямства и агрессивности**

#### **Резюме**

В исследовании выявлены механизмы негативного поведения человека, показана роль физиологических процессов в поведенческой деятельности. Основное внимание уделяется секреции желез, выделяющих гормоны и вызывающие агрессивное поведение человека.

## შფოთვა და მისი დიაგნოსტიკა მოსეავლებთან

ილია კუჭაყმაძე

აუდენმა (Auden) თანამედროვე საუკუნეს „შფოთვის საუკუნე“ უწოდა. შფოთვის გაგების ტერმინი პირველად ფსიქოლოგიაში ზ. ფროიდმა (Freud, 1925) შემოიტანა და დღეს ბევრი მკვლევარისთვის ის შიშის ნაირსახეობად განიხილება. ფროიდმა კონკრეტული შიშების (Furchet) გვერდით გამოყო განუსაზღვრელი შიში (Angst).

რუსი მეცნიერი ზერნიკობა შფოთვას უწოდებს „მოლოდინის შიშს“, ხოლო კონდაკი (1981) – განსაცდელის შიშს.

პერლზს (Perls, 1969) შფოთვა მიაჩნია განხეთქილებად „ახლანდელსა“ და „მომავალს“ შორის ან განსაზღვრავს მას, როგორც „აუდიტორიის წინაშე შიშს“. შფოთვა არის წარმოსახვის აქტიურობის შედეგი, მომავლის ფანტაზიები. მკვლევარის აზრით, შფოთვას განაპირობებს დაუმთავრებელი სიტუაციები და აქტიურობის ბლოკირება, ე.ი. შფოთვა გაგებულია, როგორც მკვეთრი, შემაწუხებელი, მოუსვენარი, უშინაარსო განცდა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მიერ პროგნოზირებული წარუმატებლობის გაცნობიერებასთან, საფრთხესთან ან რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინთან, რაც მეტად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის განუსაზღვრელობის პირობებში (Александровский 1993).

შფოთვა დაკავშირებულია ადამიანის შიშთან, იპოვოს პოზიტიური გამოსავალი მისთვის მნიშვნელოვან საქმეში.

იასპერსი თვლის, რომ შფოთვა ასახავს მოუსვენრობას და არ არის დაკავშირებული მუქარასთან.

პრიხოჟანი (1998 წელი) შფოთვას განმარტავს, როგორც მყარ პიროვნულ წარმონაქმნის, რომელიც შენარჩუნებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში. როგორც ნებისმიერი კომპლექსური ფსიქოლოგიური ფენომენი, შფოთვაც ხასიათდება რთული აგებულებით და მოიცავს კოგნიტურ, ემოციურ და ოპერაციონალურ ასპექტებს, ემოციური კომპონენტის დომინანტურობით. შფოთვა არის პიროვნების დეზადაპტაციის სუბიექტური გამოვლინება. შფოთვა, როგორც ემოციონალური დისკომფორტის, მოსალოდნელი საფრთხის განცდა, წარმოადგენს ადამიანისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილების გამოვლინებას. ეს არის პიროვნული ნიშანი, მზაობა შიშისთვის (Астапова 2001).

სპილბერგერის მიხედვით, **შფოთვა** ეს არის მდგომარეობა, ხოლო **შფოთიანობა** - პიროვნული ნიშანი. სპილბერგერის კონცეფცია ფსიქოანალიზის გავლენას განიცდის, რომელიც შფოთიანობის ჩამოყალიბებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მშობლების გავლენას ბავშვობაში და ნაკლებ მნიშვნელობას სოციალური ფაქტორის როლს (ნათაძე, 1998).

შფოთიანობა არის ინდივიდის მიღრეკილება შფოთვისაკენ, რომელიც ხასიათდება შფოთვითი რეაქციის ალმოცენების დაბალი ზღურბლით. ვილიუნასის აზრით, შფოთიანობა ინდივიდუალური განსხვავების ერთერთი ძირითადი პარამეტრია (Вилюнас, 1967)

ნათაძის აზრით, შფოთიანობა აფორიაქების, შეფიქრიანების, შეწუხების ელფერის ემოციური მდგომარეობაა, რომელიც ზოგიერთი ტიპის ადამიანს მაშინ ახასიათებს, როდესაც ის რაიმე არასასურველის, სახითათოს, ამაღლვებელის მოლოდინშია; როდესაც ეჭვობს, რომ შესძლებს კრიტიკულ სიტუაციაში ადაპტაციას. მაგალითად, პროფესიული ან მოქალაქეობრივი ამოცანის გადაწყვეტას, მისთვის მნიშვნელოვანი მდგომარეობის მიღწევას. შფოთიანობას იწვევენ მოულოდნელი და არსებითი ცვლილებები უკვე კარგად შეგუებულ სიტუაციაში (კარგი კოლექტივიდან ახალ სიტუაციაში გადასვლა).

შფოთიანობა შეიძლება განაპირობოს სასიამოვნო ფაქტის ან მოვლენის დიდი ხნის მოლოდინმაც. ჩნდება მოსალოდნელის არგანხორციელების ეჭვი. შფოთიანობის მდგომარეობა, ისევე როგორც თავად შფოთვა, განსხვავდება შიშის ემოციისაგან; ის არ არის შიში, მაგრამ ერთგვარი „მოშიშარობის“ განცდა მას მაინც ახასიათებს (ნათაძე, 1998).

ემოციური მდგომარეობის აღმოცენება ძლიერაა განპირობებული პიროვნების თავისებურებით. მის მიმართ მიდრეკილება ახასიათებთ, მაგალითად, ეჭვიან ადამიანებს. დიდია ადამიანთა შორის სხვაობა შფოთიანობის ხარისხის (ინტენსივობის) მხრივ. გარდა ამისა, ადამიანები განსხვავდებიან იმითაც, თუ რის მიმართ ახასიათებთ ასეთი ემოციური მდგომარეობის აღმოცენება – მხოლოდ გარკვეული სიტუაციებში (მაგალითად: გამოცდის, საჯარო გასვლების), თუ საზოგადოდ ყოველ დარგში მოსალოდნელი მათთვის რთული სიტუაციის მიმართ (Крутецкий, 1974).

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა შფოთვის ცნების მიმართ დაინტერესება. შფოთვა კვალიფიცირდება როგორც, „პიროვნების თეორიის ცენტრალური პრობლემა” (Sarason, 1962) ან „თანამედროვე ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მახასიათებელი” (Rollo Mey, 1962). მიუხედავად შფოთვის მრავალი დეფინიციისა და ამ პრობლემის ირგვლივ ჩატარებული მრავალრიცხვები კვლევებისა, არ არსებობს შეთანხმება შფოთვის დეფინიციაში. ის განიხილება ისეთ განსხვავებულ ასპექტებში, როგორიცაა სტრესული სიტუაციით განპირობებული დროებითი მდგომარეობა, აქტიურობის ბლოკირება, პიროვნების ნიშანი.

შიშის მსგავსად, შფოთვაც ხშირად ჩნდება ბავშვობის და გარდატეხის ასაკში. მშობლების მეოთხედი თვლის, რომ მათი შვილები ნერვიულები, მშიშრები და შფოთიანები არიან (Ashenbach, 1991). ნარმალური შფოთვის შედარებით ხშირ სიმპტომს ნარმოადგენს ნუხილი ტესტირების წინ, ზომაზე მეტად გაღიზიანება საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, კეთილგანწყობილების გამოვლენის უსაფუძვლო მოთხოვნა, შფოთვა მშობლების უგუნებობაზე ან მათთვის ზიანის მოტანაზე (Barrios & Hartmann, 1997).

შფოთვის მაღალი დონის მქონე ბავშვების ნარმატებაზე მიმართული ქცევა შემდეგი თავისებურებებით ხასითდება:

შფოთვის მაღალი დონის მქონე ინდივიდები ემოციურად უფრო მწვავედ რეაგირებენ ნარუმატებლობაზე შფოთვის დაბალი დონის მქონეებთან შედარებით. შფოთვის მაღალი დონის მქონე ბავშვები შფოთვის დაბალი დონის მქონე ბავშვებთან შედარებით, გაცილებით ცუ-

დად მუშაობენ სტრესულ სიტუაციებში ან დროის დეფიციტის დროს. წარუმატებლობის შიში შფოთვის მაღალი დონის მქონე ინდივიდების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ეს შიში წარმატების მიღწევაზე ძლიერია. წარუმატებლობის შიში ალენიშნებათ შფოთვის დაბალი დონის მქონე ბავშვებსაც, მაგრამ მათთან მოსალოდნელი წარუმატებლობის განცდას სძლევს წარმატების მოლოდინი. მაღალი შფოთვის მქონე ბავშვებისათვის გაცილებით დიდ სტიმულს წარმოადგენს წარმატების მიღწევა განსხვავებით დაბალი შფოთვის მქონე ბავშვებისაგან, რომლებისთვისაც მამოძრავებელ სტიმულს წარუმატებლობის გადატანა წარმოადგენს. პიროვნული შფოთვის გამო ბავშვი ბევრ უსაფრთხო სიტუაციას აღიქვამს, როგორც საშიშს (Рогов, 1996).

ასეთ ბავშვებს ნაკლებად ან საერთოდ არ ჰყავთ მეგობრები, თუმცა, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო ჩვევებს საკმაოდ კარგად ფლობენ, და არც თანატოლებს აქვთ მათთან ცუდი ურთიერთობა. ასეთი ბავშვების აკადემიური მოსწრება საგრძნობლად კლებულობს ხშირი გაცდენების გამო. ამიტომ ასეთ ბავშვებს უნდა ეძლეოდეთ სპეციალურად შერჩეული დავალებები, რათა არ ჩამორჩნენ კლასს (Albano et al., 1996).

სკოლაში წასვლაზე უარის თქმა შესაძლოა სხვა მიზეზებმაც განაპირობოს. ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობისათვის სკოლის პირველი გაკვეთილები საინტერესო და სასიხარულოა, შემდგომში კი ასევე დიდ უმრავლესობას უქრება სკოლაში სიარულის სურვილი; ბავშვების ნაწილში სკოლა იმდენად სერიოზულ შიშს და შფოთვას იწვევს, რომ სკოლაში წასვლაზე უარს აცხადებენ. ისინი უმეტესად ცუდად ყოფნას იმიზეზებენ, რათა

მოიპოვონ სახლში დარჩენის უფლება, მაგრამ ბავშვების გარკვეული ნაწილი მართლაც ავად ხდება.

სკოლაში სიარულზე უარის თქმა ან გაკვეთილების მუდმივად მიტოვება აყალიბებს სკოლაში სიარულზე უარის თქმის ქცევის პატერნს. ეს ვრცელდება იმ ბაშვებზე, რომლებიც დილით უარს ამბობენ სკოლაში წასვლაზე, მაგრამ ესწრებიან ბოლო გაკვეთილებს; იმათზეც, ვინც ახორციელებს საწინააღმდეგო ქცევას (მიღის სკოლაში დილით, მაგრამ ბოლო გაკვეთილებს ტოვებს); იმათზეც, ვისაც უკიდურესად უჭირს სკოლაში სიარული და ყოველთვის სახლში დარჩენის ნებართვას ითხოვს; და იმათზეც, ვინც საერთოდ არ დადის სკოლაში (Kearney, 1995, 2000). სკოლაში სიარულზე უარს თანაბარი რაოდენობით აცხადებენ ორივე სქესის ბავშვები და ეს ჩვეულებრივ, ხდება ხუთიდან თერთმეტ წლამდე.

სკოლის უმიზეზო და ძლიერი შიში, ჩვეულებრივ, სკოლამდელ ასაკში იჩენს თავს, ანუ, საბავშვო ბაღში ან სკოლაში სწავლის პირველ წელს და გამოვლენის პიკს მეორე კლასის ასაკისთვის აღწევს. მიუხედავად ამისა, სკოლაში სიარულზე უარის თქმის ქცევის პატერნი შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ ასაკში და ჩამოყალიბდეს ნორმით მიღებულ ასაკთან შედარებით გაცილებით გვიან.

ბავშვები, რომლებიც სკოლაში წასვლაზე უარს აცხადებენ იმიზეზებენ კუჭის აშლილობებს, თავის ან ყელის ტკივილს სწორედ სკოლაში წასვლის მომენტისათვის. მიიღებენ რა სახლში დარჩენის ნებართვას, მათი ჯანმრთელობის მდგომარება „უმჯობესდება“ და ეს გრძელდება მეორე დილამდე; სკოლაში წასვლის თავიდან აცილების მიზნით, ბავშვი იწყებს ხვეწნას, ტირილს, ზოგ-

ჯერ იმუქრება სახლის დატოვებით და შესაძლოა პანიკის სიმპტომებმაც იჩინოს თავი.

აღნიშნული ქცევითი პატერნის განვითარებას განაპირობებს: 1) ჩვეულებრივზე მეტი პერიოდის გატარება მშობლებთან (ავადმყოფობა, დასვენების დღეები, არდა-დეგები) და 2) სტრესები (უბედური შემთხვევა, ახლობე-ლი ადამიანის ან თუნდაც შინაური ცხოველის დაღუპვა). ამასთან, სკოლაში სიარულზე უარის თქმა უმეტესად არ არის დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოწვეული.

ზოგჯერ სკოლის შიში განპირობებულია მასწავლე-ბელზე ან სასკოლო წესებზე დაქვემდებარების აუცილებ-ლობით. იგივე მიზეზი შეიძლება ვრცელდებოდეს უცხო გარემოზე, სადაც ბავშვს დამატებით ახალი წესების ჯერ გაცნობა, ხოლო შემდეგ მათზე დაქვემდებარება უხ-დება. ზოგ ბავშვს სკოლის ემინია თანატოლების მხრიდან დაცინვისა და მასწავლებლების მხრიდან შენიშვნების გა-მო. სკოლის შეცვლის დროს სკოლაში სიარულზე უარის თქმა გამოწვეულია ახალი კლასელებისგან გარიყულობის შიშის, დაცინვის, მორიდებულობის, მოსალოდნელი ცუდი სოციალური შეფასების გამო (Kearney & Silverman, 1993, 1996).

ბავშვები, რომელთაც უკვე ჩამოყალიბებული აქვთ სკოლაში სიარულზე უარის თქმის ქცევის პატერნი, სა-ჭიროებნ სამედიცინო დახმარებას, წინააღმდეგ შემთხვე-ვაში, აღნიშნული ქცევითი პატერნი ხანგრძლივ და უარ-ყოფით გავლენას მოახდენს ბავშვზე. სკოლის ხშირად გაცდენის გამო უარესდება ბავშვის აკადემიური მოსწრე-ბა, მას არსებითად ერღვევა ურთიერთობები თანატო-ლებთან. ასეთი ბავშვების მკურნალობა მიმართულია სკოლაში სიარულის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენასა

დ სასწავლო პროცესში დაბრუნებზე (Chorpita, Albano, Heimberg & Barlow, 1996).

დიდი მნიშვნელობა აქვს შფოთიანობის მაღალი დონის მქონე მოსწავლეთა დროულ გამოვლენას, რომ გაეწიოთ მათ საჭირო დახმარება. მოსწავლეთა შფოთიანობის დონის დიაგნოსტიკისთვის ხშირად გამოიყენება ფილიფსის სასკოლო შფოთიანობის ტესტი, რომლითაც სწავლობენ უმცროსკლასელთა და მოზარდთა შფოთიანობის დონესა და ხასიათს. ტესტი შედგება 58 კითხვისგან, რომლებიც შეიძლება წავუკითხოთ მოსწავლებს ან მივაწოდოთ წერილობითი ფორმით. ტესტი ზომავს 8 ფაქტორს, ესენია:

1. ზოგადი შფოთვის დონე – ბავშვის ზოგადი ემოციური მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩართულობასთან;

2. სოციალური სტრესის განცდა – ბავშვის ემოციური მდგომარეობა, რომლის ფონზეც ვითარდება მისი სოციალური კონტაქტები;

3. ფრუსტრაცია წარმატების მიღწევის მოთხოვნილებაში – არაეთილსასურველი ფსიქიური ფონი, რომელიც არ აძლევს ბავშვს წარმატების მოთხოვნილების რეალიზების საშუალებას;

4.თვითგამოხატვის შიში – იმ სიტუაციების ნეგატიური ემოციური განცდა, რომლებიც დაკავშირებულია თვითგახსნის, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირების აუცილებლობასთან;

5. ცოდნის შემოწმების სიტუაციის შიში – ცოდნის, შესაძლებლობების, მიღწევების შემოწმების სიტუაციებში შფოთვის განცდა და ნეგატიური დამოკიდებულება;

6. გარემომცველთა მოლოდინებისადმი შეუსატყვი-სობის შიში – საკუთარი შედეგების შეფასებისას სხვების მოსაზრებაზე ორიენტაცია, უარყოფითი შეფასების მოლოდინი;

7. სტრესისადმი დაბალი ფიზიოლოგიური წინააღმდეგობა – ფსიქოფიზიოლოგიური ორგანიზაციის თავისებურება, რომელიც სტრესოგენურ სიტუაციებში ადაბლებს ბავშვის ადაპტაციის ხარისხს, ამაღლებს სტრესორზე არაადეკვატური, დესტრუქციული რეაგირების ალბათობას;

8. პრობლემები და შიშები მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში – სკოლაში უფროსებთან ურთიერთობების ზოგადი ნეგატიური ემოციური ფონი, რომელიც ადაბლებს ბავშვის სწავლების ხარისხს.

ტესტის შედეგების დამუშავებისას გამოყოფენ იმ კითხვებს, რომლებზე პასუხიც არ ემთხვევა გასაღებს. პასუხები, რომლებიც არ ემთხვევა გასაღებს – მიუთითებს შფოთვაზე. თუ ასეთი პასუხების რაოდენობა 50%-ზე მეტია, მაშინ ვსაუბრობთ მომატებულ შფოთიანობაზე, ხოლო თუ ასეთი პასუხების რაოდენობა 75%-ზე მეტია, მაშინ შფოთიანობის დონე მაღალია. გარდა ამისა, ხდება ბავშვის ზოგადი ემოციური მდგომარეობის გაანალიზება აღნიშნული თითოეული ფაქტორის მიხედვით, რაც იძლევა იმის დანახვის საშუალებას, თუ რომელი ფაქტორია სკოლაში ბავშვისთვის უფრო სტრესოგენური.

## **ლიტერატურა:**

1. Изард Кэррол Е. Эмоции человека, издание Московского университета, Москва. 1980
2. Изард К. Психология эмоций. ПИТЕР. Санкт-Петербург, 2000
3. Райс Ф.Психология подросткового и юношеского возраста. Москва,1979
4. Рейковский. Экспериментальная психология эмоций. Москва, Прогресс,1999

**Илья Кечакмадзе**

### **Тревожность и диагностика тревожности у школьников**

#### **Резюме**

В последние годы в психологии возрастает заинтересованность проблемой тревожности. Тревожность, также как и страх, часто проявляется в детском и подростковом периоде. Тест школьной тревожности Филлипса предназначен для изучения уровня и характера тревожности, связанной со школой у детей младшего и среднего школьного возраста.

**Ilia Kechakmadze**

**Anxiety and Anxiety Diagnostics Among Schoolchildren**  
**Summary**

In recent years there are increasing interest to the diagnostics of the anxiety psychology problems. Anxiety and fear often manifests in childhood and adolescence. Test school anxiety Phillips is dedicated to studying the level and nature of anxiety associated with the school for children of primary and secondary school age.

## ფსიქოლოგიური სამსახური სკოლას

**ილია კეჭაყმაძე**

სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ეროვნული განათლების გაუმჯობესების რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია ამ დაწესებულებაში ფსიქოლოგიური სამსახურის დამკვიდრების გარეშე.

დებულება სახალხო განათლების სისტემაში ფსიქოლოგიური სამსახურის შესახებ დამტკიცდა 1990 წელს. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1991 წლის დადგენილებით, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში დაშვებული იქნა ფსიქოლოგიის შტატი. მაგრამ ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელებისათვის ერთ-ერთი მთავარი ბარიერი ფსიქოლოგთა კადრების დეფიციტი იყო. თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1990-იან წლებში 150 000 კვალიფიციური ფსიქოლოგი იყო, ყოფილ სსრკ-ის იმპერიაში იგი აღწევდა მხოლოდ 5000-ს. ამის გამო განათლების სისტემის ფსიქოლოგიური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით ოპტიმალურ ვარიანტად მიჩნეულ იქნა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისათვის პრაქტიკოს-ფსიქოლოგთა კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინტენსიური სტრატეგიის არჩევა. გადაწყვდა, რომ უმაღლესდამთავრებულ მასწავლებელთა პრაქტიკოს ფსიქოლოგებად მომზადების მიზნით ერთნლიანი სპეციალური ფაკულტეტი გახსნილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ შესრულებულა, რის გამოც მთელ რიგ სკოლებში

პრაქტიკოს-ფსიქოლოგის თანამდებობაზე დანიშნულია ამ სფეროსათვის მოუმზადებელი პედაგოგი, რომელიც არ ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე და არც არავინ ავალდებულებს ამას. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ეცემა ფსიქოლოგის, როგორც მეცნიერების, ასევე სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ავტორიტეტი. არის შემთხვევები, როცა ამ თანამდებობაზე დანიშნული სპეციალისტი მოდის ჩვენთან და თხოულობს დახმარებას, მაგრამ ამას არა აქვს სისტემატური ხასიათი და ოფიციალური სტატუსი.

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელობისათვის უნდა დაფუძნებულიყო ასეთი სტრუქტურა:

1. პრაქტიკოს-ფსიქოლოგის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი;
2. ფსიქოლოგიური დახმარებისა და პროფორიენტაციის ცენტრი განათლების რეგიონალურ განყოფილებებთან (რესურს - ცენტრებთან);
3. პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მეთოდისტი;
4. პრაქტიკოსი ფსიქოლოგი განათლების დაწესებულებებთან (საბაჟშვილი, ბავშვთა სახლი, სკოლა და სხვა).

ფაქტია, რომ ჩვენი რეგიონის ზოგიერთ სკოლაში არის ფსიქოლოგის შტატი, მაგრამ არც განათლების სამინისტროსა და არც რესურს - ცენტრში შესაბამისი სამსახური არც არსებობს, არ ხდება მათდამი მეთოდური დახმარება, კონტროლი, მათი მუშაობის შეფასება. ასეთ პირობებში ეცემა ფსიქოლოგის როლი. განათლების სისტემაში, ძირითადად დასაქმებული არიან უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლების მქონე სპეციალისტები ან გადასამზადებელი კურსების გავლის შემდეგ „პრაქტიკოსი ფსიქოლოგის“ დიპლომის მქონე პირები. ფსიქოლოგიური

კადრების დეფიციტის პირობებში წებადართულია უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში მომუშავე ფსიქოლოგთათვის შეთავსებით სკოლებში მუშაობა.

ფსიქოლოგიურ სამსახურზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. თანამედროვე პირობებში რეკომენდებულია ორი მოდელი: I. ფსიქოლოგის საქმიანობა უშუალოდ სკოლაში;

II. ფსიქოლოგის საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას რეგიონალურ რესურ - ცენტრებთან.

პირველ შემთხვევაში, ფსიქოლოგი სკოლაში მუშაობს, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წევრია, მეორე მოდელის არსებობისას კი იგი სკოლის გარეთ იმყოფება, მასთან მისულ პირს უტარებს კონსულტაციებს თუ დიაგნოსტიკას. მთელი რეგიონის ფარგლებში ასეთი პუნქტების სამსახური მისაწვდომი იქნება მხოლოდ ტერიტორიულად მასთან ახლომდებარე პუნქტებისათვის.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩინია სამსახურის მესამე, ე.წ. ზონალური მოდელი, როდესაც ერთ რეგიონში გაიხსნება ფსიქოლოგის საკონსულტაციო ცენტრები ტერიტორიულად მისაწვდომობის პრინციპით.

როგორც პირველი, ასევე მესამე მოდელით სკოლების ფსიქოლოგიური სამსახურით უზრუნველყოფა მომავლის საქმეა. დღეისათვის უფრო მისაწვდომად გვეჩვენება მეორე მოდელი, ე.წ. რეგიონალური, რესურსცენტრებთან არსებული საკონსულტაციო პუნქტები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც შეძლებენ ელემენტარული ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას.

მაინც რა არის სკოლის ფსიქოლოგიის მუშაობის ძირითადი შინაარსი, რა მიმართულებით უნდა ტარდებოდეს იგი?

1. ფსიქოპროფილაქტიკური მუშაობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

ა) მოზარდებში, პედაგოგებსა და მშობლებში პრაქტიკოსი ფსიქოლოგის სტატუსის გაცნობიერება. მათ შორის თანამშრომლობისა და ურთიერთობის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა. სწავლა-აღზრდის ოპტიმალური გადაწყვეტის მიზნით მათში ფსიქოლოგიური ცოდნის დაუფლებისა და გამოყენების სურვილის აღძვრა. შეინიშნება ფსიქოლოგიური და სამედიცინო – ფსიქიატრიული სამსახურების გაიგივება, რის გამოც საზოგადოების ნაწილი ინდიფერენტულ და ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენს ფსიქოლოგიური სასახურისადმი.

ბ) მოზარდის პიროვნებისა და მისი ინტელექტის განვითარებაში გადახრებისა და დარღვევების დროული დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შემოწმება სპეციალური კომისიის მიერ.

გ) ნიჭიერი მოზარდების ნორმალური განვითარებისთვის ხელშეწყობა.

დ) საბავშვო ბალებსა და სკოლებში ახალმიღებული ბავშვებისთვის საადაპტაციო პერიოდში სიძნელეთა დაძლევაში დახმარების გაწევა.

ე) სკოლაში შემსვლელთა სასკოლო სწავლებისათვის მზაობის დონის დადგენა და მისი გათვალისწინება პარალელურ კლასებში განაწილებისას.

ვ) სწავლაში ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

ზ) მოსწავლეთა ფსიქოლოგიური გადატვირთვის, ნევროზული გადახრის ან დეპრესიის ფაქტის შემჩნევა და დახმარება.

თ) ჯანსაღი ფსიქოლოგიური მიკროკლიმატის შექმნისთვის ზრუნვა პედაგოგებს და მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს, მშობლებსა და შვილებს შორის და თვით მოსწავლეთა შორის ურთიერთობის ფორმების ოპტიმიზაციის მეშვეობით.

ი) სკოლის ფსიქოლოგის ერთ - ერთი მოვალეობაა ურთიერთობის კულტურის და ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთდამოკიდებულების ფსიქოლოგის საკითხების ღრმა ცოდნა და ზრუნვა მათი გათვალისწინებისათვის.

სკოლის ფსიქოლოგს და კლასის ხელმძღვანელს დიდ დახმარებას გაუნევს პიროვნებათაშორისი დამოკიდებულების შესწავლის სოციომეტრული და რეფერენტო-მეტრული მეთოდები.

კ) სკოლის ფსიქოლოგსა და კლასის ხელმძღვანელებს შორის უნდა იყოს კოლეგიალური, თბილი დამოკიდებულება. სკოლის ფსიქოლოგის მუშაობა სრულებითაც არ ამცირებს და ზღუდავს კლასის ხელმძღვანელის ფუნქციას, მის ავტორიტეტს, პირიქით, მეტ პასუხისმგებლობას, კომპეტენტურობას და ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვს მისგან. სოციომეტრული მეთოდის გამოყენებით სკოლის ფსიქოლოგი სწავლობს ჯგუფის წევრთა შორის დამოკიდებულებას. მათ შორის ფსიქოლოგიური შეთავსებადობის ფენომენს და აცნობს მათ პედაგოგებს და საჭიროების შემთხვევაში, მშობლებს.

ასე რომ, განუსაზღვრელია სკოლის მუშაობისა და მათ შორის ფსიქოლოგის ფსიქოპროფილაქტიური მუშაობის არეალი. შეუძლებელია ყველა იმ ღონისძიების წინას-

წარი დაგეგმვა და პროგნოზირება, რასაც ეს სფერო მოიცავს.

ბუნებრივია, განსხვავებული იქნება ასეთი მუშაობის ჩატარების შესაძლებლობანი ფსიქოლოგიური სამსახურის სხვადასხვა მოდელის პირობებში.

2. ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობა სკოლის სამივე მოდელის მუშაობის ძირითადი პირობაა.

პრაქტიკოსი ფსიქოლოგის ფსიქოდიაგნოსტიკური მუშაობის ძირითადი შინაარსია სკოლამდელი და სასკოლო ასაკის მოზარდების ფსიქოლოგიური შესწავლა და მათი დახასიათება სისტემატურად, სკოლამდელი ასაკიდან სკოლის დამთავრებამდე. სკოლის ფსიქოლოგს შედგენილი უნდა ჰქონდეს მოზარდის განვითარების ფსიქოვრამა.

ეს მუშაობა წარმატებით და ეფექტურად შეიძლება შესრულდეს მაშინ, როცა ფსიქოლოგები იქნებიან უზრუნველყოფილი დიაგნოსტიკური აპარატით(ტესტები, ხელსაწყოები, მყუდრო გარემო, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი ოთახი).

3. საკონსულტაციო მუშაობა მოიცავს რჩევა-დარიგების მიცემას პრობლემით დაინტერესებულთათვის (პედაგოგი, მშობელი, მოსწავლე), იმის შესახებ, თუ როგორ სჯობს დავძლიოთ მის წინაშე წამოჭრილი პრობლემა. ეს მიმართულება განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება რეგიონალური და ზონალური საკონსულტაციო პუნქტების ფსიქოლოგების მიერ. საკონსულტაციო მუშაობაში შეიძლება გამოყენებული იქნას ორი სახე: პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირის დროს კონსულტაცია ეწევა იმ პირს, რომელსაც ის უშუალოდ სჭირდება (პედაგოგს, მშობელს, მოსწავლეს), არაპირდაპირის დროს რჩევას ღებულობს ის პირი, ვინც სხვას უნდა დაეხმაროს. კონსულ-

ტაცია შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალურად და ჯგუ-ფურად.

4. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსილიუმი არის სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის ერთ-ერთი ფორმა, რო-დესაც იგი სკოლის მუშაკებთან და მშობლებთან ერთად თათბირობს პრობლემური მოსწავლის ან კლასის წინაშე არსებული სიძნელეების დაძლევისათვის საჭირო ოპტიმა-ლურ და ეფექტურ ღონისძიებებზე. კონსილიუმზე შეიძ-ლება განიხილებოდეს არამარტო გადახრებისა და ასოცი-ალური ქცევის შემთხვევები და პირები, არამედ განსა-კუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთა წინაშე მდგარი პრობლემები.

5. კორექციულ-განმავითარებელი მუშაობა მოით-ხოვს ფსიქოლოგის ზემოქმედებას პიროვნების ჩამოყალი-ბების პროცესზე. მან უნდა უზრუნველყოს მოზარდის განვითარება ასაკობრივი ნორმის ფარგლებში. იგი ძირი-თადად გამოიყენება სკოლის ფსიქოლოგის პირველი მო-დელის პირობებში, როცა ფსიქოლოგს უშუალო და სის-ტემატური კონტაქტი აქვს სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობასთან, მოზარდებთან, პედაგოგებთან.

ფსიქოლოგი უნდა დაეხმაროს პედაგოგიურ კო-ლექტივს სწავლა-აღზრდის პროცესში მოსწავლეთა ინდი-ვიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების: ნიჭიერე-ბის, ინტერესების, მიღრეკილებების სრულყოფაში. განსა-კუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს გადახრების შემჩნე-ვამ განვითარებაში, მათ დასაძლევად ზრუნვამ და განვი-თარების კორექციაში.

განმავითარებელი და ფსიქოკორექციული მუშაო-ბის პროგრამა მოიცავს ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ნაწილებს. ფსიქოლოგიური მხარე იგეგმება და ტარდება ფსიქოლოგის მიერ, ხოლო პედაგოგიური - ფსიქოლოგის

მიერ პედაგოგთან, მშობლებთან ან მათ შემცვლელებთან ერთად და სრულდება მათ მიერ ფსიქოლოგის დახმარებით.

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კორექცია ტარდება იმ შემთხვევაში, როცა გადახრა და დარღვევა არ არის ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანების ან ფსიქიკური დაავადების შედეგი.

6. სასწავლო-საგანმანათლებლო მუშაობა. სკოლაში, ბაღსა თუ საკონსულტაციო პუნქტებში ფსიქოლოგი არის ავტორიტეტი ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგში. პედაგოგები, მშობლები თუ მოსწავლეები მათ-თვის საინტერესო კითხვაზე მისგან მოელიან კვალიფიცირებულ პასუხს. ამიტომ იგი ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგის (განსაკუთრებით, განვითარების და განათლების) ღრმა ცოდნით უნდა იყოს შეიარაღებული. მისი პიროვნების პროფესიონალური ავტორიტეტის ამაღლება თავიდან მასზეა დამოკიდებული. სკოლის ფსიქოლოგი მოსწავლებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან უნდა ატარებდეს საუბრებს, ლექციებს, დისპუტებს ფსიქოლოგიის საკითხებზე, მოსწავლეებში უნდა იწვევდეს ინტერესს ფსიქოლოგის სპეციალობისადმი.

7. პროფორიენტაციული მუშაობა სკოლის ფსიქოლოგისაგან მოითხოვს, დაეხმაროს სკოლასა და ოჯახს მოზარდების მიერ თავისი მომავალი საქმიანობისათვის პროფესიის არჩევანში. პროფესიული ორიენტაცია არის მეცნიერება ადამიანის მიერ თავისი ბუნების, მოწოდების, უნარ-შესაძლებლობათა და ინტერესთა შესატყვისი პროფესიის არჩევის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა მრავალფეროვნება.

სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ფსიქოლოგი ადგენს პროფორიენტაციული მუშაობის გეგმას და ასრულებს მას. ასეთია მოკლედ სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის ძირითადი შინაარსი და მიმართულებები სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში.

ჩვენს პირობებში სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მდგომარეობის სპეციფიკურობის, განსაკუთრებით, კადრების დეფიციტის გამო, ფსიქოლოგი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულების შინაარსის შემსრულებელია. ერთდროულად რამდენიმე ფსიქოლოგი მუშაობს ცალკეული მიმართულებების ღონისძიებათა ჩასატარებლად.

სკოლის ფსიქოლოგი მუშაობაში აწყდება გარკვეულ სიძნელეებს. ერთ-ერთი არის ის, რომ სკოლის მუშაკების მიერ გაურკვევლია ფსიქოლოგისა და პედაგოგის ფუნქციები. ზოგჯერ ფსიქოლოგს ავალებენ ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, რომელიც პედაგოგის ან მშობლის ფუნქციაა. სკოლაში წეგატიური მოვლენების (მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევა, მოსწავლეთა ან მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტი, მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენა და სხვა) მიზეზების ძიება და მოწესრიგება თითქოს მარტო ფსიქოლოგის საქმე იყოს. სწორედ ამ პრობლემაზე ლაპარაკობს დ. უზნაძე თავის ნაშრომში: „ფსიქოლოგია და პედაგოგიკა”.

ფსიქოლოგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას პედაგოგიკისა და პედაგოგის დახმარება წარმოადგენს. ამას არავინ უარყოფს, არც პედაგოგი და არც ფსიქოლოგი. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საბოლოოდაა გადაწყვეტილი, თუ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში დახმარება, რა მოეთხოვება ფსიქოლოგიას, რათა მან პედაგოგიკის მიმართ თავისი მოვალეობა შეასრულოს. ხშირად პედაგოგს ასე ესმის დახმარების

ცნება: „როდესაც მის წინაშე რაიმე ძნელი პედაგოგიური საკითხი დგას – ვთქვათ, შეგნებული დისციპლინის აღზრდის საკითხი, იგი უშუალო მონაწილეობის მიღებას ავალებს ფსიქოლოგს ამ საკითხის გადაჭრაში – თითქოს ფსიქოლოგია მოწოდებული იყოს ასწავლოს პედაგოგიკას, თუ როგორ გადაიჭრას პედაგოგიური საკითხები”.

მეორე სიძნელე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობაა. აუცილებელია სათანადო ავეჯით და ინვენტარით აღჭურვილი იზოლირებული სამუშაო ოთახი ინდივიდუალური და ჯგუფური ღონისძიებების ჩასატარებლად.

მესამე სიძნელე – სკოლის ფსიქოლოგის შრომის ანაზღაურების დაბალი დონეა.

აჭარის რესპუბლიკის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ფსიქოლოგიური სამსახურის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარება:

– გაიხსნას ფსიქოლოგიური სამსახურის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

– პრაქტიკოსი ფსიქოლოგის მეთოდისტის შტატის დაშვება ქალაქის და რეგიონების რესურსცენტრებთან;

პრაქტიკოსი ფსიქოლოგის თანამდებობაზე მომუშავე პედაგოგთა კვალიფიკირის ასამაღლებელი კურსების გახსნა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

## **ლიტერატურა:**

1. მ.ზარანდია, მოსწავლეთა პროფესიული ინტერესების, მიღებეკილებებისა და ორიენტაციის ფორმირების საკითხები, თბილისი, 1981
2. მ.ყოლბაია, ძნელი ბავშვები, თბილისი, 1962
3. ი.კეჭაყმაძე, სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, N 7–8, 1997
4. Психологическая служба в школе. Вопросы психологии, N 2–3–4, 1979, N 3–4, 1982
5. Овчарова Р.В. Справочник школьного психолога. Москва, 1996

**Ilia Kechakmadze**

### **School Psychological Service Summary**

It is impossible to solve the task of improving the level of education in educational institution, without introducing psychological service. School psychologist usually works mainly in the following areas: psychoprophylaxis, psychodiagnostics, psychological advice, correcting-developing work, professional-orientation work.

**Илья Кечакмадзе**

**Психологическая служба школе  
Резюме**

Решение задачи улучшения уровня образования в учебно – воспитательском учреждении, невозможно без внедрения психологической службы. Школьный психолог работает в основном в следующих направлениях психопрофилактика, психодиагностика, психологическая консультация, коррективно – развивающая работа, профориентационная работа.

## აღქმის პათოლოგია

### ილია კეჭაყმაძე

ფსიქიკის ერთ – ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საგნებისა და მოვლენების ასახვა – შემეცნება. აღქმა, სხვა კოგნიტურ პროცესებთან ერთად წარმოადგენს რეალობის ასახვას, თუმცა მას გააჩნია განმასხვავებელი ნიშნებიც.

როცა ვხედავთ ან ვეხებით საგანს, ვაცნობიერებთ როგორც საგნის ნიშანთა ობიექტურ მოცემულობას, ასევე სუბიექტურ შთაბეჭდილებებს ამ ნიშანთა შესახებ. მაშასადამე, აღქმის სახით ფსიქიკაში მოცემულია ერთის მხრივ, ცოდნა იმის შესახებ, რომ ჩვენი შთაბეჭდილების მიზეზი – საგანი ობიექტურად არსებობს, ხოლო მეორე მხრივ, იმის ცნობიერება, რომ ამ საგნის შესახებ გაგვაჩნია გარკვეული ცოდნა. მეტიც, ჩვენ არამარტო გაგვაჩნია ინფორმაცია აღქმული საგნის შესახებ, არამედ შეგვიძლია ჩვენში მოცემული ამ შთაბეჭდილებების აღწერა – შეფასება.

აღქმის, როგორც განცდის განსხვავება სხვა შემცნებითი პროცესებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს ჩვენი გრძნობის ორგანოებზე მოქმედ კონკრეტულ გამლიზიანებელთა უშუალო ასახვას. ობიექტური რეალობა აღქმაში მოცემულია, როგორც დროით დასივრცით შემოსაზღვრული სინამდვილე.

ამგვარად, აღქმა (ანუ მიმღებლობა) წარმოადგენს რთულ ინტელექტუალურ აქტს, მისთვის აუცილებლად საჭიროა გამალიზიანებელი საგნის არსებობა.

ადამიანი აღქმას ახდენს არა პასიურად, მექანიკურად, არამედ შეგნებულად, ამორჩევით, პირადი განწყობისა და ინტერესის თანახმად.

უნდა გვახსოვდეს, რომ აღქმა წარმოადგენს მთლიან აქტს. ადამიანის სოციალურ-ისტორიული გამოცდილება აღქმას აძლევს მიმართულებას, ფორმულირებასა და აგრეთვე შეგნებული ფსიქიკური პროცესების ხასიათს.

სულით ავადმყოფობათა დროს ადგილი აქვს აღქმის სხვადასხვა აშლილობას. მისი ერთ – ერთი სახეა აგნოზია.

აღქმის ისეთი შეცვლა, როდესაც საგანი შეიგრძნობა, მაგრამ ვერ ხდება მისი შეცნობა, ცნობილია აგნოზის სახელწოდებით.

ამგვარად, აგნოზია წარმოადგენს აღქმის პათოლოგიური შეცვლის ერთ-ერთ სახეს. კლინიკურად მეტად საინტერესოა აგნოზის შემდეგი სახები: მხედველობითი (ოპტიკური) აგნოზია, როდესაც ავადმყოფი ხედავს საგანს, მაგრამ ვერ ცნობს მას, საგანში რომ გაერკვეს, საჭიროა მას ხელით შეეხოს.

სმენითი აგნოზია, როდესაც ავადმყოფს ესმის სიტყვა, მაგრამ ვერ იგებს მის შინაარსს (სენსორული აფაზია), ან ესმის ბევრათა კომპლექსი, მაგრამ ვერ ერკვევა მელოდიაში (სენსორული ამუზია).

ტაქტილური აგნოზია, ანუ ასთეროგნოზია, როდესაც ავადმყოფს არ ძალუდს გამოიცნოს საგანი შეხებით.

აგნოზის მოვლენასთან საკმაოდ ახლოს დგას ბაბინსკის მიერ აწერილი ფენომენი ანაზოგნოზის სახელწოდებით (ავადმყოფი ვერ ერკვევა თავისი სხეულის ნაწილის მდგომარეობაში, მაგალითად იგი სრულიად ვერ გრძნობს, რომ კიდური აქვს პარალიზებული); ხსენებული

ფენომენის ერთ-ერთ სახეს შეადგენს ე.ნ. ფანტომის გრძნობა, როდესაც ავადმყოფს ჰგონია, რომ აქვს თავისი სხეულის არარსებული ნაწილი, მაგალითად ამპუტირებული კიდური და სხვ.

აღქმის დარღვევის შემდეგი სახეა ფსიქოსენსორული აშლილობანი. როგორც ვიცით, სხვადასხვა გრძნობათა ორგანოების საშუალებით მიღებული აღქმა საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას. საჭიროა მოხდეს აღქმის ცალკეულ აქტთა შეჯამება – ინტეგრაცია, მათი ზოგადი შეფასება, რომ ადამიანი მთლიანად გაერკვეს გარემოში.

კლინიკურად მნიშვნელოვანია ფსიქოსენსორული აშლილობის შემდეგი სახები:

1. საკუთარი სხეულის სქემის დარღვევა. ავადმყოფები ვერ ერკვევიან თავიანთი სხეულისა და მისი ნაწილის მდგომარეობაში. ისინი აღიქვამენ უკვე არარსებულ ამპუტირებულ კიდურებს, ჰგონიათ, რომ სხეულის რომელიმე ნაწილი ან ძლიერ გაუდიდდათ და დაუმძიმდათ, ან პირიქით, ძლიერ დაუპატარავდათ და შეუმსუბუქდათ.

2. სივრცის აღქმის დარღვევა. ამ შემთხვევაში ავადმყოფს დაკარგული აქვს სივრცეში გარკვევის და მასში ორიენტაციის უნარი. ავადმყოფები საგანს ხედავენ არა იმ ადგილას, სადაც იგი ძევს, არამედ სხვა ადგილას (ოპტიკური ალესტეზია) ან საგნებს ხედავენ უფრო გადიდებულად, ან შემცირებულად (მიკრო და მაკროფსია), ან შესაძლებელია საგნები მათ ეჩვენებოდეთ შორს ან ახლოს.

3. დროის აღქმის გაუკულმართება. ავადმყოფები ვერ ერკვევიან დროში, ისევე როგორც სივრცეში. მათ დაკარგული აქვთ დროის განზომილებისა და ფაქტორთა თანმიმდევრობით დალაგების უნარი. შესაძლებელია პირველად ნახული მათ აღიქვან უკვე ნახულ, ნაცნობ და

განცდილ ფაქტად („უკვე ნახულის” ფენომენი) ან პირი-ქით, შესაძლებელია ცნობილ საგანში ვერ გაერკვიონ და მიიღონ არასდროს არნახულ ფაქტად („არასდროს არნა-ხულის” ფენომენი).

4. გარემო წრის დინამიკურობის აღქმის დარღვევა. ავადმყოფები გარემოს აღიქვამენ როგორც მყარ, უმოძ-რაო და უცნობ სამყაროს ან შეიძლება დინამიკურობის აღქმა გაუკულმართებული იყოს შებრუნებულად. მაგალი-თად, ავადმყოფებს ეჩვენებათ, რომ ყველაფერი მათ გარ-შემო განიცდის ქარიშხალისებურ ტრიალს, მოძრაობას („ოპტიკური ქარიშხლის” ფენომენი).

აღქმის დარღვევის სახეებიდან განსაკუთრებულ კლინიკურ ინტერესს წარმოადგენს ილუზიები და ჰალუ-ცინაციები.

ილუზია წარმოადგენს არასწორ აღქმას, რომელიც არ შეესატყვისება სინამდვილეს. ამ დროს არსებობს რეა-ლური საგანი, მაგრამ მისი აღქმა წარმოებს არასწორად. მაგალითად, მინდორში, ბუჩქს დღისით ჩვენ აღვიქვამთ ნორმალურად, მაგრამ შებინდებისას, როდესაც უკვე ბუნ-დოვნად ვარჩევთ საგნებს, შესაძლებელია ჩვეულებრივი ბუჩქი აღვიქვათ მგლად.

არჩევენ ილუზიის სამ სახეს: ფიზიკური, ფიზიო-ლოგიური და პათოლოგიური ილუზიის შემთხვევები.

პათოლოგიური ილუზიის მაგალითებს ჩვენ ვხდებით სულით ავადმყოფთა შორის.

სულით ავადმყოფები (შიზოფრენიკები) მომვლელ პერსონალს ხშირად აღიქვამენ სრულიად სხვა პირებად (მახლობლებად – ნათესავებად ან მტრებად); ექიმის ფან-ქარს ან სტეტოსკოპს აღიქვამენ როგორც რევოლვერს, წამალს, რომელსაც აძლევენ ავადმყოფებს, ისინი თვლიან საწამლავად, სხვის ინდიფერენტულ ლაპარაკს აღიქვამენ,

როგორც ავადმყოფის საწინააღმდეგოდ მიმართულ დიალოგსა და სხვა.

ჰალუცინაცია - ესაა აღქმის ისეთი პათოლოგია, როცა აღქმის საგანი არ არსებობს. რადგან საგნები სინამდვილეში არ არსებობს, ჰალუცინაციური აღქმა ჩვენთვის არარეალურია, მაგრამ ავადმყოფისათვის სრულიად რეალურია. ჰალუცინაციები ავადმყოფთათვის იმდენად რეალური განცდაა, რომ ისინი ახდენენ არარსებულ საგანთა პროექციას, ე.ი. საგნებს ხედავენ გარემოში (ავადმყოფი ზუსტად აღნიშნავს, თუ სად და რა მანძილზე არის მოთავსებული არასებული ობიექტი). ჰალუცინაციები ხან რეალურ სურათებს მოგვაგონებენ, ხან კი მათ აქვს საზარელი და ფანტასტიკური შინაარსი.

ჰალუცინაციათა ყოველ სახეს აქვს მეტად მრავალგვარი და მრავალფეროვანი შინაარსი და გამოხატულება. ჰალუცინაციები შესაძლებელია იყოს სასიამოვნო ან უსიამოვნო შინაარსის.

სასიამოვნო ან ინდიფერენტული ჰალუცინაციების დროს ავადმყოფები რაიმე ცუდ გრძნობებს არ განიცდიან, მაგალითად, ისინი უცქერიან და უსმენენ, როგორც კინოს მაყურებელი პირები.

ავადმყოფთა მდგომარეობა სრულიად იცვლება, როდესაც ჰალუცინაციებს აქვს აშკარად უარყოფითი ტონი და თავისი შინაარსით შემზარავია. გასაგებია, რომ ასეთი უსიამოვნო განცდები ცვლის ავადმყოფების როგორც გუნება - განწყობილებას, ისე მათ ქცევას.

ჰალუცინაციებს ხშირად (მაგალითად, სმენის ჰალუცინაციას) აქვს ბრძანებითი, ანუ იმპერატიული ხასიათი. ავადმყოფს უბრძანებენ და ვალდებულია იგი შეასრულოს. ერთ-ერთმა ავადმყოფმა სცადა გამოემტვრია

ფანჯარა და გადამხტარიყო, რადგან მან მიიღო ასეთი ბრძანება.

შიზოფრენის დროს აღწერილია მეტად თავისებური სმენითი ჰალუცინაციები: ავადმყოფის ყოველ აზრს თითქოს ვიღაც იმეორებს, თითქოს ვიღაცა უსმენს, უთვალთვალებს ავადმყოფის აზრთა სვლას.

სულით ავადმყოფთა სხვადასხვა შემთხვევაში ვხდებით სხვადასხვა სახის და შინაარსის ჰალუცინაციებს, ამიტომ ფსიქოზთა კლინიკურ მიმდინარეობაში მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მელანქოლიურ ან დეპრესიულ მდგომარეობაში აღწერენ უარყოფითი ტონის სმენით ჰალუცინაციებს. ავადმყოფებს ესმით, რომ ისინი ცოდვილი და დამნაშავენი არიან. ამ შემთხვევაში ჰალუცინაციათა შინაარსი გამოხატავს ავადმყოფთა ძირთად გუნძებ-განწყობას.

სმენისა და ტაქტიკური ჰალუცინაციები არსებობს აგრეთვე ციხის ფსიქოზების დროსაც.

შესაძლებელია ჰალუცინაციათა პროვოკაცია მოვახდინოთ ხელოვნურად.

თეთრი ცხელების მქონე ავადმყოფებს მიდრეკილება აქვთ ჰალუცინაციებისადმი. ამიტომ ასეთ ავადმყოფთა თვალის კავლებზე თითო რომ დავაჭიროთ და ავადმყოფს შევეკითხოთ, თუ რას ხედავს იგი, მივიღებთ სრულიად გარკვეულ დადებით პასუხს, რომ იგი ხედავს სხვადასხვა საგანს. შეიძლება ავადმყოფის თვალწინ დავიჭიროთ თეთრი სუფთა ქაღალდი და შევეკითხოთ, თუ რას ხედავს იგი. აქაც დადებით პასუხს მივიღებთ.

ხშირად ავადმყოფებს აძლევენ საერთო ქსელიდან გამოთიშულ ტელეფონის მიღს. ავადმყოფები ამ გამოთიშული მიღით ისე ანარმობენ საუბარს, თითქოს სინამდვილეში მათ ვინმე ელაპარაკებოდეს.

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აღქმის პათოლოგია შეიძლება ატარებდეს სრულიად განსხვავებულ ხასიათს და ამდენად, მნიშვნელოვანია თითოეული შემთხვევის ყურადღებით შესწავლა.

### **ლიტერატურა**

- ა.ზურაბაშვილი. ფსიქიატრია, თბილისი, 1959
- გ. ნანეიშვილი. ფსიქიატრიის მოკლე კურსი, “მეცნიერება”, თბ., 1998
- მ. ჩუგოშვილი(რედ.), ფსიქიატრიული ცნობარი, “ხარება”, თბ., 2006

**Ilia Kechakmadze**

### **Pathology of the Perception Summary**

Perception is a complex intellectual act. There are different pathologies of violation of this mental process. One such violation is called agnosia, where the patient perceives the subject, but can not find out. Sometimes it is mistaken perception (illusion). There are three types of physical, physiological and pathological illusions. When mental illness, mainly schizophrenia, often there are different kinds of hallucinations and false perception occurring in the absence of external visual stimulus.

**Илья Кечакмадзе**

**Патология восприятия**

**Резюме**

Восприятие представляет собой сложный интеллектуальный акт. При патологиях происходят разные нарушения этого психического процесса. Один из видов таких нарушений называется агнозией, когда больной воспринимает предмет, но не может его узнать. Иногда восприятие бывает ошибочным (иллюзии). Различают три вида физические, физиологические и патологические иллюзии. При психических заболеваниях, в основном при шизофрении, часто имеют место разного рода галлюцинации – ложные восприятия, возникающие при отсутствии внешнего визуального стимула.

## ფეროვანი გილი თვალსაზრისი ფსიქოპათოლოგიაში

**ილია კუჭაყმაძე**

სულით ავადმყოფთა კლინიკაში მუშაობა როგორც ადრე, ისე დღესაც ემყარება პათოლოგიური ფენომენების საფუძვლიან შესწავლას. ესაა ერთადერთი გზა, რომლის საფუძველზეც ექიმი აყალიბებს კლინიკურ დიაგნოზს.

სულიერი ფენომენების მკვლევარს საქმე აქვს მოვლენებთან, რომელიც არა მარტო ობიექტურად, არა-მედ სუბიექტურადაცაა მოცემული. სუბიექტური მოვლენების უშუალო აღწერის გზაა თვითდაკვირვება, მაგრამ ექიმი ამ მეთოდის პირდაპირი გამოყენების შესაძლებლობას მოკლებულია.

**თვითდაკვირვების** მეთოდი დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ფსიქოზის ხელოვნურად გამოწვევა, რომ მკვლევარს მის-ცემოდა საკუთარ განცდებზე დაკვირვებისა და მათი აღნერის საშუალება. გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ თვალსაჩინოდ გამოვსახოთ ის, რაც ავადმყოფის მიერ ნამდვილად არის განცდილი, განვიხილოთ ისინი თანაბარი პირობების მიხედვით, ერთმანეთისგან მკვეთრად გამოვყოთ, განვასხვავოთ და გამოვთქვათ რაც შეიძლება ზუსტ ტერმინებში..

რასაკვირველია, ფენომენოლოგიური კვლევა - ეს ისეთი ამოცანაა, რომელიც დგას არამარტო სულით ავადმყოფთა მკვლევარის წინაშე, არამედ იმათ წინაშეც, ვინც სწავლობს ადამიანის სულიერ მოვლენებს. ფენომე-

ნების ზუსტი განსაზღვრა, მათი ერთმანეთისგან გამოყოფა და ზუსტად აღწერა ისეთი აუცილებელი ღონისძიებაა, რომელიც წინ უნდა უძლოდეს ყოველ ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს.

საბოლოოდ, საჭიროა იმის აღნიშვნაც, რომ ფენო-მენების აღწერა – ესაა ფაქტიური ვითარების გაცნობა, მწყობრში მოყვანა და ჩვენთვის მისაწვდომ ენაზე იმის გამოთქმა, რასაც ადგილი აქვს ცნობიერებაში. ფენომენე-ოლოგიური კვლევის საზღვარი არ სცილდება ცნობიერე-ბის საზღვარს, მისი მოღვაწეობა აქ მთავრდება. ფე-ნომენოლოგიური აღწერის მასალაა ის, რაც ცნობიერება-შია წარმოდგენილი: ხატი, სურათი, სიტყვა, აზრი, სიმბო-ლო. აგრეთვე ის, რაც გარეთაა გამოვლენილი: მიმიკა, ჟესტები. მთავარი მაინც ისაა, რომ განვიცადოთ ის, რაც სხვის მიერ იყო განცდილი: როცა ავადმყოფებთან გვაქვს საქმე, დიდი დაკვირვებით შესწავლას მოითხოვს მათი წა-ხატები, წერილები და ავადმყოფის მიერ საკუთარი გან-ცდების აღწერა.

**შთაგრძნობის მეთოდი.** ძირითადი მეთოდი, რომ-ლითაც სარგებლობს გაგებითი ფსიქოლოგია, არის შთაგ-რძნობა, სხვისი განცდის შინაარსის ისე გადმოტანა სა-კუთარ განცდათა სამყაროში, რომ მათ გარშემო შეიძლე-ბოდეს არა მსჯელობა, არამედ შინაგანი თვალით ხილვა. სწორედ ამიტომაა საჭირო ავადმყოფის განცდის თავისე-ბურების საფუძვლიანი ცოდნა. სხვისი სულიერი მოვლე-ნები ჩვენთვის უშუალო აღქმის გზით მიუწვდომელია. სულიერ ფენომენთა აღწერის დროს ყოველთვის ჩნდება მიღრეკილება ჩამოვთვალოთ მათი გარეგანი ნიშნები, პი-რობები, რომელთან ერთადაც ისინი აღმოცენდება, მივ-ცეთ მათ ჩვენი გონებისთვის მისაწვდომი გამოხატულება თვალსაჩინო მეტაფორებში და სიმბოლოებში. ეს ისეთი

ამოცანაა, რომელიც ავადმყოფის არსებით მონაწილეობას მოითხოვს და რომლის განხორციელების ნამდვილი გზაა თვითონ ავადმყოფის მიერ თავის მდგომარეობის აღწერა (თვითაღწერა).

თვითაღწერის მასალის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას გარკვეული წესით ვაწარმოებთ. ავადმყოფს ჩვენ ვიწვევთ სასაუბროდ, პირად საუბარში ვამოწმებთ მის მიერ განცდილის ბუნებას. ვცდილობთ საუბრის შინაარსი გარკვეულ კალაპოტში ჩავაყენოთ, რათა მეტი სისრულითა და სინათლით შევძლოთ მისი ჩამოყალიბება. ხშირად ავადმყოფის წერილობითი მასალები მდიდარია შინაარსით, მაგრამ მთავარია მოხერხდეს მათი მიღება ყოველგვარი შესწორების გარეშე, ე.ი. ნატურალური სახით. მაგრამ ავადმყოფს ხშირად იმდენად უცხო და უჩვეულო განცდებთან აქვს საქმე, რომ მათ სიტყვიერ ფორმულირებას ვერ ახერხებს და ამიტომაც მიმართავს ხატვას, ახალი სიმბოლოების ძიებას და ნეოლოგიზმებს.

მიუხედავად ამისა, ავადმყოფი, როგორც დამკვირვებელი, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ნორმალური განცდის ადამიანი. ცნობერების შინაარსები, რომლის აღწერასაც ის მიმართავს და აკვირდება, ნაძალადევია და ავტომატურად მეორდებიან. თვითონ ავადმყოფს არ უხდება მათი გამოწვევა, მას ის უშუალოდ ეძლევა. ავადმყოფი კი არ მსჯელობს, არამედ მოგვითხრობს საკუთარი განცდების შესახებ, როგორც მესამე პირი. შეიძლება ამით იყოს გაპირობებული ის, რომ ზოგიერთი ძირითადი ცნების აღმოჩენა თვითონ ავადმყოფს ეკუთვნის. ავადმყოფის ჩვენებათა შედარება, მათი აღწერა შეიცავს ბევრ ერთმანეთთან ახლოს მდგომ ცნობებს. მაგალითად, დევნითი ბოდვის შინაარსს თითქმის ყოველი

ავადმყოფი ერთი და იგივე სახით აგვინტერს და მეტად საჭირო ცნობებსაც გვაწვდის. რასაკვირველია, აქაც საჭიროა შემოწმება, მაგრამ არ უნდა დაგვავინტყდეს, რომ მათ შორის გვხვდებიან განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანებიც.

**პირველადი (ბირთვული) ფენომენი.** განვითარებული სულიერი ცხოვრების თანამგზავრია რთული ფენომენები, მაგრამ განვითარება არამარტო რაოდენობრივი ზრდაა, არამედ დიფერენციაციაც. სულიერი მოვლენების დიფერენციაცია მათ შორის სრულყოფილი ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რაც თავის მხრივ აადვილებს შესასწავლად მიჩნეული მოვლენების უკეთ აღნერას. ეს უკანასკნელი ისეთი ლონისძიებაა, რომელიც დიფერენცირებული მთელის დანაწევრებას საჭიროებს, რომ უკეთ დავინახოთ მთელის კომპონენტებს შორის არსებული მიმართულება და აქედან გამომდინარე, თვით მთელის თავისებურება.

რასაც ჩვენ უშუალოდ განვიცდით, ეს მიმართულებათა მთლიანობაა, რომელშიაც ყოველთვის წარმოდგენილია „მე”-სა და საგნის დაპირისპირება. ჩვენი „მე” ყოველთვის გრძნობს საგნისკენ მიმართულებას, ამას ადგილი არ ექნებოდა, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებული არ იყოს საგნობრივი ცნობიერება და თვითცნობიერება. ორივე ერთად განიცდება, მაგრამ თვითონ ამ დაპირისპირებაში მოცემულია მათი პირველადი დაყოფა, რომლის გარეშე არ გვექნებოდა შესაძლებლობა, აგვენტ-რა ცალკე საგნობრივი ცნობიერება და ცალკე თვითცნობიერება. კერძოდ, არანორმალური საგნობრივი განცდა, როგორიცაა აღქმის შეცვლა, მცდარი შეგრძნებები. აღნერა შეიძლება დაიწყოს იმ შთაბეჭდილებებიდან, რომელიც შემოდის გარედან, ობიექტიდან, მაშინ ეს პროცესი წარ-

მიმართება იმისკენ, რასაც ჩემი “მე-“სთვის მნიშვნელობა აქვს.

დანაწევრებას უნდა მოჰყვეს უშუალო და შუალი ფენომენების გამოყოფა და მათი პირველადი სახით დანახვა. ყოველი ფენომენი ატარებს უშუალოდ განცდილის დაღს, რომელიც ზოგჯერ ისეთ რთულ კომბინაციაში დებულობს მონაწილეობას, რომ ისევე ძნელი დასანახია, როგორც რთულ ნახაზში ჩართული ფიგურა.

**ფენომენების ფორმა და შინაარსი.** მდგომარეობის მიხედვით შინაარსი იცვლება, მაგრამ მასთან შედარებით ფორმა ცვლილებას არ განიცდის. აღქმა იგივე აღქმად რჩება, მიუხედავად იმისა, მისი შინაარსი იქნება ადამიანი, ლომი, თუ მდინარე. სულიერი ფენომენების ფორმებია წარმოდგენა, მსჯელობა, გრძნობები, მისწრაფება, თვითცნობიერება. თითოეული გამოხატავს ყოფიერების ხატს. ე.ი. ფორმას, რომელშიც მისი შინაარსი არის წარმოდგენილი. ცალკეული ადამიანის განცდის თავისებურება ხასიათდება შინაარსის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ფენომენოლოგიური კვლევა ძირითად მნიშვნელობას ანიჭებს არა შინაარს, არამედ ფორმის აღწერას. ავადმყოფისთვის წარმოდგენას ე.ი. ხატს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ შინაარსს, რომელიც მას შიშს ჰგვრის.

საგნობრივი ენოდება, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, სულიერი ცხოვრების შინაარსს, ხოლო ფორმა – თუ რა სახით წარმოსდგება საგანი სუბიექტის წინაშე (აღქმის თუ წარმოდგენის). ამ აზრით მსჯელობენ შიშის ან სხვა სულიერი მდგომარეობის შესახებაც. შიში შეიძლება აკვიატებული ბოდვითი იდეის სახით წარმოსდგეს. უკანასკნელ შემთხვევაში შიში იქნება ბოდვის შინაარსი, ხოლო ამ შიშის განცდის ფორმა – ბოდვა. აქ ფორმა გა-

გებულია, როგორც სულიერი ცხოვრების ყველაზე უფრო ზოგადი ხასიათის ცვლილება. ყველა სახის ადამიანური სურვილები, მისწრაფებები, აზრები და ფანტაზიები - წარმოდგენილია როგორც შინაარსი. ხშირად ფსიქოზის ფორმა დაპირისპირებულია განსაკუთრებულ შინაარსებთან. მაგალითად, დისფორიის, ცუდი განწყობილების პერიოდული ფაზები, როგორც ავადმყოფური ფორმა, უპირდაპირდება ამ პერიოდის ავადმყოფურ ქცევას (ლოთობა, ხეტიალისადმი მიღრეკილება, თვითმკვლელობა).

ფენომენოლოგიური კვლევის დროს ძირითადი ინტერესები მიპყრობილია ფორმისკენ, შინაარსი კი ითვლება შემთხვევითად. ფაქტია ისიც, რომ შინაარსი რიგ შემთხვევაში ცვლის ფენომენების სახეს, სულიერი ცხოვრების ფენომენებს სძენს მიმართულებასა და წონას.

გაგებითი ფსიქოლოგია დანიტერესებულია ცნობიერებაში მოცემულ მოვლენებს შორის კავშირის ჩვენებით.

აღნერითი ფსიქოლოგია კი ცდილობს სხვისი სუბიექტური სამყაროს გადმოღებას, მისთვის ხატოვანი თვალსაჩინოების მინიჭებას. გაგების ფსიქოლოგიის მიზანი განსხვავებულია, მას სურს ისეთი კავშირების ხილვა, რომელიც თან არ ახლავს ნაგულისხმევ განცდას, არამედ წინ უსწრებს მას. ასეთია აზრითი კავშირი, რომლის განმსაზღვრელად ობიექტური სამყაროა მიჩნეული..

გაგების შიგნით, კ. იასპერსის აზრით, აუცილებელია პრინციპული ხასიათის დანაწევრება. თუ ლოგიკის წესით ხდება აზრის შინაარსის გაგება – ერთი შინაარსი გამომდინარეობს მეორისგან – ეს იქნება რაციონალური გაგება, რაციონალურ გაგებას ყოველთვის კონსტანტაციისაკენ, ყოველგვარი ფსიქოლოგიის გარეშე გასაგები კავშირისაკენ მივყავართ.

რაც შეეხება შთაგრძნობით გაგებას, – ამას მივყავართ თვითონ სულიერი კავშირისაკენ. ამ შემთხვევაში აზრის შინაარსი მოვლინებულია გუნება განწყობილებიდან, როგორიცაა: სურვილი, ხიფათი. ჩვენთვის ეს შინაარსი ფსიქოლოგიურად გასაგებია, ამიტომაა მითითებული, რომ რაციონალური გაგება ფსიქოლოგისათვის დამხმარეა, ხოლო შთაგრძნობით გაგებას მივყავართ თვითონ ფსიქოლოგიისკენ. ფენომენების გაგების შემთხვევაში გაგება ემყარება ავადმყოფის შესახებ წარმოდგენის შემუშავებას ავადმყოფთან თვითაღწერის მასალათა საფუძველზე. მეორე გზაა უშუალო აღქმა იმის, რაც უესტების, მიმიკის სახით გარეთ არის გამოხატული. გენეტიკური გაგება ემყარება სულიერი მოვლენების გაგებას სულიერი მოვლენიდანვე. ამასთან შედარებით ფენომენოლოგიური გაგება სტატიურია, ის ეხება სულიერ მოვლენებს ისევე და იმ ფარგლებში, როგორც ისინი ყოფილან განცდილი.

სულით ავადმყოფებს შორის გვხვდება სამი სახის ფენომენი: ერთი მათგანი საკუთარი სულიერი ცხოვრების მიმდინარეობიდან არის ჩვენთვის ცნობილი და ამდენად, მსგავსებას პოულობს ნორმალურ ფსიქიკურ მოვლენებთან. ასეთია მაგალითად, მეხსიერების ილუზიები, ელემენტარული ჰალუცინაციები. მეორე სახის ფენომენები ხასიათდებიან პერიოდული მერყეობით, ხან გაძლიერებით, ხან დაქვეითებით, მხედველობაში გვაქვს გუნება-განწყობილების ცვალებადობა, იმპულსების გაუკუდმართება, აფექტურ მდგომარეობაში მიმდინარე ფსიქიკური პროცესები. ამათ გარეშე დგას ფენომენების მესამე რიგი, რომელთა ბუნება სრულიად მიუწვდომელია ჩვენთვის, ასეთია, „გაკეთებული აზრები”, რომელსაც ავადმყოფი თვის საკუთარ აზრად არ თვლის.

უნდა ითქვას, რომ ფსიქოზური განცდების აბსოლუტური უმრავლესობა ისე შორს დგას ჩვენგან, იმდენად განსხვავდება ავადმყოფის ცნობიერების მუშაობა ნორმალური ადამიანის ცნობიერების მუშაობიდან, რომ ყველაფერი, რაც თავის ბუნებით ფსიქოზურია, სრულიად გაუგებარია და მიუწვდომელი ჩვენთვის. ამით აიხსნება, რომ შიზოფრენიის კლინიკისათვის დამახასიათებელი პირველადი სიმპტომის ძიება ჯერაც არ დამთავრებულა, თუმცა მათი რიცხვი ათეულზე მეტია.

### **ლიტერატურა**

1. ი.ბუალავა. ფსიქოზურ განცდათა ფენომენოლოგია, თბილისი, 1968
2. Бабушкин В. У., Феноменологическая философия науки, Наука, М., 1985.
3. Какабадзе З. М., Проблема «Экзистенциального кризиса» и трансцендентальная феноменология Эдмунда Гуссерля, Мецниереба, Тбилиси, 1966
4. Ялом И., Экзистенциальная психотерапия, Класс, М., 1999.

**Ilia Kechakmadze**

### **Phenomenological View in Psychopathology Summary**

The work in the mental health clinic is based on a detailed study of pathological phenomena. Researchers mental phenomena are dealing with phenomena, not only objectively but also subjectively. Phenomenological study is a challenge not only to

researchers, but also for those who are studying the mental phenomena of a normal person. A precise definition and description of the phenomena is mandatory prior to any psychological experiment.

**Илья Кечакмадзе**

**Феноменологический взгляд в психопатологии**

**Резюме**

Работа в клинике душевнобольных основывается на доскональном изучении патологических феноменов. Исследователи душевных феноменов имеют дело с явлениями, дающиеся не только объективно, но и субъективно. Феноменологическое исследование – это задача, стоящая не только перед исследователей душевнобольных, но и перед тем, кто изучает душевые явления нормального человека.

Точное определение и описание феноменов – это обязательное мероприятие, предшествующее любому психологическому эксперименту.

# ფსიქიატრიის ევოლუციური მიმართულების პროგნოსტიკა

მარინა ჭელიძე

ბიოლოგიის განვითარებამ (Харрисон, Уайнер, Тэннер, Барникот, Рейнолдс, 1979: 13-128) საფუძველი დაუდო ევოლუციურ მიმართულებას ფსიქოლოგიაში. რეფლექსის შესწავლაში წარმატებებმა განაპირობეს უნივერსალური იდეა ფსიქიკური აქტების თანმიმდევრული გართულების შესახებ. დარვინის მოძღვრებამ განაპირობა ევოლუციური მიმართულებების აღიარება და გავრცელება (დიასამიძე, 2000: 77-124). ფსიქიატრიაში ევოლუციური მიმართულების პირველი გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ფსიქიატრი ჰენრი მოდზლი (183-1918) და ნევროლოგი ჯონ ხიუბლინისი ჯეკსონი (1835-1911). მათ მიაჩნდათ, რომ პროგრესის კანონი ძალაშია ფსიქიკურ მოვლენათა სფეროში (მაგალითად - ჰერძნებებში), რომელიც გულისხმობს ზოგადი და მარტივისა-გან კერძოსა და უფრო რთულისაკენ განვითარებას. მოდზლი მიუთითებდა, რომ ფსიქიკის შესწავლის დროს უნდა გამოვიყენოთ ინდუქციური მეთოდი და დავინუოთ სულიერების შესწავლა ფიზიოლოგიური გამოვლინებების საფუძველზე ჯერ კიდევ ცხოვრებაში (Морозов, 1961: 68-71). მოდზლი მიუთითებდა, რომ პათოლოგიური ფსიქოლოგიის სფერო-დან შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა დარვინის თეორიის სასარგებლოდ. ჯანმრთელობა მოდზლის მიხედვით განისაზღვრებოდა როგორც გარემოში არსებობისადმი წარმატებული შეგუება. ჰარმონიული შესატყვისობა ორგანიზმსა და გარემოს შორის კი შეიძლება დარღვრეული იყოს ისეთი

მიზეზებით, რომლებიც თვით ორგანიზმში ან გარემოთი არიან განპირობებული (Morozov, 1916: 71).

მოდზლი უპირატესობას ანიჭებდა ფსიქიკურ მოვლენათა ფიზიოლოგიურ და ევოლუციურ შესწავლას. ის მიიჩნევდა, რომ ფიზიოლოგიური სული შეიძლება განსაზღვრულიყო ტვინის მოქმედების ისეთი ერთობით, რომელიც აიხსნება აზროვნებაში, გრძნობებში და ნებისყოფაში. სულიერი აშლილობა კი ამ მოქმედებათა აშლილობად უნდა მივიჩნიოთ. დარვინი ყურადღებით კითხულობდა მოდზლის ნაშრომებს და არაერთხელ ახდენდა ამ ავტორის ციტირებას (Morozov, 1916: 74). მოდზლიმ დაუდო საფუძველი ბავშვის ფსიქიატრიას. ის თვლიდა, რომ პირველი წლის განმავლობაში ბავშვის ფსიქოზებს ინსტიქტური წარმომავლობა აქვს. უფრო გვიან უჩნდება ჰალუცინაციური აშლილობები და კიდევ უფრო გვიან ბოდვის იდეები და კიდევ უფრო გვიან აკვიატებები (Morozov, 1916: 74). ევოლუციური ფსიქიატრიის მეორე გამოჩენილმა წარმომადგენელმა ჯეკსონმა ნერვული სისტემის სამი დონე გამოყო და სპენსერის მიხედვით ევოლუციის ოთხი ფაქტორი გამოყო სამი მოტორული ცენტრის მიხედვით. 1. სირთულეების ზრდა (დიფერენციაცია); მოძრაობათა დიდი რაოდენობის აღნარმოება. 2. სიზუსტის ზრდა (სპეციალიზაცია); სპეციალური დანიშნულების მოძრაობათა აღნარმოება; 3. ინტეგრაციის ზრდა; სხეულის ფართო ზონების ნერვული ცენტრების მოძრაობათა აღნარმოება. 4. კოოპერაცია - რაც უფრო მაღალია ნერვული ცენტრების დონე, მით უფრო მეტია მათ შორის კავშირულობის მიხედვით. ევოლუციის საწინააღმდეგო ფაქტორებს ეწოდება - დისოლუცია, რაც რედუციას, ხოლო ევოლუციას ნიშნავს

უფრო ორგანიზებულიდან ნაკლებ ორგანიზებული მიმართულებით, უფრო ორგანიზირებულისაგან ნაკლებ ორგანიზირებულის მიმართულებით. ჯეკსონის მიხედვით ფსიქიკური სწორულების ყოველ შემთხვევაში ადგილი აქვს ტვინის უმაღლესი ცენტრების დაზიანებას ანუ ევოლუციის უმაღლესი დონის - ცნობიერების სუბსტრატის დაზიანებას (Морозов, 1961: 79-80).

ზოგიერთი ავტორი არ იზიარებდა ევოლუციონიზმის მექანიკურ-ბიოლოგიურ თვალსაზრისს. ასე, მაგალითად, მაუდსლი და მერსნერი თვლიან, რომ ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ავადმყოფობის გამო ხდება ჩვენი ფსიქიკის ისტორიული განვითარების ადრეული სტადიების აღდგენა. ასეთი თვალსაზრისი არ შეესატყვისება რეალობას. არ შეიძლება დავადგინოთ რაიმე თანმიმდევრობა და არავითარი განსაზღვრული ტიპი ფსიქიკურ სწორულებათა სიმპტომებში, რომლებიც ძალიან განსხვავებულია და ინდივიდუალურია. ამიტომ, თუმცა არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ფსიქიკის შესუსტება იწვევს ინსტინქტების აღწარმოებას, განსაკუთრებით ინსტინქტების შეცვლას, ამავე დროს არ შეიძლება უშუალოდ მათი სწორულებასთან დაკავშირება (Морозов, 1916: 94).

განვითარების შეფერხების ფსიქოპათიების წარმოშობას უკავშირებდა პ.ბ. განუშკინი (Морозов, 1916: 94). თუ მივიღებთ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ონტონეგენეზი მნიშვნელოვნად იმეორებს ფილოგენეზსს მაშინ აზროვნების დარღვევები და პიროვნების ცლილებები, როგორც შეზოფრენიის ძირითადი სიმპტომები წარმოგვიდგებიან პრიმიტიული ბიოლოგიური დარღვევების განვითარების პროდუქტებად (Холмоков, Рицциор, Корноев, 1985:

141), რომელთა ძირები ცხოველთა სამყაროს უფრო ადრე-  
ულ სტადიაში უნდა ვეძებოთ, რომლებიც წინ უსწრებდნენ  
ადამიანის ჩამოყალიბებას.

### **ლიტერატურა**

ა. დიასამიძე. ევოლუციური მოძღვრების საფუძვლები. გა-  
მომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2000

Колпаков В. Г., Рицнер М. С., Корнетов Н.А. Генетические и  
эволюционные проблемы психиатрии. Наука, Новосибирск,  
1985

Морозов В. М., О современных направлениях в зарубежной  
психиатрии и их идейных школах, Медгиз, М., 1961

Харрисон Дж., Уайнер Дж., Тэннер Дж., Барникот Н.,  
Рейнолдс В. Биология человека, Мир, М., 1979

**Marina Chelidze**

**Problems for Evolutionary Psychiatry**

**Summary**

in the article indicates that the main representatives of evolutionary development are approving that many mental diseases are associated with evolutionary past.

**Марина Челидзе**

**Проблемы направления эволюционной психиатрии**

**Резюме**

В статье указывается, что основные представители эволюционной психиатрии развитие многие психической болезней связывали с эволюционным прошлым человека.

## სტრატეგიული სოციალური ფაქტორები

### რუსულან კეჭაყმაძე

ცოცხალი ორგანიზმის სპეციფიკური თავისებურება, რითაც იგი არსებითად განსხვავდება არაცოცხალი საგნებისაგან, გამოიხატება თვითშენახვის უნარში. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ შეინარჩუნოს სიცოცხლე. ამას უზრუნველყოფს მისი ადაპტირებულობა გარემოსთან, მაგრამ გარემო არაა ერთგვაროვანი და უცვლელი, იგი განუწყვეტლად იცვლება და ცოცხალ ორგანიზმსაც განუწყვეტლად უხდება ცვალებად სასიცოცხლო პირობებთან შეგუება.

შეცვლილ პირობებთან შეგუების საჭიროება ინვეს გარევეულ ცვლილებებს ორგანიზმის სასიცოცხლო ძალების საერთო ორგანიზაციაში, მათ წყობასა და ფუნქციონირებაში. მდგომარეობას, რომელშიც ორგანიზმი იმყოფება ახალ პირობებთან შეგუების პროცესში, თანამედროვე მეცნიერებაში სტრესს (ინგლ. **სტრესს-დაძაბვა, ზეწოლა**) უწოდებენ. ამ დროს ორგანიზმი თავისებურად იძაბება და მობილიზდება, რათა შეინარჩუნოს ან აღიდგინოს ნორმალური ფუნქციონირების უნარი ახალ პირობებში. ამრიგად, „სტრესი არის ორგანიზმის მიერ განხორციელებულ რეაქციათა პატერნი იმ მასტიმულირებელი მოვლენის მიმართ, რომელიც ურღვევს წონასწორობას, გამოცდას უწყობს მას, ან აღემატება მისი დაძლევის უნარს“.

შეიძლება ითქვას, რომ სტრესი ზოგადად, სრულიადაც არაა რაღაც განსაკუთრებული და ექსტრემალური მდგომარეობა. სტრესი სიცოცხლის განუყრელი ნიმანია.

იგი უზრუნველყოფს ყოველი ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის, ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას, მის ცვალებადობას პირობების ცვალებადობის შესაბამისად. მაგრამ ყოველდღიურ მეტყველებაში, ისევე როგორც მეცნიერული კვლევების უმრავლესობაში, ეს ტერმინი გამოიყენება ორგანიზმის ზომაზე მეტად დაძაბული მდგომარეობის აღსანიშნავად, როდესაც კარდინალურად ირლვევა ფიზიოლოგიური და ფსიქიკური პროცესების ნორმალური მიმდინარეობა. კერძოდ, ადამიანის შესახებ იტყვიან, რომ იგი სტრესს განიცდის, თუ რაიმე ფაქტორების გავლენით მას დაერღვა ძილის რეჟიმი, შეეცვალა არტერიული წნევა, გაუხშირდა სუნთქვა, მოემატა სისხლში ადრენალინის შემადგენლობა, თვალსაჩინოდ შეეცვალა გუნება-განწყობილება, ყურადღების მაჩვენებლები, აზროვნებისა და მეხსიერების პროცესები, ქცევა და ა.შ. სინამდვილეში ესაა ძლიერი (მწვავე) სტრესი. ბუნებრივია, რომ მეცნიერების განსაკუთრებული ინტერესიც, უმთავრესად, ასეთ სტრესზეა მიმართული, რადგან ადამიანს სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება სწორედ ძლიერი სტრესის დროს ესაჭიროება.

სტრესის მიმდინარეობის ზოგადი კანონზომიერებები საერთოა, მიუხედავად იმისა, როდის, რა მიზეზითაა სტრესი გამოწვეული და რამდენად ან რა მიმართულებით ცვლის იგი ინდივიდის ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ მდგომარეობას. ამასთანავე, განსხვავებული მიზეზებით გამოწვეული სტრესის შემთხვევები, მეტ-ნაკლებად, განსხვავებულ სურათსაც გვიჩვენებს, რის მიხედვითაც ხდება სტრესის სახეების კლასიფიკაცია. სელიე სტრესის ფორმების კლასიფიკაციას ორგანიზმისათვის სტრესის მიერ მოტანილი შედეგების მიხედვით ახდენს. დისტრესი უარყოფითი შედეგების მომტანი სტრესია. დადებითი შე-

დეგების მომტან სტრესს ავტორი ეუსტრესს უწოდებს და ამტკიცებს, რომ იგი ორგანიზმის ნორმალური ბიო-ლოგიური ფუნქციონირების (ნერვული სისტემის მქონე ორგანიზმებთან ბიოლოგიურს ფსიქიკური აქტივობაც ემატება) აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

არსებობს სტრესის დაძლევის სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაგან ერთ – ერთს წარმოადგენს სოციალური მხარდაჭერა. სოციალური მხარდაჭერა - ესაა იმის განცდა, რომ შენ გღებულობენ, უყვარხარ, განცდა იმისა, რომ შენ საჭირო ხარ არა იმიტომ, რომ რაღაცის გაკეთება შეგიძლია, არამედ იმიტომ, რომ შენ ხარ შენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ გყავთ ახლობელი ადამიანები, ვისაც შეგიძლიათ დაელაპარაკოთ, თვლით ახლობლებად და შეგიძლიათ გაუზიაროთ სიხარული, პრობლემები, შიშები და სიყვარული. სოციალური მხარდაჭერა შეიძლება ვლინდებოდეს სხვადასხვა ფორმით. მატიხ (Матих) და სინსი (Синси) გამოყოფენ სოციალური მხარდაჭერის სამ განსხვავებულ სახეს:

1. **მატერიალური** (მაგალითად, ფული, მანქანის დაქირავება);

2. **ემოციური** (მაგალითად, სიყვარული ან მზრუნველობა);

3. **ინფორმაციული** (ფაქტები ან რჩევები).

ჰაუსი უმატებს მხარდაჭერის მეოთხე ტიპს: **შეფასებითს**. ამაში იგულისხმება ადამიანისთვის მისი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თვითშეფასების ამაღლების მიზნით. სოციალური მხარდაჭერა ადამიანს შეიძლება გაუწიონ ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, შეყვარებულმა ან ნებისმიერმა სხვა ადამიანმა, რომელსაც იგი

ახლობლად მიიჩნევს. სოციალური მხარდაჭერის შესახებ არსებობს ორი ჰიპოთეზა:

I. **პირველი** - მხარდაჭერას განიხილავს, როგორც სტრუსორების გავლენის თავიდან აცილების ძირითად საშუალებას. მაგალითად, ინფორმაციის ან რჩევის სახით მიღებული მხარდაჭერა ადამიანს შეიძლება დაეხმაროს სამუშაოს არჩევაში და არასაჭირო სტრუსის აცილებაში.

II. **მეორე** - ამტკიცებს, რომ სოციალური მხარდაჭერა სასარგებლოა გადატანილი სტრუსის შემდეგ, ამა თუ იმ მოვლენის ნეგატიური შედეგების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება დაკარგოს სამუშაო, მაგრამ მეგობრებს და ოჯახის წევრებს შეუძლიათ დაეხმარონ იმაში, რომ იგი სულით არ დაეცეს. კაპლანი ამტკიცებს სხვას: სოციალურად აქტიური მოქალაქეების ჯგუფი ეხმარება პიროვნებას მისი ფსიქოლოგიური რესურსების მოპილიზებაში და ემოციურ დატვირთვასთან გამკლავებაში. ამ ჯგუფის წევრები ინაწილებენ ამოცანებს და შემდეგ ადამიანს უზრუნველყოფენ აუცილებელი ფულით, მასალებით, ინსტრუმენტებით, აწვდიან რეკომენდაციებს, თუ როგორ მოახდინოს არსებულ სიტუაციაში ადაპტაცია. ჯგუფი ეხმარება ადამიანს სტრუსორებთან უკეთესად გამკლავებაში და იგი უფრო მშვიდად ღებულობს მათ. როცა ადამიანი მოშორებულია თავის სახლს და ახლობლებს, მაშინ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მხარდაჭერის აღმოჩენას ნებისმიერი ადამიანის მხრიდან.

დადგენილ იქნა, რომ სოციალური მხარდაჭერა გავლენას ახდენს ჯანმრთელობასა და ავადმყოფობასთან დაკავშირებულ რამდენიმე პარამეტრზე. კარგი სოციალური მხარდაჭერის მქონე ორსულ ქალებს სამჯერ ნაკლები

გართულებები ჰქონდათ, ვიდრე სუსტი სოციალური მხარდაჭერის მქონე ორსულებს. ასევე გამოირკვა, რომ ქალებს, რომლებიც განიცდიდნენ ძლიერ სტრესს, მაგრამ ახლობლებისგან ღებულობდნენ მორალურ მხარდაჭერას, განუვითარდათ ნაკლები დეპრესია, ვიდრე იმათ, რომლებიც განიცდიდნენ ცხოვრებისეულ სტრესს, მაგრამ მოკლებული იყვნენ ასეთ მხარდაჭერას. მაღალი სოციალური მხარდაჭერის მქონე უმუშევარ მამაკაცებს ჰქონდათ ქოლესტერინის უფრო დაბალი დონე, ავადმყოფობისა და ემოციური რეაქციების ნაკლები სიმპტომები, ვიდრე ნაკლები მხარდაჭერის მქონე მამაკაცებს. უკანასკნელი კვლევების მონაცემები ეთანხმება ამ შედეგებს. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში, სტუდენტთა სალექციო ცხრილი შეცვალეს ისე, რომ გაეძლიერებინათ მიჯაჭვულობა კურატორებზე. ამის შედეგად მიღწეულმა სოციალურმა მხარდაჭერამ გამოიწვია აკადემიური მაჩვენებლების ამაღლება. ასევე დადგენილ იქნა, რომ სხვებისგან მიღებული მხარდაჭერა ადამიანს ეხმარება გულის იშემიური დაავადების თავიდან აცილებაზე. 6 კვირიან მხარდაჭერის ჯგუფში მონაწილე მელანომის მქონე ავადმყოფებს, განუვითარდათ იმ ნეგატიური შედეგების მხოლოდ ნახევარი, რომლებსაც განიცდიდნენ სხვა ავადმყოფები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ ჯგუფში და პირიქით – არასაკმარისი სოციალური მხარდაჭერა, რომელსაც განიცდიდნენ შიდსით დაავადებული მამაკაცები, მათში ინგევდა სტრესის დონის ამაღლებას. საინტერესო დაკვირვება ეკუთვნის სოლომონს, რომ საპრძოლო პირობებში მარტოსულ ჯარისკაცებს უფრო მეტად უვითარდებათ სტრესი. სოლომონი რეკომენდაციას იძლეოდა, გამოევლინებინათ ასეთი ჯარისკაცები ადრეულ ეტაპებზე, ხოლო მათ ოფიცრებს და ამხანაგებს აღმოეჩინათ მათვის სო-

ციალური მხარდაჭერა. იგივე შეიძლება გაკეთდეს კო-ლეჯში ან უნივერსიტეტში ასეთი მარტოსული სტუდენტების გამოსავლენად მათთვის საჭირო სოციალური მხარდაჭერის გასაწევად. რაც შეეხება სოციალურ მხარდაჭერას, აქ საჭიროა მამაკაცებსა და ქალებს შორის არ-სებული განსხვავებების გათვალისწინება. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სტრესორთან შეჯახებისას მამაკაცებს უფრო ახასიათებთ ბრძოლის ან გაქცევის რეაქცია, ქალებს კი უფრო მიდრეკილება აქვთ ”მიახლოებისა და და-ახლოების” რეაქციისკენ ანუ სტრესორთან შეჯახებისას ქალები მიისწრაფიან ”მიუახლოვდნენ” ბავშვებს და ახლობლებს (დაიცვან ისინი) და მხარდაჭერას ეძებენ სხვა ქალებში. ამას ისინი ითვისებენ ბავშვობიდან. ბიჭები ნაკლებად მიისწრაფიან მხარდაჭერის მიღებისაკენ. ამის მაგივრად ისინი უფრო მეტ დროს ხარჯავენ ფიზიკურ ვარჯიშებზე, ტელევიზორთან, კომპიუტერთან.

სოციალური მხარდაჭერის განვითარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ ადამიანი თვითონაც იყოს ღია და ზრუნავდეს სხვებზე. დადებითი და ჯანმრთელი ურთიერთობების დამყარება საკმაოდ ადვილია. ასეთი ურთიერთობებიდან მიღებული სოციალური მხარდაჭერა ეხმარება ადამიანს უქეიფობის ან ავადმყოფობის თავიდან აცილებაში, რომლებიც აღმოცენდება სტრესის შედეგად. ბევრ თემს გააჩნია კლუბები ან შენობები, კულტურული და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩასატარებლად. ისინი ღიაა მთელი კვირის მანძილზე სკოლის დამთავრებიდან დაახლოებით 10 საათამდე და გამოსასვლელ დღეებშიც. ბავშვები და ყველა ასაკის ახალგაზრდები მიღიან ცენტრებში, სადაც მათ საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სპორტულ შეჯიბრებებში, ითამაშონ ფეხბურთი, კალათბურთი ან მაგიდის ჩოგბურთი. ისინი ეუფ-

ლებიან სხვადასხვა ხელობას, სწავლობენ ცეკვას, ხელოვნებას, ფოტოგრაფიას და ა.შ. ეს ცენტრები ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, დაეუფლონ კონფლიქტების გადაწყვეტის ტექნიკას, რაც ეხმარება ჩხუბისა და სხვა აგრესიული ქცევის თავიდან აცილებაში, რომელიც ახდენს მნიშვნელოვანი სტრესის პროცესირებას. შიში აბრკოლებს სხვა ადამიანებთან დაახლოებას. ადამიანს ეშინია, რომ თუ გამოავლენს სხვის მიმართ სიყვარულს, მის მიერ იქნება უარყოფილი; ეშინია, რომ აღმოჩნდება უხერხულ სიტუაციაში, რომ დასცინებენ. მას იმისიც ეშინია, რომ შეიძლება არ ჰქონდეს ზრუნვისა და სიყვარულის უნარი, მაგრამ სოციალური მხარდაჭერის მისაღებად აუცილებელია ამ შიშების დაძლევა.

### **აფილაცია**

აფილიაცია – ესაა ადამიანის კავშირი სხვებთან, რომელიც ხასიათდება ურთიერთმიღებითა და კეთილგანწყობით. ზოგჯერ ეს ტერმინი გამოიყენება ურთიერთკავშირის, მიღების მოთხოვნიღების აღსანიშნავად. ამ მოთხოვნიღების ბლოკირება იწვევს მარტოობის, გაუცხოების გრძნობას, ფრუსტრაციას. პირიქით, ახლო, გულითადი ურთიერთობები არამარტო იწვევს სულიერ კმაყოფილებას, არამედ ამაღლებს ინდივიდებისა და ჯგუფების ცხოვრებისუნარიანობას. არა გასაკვირი, რომ ადამიანები ბევრ ძალასა და საშუალებას ხარჯავენ ასეთი ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნებისთვის და იტანჯებიან, როცა იძულებული არიან განყვითონ ეს ურთიერთობები. პარადოქსი ისაა, რომ ხშირად ფრუსტრაციისა და სტრესის წყარო არიან სწორედ ახლობლები. ერთი შეხედვით, ფსიქოლოგიური კვლევები თითქოს ადასტურებს ამას. როცა პ. ვარი (P. Var) და რ. პეინი (R. Pein)

ეკითხებოდნენ ადამიანებს, გუშინ ყველაზე მეტად რამ გამოიწვია მათი ემოციური დაძაბულობა, ყველაზე ხშირი პასუხი იყო „ოჯახი”, მაგრამ როგორც უჩვენებს სხვა კვლევები, ახლო ურთიერთობები – ესაა პირველ რიგში კეთილდღეობის, ჯანმრთელობის და ბედნიერების წყარო. ამერიკელი მკვლევარები რამდენიმე წლის განმავლობაში ატარებდნენ ინტერვიუს ათასობით ადამიანზე და მივიდნენ საერთო დასკვნამდე: ახლო ურთიერთობები აუმჯობესებს ჯანმრთელობას. იმათან შედარებით, ვისაც ჰქონდა სუსტი სოციალური კავშირები, მეგობრებთან, ახლობლებთან ახლო ურთიერთობების მქონე ადამიანებში უფრო ნაკლები იყო ნაადრევი სიკვდილის შემთხვევები.

ასეთი კავშირების დაკარგვა ამაღლებს ავად გახდომის რისკს. ფინელმა მკვლევარებმა შეისწავლეს 96 ათასი შემთხვევა, როცა ადამიანს გარდაეცვალა მეუღლე და აღმოაჩინეს, რომ მომდევნო კვირაში ორმაგდება ქვრივის მოულოდნელი სიკვდილის რისკი.

მაგრამ თუ აფილაციასა და ჯანმრთელობას შორის არსებობს კავშირი, რა მიზეზითაა განპირობებული იგი? შესაძლებელია, ის, ვისაც აქვს ახლო ურთიერთობები, ცხოვრობს უფრო მოწესრიგებული ცხოვრებით, უკეთ იკვებება, უფრო ორგანიზებულია და ნაკლებად ექვემდებარება მავნე ჩვევების გავლენას. შესაძლოა, ადამიანები, რომლებიც მხარს გვიჭრენ, გვეხმარებიან იმაში, რომ უკეთ შევაფასოთ მოვლენები და გადავლახოთ სტრესული სიტუაციები, შევინარჩუნოთ თვითპატივისცემა. როცა ჩვენი თავმოყვარეობა შელახულია ვიღაცის არაკორექტული კრიტიკით, გულგრილობით – მეგობრული რჩევა, გამხნევება და დამშვიდება შეიძლება იყოს საუკეთესო წამალი. მაშინაც კი, თუ არ ხდება პრობლემის განხილვა, მეგობრები და ახლობლები ეხმარებიან ადამი-

ანს რაიმე სასიამოვნოზე გადართვაში და აძლევენ იმის განცდას, რომ მას ღებულობენ, უყვართ და პატივს სცე-მენ. ახლო მეგობარს შეგვიძლია გავუზიაროთ ჩვენი გუ-ლისტკივილი, ახლო მეგობრობას ორმაგი ეფექტი აქვს. როგორც ფრენსის ბეკონი წერდა: „იგი აორმაგებს სიხა-რულს, ხოლო მწუხარებას ორჯერ ამცირებს.“

კვლევებით დადგინდა, რომ აფილაციის ტენდენცია იზრდება მაშინ, როცა ადამიანი იმყოფება პოტენციურად სახიფათო ან სტრესულ სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაში სხვა ადამიანების თანდასწრება ეხმარება მას რთულ და სახიფათო სიტუაციაში მის მიერ არჩეული ქცევის ან რეაქციის ხასიათის შემონმებაში. გარდა ამისა, დადგენილია, რომ გარკვეულ საზღვრებში სხვების სიახ-ლოვე პირდაპირ იწვევს შფოთვის შემცირებას, რაც არ-ბილებს როგორც ფიზიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური სტრესის შედეგებს.

## **ლიტერატურა:**

რ.გერიგი, ფ.ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ.  
2009

Гринбэг Дж., Управление стрессом, СПб, 2002

Селье, Г., Стресс без дистресса, М., 1979

Черепанова, Е.М., Психологический стресс: Помоги себе и  
ребенку, М., 1997

**Rusudan Kechakmadze**

### **Social Factors of Stress**

Summary

Stress – a process in which people react to certain events and perceives them as a threat to health. Stress level depends on how a person refers to events of life. Because the stress is an inevitable component of modern life, it is very important to learn to control stress. Social support network contributes to the overcoming of the stress. There are also methods of stress management that can help a person cope with stress.

**Русудан Кечакмадзе**

**Социальные факторы преодоления стресса**

**Резюме**

Стресс – процесс, в ходе которого человек реагирует на определенные события и воспринимает их как угрозу для здоровья. Уровень стресса зависит от того, как человек относится к событиям жизни. Поскольку стресс неизбежный компонент современной жизни, очень важно научиться управлением стрессом. Преодолению стресса способствует сеть социальной поддержки. Также существуют методы преодоления стресса, которые помогают человеку справляться с стрессом.

## ფსიქოლოგიკური – ფსიქოლოგიკური ერთ – ერთი დარგი

### რუსულან კეჭაყმაძე

ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა – ესაა ფსიქოლოგიკის დარგი, რომლის დანიშნულებაა ადამიანის ინდივიდუალურ – ფსიქოლოგიური და ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების გაზომვა, შეფასება და ანალიზი, აგრეთვე ამათუ იმ ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოვლენა.

ამ ფუნქციების შესრულება ხდება პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად და ისინი გაერთიანებული არიან ცნებაში “დიაგნოზის დასმა”. “დიაგნოზი” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “გამოცნობას”, “პოვნას”.

სხვადასხვა ცხოვრებისეულ სფეროში თავს იჩენს პრაქტიკული ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია ადამიანის ინდივიდუალური ან ჯგუფური ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებაზე. მაგალითად, განათლებისა და აღზრდის პრაქტიკაში აუცილებელია ბავშვებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავებების დადგენა, რათა მოხდეს მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომა. ჯგუფში ნორმალური სოციალურ – ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა ხშირად შეუძლებელია საქმიანი და პიროვნული თვისებების ანალიზის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ინდივიდუალურ – ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად.

ფსიქოლოგ – კონსულტანტის მუშაობაში ფსიქო-დიაგნოსტიკას უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. ნების-მიერი რჩევის მიცემა, კონსულტაცია, რეკომენდაცია – შესაძლებელია მხოლოდ კლიენტის წინასწარი ფსიქოლოგიური ანალიზისას. დახმარების სახეები შეიძლება იყოს სხვადასხვა: კონსულტაცია, თერაპია, ტრენინგები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ყველა დახმარებას აერთიანებს ერთი ნიშანი – ინდივიდუალიზაცია, რომელიც ეყრდნობა კლიენტის ფსიქოლოგიური თავისებურებების ღრმა ანალიზს.

ამდენად, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა წამოადგენს ნებისმიერი პრაქტიკოსი ფსიქოლოგის საქმიანობის საფუძვლს, სადაც და რა ფორმით ც არ უნდა მუშაობდეს იგი.

ფსიქოდიაგნოსტიკის ძირითადი მიზანია დიაგნოზის დასმა, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. ამ ამოცანების გადაჭრა მოითხოვს კვალიფიცირებული სპეციალისტის მუშაობას, რომელიც იყენებს ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდიკებს.

ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკები – ესაა სპეციფიკური ფსიქოლოგიური საშუალებები. ვინაიდან მათ იყენებენ პრაქტიკაში, ამიტომ აუცილებელია, რომ ისინი იყოს ხარისხიანი, რათა არ მოხდეს შეცდომა დიაგნოზის დასმისას. ამიტომაც ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკები-სადმი არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნები, მათი შემუშავება ხდება განსაზღვრული წესების მიხედვით და მოწმდება მთელი რიგი კრიტერიუმების მიხედვით.

დიაგნოსტიკური მეთოდიკების შემუშავება რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს დიდ კვლევით და მეთოდურ მუშაობას. ასეთი მუშაობა აუცილებელია, რადგან აღიარებულია, რომ ფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას

აქვს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება.

ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს ზოგადი ფსიქოლოგიისა და ფსიქოლოგიის სხვა დარგებისაგან, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს თეორიული ბაზა. ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკების თეორიული დასაბუთება გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ აუცილებელია შედეგების სწორი ინტერპრეტაცია. დიაგნოსტირებისას ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული საქმე სწორედ შედეგების სწორი შეფასებაა.

შესაბამისად, დიაგნოსტის ნათლად უნდა ესმოდეს იმის არსი, რასაც ზომავს. ამიტომ თეორიული ვალიდიზაციის გარეშე არ არსებობს ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკა.

ფსიქოდიაგნოსტიკაში ერთ – ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დიაგნოსტიკური მაჩვენებლების ფორმალიზაცია. ფსიქოლოგიური თავისებურებების გაზომვა იძლევა ადამიანის ინტუიტური შემეცნების შეზღუდულობის გადალახვის საშუალებას. ამიტომ ფსიქოდიაგნოსტები თავიდანვე ცდილობდნენ შემოეტანათ ფსიქოლოგიაში გაზომვის საშუალებები, სტატისტიკური დამუშავების მეთოდები. ოღონდ ფსიქოდიაგნოსტიკის შედეგების ფორმალიზაციამ არ უნდა მიგვიყვანოს ფსიქოლოგიასთან კავშირის დაკარგვამდე, ხოლო მათემატიკურ – სტატისტიკური მეთოდებით არ შეიძლება ფსიქოლოგიური აზროვნებისა და ფსიქოლოგიური მოვლენების შეცვლა.

პრაქტიკული ფსიქოდიაგნოსტიკა – ფსიქოლოგის პროფესიული საქმიანობის მეტად რთული და საპასუხისმგებლო სფეროა. იგი მოითხოვს შესაბამის განათლებას, პროფესიულ ოსტატობას და მასზე შეიძლება დამოკიდებული იყოს ადამიანთა ბედიც. კერძოდ, როცა დიაგნოსტიკის საფუძველზე ხდება სამედიცინო ან სასამართლო –

ფსიქოლოგიური დიაგნოზის დასმა, ხორციელდება საკონკურსო შერჩევა ან სამსახურში მიღება.

ამასთან დაკავშირებით, არსებობს სოციალურ – ეთიკურ მოთხოვნათა რიგი, რომელთა შესრულებაც ევალება ფსიქოდიაგნოსტის. განვიხილოთ ფსიქოდიაგნოსტიკის პრინციპები:

1. ფსიქოდიაგნოსტიკის საიდუმლოს დაცვის პრინციპი გულისხმობს, რომ არ შეიძლება მისი შედეგების გახმაურება იმ ადამიანის თანხმობის გარეშე, ვისზეც ტარდება დიაგნოსტიკა. ეს პრინციპი პირველ რიგში ეხება სრულწლოვან ადამიანს, ხოლო თუ საქმე ეხება არასრულწლოვანს, ფსიქოდიაგნოსტიკის შედეგების გახმაურებისთვის აუცილებელია მშობლების ან იმ ადამიანთა თანხმობა, რომლებსაც აკისრიათ ბავშვზე მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა. გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა ფსიქოდიაგნოსტიკა ტარდება სამეცნიერო მიზნით, როგორც ექსპერიმენტული კვლევის ნაწილი, მაგრამ როგორც წესი, ამ შემთხვევაშიც არაა რეკომენდებული პუბლიკაციებში ცდის პირთა ზუსტი გვარისა და სახელის მითითება.

2. ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკის მეცნიერული დასაბუთებულობის პრინციპი მოითხოვს, რომ როგორც მინიმუმ, მეთოდიკა იყოს ვალიდური და საიმედო, ანუ მიღებული შედეგები უნდა იყოს სანდო.

3. პრინციპი “არ ავნო” გულისხმობს, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დიაგნოსტიკის შედეგების გამოყენება იმ ადამიანის საწინააღმდეგოდ, ვისზეც ტარდება დიაგნოსტიკა. თუ ფსიქოდიაგნოსტიკა ტარდება საკონკურსო შერჩევის ან ადამიანის სამსახურში მიღების მიზნით, მაშინ ეს პრინციპი გამოიყენება დიაგნოსტიკის შედეგების ღიაობის პრინციპთან ერთად,

რაც გულისხმობს იმას, რომ გამოსაკვლევი პირი ღებულობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ეხება ტესტირება, როგორ ჩატარდება იგი, როგორია ტესტირების შედეგები, ვინ და როგორ გამოიყენებს მიღებულ შედეგებს მისი ბედის გადასაწყვეტად.

4. ტესტირების შედეგებიდან ობიექტური დასკვნების გაკეთების პრინციპი მიოთხოვს, რომ ის იყოს მეცნიერულად დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს ვალიდური და სანდო მეთოდიკებით ჩატარებული დიაგნოსტიკის შედეგებიდან და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ ადამიანის სუბიექტურ განწყობებზე, ვინც ატარებს დიაგნოსტიკას ან იყენებს მის შედეგებს.

5. შეთავაზებული რეკომენდაციების ეფექტურობის პრინციპი გულისხმობს, რომ ეს რეკომენდაციები აუცილებლად სასარგებლო უნდა იყოს იმ ადამიანისთვის, ვისაც იგი ეძლევა. აკრძალულია ადამიანისთვის ისეთი პრაქტიკული რეკომენდაციების მიცემა, რომელიც მის-თვის უსარგებლოა ან რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს არასასურველ, გაუთვალისწინებელ შედეგებამდე.

ადამიანები, რომლებიც დაკავებული არიან ფსიქოდიაგნოსტიკით, უნდა აკმაყოფილებდნენ განსაკუთრებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათგან ძირითადია შემდეგი: კარგი თეორიული მომზადება, ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკებისა და მათი გამოყენების დეტალური ცოდნა, საჭირო მეთოდიკების პრაქტიკული გამოყენების საკმარისი გამოცდილების არსებობა.

არცერთი ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდიკა არ ჩნდება ცარიელი ადგილიდან, არამედ იგი ვითარდება გარკვეული ფსიქოლოგიური თეორიის ბაზაზე. მაგალითად, ინტელექტის ტესტები ეყრდნობა ინტელექტის ბუ-

ნების, სტრუქტურის, მნიშვნელობისა და ცხოვრებისეული გამოვლინების შესახებ მეცნიერულ მოსაზრებებს. პიროვნების ტესტების საფუძველს წარმოადგენს პიროვნების გარკვეული თეორიები, რომელიც მოიცავს პიროვნების მეცნიერულ განსაზღვრებას, მისი სტრუქტურის, განვითარებისა და ნიშნების გაგებას, რომელთა მიხედვითაც შეიძლება კონკრეტული ადამიანის პიროვნებაზე მსჯელობა.

ნებისმიერი ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდის სწორად გამოყენებისთვის აუცილებელია იმ თეორიის ცოდნა, რომელსაც იგი ეყრდნობა. ამის გარეშე ფსიქოდიაგნოსტმა შეიძლება დაუშვას სერიოზული შეცდომა დიაგნოსტიკის შედეგების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და დასკვნების გაკეთებისას.

აუცილებელია თუ არა ფსიქოდიაგნოსტისთვის დიპლომის შესატყვისი საპაზისო ფსიქოლოგიური განათლება? ძნელია ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. თუ ფსიქოდიაგნოსტიკა ადამიანს არაფრით არ დააზიანებს, მაშინ მისი ჩატარება შეუძლია ადამიანს, ვისაც თვითგანათლებით აქვს მიღებული ამისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური ცოდნა, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა ექსპერტიზის, კონკურსის ჩატარება ან სამსახურში მიღება, ეს საქმე აუცილებლად უნდა შეასრულოს ლიცენზიის ან დიპლომის მქონე სპეციალისტმა.

## **ლიტერატურა:**

1. Психологическая диагностика ( под ред. М. К. Акимовой, К. М. Гуревича), М., 2007
2. Общая психодиагностика (под ред. А. А. Бодалева, В. В. Столина), М., 1987

**Rusudan Kechakmadze**

### **Diagnostics is One of the Branches of Psychology Summary**

Diagnostics is one of the branches of practical psychology. The main purpose of psychodiagnostic-diagnosis for the solution of practical tasks. Work requires skilled diagnostician, using special tools – psycho diagnostic methods. Because of their use for practical purposes, they should be qualitative, to avoid errors in diagnosis. The people involved in the psychodiagnostics- have to have a good theoretical training, thorough knowledge of the psychodiagnostical methods, the availability of sufficient practical experience.

## **Кечакмадзе Руслан**

### **Психодиагностика – одна из отраслей психологии**

#### **Резюме**

Психодиагностика – одна из отраслей практической психологии. Основная цель психодиагностики – постановка диагноза, обеспечивающего решение практических задач. Психодиагностика требует работы квалифицированного специалиста, использующего особый инструментарий – психодиагностические методики. Поскольку их используют в практических целях, они должны быть качественными, чтобы исключить ошибки в диагнозе.

К людям, занимающимся психодиагностикой, предъявляются следующие требования: хорошая теоретическая подготовка, доскональное знание психодиагностических методик, наличие достаточного практического опыта.

## ერის ფრომი

### ციალა ტულუში

ნეოფროიდიზმი წარმოიქმნა ამერიკაში XX საუკუნის 30-იან წლებში და მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ე.ფრომი, კ.ხორნი და ჰ.სალივანი. ისინი უარყოფდნენ ფროიდის ბიოლოგიზმს. მათვის ძირითად საკითხად იქცა სოციალური პროცესები და მათი როლი პიროვნების ქცევისა და ხასიათის ფორმირებაში.

ე.ფრომი დაიბადა და განათლება მიიღო გერმანიაში, ხოლო 1933 წელს გადასახლდა ამერიკაში, მოღვაწეობდა კოლუმბიისა და იელის უნივერსიტეტებში, ენეოდა ფსიქოანალიტიკურ პრაქტიკას. მისი აზრით სოციალური და კულტურული ფონის ცოდნის გარეშე შეუძლებელია სწორად გავიგოთ ფსიქოლოგიური პრობლემები. იგი ცდილობს გააერთიანოს კ.მარქსისა და ზ.ფროიდის შეხედულებები. მას შემოაქვს სოციალური ხასიათის ცნება, რომელშიაც განსაზღვრულია ამა თუ იმ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით გაპირობებული ადამიანთა ქცევისა და აზროვნების საერთო წესი. საზოგადოება მის წევრთა ენერგიას წარმართავს საჭირო მიმართულებით, აიძულებს მათ იმოქმედონ და იფიქრონ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. შედეგად წარმოიქმნება ამ კულტურისთვის დამახასიათებელი იდეალები. ამავე დროს საზოგადოება განსაზღვრავს თუ რა გრძნობები და აზრებია დასაშვები ინდივიდების ცნობიერებაში. ფრომი თვლიდა, რომ არსებობს როგორც სოციალური ხასიათი, ასევე სოციალური არაცნობიერი, რაც გულისხმობს ცნობიერებიდან განდევნილ წინააღმდეგობ-

რივ შინაარსებს, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს და რომელთა გაცნობიერება დაარღვევს ინდივიდის და საზოგადოების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ფრომისათვის არაცნობიერი ფუნდამენტური ცნებაა, თუმცა იგი არ არის ბენელი ინსტიქტური ძალების სათარეშო ასპარეზი. არაცნობიერის შინაარსს შეადგენს როგორც ბოროტი, ასევე კეთილი მისწრაფებები და რაციონალური იდეები. ჩვენი ცნობიერების რაციონალური შინაარსები თითქმის არ შეიცავს ჭეშმარიტებებს, ვინაიდან არასწორი ინფორმაციების, ცრურწმენების, ამოჩემების და მსგავსი შინაარსების ნაზავია. ითრგუნება და განიდევნება ჭეშმარიტი ცოდნა. ფრომი თვლის, რომ არაცნობიერი „ ირაციონალური ვნებების გარდა, ესაა თითქმის მთელი ჩვენი ცოდნა რეალობის შესახებ”. ამ ცოდნას ადამიანი თრგუნავს, რადგან მისი გაცნობიერება ძალიან დაამძიმებდა ცხოვრებას. მის შინაარსს შეადგენს ეგზისტენციალური ნინააღმდეგობები, რაც განპირობებულია იმით, რომ გარემოსთან შეგუების პროცესში ადამიანს აღმოუცენდა ახალი თვისებები, როგორიცაა თვით-ცნობიერება, გონება და წარმოსახვა. ადამიანი ბუნების ნაწილია და ამავე დროს გადის ბუნების სამყაროს ფარგლებს გარეთ, ტრანსცედენტიორებს, განსხვავებით ცხოველისაგან, რომელიც გარემოსთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაშია, ადამიანი მარტოსულია, მაგრამ ვერ იტანს მარტობას. მისი ბედნიერება სხვებთან კავშირშია. მას აუცილებლად სჭირდება საკუთარი ცხოვრების გააზრება და ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომლისთვისაც მისი არსებობა პრობლემაა. მას გაწყვეტილი აქვს კავშირი ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან. ადამიანს აქვს უნარი გააცნობიეროს ეს მდგომარეობა, მაგრამ ეს მეტად მძიმე და მტკიცნეულია, ამიტომ გან-

დევნილია ცნობიერებიდან, ან შენილბულია. ამ ფუნდა-  
მენტურ წინააღმდეგობებშია ადამიანის არსი და ყოველი  
სიცოცხლე ინდივიდუალურად აგებს მასზე პასუხს. ფრო-  
მი თვლის, რომ ადამიანის ფსიქიკის გაგება უნდა ემყა-  
რებოდეს იმ მოთხოვნილებების ანალიზს, რომლებიც ეგ-  
ზისტენციის პრობლემიდან მომდინარეობს და რაც ადა-  
მიანისგან მოქმედებას მოითხოვს. ადამიანმა უნდა დაძ-  
ლიოს უსუსურობა და განკერძოებულობა. ეგზისტენცია-  
ლური წინააღმდეგობების პასუხად ფრომი განიხილავს  
როგორც სიყვარულს, მისწრაფებას თავისუფლებისკენ,  
ჭეშმარიტებისკენ, ისე სიძულვილს, სადიზმს, ნარცისიზმს  
და სხვა, რაც ხასიათში ვლინდება. ადამიანის ხასიათში  
მოცემულია ინდივიდისთვის ტიპური აღქმის, განცდისა  
და ქცევის სურათი. ხასიათი ენაცვლება ინსტიქტებს და  
მის მსგავსად მოქმედებს. ხასიათში აუცილებლად მოცე-  
მულია ნიშნები, რომლებიც საერთოა ამა თუ იმ ჯგუფი-  
სათვის, ეს კი სოციალური ხასიათია, რასაც ადამიანი  
აღზრდის, სოციალიზაციის პროცესში ითვისებს. ყოველი  
ხასიათი სოციალურის და ბუნებრივის სინთეზია. ფრომ-  
მა ხუთი ტიპის სოციალური ხასიათი გამოყო: რეცეფტი-  
ული, ექსპლოატატორული, დამგროვებელი, საპაზრო და  
პროდუქტიული. ნებისმიერი ინდივიდი წარმოადგენს ამ  
ხუთის ნაზავს, თუმცა ერთი ან ორი მათგანი უფრო დო-  
მინირებს. მოთხოვნილებები, რომლებსაც საზოგადოება  
უყენებს ინდივიდს და, რომლებიც წინააღმდეგობაში მო-  
დიან მის ბუნებასთნ, იწვევენ მის ფრუსტრაციას და არ-  
ღვევენ მისი არსებობის ბუნებრივ პირობებს. მაგალითად,  
კაპიტალიზმიცა და კომუნიზმიც ადამიანს რობოტად, მო-  
ნად, არარაობად აქცევს და ანტისოციალური ქმედების-  
კენ, თვითგანადგურებისკენ უბიძგებს მას. გარდამავალ  
პერიოდებში, როცა კაპიტალიზმი იცვლება სოციალიზმით

ან პირიქით, ირლვევა ძველი კავშირები და სანამ ადამიანი არ გაიდგამს ახალ ფესვებს, ის თავს გრძნობს დაკარგულად, ხდება ყველა შეთავაზებული პანაცეის(მარტობისაგან გადამრჩენი) მსხვერპლი. ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობა ერთ-ერთი წამყვანია ფრომის შემოქმედებაში. როგორი ტიპის საზოგადოებაა მისალები ფრომისმსაცათვის? ეს არის საზოგადოება, სადაც ადამიანი ადამიანს სიყვარულით პასუხობს, სადაც ძმობა და სოლიდარობაა, სადაც ადამიანი ქმნის და არა ანგრევს, სადაც თვითონეული გრძნობს თავის თვითყოფადობას და აცნობიერებს თავს დამოუკიდებელ სუბიექტად, არ ხდება კონფორმისტი, სადაც ორიენტირებულობის და მიკუთვნებულობის სისტემა არ გულისხმობს რეალობის დამახინჯებას და კერპების თაყვანისცემას. ასეთ საზოგადოებას მან სახელიც მოუძებნა და ჰუმანისტური კომუნიტარული სოციალიზმი უწოდა. იდეალურ საზოგადოებაზე მოსაზრებებთან ერთად ფრომი წერდა იმის შესახებაც თუ როგორ უნდა გააჰუმანურო თანამედროვე ტექნოლოგიური საზოგადოება. გზა თვითონის შესაძლებლობების სრულ გაშლასა და განხორციელებაში შემოქმედებით საქმიანობასა და სიყვარულშია. ამ ასპექტით ერის ფრომი თითქოსდა ნიადაგს უმზადებდა ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას, რომელიც დაუპირისპირდა როგორც ფსიქოანალიზს, ასევე ბიპევიორიზმსაც-ორ მძლავრ მიმართულებას ფსიქოლოგიაში.

## **ლიტერატურა:**

ი.იმედაძე-ფსიქოლოგის ისტორია,თბილისი, 2008

Л.Хелл, Д.Зиглер-Теории личности,Питер, 2004

Кэлвин С.Холл,Гарднер Линдсей-Теории личности,  
Москва,2008

### **Tsiala Tugushi**

#### **Erich Fromm Summary**

Fromm powerfully than other theorists have described the social determinants of personality. He argued that human behavior can only be understood in the light of the influences of culture. Fromm attempted to unite the views of Marx and Freud. The essential theme of Fromm - theme of human loneliness due to alienation from nature and other people.

### **Циала Тугуши**

#### **Эрих Фромм Резюме**

Э.Фромм выразительнее других теоретиков обрисовал социальные детерминанты личности. Он утверждал, что поведение человека может быть понято только в свете влияний культуры. Фромм попытался объединить взгляды Маркса и Фрейда. Важнейшая тема произведений Фромма- тема человеческого одиночества в силу отчуждения от природы и других людей.

## ქცევის მართვის სტრატეგიკი კლასში

### ციალა ტულუში

თანამედროვე მოთხოვნებმა მასწავლებელი დააყენა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მან უნდა ასწავლოს განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მქონე ბავშვებს ერთ საკლასო გარემოში. სკოლაში საკმაოდ ხშირია მოსწავლეების მხრიდან პრობლემური ქცევები, რაც რიგ შემთხვევაში დაკავშირებულია ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევებთან. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს კლასი, სადაც მოსწავლეებს დროდადრო არა აქვთ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც მასწავლებლის მხრიდან დამატებით ძალისხმევასა და ქცევის მართვის სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას მოითხოვს. სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით, შესაძლებელია ქცევის სერიოზული პრობლემების შემცირება. სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენების მთავარი მიზანია საკლასო ოთახში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და გააადვილებს მოსწავლეთა აკადემიურ და სოციალურემოციურ სწავლებას მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიუხედავად, ე.ი. მათი განსხვავებული უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ მოწესრიგებული გარემო, არამედ იზრუნოს ყველა მოსწავლის ჩართვაზე სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სოციალურ და პიროვნულ ზრდას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წესრიგის მიღწევა გაკვეთილზე, არამედ ის საშუალებებიც,

რომლებსაც მასწავლებელი მიმართავს ამ წესრიგის მისაღწევად და შესანარჩუნებლად. მასწავლებელს უნდა შეეძლოს აგრესიულ და მიუღებელ ქცევაზე მშვიდი და თანმიმდევრული წინააღმდეგობის განევა. ეს არის ასერტული ქმედება-საკუთარი პოზიციის მშვიდი, მაგრამ თანმიმდევრული დაცვის უნარი. საჭიროა პედაგოგმა მიუთითოს არა მხოლოდ ქცევის შეწყვეტის საჭიროებაზე, არამედ იმაზეც, თუ რა ქცევით შეიძლება მისი ჩანაცვლება. პრობლემური ქცევის განხორციელებისას აქცენტი უნდა გადავიტანოთ პოზიტიურ ქცევაზე წახალისების გამოყენებით. აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს და წახალისდეს ბავშვის მიერ სასურველი ქცევის განხორციელების მცირე მცდელობაც კი. პრობლემური ქცევის მართვისას არ არის რეკომენდირებული შეკითხვა „რატომ“, სიტყვა, მიმართვა „შენ“, სიტყვა და უარყოფა „არა“, ლექციის წაკითხვა, დიდაქტიკა, ბუზლუნი და ლანძლვა.

ხშირად თვით საკლასო ოთახის გარემო შეიძლება გახდეს პრობლემური ქცევის გამომწვევი. ძალიან მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახის მოწყობისას, შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება: 1. ყველა მოსწავლის ადგილიდან შესაძლებელი უნდა იყოს მასწავლებლის და დაფილის დანახვა; 2. საკლასო ოთახის კედლებზე გამოკრული მასალა არ უნდა იწვევდეს მოსწავლეების ყურადღების გაფანტვას; 3. სასურველია მერხებს შორის საკმარისი ადგილის დატოვება მოსწავლეთა (ეტლით მოსარგებლე მოსწავლეების) დამოუკიდებელი გადაადგილების გასაადვილებლად; 4. საკლასო ოთახში ბუნებრივი განათების უზრუნველყოფა და მკვეთრი, თვალისმომჭრელი შუქის-თვის თავის არიდება; 5. ხმაურის წყაროების მინიმუმამდე დაყვანა.

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თუ რას მოელის მათგან მასწავლებელი სხვადასხვა სიტუაციაში და სხვა-დასხვა აქტივობის შესრულებისას. ამიტომ აუცილებელია საკლასო წესების შემუშავება. საკლასო რუტინა წარმო-ადგენს პროცედურათა თანმიმდევრობას დღის მანძილზე მოსალოდნელი აქტივობების შემთხვევაში, მისაღები მოქ-მედებებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში, მასწავ-ლებლის მხრიდან მოსალოდნელი ჩარევის შესახებ. საკ-ლასო რუტინის შემუშავებაში თვითონ მოსწავლეებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას. მასწავლებელს შეუძლია მცირე დისკუსია მოაწყოს, თუ რაში გვჭირდება ისეთი წესები, როგორიცაა მაგალითად, ხელის აწევა მასწავლებ-ლისთვის კითხვის დასასმელად, გაკვეთილის დაწყებისას მოცემული საგნის წიგნებისა და რვეულების გამზადება, წერილობითი დავალების დამთავრებისას მასწავლებლის ყურადღების მიქცევა სხვებისთვის ხელის შეშლის გარეშე და ა.შ. წინასწარი ინფორმირებულობა მნიშვნელოვნად ამცირებს კლასში პრობლემური ქცევის გამოვლენის ალ-ბათობას. საკლასო რუტინაში შესაძლებელია გაწერილი იყოს პროცედურები და წესები შემდეგი აქტივობების-თვის: დღის დაწყება; საკლასო ოთახში შესვლა და საკ-ლასო ოთახიდან გასვლა; რვეულების დარიგება—აკრეფა; გაკვეთილის ახსნა; დავალების ადრე დამთავრება; კით-ხვების დასმა; საჭირო ოთახში გასვლა; დახმარების თხოვნა; გაცდენა.

მასწავლებლის მხრიდან ქცევის მართვის სტრატე-გიების გამოყენების მთავარი მიზანია, საკლასო ოთახში და მის გარეთ პრობლემური ქცევის თავიდან აცილება და მისი შემცირება. რა ქცევას ვეძახით პრობლემურს? შეიძლება განსაზღვრებები იყოს მრავალფეროვანი და აღწერილობით განსხვავებული, მაგრამ ზოგადად პრობ-

ლემურია ის ქცევა, რომელიც ხელს უშლის მოსწავლის სწავლას და თანატოლებთან და უფროსებთან სოციალურ აქტივობებში ჩართვას. ამ განსაზღვრების ქვეშ ექცევა გახანგრძლივებული ტანტრუმები(ისტერიკა), სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესია, ხელისშემშლელი ვოკალური ან მოტორული აქტივობა (ყვირილი, სტერეოტიპული მოძრაობები, როგორიცაა რწევა, პასტის ხელში წვალება), ნივთების გაფუჭება, თვითდაზიანება, დაუმორჩილებლობა, მასწავლებლის კითხვების იგნორირება და გაქცევა.

უკანასკნელ წლებში სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისა და მათი ქცევის მართვის ერთერთ ეფექტურ მეთოდად განიხილება პოზიტიური ქცევის მხარდაჭერის სტრატეგია. განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დასჯის ისეთმა სახეებმა, როგორიცაა შენიშვნის მიცემა, ჩხუბი, ბავშვის დროებითი იზოლირება და ჯარიმები, დადებითი შედეგების ნაცვლად, არასასურველი, პრობლემური ქცევის გახშირება გამოიწვიეს. თანამედროვე კვლევის შედეგები მოწმობენ, რომ პოზიტიური დაჯილდოება, როგორიცაა მაგალითად, წახალისება, ბავშვის აკადემიური და ქცევითი წინსვლის აღმნიშვნელი გრაფიკები, მიზნის შესაბამისი ჩარევა უფრო წარმატებულია, ვიდრე ტრადიციული დამსჯელი სტრატეგიები. აუცილებელია მოსწავლეებს ავუხსნათ, თუ რა წესებია ჩვენს საკლასო ოთახში(მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს) და მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, თუ რა მოხდება წესის დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, რა ჯარიმას, თუ სასჯელს დავაწესებთ კონკრეტული წესის დარღვევისას, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ. ეს მოსწავლეებს დაეხმარება ისწავლონ, რომ მათ ქცევას მოყვება კონკრეტული შედეგი.

## **ლიტერატურა**

თ.გაგოშიძე, თჭინჭარაული, ქ.ფილაური,მ.ბაგრატიონი-ინ-კლუბიური განათლების პრინციპები, თბილისი, გამ.,ნეკე-რი”,2008

თ.ჭინჭარაული, მ.ბაგრატიონი, ა.ლალიძე,თ.პაჭკორია-სწავ-ლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლე-ბა,საქართველო, და მეცნ.სამინისტრო,2010

თ ისაკაძე-გზამკვლევი მშობლებისათვის,თბილისი, 2010

**Tsiala Tugushi**

### **The Strategy of Behavior Management in Class Summary**

Modern School has a teacher to teach children with different abilities and needs, together in a single environment that requires it ownership not only effective methods of learning, but also possession of effective behavior management strategies. This suppose the classroom environment, the development of the classroom routine and use strategies to control the behavior.

**Циала Тугуши**

**Стратегии управления поведением в классе**

**Резюме**

Современная школа поставила перед учителем задачу обучать детей с разными возможностями и нуждами вместе в одной среде, что требует от него владения не только эффективными методами обучения, но и владения эффективными стратегиями управления поведения учащихся. Это предполагает организацию классной среды, разработку классной рутины и использование стратегий управления поведением.

## დასწავლის უნარის დარღვევა და მისი ნიშნები

### ციალა ტულუში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები წარმოადგენენ. ახასიათებთ რა კითხვის, წერის, მათემატიკური უნარ-ჩვევების ათვისების პრობლემები, ისინი ხშირად ყოველგვარი სპეციალური საგანმანათლებლო დახმარების გარეშე რჩებიან. მათი პრობლემები უმეტესად სიზარმაცეს მიეწერება. სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს კოგნიტურ პრობლემებთან ერთად ხშირად ახასიათებთ ემოციური დარღვევები. მათ სირთულეები აქვთ როგორც აკადემიურ მოსწრებაში, ასევე საკლასო ოთახში მოქცევის წესების ათვისებასა და თანატოლებთან ურთიერთობაში. სწავლის უნარის **დარღვევა** წარმოადგენს განვითარების დარღვევას, რომელიც ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციონირების (შემეცნების უნარი, სწავლა) ნორმაზე დაბალი მაჩვენებლითა და ყოველდღიური უნარჩვევების (კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები) შეზღუდვით. მისი დიაგნოსტირება დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე ხდება. სტატისტიკური მონაცემებით განვითარების ამ ტიპის დარღვევა მოსახლეობის დაახლოებით 2,5-3 %-ში გვხდება. სწავლის უნარის დარღვევა განისაზღვრება ორი კრიტერიუმით, ინტელექტითა და ადაპტაციური ფუნქციონირებით. პიროვნების ინტელექტის დონის შეფასება ხდება სხვადასხვა ტიპის სტანდარტიზებული ტესტების საშუალებით, რომლებიც პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების ციფრობრივ მაჩვენებელს – „აი-ქიუ“ (I ) კოეფიციენტს იძლევა, რაც სწავლის უნარის

დარღვევის დროს 70 ქულაზე დაბალია. რაც შეეხება მეორე ტერმინს „ადაპტაციურ ფუნქციონირებას“ ნიშნავს, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება(კომუნიკაციური, საყოფაცხოვრებო უნარჩვევები, დასვენება, თვითმოვლა და თვითმომსახურება, სოციალური უნარჩვევები), ასევე ფუნქციონალური აკადემიური უნარები (კითხვა, წერა, მათემატიკა). ადაპტაციური ქცევის შეფასება სპეციალური კითხვარების საშუალებით ხდება. მისი შეფასება შედარებით რთულია, რადგან ბავშვების ქცევა ხშირად სხვადასხვა გარემოში განსხვავებულია. შესაძლებელია, რომ ადაპტაციური ქცევის შესაფასებელი კითხვარის მონაცემებით, ბავშვს არ ჰქონდეს ქცევის პრობლემები ერთ გარემოში, თუმცა სასკოლო გარემოში შესაძლებელია აღენიშნებოდეს ქცევის მნიშვნელოვანი პრობლემები. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები განვითარებაში იგივე საფეხურებსა და ეტაპებს გადიან, როგორც მათი თანატოლები, მაგრამ ბევრად უფრო ნელ ტემპში. ისინი გაცილებით გვიან აღწევენ განვითარების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორიცაა სიარული, მეტყველების დაწყება, წერა—კითხვის ათვისება. მსუბუქი გონიერივი ჩამორჩენილობის დროს ზოგჯერ ის არ ვლინდება ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში მიყვანამდე. ამ ბავშვების წარმატებული სწავლებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდებიან ისინი ინფორმაციის გადამუშავების, მეტყველების განვითარებისა და სოციალურ—ემოციური უნარჩვევების ათვისების თვალსაზრისით. ინფორმაციის გადამუშავების უნარის განვითარების მიხედვით მათი განვითარება შეიძლება 36 კლასის დონეზე შეფერხდეს. ამ ბავშვების დასახმარებლად უნდა გვესმოდეს, თუ როგორ ფიქრობენ

და აზროვნებენ ისინი. მათ უმეტესობას აქვს ინფორმაციის ცენტრალური გადამუშავების პრობლემა, რაც ვლინდება ინფორმაციის კლასიფიკაციის სიძნელეში მეხსიერების, მსჯელობისა და შეფასების გამოყენებით.

ლასიფიკაცია. ჩვეულებრივ სასკოლო ასაკის ბავშვები საკმაოდ სწრაფად სწავლობენ მნიშვნელოვანი საგნებისა თუ მოვლენების გარკვეულ ჯგუფებში გაერთიანებას: ძროხა, ძაღლი, კატა-„ცხოველი“; ბალი, ვაშლი და მარწყვი-„ხილი“. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს კი ნაკლებად შეუძლიათ საგნების დაჯგუფება. მათ, მაგალითად, შეიძლება გაუჭირდეთ მატარებელსა და მანქანას შორის მსგავსების აღმოჩენა. მეხსიერების თვალსაზრისით, სირთულეს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც დასამახსოვრებელი ინფორმაციის გამოყოფა მთლიანი ინფორმაციული ნაკადიდან, ასევე დამახსოვრების სტრატეგიების გამოყენება. მათ უმეტესწილად ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა აქვთ შევიწროვებული. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებში მეტყველების განვითარება გავლენას ახდენს კოგნიტურ განვითარებაზე (განსაკუთრებით, აზროვნებაზე, დაგეგმვასა და მსჯელობაზე), თუმცა კოგნიტური განვითარებაც, თავის მხრივ, მოქმედებს მეტყველების განვითარებაზე. სწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების მეტყველება განვითარების იგივე ეტაპებს გადის, რასაც მათი თანატოლების, მაგრამ, ბევრად ნელა. მაგალითად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე 10 წლის ბავშვის მეტყველება შეიძლება 5 წლის ბავშვის მეტყველების შესაბამისი იყოს. სოციალურ ადაპტაციაში ხშირად ამ ბავშვებს ხელს უშლის მიმნდობლობა და გულუბრყვილობა. სოციალური ადაპტაციისათვის მნიშვნელოვანია ისეთი უნარჩვევების სწავლება, როგორიცაა გაზიარება (საკუთარი ნივთის თხოვება

სხვისთვის), რიგის დაცვა, ღიმილი, მოწესრიგებულობა და სხვა საკლასო თუ სასკოლო აქტივობების მიყოლა. სწავლის უნარის დარღვევის ხარისხი განსხვავებულია თავისი სიმძიმის მიხედვით და კლასიფიცირდება ოთხი სხვადასხვა ხარისხით: მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ღრმა. სწავლის უნარის **მსუბუქი** დარღვევის დროს I 50–დან 70–მდეა; სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსახლეობის 85 %ში შეინიშნება; აღნიშნული კატეგორიის მქონე პირები ხშირად ითვისებენ აკადემიურ უნარებს დაახლოებით მე6 კლასის დონემდე, შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება. სწავლის უნარის **საშუალო** დარღვევის დროს I 35–დან 50–მდეა(10%); ისინი ხშირად კომუნიკაციის უნარჩვევებს ეუფლებიან ადრეულ ბავშვობაში და გარკვეული ზედამხედველობის პირობებში, ახერხებენ შედარებით დამოუკიდებლად ცხოვრებას; სწავლის უნარის **მძიმე** დარღვევის დროს I 20–დან 35–მდეა(3-4%); მათ შეუძლიათ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ისეთი უნარჩვევების ათვისება, როგორიცაა მაგალითად, დასუფთავება და ჩაცმა. ისინი ყოველდღიურ დახმარებას საჭიროებენ ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში. სწავლის უნარის **ღრმა** დარღვევის დროს კი I 20–ზე ნაკლებია(1-2%); მათ შეუძლიათ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ძირითადი უნარჩვევების ათვისება, თუმცა, აუცილებელია კარგად ორგანიზებული და სტრუქტურირებული სისტემატიური ზედამხედველობა. სწავლის უნარის ღრმა დარღვევის მქონე პირებს, ხშირად ახასიათებთ ფსიქიკური განვითარების სხვა დარღვევებიც.

**სწავლის უნარის დარღვევის ნიშნები,როგორც წესი, ადრეულ ასაკში ვლინდება.** ხშირად სწავლის უნარის დარღვევას თან ახლავს ისეთი სიმპტომებიც, როგორიცაა აგრესია, თვითდამაზიანებელი ქცევა და პიროვნული

ლი აშლილობები. ძირითადად, სწავლის უნარის დარღვევისთვის დამახასიათებელია: ასაკისათვის შეუფერებელი ქცევა; ახალი ინფორმაციის თუ ჩვევების სწავლის ნელი ტემპი; ჩვევის ან ინფორმაციის განზოგადების სირთულე; აბსტრაქტული აზროვნების განვითარების ძლიერი ჩამორჩენა; ცნობისმოყვარეობის ნაკლებობა; სირთულეები სასკოლოსაგანმანათლებლო სტანდარტების დაძლევაში. ქცევის ნორმების დარღვევა დამოკიდებულია სწავლის უნარის დარღვევის ხარისხზე.

## **ლიტერატურა**

თ. ჭინჭარაული, მ.პაგრატიონი, ა.ლალიქე, თ.პაჭკორია-სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება, საქართველო, 2010  
ინკლუზიური განათლება, ცნებები და ტერმინები, საქართველო, 2011

**Tsiala Tugushi**

## **Violations of Learning and its Characteristics**

Summary

A large part of the children with special needs are students with learning disabilities. They characterize with problems in academic achievement, and emotional relationships with peers, as well as in their development of rules of conduct in the classroom. The problems of such children are often attributed to laziness. Breach of learning skills development constitutes a violation of. It is defined by two criteria: the intelligent and adaptive functioning.

## **Циала Тугуши**

### **Нарушения навыков обучения и его признаки**

#### **Резюме**

Значительную часть детей с особыми нуждами составляют учащиеся с нарушениями навыков обучения. Их характеризуют как проблемы в академической успеваемости, так и в эмоциональном плане, во взаимоотношениях со сверстниками, а также в освоении ими правил поведения в классе. Проблемы таких детей часто приписывают лени. Нарушение навыков обучения представляет собой нарушение развития. Оно определяется двумя критериями: интеллектуальным и адаптационным функционированием.

## ნევაზე ფიქსირებული სომატოფორმული აშლილობა

რუსუდან ბერიძე

გულ-სისხლძარღვთა ე. ნ. ფუნქციონალური დარღვევების სიმპტომატოლოგია ძალზე მრავალფეროვანია, მათში ემოციური ფაქტორი შესაძლებელია ეტიოლოგიურად მნიშვნელოვანი იყოს. არაა ცნობილი, თუ რატომაა, რომ ემოციები მაგ: შიში, ხანგრძლივი არსებობისას იწვევს ხან ერთ, ხან მეორე ფუნქციონალურ მოშლილობას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარღვევებში ემოციურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელობა ენიჭება სომატურ ფაქტორებსაც, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს.

დღესდღეობით კარგადაა ცნობილი კავშირი ფსიქოგენურ ფაქტორებსა და ჰიპერტენზიის გამწვავებას შორის. ფსიქოანალიტიკურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ქრონიკული აგრესიული იმპულსები, რომლებიც ყოველთვის კავშირშია შფოთვასთან, აშკარად გავლენას ახდენს სისხლის წნევის დონეზე, ანუ ე. ნ. ჰიპერტენზიის პროვო-ცირებას იწვევს. ჰიპერტენზია არის კლინიკური სინდრომი, რომელიც ხასიათდება ქრონიკული სისხლის მაღალი წნევით. ხილული ორგანული მიზეზების გარეშე არსებობს ამ დაავადების პათო - ფიზიოლოგიური მექანიზმის ნევროგენული და ჰიმორალური ახსნა. ნევროგენული თვალსაზრისით, ნერვული იმპულსების საშუალებით ხდება წვრილი არტერიების - არტერიოლების კედლის ზრდა, რაც იწვევს სისხლძარღვის შევიწროვებას. ამის გამო

სისხლი ვერ ასწრებს გარეთ გამოსვლას და სისხლძარღვის შიდა კედელზე იზრდება წნევა. ასე აღმოცენდება ჰიპერტენზია. ჰუმორალური თვალსაზრისით კი ჰიპერტენზიის მიზეზი თირკმლის იშემიაა. ამ დროს გამოიყოფა ქიმიურად აქტიური აგენტი-რენინი, რომლის მოქმედების შედეგია არტერიოლებში დამწოლი ნივთიერებების დალექვა, რაც იწვევს სისხლძარღვის სანათურის განივავეთის შემცირებას. ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჰიპერტენზიის საწყის ეტაპზე წამყვანია ნევროგენული მექანიზმები, ხოლო დაავადების პროგრესირებასთან ერთად წამყვანია ჰუმორალური ფაქტორი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღეს, ჩატარებული კვლევების საფუძველზე, დადასტურებულია კავშირი ფსიქოგენურ ფაქტორებსა და ჰიპერტენზიის გამწვავებას შორის. ამ დროს პაციენტებს ახასიათებთ ერთი საერთო თვისება - მათ არ აქვთ უნარი თავისუფლად გამოხატონ აგრესიული იმპულსები. ხშირად ისინი სექსუალურად შეკავებული ხალხია, რადგანაც არაკონვენციონალური სექსუალური აქტივობა მათთვის ნიშნავს პროტესტს, რაც თავის მხრივ იწვევს შიშს და მისგან თავის არიდების ტენდენციას.

ამ საკითხებზე მომუშავე მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეს არის თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის დაავადება. მაგ: შვაბმა და შულცმა მიიღეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ჰიპერტენზიის მიხედვით აფრიკელ და ამერიკელ ზანგებს შორის. ჰიპერტენზია უკიდურესად იშვიათი აღმოჩნდა აფრიკელ ზანგებთან. როგორც მკვლევარებმა ივარაუდეს, აქ გადამწყვეტი ფაქტორი ცივილიზაცია უნდა იყოს, სიძნელეები, რომლებსაც განიცდიან ამერიკელი ზანგები სოციალური ადაპტაციისას, უნდა აიძულებდეს მათ გამოიმუშაონ გან-

საკუთრებული თვით-კონტროლი, რომელიც შემდეგ ხდება გადამწყვეტი ეტიოლოგიური ფაქტორი.

ფსიქოანალიტიკური მკურნალობით მიღებული მონაცემების შეფასება ჯერ ადრეა, ვინაიდან ჯერჯერობით მცირეა ასეთ პაციენტთა რიცხვი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ამ მკურნალობის შემდეგ ხდება სომატური მდგომარეობის შემსუბუქება, ჰიპერტენზია ისპობა, მაგრამ სამაგიეროდ თავს იჩენენ პრობლემები ინტერ-პერსონალურ ურთიერთობებში, რასაც დათრგუნული აგრესიის გარეთ გამოსვლით ხსნიან.

ამ საკითხის კვლევისათვის ჩავატარე გამოკითხვა ათზე მეტ ადამიანთან. ჯგუში შედიოდნენ, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები 30-დან 45 წლამდე.

გიორგი, 33 წლის - ამბობს, რომ ზედიზედ რამდენ-ჯერმე მოუნია ალკოჰოლური სასმელის მიღება. ერთ ღამეს გააღვიძა აჩქარებულმა გულისცემამ, თან უპაერობა-საც გრძნობდა. შიშმა შეიპყრო, როცა წნევა გაუზომეს საკმაოდ მაღალი აღმოაჩნდა, აღნიშნავს, რომ ადრე წნევას არასოდეს შეუწებია. წამლების მიღების შემდეგ ჩივილები შესუსტდა, მაგრამ შიში დარჩა. ამის შემდეგ დაეწყო უცნაური შეგრძნებები მაგ: თავს ჩვეულებრივად ვგრძნობდი, უცებ გავიფიქრებდი ეხლა, რომ გული ამიჩქარდეს, სუნთქვა გამიძნელდეს და წნევამც მომიმატოს.... ამის გაფიქრება და რამდენიმე წუთში მეწყებოდა ყველა სიმპტომი. თავს ცუდად ვგრძნობდი, მიპყრობდა საშინელი შიში. ბევრჯერ სასწრაფო დახმარების გამოძახებაც დამჭირდა. მოვიდოდა სასწრაფო გამიზომავდნენ წნევას, გამიკეთებდნენ დასაწევ ნემსებს... წავიდოდა ექიმი ცოტა ხანში წნევა კვლავ 180-200-მდე ადიოდა. გამიშვეს გამოკვლევაზე, ივარაუდეს თირკმლის პრობლემა, მაგრამ ვერა-ნაირი პათოლოგია ვერ აღმოაჩინეს. გამოკვლევებმა და-

დასტურეს, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელი ვიყავი. პრობლემები კი კვლავ გრძელდებოდა. განსაკუთრებით მიძნელდებოდა სტუმრად ყოფნისას. უცებ შემიპყრობდა შიში ეხლა, რომ წევა ამინიოს და ცუდად გავხდე ხალხში შევრცხვები და მაშინვე მეწყებოდა წნევისათვის დამახასიათებელი სიმპტომები. იყო შემთხვევები, რომ მეგობრებთან ერთად მივდიოდი, უცებ მანქანა გავაჩერებინე და გადმოვედი, რადგანაც შემიპყრო შიშმა, რომ გზაში შეიძლებოდა რაიმე დამმართვნოდა. დღეში რამოდენიმეჯერ ვიზომავდი წნევას. რამდენიმე საათში ერთხელ სადაც არ უნდა ვყოფილიყავი სახლში მოვრბოდი წნევის გასაზომად.

ნინო 40 წლის - სახსრები მაწუხებდა. მასწავლეს გამეკეთებინა პრეპარატი ვოლტარენი. ნემსი გავიკეთე თუ არა ცოტა ხანში თავი ცუდად ვიგრძენი. როგორც ჩანს ალერგიული რეაქცია მომცა წამალმა. გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება, მაღალი წნევა აღმომაჩნდა. გამიკეთეს დამწევი საშუალებები და წნევაც დარეგულირდა, მაგრამ შემიპყრო შიშმა, რომ შეიძლებოდა წნევა ისევ ამნეოდა. მალე ისევ ცუდად გავხდი, იმ ღამეს რამდენჯერმე დამჭირდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. დადასტურდა, რომ ვოლტარენმა გამოიწვია არტერიული წნევის მომატება, წამლის მოქმედებამ გაიარა, თუმცა შიში და შფოთვა დამრჩა. სულ მეჩვენებოდა, რომ წნევა მიწევდა, ასკარად ვგრძნობდი სიმპტომებს. ცუდად ვხდებოდი. ვითხოვდი წნევის გაზომვას და სასწრაფოს გამოძახებას. ჩავიტარე გამოკვლევა, არანაირი დაავადება არ აღმომაჩნდა. შიში წნევის მიმართ კი კვლავ დამრაჩა. სხვა, რომ არ შემეწუხებინა საჩქაროდ შევიძინე წნევის აპარატი და დღეში რამდენჯერმე თავად დავიწყე გაზომვა. ფაქტიურად წნევის აპარატით დავდიოდი. არ ვჩერდებოდი ისეთ

ადგილას, სადაც წნევის გაზომვას ვერ შევძლებდი. ძალი-ან გავწვალდი.

ნანა 42 წლის- მოძალებული საქმე გამომიჩნდა, ძალიან გადავიღალე. საღამოს თავი ცუდად ვიგრძენი, მაღალი წნევა აღმომაჩნდა. წამლები მივიღე, წნევა დაიწია. გავიფიქრე, ხომ შეიძლება მაღალი წნევა გამომეპაროს და ინსულტი მივიღო. წარმოვიდგინე ლოგინად ჩავარდნილი ჩემი თავი, რომ აღარც ცოცხალი ვარ და აღარც მკვდარი, უცებ საშინელმა შიშმა შემიპყრო. ცოტა ხანში კვლავ განმიახლდა სიმპტომები, ისევ მომიმატა წნევამ. ასე გაგრძელდა დიდხანს, თვეები....ცოტა ანერვიულება და მაშინვე ვგრძნობდი წნევის მომატებას. დღეში რამდენჯერმე ვიზომავდი, სტუმრადაც მივიდოდი თუ არა წნევა გამიზომეთ მეთქი ვითხოვდი. ძველ აპარატს აღარ ვენდე და ახალი შევიძინე. ჩემს აპარატზე, რომ გავიზომავდი მერე მეზობლებთან გავდიოდი და იმათ ვამოწმებინებდი. ბოლოს წნევის აპარატი ჩანთით დამქონდა ყველგან. ნევროპათოლოგმა ვერაფერი ორგანული პათოლოგია ვერ დამიდგინა სანამ დამარწმუნებდა, რომ სერიოზული არაფერი მჭირდა, შიშისაგან 180-ზე ამივიდა წნევა, ბოლოს დასამშვიდებელი აბები დამჭირდა. წნევის აპარატი დღესაც თან დამაქვს, თუმცა უკვე იშვიათად ვიზომავ. მართლაც დიდი პრობლემაა, არავის არ ვუსურვებ გამოსცადოს იგივე.

როგორც გამოკითხულთა ანალიზმა გვიჩვენა, ყველა ადამიანს პრობლემა ერთი მიზეზით, ერთნაირად დაეწყო და განუვითარდა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი, როგორც საექიმო გამოკვლევამ დაადასტურა, ორგანულად ჯანმრთელი იყო. ერთხელ რაღაც მიზეზით აენია წნევა, რომელიც მაღე დაურეგულირდა, მაგრამ დაუ-

ტოვა შიში, შფოთვის განცდა, ცუდის მოლოდინი, რამაც წნევის აპარატზე დამოკიდებულება გამოიწვია. უარყოფითი ემოციების მუდმივი განცდა გახდა სწორედ მდგომარეობის შემდგომი გართულების მიზეზი, რადგანაც ცნობილია, რომ ზოგიერთ ადამიანზე ძლიერი ფსიქიკური გაღიზიანება იწვევს ამა თუ იმ ფსიქიკურ თუ სომატურ აშლილობას, ასევე შესაძლებელია განვითარდეს ნევროზული აშლილობებიც.

როგორც ვხედავთ ეს სერიოზული პრობლემაა, რადგანაც ადამიანები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იტანჯებიან. მისი მოგვარება უნდა დავიწყოთ იმით, რომ პაციენტს ჩაუტარდეს სამედიცინო გამოკვლევა, რათა წნევის გამომწვევი სომატური ფონი გამოირიცხოს. შემდეგ კი სწორად შერჩეული თერაპიული მეთოდებით უნდა მოხდეს მასზე ზემოქმედება, რაც დაეხმარება შიშის დაძლევასა და უარყოფითი ემოციებისაგან გათავისუფლებაში. ხოლო რაც შეეხება წნევის აპარატზე დამოკიდებულებას, ეს პრობლემა უნდა მოიხსნას არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, ეტაპობრივად, რათა პაციენტის გალიზიანება არ გამოვიწვიოთ. ამისათვის ჯერ ინტერვალები უნდა გაიზარდოს წნევის ერთხელ გაზომვიდან მეორემდე, შემდეგ დღეში ორჯერ მივცეთ ნება, შემდეგ დღეში ერთხელ, მერე ორ დღეში ერთხელ და ა.შ. ამრიგად, კომპეტენტური სპეციალისტის მიერ სწორად შერჩეული მეთოდებით ვფიქრობთ შესაძლებელი გახდება არსებული პრობლემის ეფექტურად მოგვარება.

## **ლიტერატურა**

ე. ვარშანიძე, ალექსითიმიისა და ჰიპერტონიის კავშირ-ურთიერთობების შესწავლის ცდა, - (მოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიური გამოკვლევები V) ბათუმი., 2011

**Rusudan Beridze**

### **Somatoform Disorder Fixed on the Hypertension**

**Summary**

On the basis of literature analysis and special survey was established that due to psychosomatic diseases possible take place hypertension.

This is problem, which bothers lots of people. They are somatically healthy, but they have fear, which creates psychic problem, which reflects in hypertension.

**Русудан Беридзе**

### **Соматоморфное расстройство фиксированное на давление**

**Резюме**

На основе изучения литературы и специального опроса установлено, что в ряду соматоморфных заболеваний можно рассматривать явления гипертензии.

Эта проблема беспокоит многих людей. Они соматически здоровы, но у них психическая проблема, которая проявляется в основном в виде гипертензии.

# საპროფესიო მუშაობის ორგანიზება სკოლაში

## რუსუდან ბერიძე

მომავალ პროფესიაზე ფიქრს ადამიანი ძალიან პატარა, ჯერ კიდევ სკოლამდელ ასაკში იწყებს. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ვაჟთა უმრავლესობა ისეთ პროფესიებზე ოცნებობს, რომლებიც მათვის ვაჟვაცობასა და გმირობასთან ასოცირდება. მაგ: გამოკითხულთა უმრავლესობას სურდა გამოსულიყო ჯარისკაცი, მეხანიკე, პატრული, მფრინავი და სხვა. გოგონებში კი ყველაზე პოპულარული მოდელისა და დიზაინერის საქმიანობა აღმოჩნდა. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ბავშვური ოცნებაა, რომელიც შემდეგ, მოზარდობის ასაკში საკმაოდ ფერმკრთალდება და სერიოზულად უფროს სასკოლო ასაკში იჩენს თავს. 16-17 წლის ახალგაზრდების წინაშე ეს საკითხი დგება, როგორც სერიოზული პრობლემა. მართლაცდა როგორ უნდა შეძლონ 17 წლის ბავშვებმა აირჩიონ ისეთი პროფესია, რომელიც მთელს მათ მომავალ ცხოვრებას უზრუნველყოფს? მათ ხომ ჯერ არანაირი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გააჩნიათ, უფრო მეტიც, ბევრი პროფესიის არსებობაზეც კი არა აქვთ წარმოდგენა, არ იციან ამა თუ იმ პროფესიის დადებითი დაუარყოფითი მხარეები, თუ რა პასუხისმგებლობა ექნებათ მისი დაუფლებისას, რა ცოდნასა და უნარებს მოითხოვს ესა თუ ის დარგი. ბუნებრივია, სჯობია ახალგაზრდამ ისეთი პროფესია აირჩიოს, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება მის შესაძლებლობებს, მაგრამ პრობლემაა

ისიც, რომ მოსწავლემ არც კი იცის ზუსტად, თუ როგორია მისი ფსიქოლოგიური შესაძლებლობები. ამის გარეკვევაში მას დახმარება სჭირდება, ყველაზე კომპეტენტური რჩევის მიცემა კი ფსიქოლოგს შეუძლია, თუმცა არც მშობლისა თუ კლასის ხელმძღვანელის როლი შეიძლება გამოირიცხოს, ამიტომაც საპროფორიენტაციო მუშაობას სკოლებში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მოსწავლეებთან საპროფორიენტაციო მუშაობის დროს ორი ასპექტი უნდა იქნას გათვალისწინებული. პირველი, თუ ახალგაზრდამ რომელი პროფესია სჯობია, რომ აირჩიოს და მეორე, ახალგაზრდის ფსიქიკური მონაცემების პროფესიის მოთხოვნილებისადმი შესატყვისობა. აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: მას მოსწონდეს არჩეული პროფესია და ასევე, ჰქონდეს ამ პროფესიის დაუფლებისა და შემდგომი წარმატებით მუშაობის მონაცემები. სპეციალისტმა აუცილებლად უნდა განუმარტოს ახალგაზრდას, რომ ცუდი პროფესია არ არსებობს. ყველა პროფესია კარგია, თუ მას კარგად დაეუფლება, კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი პროფესია მოითხოვს სპეციფიკურ ფსიქიკურ მონაცემებს, რომელთაც ყველა ახალგაზრდა ერთნაირად არ ფლობს. ფსიქოლოგის მოვალეობაა დაეხმაროს ახალგაზრდებს, თუ საჭირო გახდა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით დაადგინოს, თუ რა ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს ფლობს ის და შეძლებს თუ არა ამა თუ იმ პროფესიის დაუფლებას. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგი თავად უნდა ფლობდეს ამომწურავ ინფორმაციას არსებულ სპეციალობებზე. ასევე, კონსულტაციის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს მოსწავლის როგორც ფსიქიკური განვითარების, ასევე საგნობრივი ცოდნის დონე. აგრეთვე პროფესიის

პერსპექტიულობა, თუ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, აქვს თუ არა ახალგაზრდას სასწავლებლად შორს წასვლის შესაძლებლობა, თუ ასეთი დარგი მშობლიურ ქალაქში არ არსებობს და მრავალი სხვა. კონსულტირების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მშობლების აზრიც. სპეციალისტმა პასუხი უნდა გასცეს როგორც მოსწავლეებს ასევე მათ მშობლებს თუკი ისინი კითხვებით მიმართავენ.

ფსიქოლოგი განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოეკიდოს კონსულტირებას ისეთი პროფესიების არჩევისას, რომლებიც სპეციფიკური ფსიქიკური უნარის მოცემულობას საჭიროებს. ასეთებია: ყურადღების სწრაფი გადანაცვლების, ძლიერი კონცენტრირების, ოპერატიული აზროვნების, რეაქციის სისწრაფის და სხვა უნარები. როგორც ცნობილია ზოგიერთ პროფესიას მნიშვნელოვნად ესაჭიროება ადამიანის ასეთი ფსიქიკური მახასიათებლები. აქ არ კმარა მხოლოდ მოსწავლის სურვილი, აირჩიოს ეს პროფესია, მას უსათუოდ უნდა გააჩნდეს საამისო მონაცემები. თუ კონსულტანტი ფსიქოლოგი არ ფლობს მონაცემებს ამის შესახებ, საჭირო ხდება სათანადო ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით ამის დადგენა, რათა დახმარება აღმოუჩინოს მოსწავლეს. ყველა კომპეტენტურ ფსიქოლოგს შეუძლია პროფესიისთვის საჭირო ფსიქიკური უნარის დიაგნოსტირება და ახალგაზრდის-თვის კვალიფიციური რჩევის მიცემა.

არის შემთხვევები როცა ახალგაზრდები არ ფიქრობენ პროფესიის არჩევაზე ისინი გულგრილნი რჩებიან ყველაფრის მიმართ. ასეთ მოსწავლეებთან მუშაობა საკმაოდ ძნელია. იმისთვის რომ ასეთი ახალგაზრდები დაინტერესდნენ შრომით და იფიქრონ მომავალ პროფესიებზე, სკოლაში უნდა ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები:

შრომითი სწავლება, საგნობრივ გაკვეთილებში საინტერესო შრომითი საქმიანობის ამსახველი მასალის ჩართვა, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის გამოყენება, ექვსკურსიები საწარმოებში და ა. შ. ასევე საჭიროა მშობლებთან მუშაობაც, რათა მათ გაუღვიძონ თავიანთ შვილებს მომავალი პროფესიისადმი ინტერესი. თუმცა არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, მშობლები ვერ ზომავენ და რჩევების ნაცვლად, შვილებს თავს ახვევენ თავიანთ ინტერესებს. ისინი არ ეკითხებიან შვილებს რა მოსწონთ და რა უნდათ გამოვიდნენ და პირდაპირ აიძულებენ საბუთები შეიტანონ იმ ფაკულტეტზე, რომლებიც მათ მიაჩნიათ პრესტიულად. სპეციალისტთა აზრით, ასეთი ქცევა არასწორია. ახალგაზრდას შეიძლება ჰქონდა მონაცემები, რომ გამოსულიყო კარგი მექანიკოსი, დიზაინერი და სხვა. თუ მშობლების იძულებით იგი, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, გამოვიდა იურისტი, დიდი ალბათობაა ვერ შეიყვაროს თავისი საქმე და სუსტ სპეციალისტად ჩამოყალიბდეს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ფსიქოლოგი გაესაუბროს თავად მშობელს და მისცეს კომპეტენტური რჩევები. თუმცა არიან მოსწავლეები, რომლებიც კატეგორიულად გადაწყვეტენ რომელიმე პროფესიის დაუფლებას და წინააღმდეგობების მიუხედავად მაინც აღნიშვნელობა დასახულ მიზანს, მაგრამ არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებიც ასე ადვილად ვერ ირჩევენ პროფესიას. აქ ბევრი რამაა გასათვალიწინებელი: პროფესიის პრესტიულობა, დაუფლებასთან დაკავშირებული სიძნელეები, სამუშაოს შოვნის პერსპექტივა და სხვა. ფსიქოლოგის პროფესიულ ორიენტაციაზე მუშაობა სწორედ იმ დროიდან იწყება, როცა ახალგაზრდას გაურკვევლობა იპყრობს მისი მომავალი შრომითი სპეციალო-

ბის შესახებ. სწორედ აქ სჭირდება მას მრჩეველი და ეს საქმე სწორედ ფსიქოლოგმა უნდა იტვირთოს.

ფსიქოლოგის პროფორიენტაციულ მიშაობაში, ძირითადად ორ ასპექტს გამოყოფენ ესენია: ინფორმაციულ-საგანმანათლებლო მუშაობა და მოსწავლეებთან ინდივიდუალური კონსულტაციები, დიაგნოსტიკური და საკორექციო მუშაობა. თუ წლების განმავლობაში სპეციალისტები სწორად იმუშავებენ სკოლებში, მოსწავლეებს სკოლის ზედა კლასებში უკვე გამომუშავებული ექნებათ პროფესიის არჩევის მოთხოვნილება, რაც გაუადვილებთ სწორი არჩევანის გაკეთებას.

### **ლიტერატურა**

1. მამია ყოლბაია, სკოლის ფსიქოლოგია, გამომცემლობა „ცის ნამი“ თბილისი., 2008
2. კახიანი დ. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი. თბილისი., 2002
3. Рабочая книга школьного психолога. Под. ред. И. В. Дубровиной. Москва 1991.

**Rusudan Beridze**

**The Organization of Professional Orientation  
Work in School**  
Summary

To organize carrying profession orientational work in schools is very difficult and responsible business. Successfully carried work is a good help for pupils to choose their future profession.

Specialist must acquaint to the pupils all the existed professions, their positive and negative sides and give them competent advices, to choose their future profession directly.

**Русудан Беридзе**

**Организация профориентационной работы в школе**  
Резюме

Сложным и ответственным делом является организация профориентации в школе. Успешному проведению профессиональной ориентации в процессе учебной деятельности способствует профессиональное просвещение, которое заключается в том, чтобы сформировать у учащихся конкретные знания о выборе профессии. В ходе профпросвещения у них развиваются интересы к профессиям, способность к различным видам трудовой деятельности, мотивы выбора, положительное отношение к избранному труду. Профессиональное

просвещение, в свою очередь, включает профессиональную информацию, с помощью которой школьники получают сведения о наиболее массовых профессиях народного хозяйства, о способах и условиях овладения ими.

В ходе занятий необходимо рассказывать и о возможных препятствиях при выборе профессии. Таковыми могут быть слабая учебная подготовка, медицинские противопоказания, отсутствие знаний о требованиях избираемой профессии к человеку, ее содержание.

# განათლების მართვის ოპტიმიზაციის პროგრამა განათლების სოციალური სივრცის შინაგანი სტიმულების საფუძველზე

## შორენა მესხიძე

საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში განათლება სულ უფრო მეტად ღებულობს ღია სისტემის ხასიათს, რომელსაც აქვს ვარიაციული განვითარების შესაძლებლობები. ამავე დროს რთული სისტემის პირობებში, რომელსაც გააჩნია მრავალი პოზიტიური და ნეგატიური უკუკავშირი, განათლებაში შეინიშნება მუდმივი მოძრაობა, რომლის შედეგად მისი სტრუქტურა და ქვესისტემები ერთი მოწესრიგებული მდგომარეობიდან მეორეში გადადიან.

ამრიგად, განათლების სისტემაში მოქმედებენ თვითორგანიზაციის პროცესები. ერთის მხრივ ისინი სტიქიურად აცხადებენ პრეტენზიას არსებული სისტემის მთლიანობის დარღვევაზე, ხოლო მეორეს მხრივ გვთავაზობენ განვითარების ახალი წყაროების გამოვლენის შესახებ. ამ პროცესების დახასიათებები განისაზღვრება სისტემის შინაგანი პირობებით, მათ შორის სარესურსო და აგრეთვე სისტემის გარედან ზემოქმედების სიძლიერით. სახელმწიფო და საზოგადოება განსხვავებულად რეაგირებს ამ პროცესებზე. საზოგადოებაში სულ უფრო მეტად ყალიბდება განათლების მრავალგვარობის მოთხოვნა, რაც აშკარად სტიმულს აძლევს პროცესების თვითორგანიზაციას. მაგრამ, განათლების მართვის სიტემას ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა და ხშირად არ იზიარებს საზოგადოების პერსპექტიულ მოთხოვნებს, არ ღებულობს მხედველობაში, რომ განათლება ეს არის რთული

ევოლუციური მთლიანობა, რომელიც მოიცავს მრავალ სტრუქტურასა და ქვესისტემას, განვითარების ტემპებს, რომლებიც შეიძლება არ შეესატყვისებიან ოფიციალურად მიღებული განათლების მართვის სისტემას (Меньшиков, Санникова, Харитонова 2001)

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საგანმანათლებლო სისტემის მართვა დაშორებულია საგანმანათლებლო სისტემას. ცალკეული აქტები და პროგრამები, რომელიც მიიღება განათლების შინაგანი კონტექსტის გაუთვალისწინებლად კიდევ უფრო მეტად ართულებენ წინააღმდეგობებს, რომლებიც თავის მრივ ქმიან საფუძველს საგანმანათლებლო სისტემის პრობლემების წარმოსაქმნელად. საგანმანათლებლო სისტემა თვითმართვადი, მრავალგვარი სისტემაა და მისი განვითარება შესაძლებელია შინაგანი ტენდენციების შემჩნევის საფუძველზე, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ინოვაციური საქმიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინოვაციური საქმიანობის სახელწოდების ქვეშ შეიძლება შემოთავაზებული იყოს განათლების სისტემის და კონკრეტული საგანმანათლებლო ურთიერთოებების განვითარების ისეთი მიმართულება, რომელიც თითქოსდა საყოველთაოდ მიღებული განათლების სისტემას შეესატყვისება, მაგრამ კონკრეტული განათლების შინაგანი ტენდენციების უგულებელყოფის საფუძველზე და ფორმალური ე. წ. ინოვაციების პროცესში განათლების განვითარების სტრატეგიული პერსპექტივები ვერ გაითვალისწინება და ხშირად უპირატესობები ენიჭება ტაქტიკურ ნაბიჯებს, რომლებიც განათლების შინაგანი მოთხოვნილებებით კი არის განპირობებული, არამედ მსოფლიო კონიქტურული და ვიწრო სადღეისო მოთხოვნილებებით არის განსაზღვრული.

ინოვაციური საქმიანობა, ამგვარად არსებული განათლების სისტემის შინაგანი სტიმულების განვითარებაა და არა მისთვის უცხო თეორიულ ზოგად დებულებებზე დაფუძნებული საქმინაობა.

ამგვარად, ინოვაციური საქმიანობა ეს არის პიროვნების თვითგანვითარების თვისობრივი მაჩვენებელი, რომელიც განვითარების საგანმანათლებლო პროცესის თვითაქტუალიზაციის, თვითგანათლებისა და თვითრეფლექსის საფუძველია. ამრიგად, ამ ფაქტორების გაუთვალისწინებლობის გარეშე ნებისმიერი რეორგანიზაცია თუ ინოვაცია ძალიან ხშირად განათლების სისტემაში შემოქმედებითი პიროვნებების გამოვლენას აფერხებს. როდესაც, ჩვეულებრივ ზუსტად ასეთი პიროვნებები ქმნიან პიროვნულად ახალს და ხელს უწყობენ განვითარებას. ასეთ შემთხვევაში იცვლება გარემოს აქტივობის ხარისხი, რაც აფართოვებს საგანმანათლებლო სივრცეს.

ამრიგად, ამ პარამეტრების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება სისტემის ნამდვილი განვითარება. წარმოიქმნება პრობლემა მიზანმიმართული საორგანიზაციო ზემოქმედებისა და თვითორგანიზაციისა, რომელიც საფუძველს იძლევა, რათა შენარჩუნებული იყოს განათლების სისტემის მთლიანობა ყველა დონეზე, გათვალისწინებული იყოს თვითორგანიზაციის პროცესები, პედაგოგიურ და მოსწავლეთა გარემოში და ასეთი ტენდენცია აუცილებლად გამოიწვევს განათლების სიტემის შინაგან თვითორგანიზაციასა და წესრიგს. (Пригожин, Стенгерс 1986; Хакен 1980; Курдюмов, Маленицкий 2003)

სოციალური გარემოს სწრაფი ცვლილებების პირობებში საგანმანათლებლო მართვის პროცესი უნდა ატარებდეს წინმსწრებ, პრევენტიულ ხასიათს (Буданов 2003; Буданов 2000)

განათლების სისტემაში მმართველობის გადაწყვეტილების მიღების ოპერატორულობა მაშინ ხდება ყოველმხრივ გამართლებული, როდესაც მისი შემუშავება, განხორციელება არ არის შეზღუდული მხოლოდ მაღალი ადმინისტრაციული დონით. ეს კი ნიშნავს, რომ სამმართველო ფუქციების მათ შორის სტრატეგიული, გარკვეულად უნდა გადანაწილდეს სასკოლო ადმინისტრაციებზე, პედაგოგთა კოლექტივებზე, პედაგოგთა შემოქმედებით ჯგუფებზე, მათ შორის კლასის ხელმძღვანელებზე, ცალკეულ ნოვატორ პედაგოგებზე.

ამრიგად, უზრუნველყოფილი იქნება განათლების სისტემაში არსებული ტენდენციების სტურქტურიზაცია და მთლიანად სწორი, მიზანშეწონილი მიმართულების განსაზღვრა. წაერმოიქმნება ე. წ. გამდიდრებული საგანმანათლებლო გარემო მრავალვარიანტული არჩევის შესაძლებლობით, რომლებიც თვითორგანიზაციისა და კრეატულობის კანონების საფუძველზე მოქმედებენ და ქმნიან ახალ მიზნებს, ღირებულებებს და შემოქმედებით იმპულსებს. ასეთი ახალი შემოქმედებითი გარემო თავისთავად დაცული იქნება თითქოსდა ნოვატორული, თითქოსდა რეფორმიტული ტენდენციებისაგან და დაეფუძნება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის შინაგან და არა გარეგან ტენდენციებს, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამ შინაგანი რეალისტური, ჭეშმარიტი განვითარების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულებით და მართვის დელიკატური ფორმებით. ასეთ საგანმანათლებლო სივრცეში მართვის სუბიექტი არ არის ლოკალიზებული და დაშორებული საგანმანათლებლო პროცესის მონაწილისაგან. (Князева, Курдюмов 1997; Буданов 1996; Чернавский 2002)

ამრიგად, თანამედროვე საზოგადოების დემოკრატიზაციის პირობებში განათლების სისტემის მართვა

თითქოსდა უზრუნველყოფს საზოგადოების შინაგანი განვითარების ტენდენციებს. მაგრამ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღება, მისი განხორციელება და კორექტირება ხშირად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხორციელდება. ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ განათლების მართვის სისტემა მუდამ აგვიანებს საზოგადოების მოთხოვნებთან შედარებით და ოპტიმალური ვარიანტის მოძიება ჩამორჩება ცხოვრების შეცვლილ პირობებთან მიმართებაში. ეს კი ნიშნავს, რომ განათლების მართვის სისტემა მუდმივ კონტაქტში უნდ აიყოს საგანმანათლებლო სივრცესთან და სწრაფად რეაგირებდეს შეცვლილ სოციალურ პირობებზე, რადგან ზუსტად განათლების სფერო ორიენტირებულია მომავალზე და ამიტომ, ინოვაციების პროცესში არ შეიძლება ფორმალური მიდგომა ამ საკითხებისადმი, როდესაც რეორგანიზაცია და რეფორმირება უგულებელყოფს განათლების სისტემის შინაგან სტიმულებს და საფუძველს უქმნის წინააღმდეგობებს და არა მმართველობის სისტემისა და განათლების სისტემის ურთიერთშეთანხმებას და ოპტიმალური მართვის საშუალებების მოძიებას და საზოგადოების შინაგანი მოთხოვნების გათვალისწინებას განათლების სისტემის მართვის ყველა დონეზე.

## **ლიტერატურა:**

- Буданов В.Г. Синергетика информационных кризисов. Системный анализ на пороге XXI века. М. РАГС, 1996.
- Буданов В.Г. Трансциплинарное образование, технологии и принципы синергетики. Синергетическая парадигма , М, Прогресс - традиция 2000.
- Буданов В.Г. Синергетические стратегии в образовании. Синергетика и образование. Хрестоматия, Ижевск, Изд-во Удмуртского университета, 2003.
- Курдюмов С.П. , Маленицкий Г.Г. Синергетика - теория самоорганизации, Синергетика и образование , Хрестоматия, Ижевск, Изд-во Удмуртского университета, 2003.
- Князева Е.Н., Курдюмов С.П., Антропный принцип в синергетике. Вопросы философии, 1997, №3.
- Меньшиков И.В., Санникова О.В. Харитонова В.А. Методология синергетики и моделирование развития образования. Ижевск: НИЦ « Регулярная и хаотическая динамика» 2001 г.
- Приложин И. , Стенгерс И. Порядок из хаоса М., 1986.
- Хакен Г., Синергетика, М: Мир, 1980.
- Чернавский Д.С. Синергетика и информация, Динамическая теория информации, М. Наука, 2002.

**Shorena Meskhidze**

**The Problems of the Optimization of the Management of the Education on the Basis of the Internal Stimulus of the Social Space**

**Summary**

In the article there is shown the problems of the optimization of the management of the education on the basis of the internal stimulus of the social space. There is shown that always there is internal stimulus which reflect the progressive tendencies of development of the education in the country and it is necessary to lean on this tendency in the management by corresponding research and summarising process of it.

**Шорена Месхидзе**

**Проблема оптимизации управления образованием на основе внутренних стимулов социального пространства**

**Резюме**

В статье рассматриваются проблемы оптимизации управления образования на основе внутренних стимулов социального пространства . Показано, что всегда имеются внутренние стимулы, которые отражают поступательные тенденции развития образования в стране и именно на них должно опираться управление при соответствующем изучении и обобщении.

# სასწავლო პროცესის მართვის ფინანსური თავისებურება

## შორენა მესხიძე

აღზრდა სწავლის ჩათვლით მართვადი პროცესია. იგი ძირითადად აღმზრდელს მიჰყავს-თუმცა ბოლო დროს სულ უფრო მეტად ამტკიცებენ, რომ აღზრდა და უფრო მეტად სოციალიზაცია ორმაგი პროცესია, როდესაც აღმზრდელი და აღსაზრდელი ორივე ახდენენ ერთმანეთზე ზემოქმედებას. ამის მიუხედავად საუბრობენ პედაგოგიური მართვის ავტორატიულ (ავტორიტატულ) და მეორე მხრივ დემოკრატიულ სტილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მესამე ე.წ. ავტორიტეტულ – დემოკრატიული მართვის სტილი. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოოდ არ შეიძლება ამ სტილების ერთმანეთზე უპირატესობის დადგენა, რადგან რეალურად ყოველი მათგანი საბოლოოდ იძლევა დადებით ეფექტს. ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ იმ გავრცელებულ დებულებას, რომ აღზრდის პროცესი ხელოვნებასთან, აღმზრდელის პედაგოგიურ ნიჭი, ალოზე და პიროვნულ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული და ამიტომ შეუძლებელია ხელოვნურად მართვის რომელიმე სტილის გადალება და მისი გამოყენება, თუ ჩვენ ამა თუ იმ მართვის სტილის განხორციელების შინაგანი შესაძლებლობები არ გვაქვს.

ზემოთ თქმულის მიუხედავად ნებისმიერ სტილს აქვს თავისებურებები. აღზრდის პროცესის ავტორიტატული მართვის დროს აღსაზრდელის მოთხოვნებს ინტერესებს ნაკლები უურადლება ექცევა. პედაგოგიურ საქმიანობაში აღმზრდელი ფართოდ იყენებს იმ უპირატესო-

ბებს, რომლებიც მას, როგორც აღმზრდელსა და გამოც-დილების მქონე პიროვნებას გააჩნია.

აღმზრდელის პროცესის ავტორიტატური მართვის დროს აღმზრდელი მის ბუნებრივ უპირატესობათა ძალას ეფუძვნება და შეგნებულად ცდილობს მოზარდი წაიყვანოს იმ გზით, რომელიც მას პედაგოგიური თვალსაზრისით უფრო სწორად მიაჩნია, მართვა კი ადამიანთა შეცნობასთან, ცოდნასთან არის დაკავშირებული (Шепель, 1984: 5).

თუმცა ეს სრულად არ ნიშნავს მაინც და მაინც სისასტიკეს, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია, მაგრამ მორჩილებას კი უთუოდ ნიშნავს. არც ის არის სწორი თითქოს ასეთი წესით მუშაობის დროს მოზარდის პიროვნება მისი მოთხოვნილებები და ინტერესები, არაა მხედველობაში მიღებული. არა, უბრალოდ აღმზრდელს მიაჩნია, რომ ის ზუსტად კარგად წვდება მოზარდის მოთხოვნილებებს და ინტერესებს. რათქმაუნდა ასეთ შემთხვევაში აღმზრდელს საკუთარი ტენდენციები გადააქვს აღსაზრდელზე, რაც არაპირდაპირ აღსაზრდელის პიროვნების ჩამოყალიბების ინდივიდუალური გზის იგნორირებას ნიშნავს.

ოჯახსა და სკოლაშიც საკმაოდ ხშირად ვხვდებით ისეთ აღმზრდელებს – მმობლებს და მასწავლებლებს, რომელნიც აღზრდის პროცესის ავტორიტატული მართვის გზას შეგნებულად მიჰყვებიან და ფიქრობენ: სწავლა – აღზრდის საქმეში გაცილებით მეტ წარმატებებს მიაღწევენ იმ შემთხვევაში თუ აღსაზრდელი მუდამ შიშისა და მორჩილების ქვეშ ეყოლებათ. ამ გზით ისინი ყოველთვის შეძლებენ აღსაზრდელებს აკეთებინონ ის რაც მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ. ასეთი მასწავლებლები ხშირად ამაყობენ კიდეც იმით, რომ მათ გაკვეთილზე ყო-

ველთვის აბსოლუტური წესრიგია, რომ მოსწავლეები ვერ ბედავენ თუნდაც ერთი წამით ერთმანეთისკენ-გადაიხე-დონ, ერთმანეთს რამე გადაულპარაკონ (ჩხარტიშვილი, 1974.)

შ. ჩხარტიშვილის აზრით აღზრდის პროცესის დე-მოკრატიული წესით მართვის დროს პირიქით, ამღზრდე-ლის მიერ პირველ პლანზე წამონეულია არა ის უპირატე-სობანი რომლებიც მას როგორც ამღზრდელს აქვს, არა-მედ აღსაზრდელის ძირითადი მოთხოვნილებები და ინტე-რესები და სასწავლო – სააღმზრდელო მუშაობა მათზეა დაფუძნებული. აღმზრდელი ყველა სასწავლო – სააღ-მზრდელო ღონისძიებას მოზარდის ძირითად (საზოგადო-ებრივი თვალსაზრისით მისაღებ) მოთხოვნილებებს უთან-ხმებს და ამის გამო მისთვის, ყოველგვარი გარეგანი ძალდატანების გარეშეც, მისაღებსა და სასიამოვნოს ხდის. იგი დიდი სიფაქიზით ეპყრობა მოზარდის ისეთ პი-როვნულ მოთხოვნილებას, როგორიც სოციალური პრეს-ტიუსის მოთხოვნილებაა და ამით აღსაზრდელს ყოველგვა-რი იძულების გარეშე აქცევს თავისი ძლიერი გავლენის ქვეშ.

შ. ჩხარტიშვილის ზემოთ განვითარებულ თვალ-საზრისში წინააღმდეგობაა, რადგან, თუ აღმზრდელი აღ-საზრდელს ყოველგვარი იძულების გარეშე აქცევს თავი-სი ძლიერი გავლენის ქვეშ ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ის აღსაზრდელს იმორჩილებს და სულაც არ ითვალისწი-ნებს აღსაზრდელის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

უფრო მეტად ვფიქრობთ, რომ სასწავლო პროცე-სის მართვაზე მექანიკურად მართვის ფსიქოლოგის სტი-ლების თავისებურებების გადმოტანა გაუმართლებლად მიგვაჩინა. საქმე იმაშია, რომ მართვის დემოკრატიული სტილი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ მმართველ-

თან ურთიერთობებში მყოფი პირები პრინციპში არაფრით ჩამორჩებიან მისგან, მათ ისეთივე შესაძლებლობები აქვთ და ისეთივე ბუნებრივი განვითარების დონეზე დგანან, როგორც თვით მმართველი. ამრიგად, მმართველი და მის დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანები პიროვნულ თანაბარი შესაძლებლობების პიროვნებათა ერთობლიობაა.

გვინდა ჩვენ თუ არ გვინდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანისა და ბავშვის ურთიერთობებზე. აქ ობიექტურად ერთის მხრივ პიროვნულად, სოციალურად ჩამოყალიბებულ, სოციალური ცოდნით აღჭურვილ პიროვნებასთან (აღმზრდელი) გვაქვს საქმე და მეორე მხვრივ ბავშვობის ადრეულ ასაკში არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ ზნეობრივად, სოციალურად, ესთეტიკურად ჯერ-ჯერობით არასრულყოფილად განვითარებულ ადამიანთან ბავშვთან გვაქვს საქმე. ამიტომ დემოკრატიული მიდგომა იმ გაგებით, როგორც ეს ზრდასრულ, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებელ პიროვნებასთან ურთიერთობების დროს შეიძლება იყოს გამოყენებული თითქოს არავითარი ეფექტის მომტანი არ არის.

თავისთავად დიდი ხანია მიჩნეულია, რომ ყველაზე წარმატებულია ე.ნ. ავტორიტეტულ – დემოკრატიული მართვის სტილი. ბუნებრივია, რომ ეს სტილი ასევე მეტი წარმატებით ხორციელდება ზრდასრულ ადამიანთა შორის ურთიერთობების პროცესში. ზოგჯერ ასეთი მართვას „ადამიანური მართვის“ სტილსაც უწოდებენ, რომელიც პიროვნების პატივისცემასთან არის დაკავშირებული და ამრიგად ბავშვებთან ურთიერთობებში ბავშვების მუდმივად სოციალიზაციის პროცესის გარდა ურთიერთობების ასეთი სტილი უფრო გამართლებული უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში ადვილდება ბავშვების სოციალურ გარემოს-

თან შეგუება, ისინი ზრდასრულ ადამიანებს როგორც თანატოლებს ისე აღიქვამენ, ენდობიან მათ და ამის შედეგად დაძლევენ იმ არასასიამოვნო განცდებს, რომელიც ბავშვებს შორის გავრცელებულ არასრულფასოვნების კომპლექსთან არის დაკავშირებული.

### **ლიტერატურა**

შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ; 1974.  
Шепель В.М., Управленическая психология. Экономика, М., 1984.

**Shorena Meskhidze**

### **Psychological Peculiarities of the Management of the Educational Process**

**Summary**

In the article there is discussed the psychological peculiarities of the management of the educational process. There are discussed the peculiarities of the authoritarian, authoritarian - democratic styles of the pedagogical management.

**Шорена Месхидзе**

**Психологические особенности управления учебным  
процессом**

**Резюме**

В статье рассматриваются психологические особенности управления учебным процессом. Представлены авторитативный, авторитативно-демократический стили педагогического управления и его особенности.

## **ასთენიური განცდების ექსპრიმენტული შესრულება**

### **ნათელა ემინაძე**

2009 წელს კრებულში “აჭარის სოციალურ – ეკო-ნომიკური პრობლემები”, XI, გამოქვეყნდა ჩვენი სტადია “ჯანმრთელ და სომატურ ავადმყოფ ადამიანთა ასთენიური განცდები”, რომლის გაგრძელებაა წინამდებარე სტატია (ემინაძე, 2009:141-146). სომატური წარმოშობის ფსიქოკური აშლილობების შესასწავლად გამოყენებული იყო “ასთენიური განცდების კითხვარი” (გ. ჩაგანავა), რომელიც მოიცავდა სომატურად სნეულ ადამიანთა დადებითი და უარყოფითი განცდების ამსახველ 118 ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. გამოკითხვის მიზანი იყო, გამოგვერკვია აქვს თუ არა სხვადასხვა სნეულებების დროს ავადმყოფებს ასთენიური განცდები. ამისთვის ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ბათუმის ქალაქის საავადმყოფოში, ბავშვთა საავადმყოფოში, ქობულეთის საავადმყოფოში და ბავშვთა კლინიკაში გამოკითხული იყო 35 ავადმყოფი. შედარებისათვის ჩვენ გამოვკითხეთ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 26 სტუდენტი. სტუდენტთა ეს ჯგუფი ჩვენს გამოკვლევაში საკონტროლო ჯგუფის როლს თამაშობდა. ამრიგად, მთლიანად იყო გამოკითხული 61 რესპონდენტი.

ცდისპირებს 5 ბალიანი სისტემის მიხედვით უნდა განესაზღვრათ, თუ რამდენად ახასიათებთ მათ ესა თუ ის თვისება.

**გამოკითხვის შედეგების ანალიზი**

პიროვნების ჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობი-სათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ რამდენად აკონტროლებს ადამიანი საკუთარ ემოციებს. ამ თვალ-საზრისით **დაწყნარებულობა – გალიზიანებულობა** კონ-ტროლის მაღალი დონისა და დაბალი დონის ამსახველი უნდა იყოს. ჯანმრთელ ადამიანთა ანუ საკონტროლო ჯგუფის მონაცემები არის 3,81 ბალი. როგორც მოსალოდ-ნელი იყო ავადმყოფთა საერთო მონაცემები შედარებით უფრო ნაკლებია და 3,08 ბალს უდრის. მნიშვნელოვანია, რომ თერაპიული (1,28) და გულით ავადმყოფების (3,35) მაჩვენებელი ჩამორჩება ტრამვაგადატანილთა მაჩვენე-ბელს (3,83), რომელიც საკონტროლო ჯგუფის მაჩვენე-ბელზეც კი მეტია. აქ დასტურდება, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებმა ფიზიკური ტრამვა გადაიტანეს, ისინი მაინც ფსიქოლოგიურად იმედიანად არიან განწყობილები და ამიტომ მათი მაჩვენებელი საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებელზეც უფრო მეტია. მონაცემების ასეთი სტრუქტურა გალიზიანებულობის მაჩვენებლებითაც დას-ტურდება. თუ, აქ საკონტროლო ჯგუფში გალიზიანებუ-ლობა 2,24 ბალით აღინიშნება, ტრამვირებულთა მონაცე-მები (2,74), ისევე როგორც ქირურგიულ ავადმყოფთა მო-ნაცემები (2,64), მხოლოდ მცირედით უფრო მაღალია. განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ თერაპიუ-ლი განყოფილების ქრონიკულად ავადმყოფების მონაცე-მებთან (4,5) და გულით ავადმყოფებთან (3,08) შედარე-ბით. ამრიგად, დასტურდება, რომ მძიმე ფიზიკური ტრამ-ვა არ იწვევს აუცილებლობით ხანგრძლივ და ძლიერ ფსიქოლოგიურ აშლილობას იმ დროს, როდესაც სომატუ-რი სწეულებები, როგორიც არის გულის დაავადებები (იშემიური დაავადება, სტენოკარდია, ჰიპერტონია, გულის

უკმარისობა და სხვა) მათი ხანგრძლივვადიანობის გამო იწვევენ ფსიქიკურ აშლილობებს.

უეჭველია, რომ აზროვნება პიროვნების უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს, ამიტომ **შემოქმედებითი აზროვნების** თვალსაზრისით საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლები (3,65) აბსოლუტურად ემთხვევა ავადმყოფთა ანალოგიური პროცესის მაჩვენებელს (3,65). როგორც ჩანს, ემოციური აშლილობის ზღვარზე მდგარი ადამიანები სომატური სნეულებების დროს არ კარგავენ შემოქმედებითი აზროვნების ღირებულად შეფასების უნარს, რაც პიროვნული ღირებულების შეუვალ მაჩვენებლად უნდა იყოს მიჩნეული. ასევე საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლები აზროვნების პროცესში “მიწის ტკეპნის” თვალსაზრისით (1,65) ანუ დაბალი მაჩვენებელი ავადმყოფთა ანალოგიურ და კიდევ უფრო დაბალ (1,54) მაჩვენებელს შეესატყვისება. როგორც ჩანს აზროვნების პროცესისადმი დამოკიდებულება სომატურად სნეულ ადამიანთა ცნობიერებაში არაფრით განსხვავდება ჯანმრთელ ადამიანთა დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ, თუ საკონტროლო ჯგუფში მოვლენების ზომიერად გაანილიზება 4,15 ბალს აგროვებს, ავადმყოფთა ჯგუფში ის 3,59 ბალზე მეტი არ არის. როგორც ჩანს მოვლენების ზომიერად გაანალიზების თვალსაზრისით ავადმყოფები თითქოსდა საყვედურს ეუბნებიან საკუთარ თავს პოლიკლინიკაში გვიან მისვლის გამო. ეს მართლაც ასე უნდა იყოს, რადგან მოვლენების ნაჩქარევად გაანალიზების პროცესის შეფასებისას საკონტროლო ჯგუფის მონაცემები (2,38) და ავადმყოფთა მონაცემები (2,18) არც თუ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ავადმყოფებს უფრო ნაკლები აჩქარებულობა ახასიათებთ და ეს კარგად ჩანს ტრამვირებულთა მაგალითზე, სადაც

ჩვენ გვაქვს 1,25 ბალი, ანუ მოვლენების ნაჩეარევად გაანალიზების ძალიან დაბალი დონე.

**აქტიურობა – პასიურობის** მაჩვენებლის მიხედვით საკონტროლო ჯგუფში გვაქვს 3,69, ხოლო ყველა ავადმყოფის ანალოგიური მაჩვენებელი 3,21-ს უდრის. თუმცა აქაც ისევ ტრამვირებულები გამოირჩევიან (3,91), რომლებიც არა მხოლოდ ავადმყოფებს, არამედ საკონტროლო ჯგუფის მონაცემებსაც სჯობნიან. რა თქმა უნდა, რეალურად ტრამვირებულთა უმრავლესობას არავითარი აქტიურობის გამოვლენის რეალური საფუძველი არა აქვთ, რადგან ისინი საკმაოდ მძიმე ავადმყოფებად ითვლებიან, მაგრამ მომავალს საკუთარი სიჯანსაღის თვალსაზრისით ისინი, როგორც ჩანს, გადამეტებულად აფასებენ. ეს კი, რა თქმა უნდა, იმით არის გამოწვეული, რომ მოკლე დროის განმავლობაში შემთხვევით ტრამვირებულებს არ ჩამოუყალიბდათ ისეთი განცდები, რომლებიც ფსიქოლოგიური აშლილობის ზღვარზე დააყენებდა მათ. ამავე დროს გულით ავადმყოფები და ქირურგიული ავადმყოფები, რომლებმაც ქირურგიული ოპერაცია გადაიტანეს და მათი გამოჯანმრთელება მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო (Манова-Томова, 1981: 93-99) პერიოდზე, რომელიც საკმაოდ რთულია და დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, შედარებით ნაკლები აქტიურობის მაჩვენებლებით გამოირჩევიან (ქირურგიული ავადმყოფები 2,96, გულით ავადმყოფები 2,93). საყურადღებოა, რომ ტრამვირებულები პასიურობას ყველაზე ნაკლები ბალით აღნიშნავენ (2,03) და ამით ისინი არა მხოლოდ სხვა ავადმყოფებისაგან (გულით ავადმყოფები 2,82, ქირურგიული ავადმყოფები 2,82), არამედ ჯანმრთელი ადამიანების ჯგუფისგანაც (2,29) - გამოირჩევიან.

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური აშ-ლილობის საზღვარი უშიშობისა და შიშის (ჩუგოშვილი, 2006:129 – 131; ჩაგანავა, 2004: 246 - 248) განცდების დაპირისპირებაში ვლინდება. ამ თვალსაზრისით საკონტროლო ჯგუფის უშიშობის მაჩვენებელი 3,53-ს უდრის, იმ დროს, როდესაც მთლიანობაში ავადმყოფები შედარებით ნაკლები მაჩვენებლით გამოირჩევიან, რაც ბუნებრივი უნდა იყოს ავადმყოფი ადამიანისათვის, თუმცა აქაც ტრამვირებულთა მაჩვენებლები თითქმის ისეთივეა, როგორც საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლები. როდესაც კითხვა პირდაპირ იყო დასმული, თუ რამდენად გეუფლებათ თქვენ შიში, საკონტროლო ჯგუფში მივიღეთ 2,35 ბალი. უავე ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო, ანუ ტრამვირებულთა განსაკუთრებული ოპტიმიზმის გამო, აქ შიშის უფრო ნაკლები მაჩვენებელი გვაქვს (2 ბალი), ხოლო ასევე, როგორც მოსალოდნელი იყო შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ გულით ავადმყოფებს და მთლიანობაში შიშის განცდა, რა თქმა უნდა, ავადმყოფებს უფრო მეტად ახასიათებთ.

მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია **სრულფასოვნება-არასრულფასოვნების** (Аделер, 2000: 79-82) მაჩვენებლები. თვითშეფასების საფუძველზე საკონტროლო ჯგუფის ცდისპირები საკუთარ სრულფასოვნებას 3,42 ბალით აფასებენ, ხოლო ავადმყოფთა ჯგუფი კი გაცილებით უფრო მაღალი ბალით 4,02, მათ შორის კი კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი 4,37 ტრამვირებულებს ახასიათებს. სრულფასოვნება, როგორც ფსიქიკური მდგომარეობა, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავადმყოფ ადამიანებისათვის და, ამ შემთხვევეში, ისინი არ მიდიან არანაირ დათმობაზე საკუთარი ღირებულებების შემცირების თვალსაზრისით. ეს კარგად ჩანს აგრეთვე არასრულფა-

სოვნების განსაზღვრის დროსაც, თუ საკონტროლო ჯგუფის წევრები საკუთარ არასრულფასოვნებას 1,84 ბალით აფასებენ, ავადმყოფთა ჯგუფი კიდევ უფრო მცირე ბალით აფასებს საკუთარ არასრულფასოვნებას და ის მხოლოდ 1,68 ბალს უდრის. ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ სისტემატური ავადმყოფობა, სნეულება არ იწვევს პიროვნული არასრულფასოვნების ჩამოყალიბებას, თუმცა გულით ავადმყოფების ოდნავ გაზრდილი მაჩვენებელი (1,92) შეიძლება გვაძლევდეს ჰიპოთეზის წამოყენების საფუძველს, რომ ქრონიკული ავადმყოფობის შემთხვევეში არ არის გამორიცხული არასრულფასოვნების განცდის ზრდა.

დადგინდა, რომ მძიმე ფიზიკური ტრამვა არ იწვევს ხანგრძლივ და ძლიერ ფსიქოლოგიურ აშლილობას იმ დროს, როდესაც სომატური სნეულებები, როგორიც არის გულის დაავადებები (იშემიური დაავადება, სტენოკარდია, ჰიპერტონია, გულის უკმარისობა და სხვა) მათი ხანგრძლივგადიანობის გამო იწვევენ ფსიქიკურ აშლილობებს. გაირკვა, რომ ხანგრძლივგადიანი ავადმყოფობა არ იწვევს პიროვნული არასრულფასოვნების ჩამოყალიბებას, მაგრამ გულით ავადმყოფების მონაცემები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ქრონიკულად ავადმყოფობის შემთხვევეში არ არის გამორიცხული არასრულფასოვნების განცდის ჩამოყალიბება.

## **ლიტერატურა**

6. ემინაძე, ჯანმრთელ და სომატურ ავადმყოფ ადა-  
მიანთა ასთენიკური განცდები, კრ.: აჭარის სოციალურ –  
ეკონომიკური პრობლემები, XI, გამომცემლობა “შოთა  
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2009,  
141-146 გვ.

ჩაგანავა გ. ისტორიული და სოციალური ფსიქოლო-  
გიის აქტუალური პრობლემები. “ბათუმის უნივერსიტე-  
ტი”. ბათუმი. 2004. 254 გვ.

8. ჩუგოშვილი, ფსიქიატრიული ცნობარი, მართლმა-  
დიდებელი მოძღვრებისა და სასულიერო აკადემიის სტუ-  
დენტებისათვის, თბ; 2006.

Адлер А., Психотерапия в рамках индивидуальной  
психологии и консультирования и психотерапии,  
ЭКСМО–ПРЕСС, М., 2000, 56-104 с.

Манова-Томова В.С., Пирьев Г.В., Пенушкиева Р.Д.  
Психологическая реабилитация при нарушениях поведения  
в детском возрасте. София.1981.190с.

**Natela Eminadze**

### **Experimental Study of Asthenical Experiences**

Summary

The investigation of the mental experiences of the healthy and somatically ill persons has shown that asthenical syndrome basically is appearing, when the illness has chronic nature it formats the inferiority, the phobia and the passivity.

**Натела Еминадзе**

**Экспериментальное исследование астенических  
переживаний**

**Р е з ю м е**

Изучение психических переживаний здоровых и соматически больных людей показали, что астенический синдром, в основном, проявляется тогда, когда соматическое заболевание носит хронический характер, который становится причиной неполноты, фобии, пассивности.

## განსაკუთრებული საჭიროების მქონე პავშვების სწავლება ინკლუზიურ გარემოში

### ინგა ზარანდია

“ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება და უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოიპოვოს და შეინარჩუნოს სწავლის მისაღები დონე”

(სალამანკას დეკლარაცია, 1994წ.)

„განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა”. ეს არის უფლება ისწავლო თანატოლებთან ერთად, საკუთარი შესაძლებლობების გასაცნობად, იმ რესურსების გამოსავლენად და განსავითარებლად, რომლებიც ყველა ადამიანში განსაკუთრებული და უნიკალურია და დამოუკიდებელი ცხოვრების მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება, საჭიროა საკუთარი თავის რეალიზება მოვახდინოთ, რაც საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის და თავდაჯერებულობის გარეშე შეუძლებელია. თავისმხრივ, იმისათვის, რომ საკუთარი რესურსები აღმოვაჩინოთ და გამოვცადოთ, მრავალფეროვან გარემოში უნდა შეგვეძლოს ფუნქციონირება, ამისთვის კი უნდა წარმოვადგენდეთ საზოგადოების ნაწილს, სადაც შესაძლებლობა გვეძლევა ჩვენ თვითონ დავინახოთ ჩვენი ძლიერი მხარეები და ვირწმუნოთ საკუთარი თავის.

ინკლუზიური განათლება სწორედ ამ პარადიგმას ეფუძნება: მოსწავლე – ზოგადასაგანმანათლებლო კლასი – უნარები, რაც ნიშნავს იმას, რომ მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თვითშეფასების და თივთპატივისცემის განვითარებისათვის წინაპირობას წარმოადგენს. (ა. მასლოუ).

განათლების ფუნქცია ერთმნიშვნელოვანია – ის სწორედ რომ თვითაქტუალიზაციის საშუალებაა. ძალიან ბევრ ბავშვს კი, მთელს მსოფლიოში, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ ეძღვავა შესაძლებლობა მიიღოს განათლება. სამწუხაროდ, საზოგადოებამ თვითონ გარიყა ადამიანები მათი განსხვავებული შესაძლებლობების, საჭიროებების თუ სხვა ნიშნის გამო ე.წ. “ნორმიდან” და შექმნა მარგინალური ჯგუფები, რომელთაც სხვადასხვა უფლებებს შორის “ჩამოერთვათ” განათლების მიღების შესაძლებლობა და მაშასადამე, საკუთარი თავის აქტუალიზების. 60იანი წლებიდან კი ე.წ. “ნორმალიზაციის პროცესის” შედეგად საზოგადოებამ კვლავ დაიწყო კიდისეული ჯგუფების საზოგადოებაში დაბრუნება, მივიდა რა დასკვნამდე, რომ ადამიანი მთელი თავისი განსხვავებულობით საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია და საკუთარ სოციუმში და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე. შესაბამისად, საგანმანათლებლო სისტემამ გაიარა რა გარკვეული გზა გარიყული ბავშვების განათლების სისტემაში ჩასართავად (სპეციალიზირებული სკოლები, სპეციალიზირებული კლასები, ინტეგრირებული კლასები), მივიდა ინკლუზიური განათლების დანერგვის აუცილებლობამდე, რაც ემყარება უნიკალობის და თანასწორობის პრინციპებს და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის აკომოდაციას მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, თუ სხვა მდგომარეობის მიუ-

ხედავად. აქვე ჩნდება ტერმინი “სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი”. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი, ეს არის ბავშვი, რომელსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები გააჩნია, და რომლის სოციალურ ინტეგრაციას, შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლება, რომელიც ფოკუსირებულია ბავშვების პოტენციალზე და არა მათ სისუსტეებზე, როცა სწავლება მათ საჭიროებებზეა მორგებული და არა პირიქით. ეს არის ჯანსაღი პედაგოგიკის პრინციპები, რომლითაც ყველა ბავშვი სარგებლობს, ისინიც, რომელთაც არ გააჩნიათ საგანმანათლებლო საჭიროება, ვინაიდან, ვითარდება მეთოდოლოგიები, რომლებიც აღიარებს, რომ ყველა ბავშვი თავისმხრივ ინდივიდია და ყველას განსხვავებული პოტენციალი გააჩნია, შესაბამისად შემუშავებული მეთოდოლოგიები, რომლებიც მორგებულია სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე, ხელს უწყობს ყველა ბავშვის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ყველა ბავშვს ექმნება შესაბამისი პირობები განათლებისთვის. ამდენად, ინკლუზიური, ბავშვზე ორიენტირებული განათლება ეს არის ყველა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება.

თუმცა, ხშირად ბევრი მასწვლებელი, სკოლის ადმინისტრაცია და მშობელი ნერვიულობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის შედეგებზე, თუ რა ზეგავლენას იქონიებს ეს სხვა მოსწავლეებზე. რეალობა კი ასეთია: ბავშვები კეთილგანწყობილ გარემოში სწავლობენ ერთმანეთისაგან ურთიერთობას, თანამშრომლობას, ეჩვევიან განსხვავებულობის მიღებას და პატივისცემას, ხდებიან უფრო ტოლერანტულე-

ბი, უყალიბდებათ ჯანსაღი ხედვა პიროვნულ უნიკალობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ინკლუზიური სკოლა არის სკოლის გაუმჯობესებული მიდგომა, ორიენტირებული არა მხოლოდ აკადემიურ უნარჩვევებზე, არამედ ჯანსაღი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

სამწუხაროდ, სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე ბავშვების უმრავლესობა სკოლებს მიღმა არიან, ხოლო ისინი, რომლებიც ირიცხებიან სკოლებში, ვერ დებულობენ ხარისხიან განათლებას რაც სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსის, მათ შორის ადამიანური რესურსების ნაკლებობით არის გამოწვეული, კერძოდ, ინკლუზიური განათლების საკითხებში მასწავლებლების დაბალკვალიფიციურობით.

მასწავლებლებს ევალებათ იცოდნენ ინკლუზიური განათლების თეორიული საფუძვლები და უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული უნარჩვევები, რათა ასწავლონ სხვადასხვა სახის პრობლემების მქონე ბავშვებს, ვინაიდან, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები არ წარმოადგენენ პომოგენურ ჯგუფს, რომ პრობლების გადაჭრის ერთი კონკრეტული მეთოდი ყველას მოერგოს. მათ უნდა შეეძლოთ გამოსცადონ სხვადასხვა სტრატეგიები, რათა აღმოაჩინონ ერთი, რომელიც “მუშაობს” თავიანთი კლასის მოსწავლისთვის. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგის როლი არათვალსაჩინო პრობლემების იდენტიფიცირებაში. სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის ადრეული და სწორი იდენტიფიკაცია და ინტერვენცია ხომ წინაპირობაა იმისა, რომ მიაღწიონ თავიანთ სრულყოფილ (მაქსიმალურ) ინტელექტუალურ, სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ პოტენციალს. მნიშვნელოვანია ასევე პედაგოგის როლი მშობლების მხარდაჭერასა და გააქტიურებაში, რათა გააძლიერონ მშობლის როლი

ბავშვის სწავლების პროცესში და სწავლება იყოს კომპლექსური და ეფექტური.

ამრიგად, იკვეთება მოქმედი პედაგოგების გადამზადების და ახალი კადრის მომზადების აუცილებლობა, რაშიც ძალიან დიდ როლს ასრულებენ უმაღლესი სასწავლებლები. მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების სასწავლო მოდულის დანერგვა, საუნივერსიტეტო სწავლების დონეზე მომავალი მასწავლებლებისთვის ინკლუზიური განათლების პრინციპების სწავლება, სპეციალური პედაგოგიკის საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამის გაძლიერება, ინკლუზიური განათლების აქტუალური საკითხების კვლევა, ინკლუზიური განათლებისადმი მიძღვნილი კონფერენციების ჩატარება, რაშიც მონაწოლეობას მიიღებენ პედაგოგიკის ფაკულტეტის სტუდენტები და სკოლის მასწავლებლები. ასევე მნიშვნელოვანი პრინციპია სკოლებსა და უნივერსიტეტს შორის აქტიური თანამშრომლობა, რაც გააძლიერებს როგორც სტუდენტს, როგორც მომავალ პედაგოგს, ასევე მოქმედ პედაგოგს და უნივერსიტეტს, ვინაიდან, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ მსგავსი ტიპის თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და სკოლებს შორის, საუნივერსიტეტო კურიკულუმის ძლიერ მხარეზე მიუთითებს.

უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობა ინკლუზიური განათლების საკითხებში საჯარო სკოლის პედაგოგების გაძლიერების ერთერთი ეფექტური გზა არის. ამ ბარიერის გადალახვა კი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის და ზოგადად ყველა ბავშვისთვის ხარიხიანი განათლების ხელმისაწვდომობის წინაპირობაა.

დავრწმუნდეთ, რომ ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა, წავახალისოთ

ყველას სრული თანამონაწილეობა ინკლუზიური განათლების დანერგვაში და განვითარებაში და მხარი დაცუჭიროთ განსხვავებულობას როგორც რესურსს და არა როგორც დაბრკოლებას.

ვისწავლოთ ერთად ინკლუზიურ, კეთილგანწყობილ გარემოში!

### **ლიტერატურა:**

Teaching Children with Disabilities in Inclusive Settings.  
UNESCO Bangkok, 2009.

“ინკლუზიური განათლების პრინციპები” (თამარ გაგოშიძე, თინათინ ჭინჭარაული, ქეთევან ფილაური მაია ბაგრატიონი., 2008)

“ვისწავლოთ ერთად” თათია პაჭკორია 2008

“სალამანკას დეკლარაცია” 1994

“სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის“

**Inga Zarandia**

**The Teaching of the Children with Special Requirements in the  
Inclusive Environment**

Summary

We all know that all children are unique and different, they all have different skills, they all learn in different ways and in different pace. Inclusive education, friendly and barrier free environment should be in all schools, that all children could develop their academical, social, emotional and physical potentials.

**Инга Заандия**

**Обучение детей с особыми требованиями  
в инклюзивной среде**

Резюме


Все мы знаем, что все дети уникальны и отличаются друг от друга, у них у всех есть различные навыки, они все учатся по-разному и в различном темпе. Инклюзивное образование, дружественная и свободная от барьеров окружающая среда должна быть во всех школах, что бы все дети могли развивать свои академические, социальные, эмоциональные и физические потенциалы.

## მართლცორის კოგნიტური ხეიროვსიქოლოგია

### ინგა ზარანდია

სმენითი ანალიზის სისტემა და სმენითი შესავლის ლექსიკონი შუამავლობს გაგონილი სიტყვის ცნობას და მისი მნიშვნელობის აქტივირებას სემანტიკურ სისტემაში. იმისთვის, რომ ვთქვათ სიტყვა, საჭიროა სემანტიკურ სისტემაში ამ სიტყვის ჩანაწერის ანუ მისი ფონემური ფორმის აღდგენა (მეტყველების გამოსავლის ლექსიკონიდან), ხოლო იმისთვის, რომ დავწეროთ ნაცნობი სიტყვა, რომლის მართლწერაც ვიცით, საჭიროა სემანტიკურ სისტემაში გრაფემული გამოსავლის ლექსიკონიდან ამ სიტყვის ჩანაწერის აქტივირება. (იხ. სქემა №1.) გრაფემული გამოსავლის ლექსიკონიდან აქტივირდება გრაფემათა მწკრივი (სიტყვა) ანუ ასოების გარკვეული თანმიმდევრობა. შესაბამისად თუ შეცდომებს ვუშვებთ წერაში ან მეტყველებაში მათი დაშვება გარკვეულ “დონეზე” ხდება. მაგ: სემანტიკური წერითი შეცდომები, ეს არის შეცდომები, რომლებიც აქტივირდებიან სემანტიკური სისტემებიდან; ბგერითი შეცდომები კი – აქტივირდებიან მეტყველების გამოსავლის ლექსიკონიდან.

**სქემა №1. მეტყველების და მართლწერის კოგნიტურ-ნეი-  
როფსიქოლოგიური მოდელი**



მართლწერის ამ ფუნქციონალური მოდელიდან ნათლად ჩანს კავშირები გაგონილი სიტყვის ცნობას, მეტყველებით პროდუქციასა და მართლწერას შორის.

ამ მოდელის მიხედვით, იმისთვის, რომ ფონემათა მწკრივი გადავიდეს გრაფემულ გამოსახულებაში, საჭიროა სემანტიკურ ველში გრაფემული ლექსიკონის აქტივირება. ქართულ ენაში კონკრეტული ფონემების გრაფემული გამოსახულების ცოდნა საკმარისია, იმისთვის, რომ უცნობი სიტყვა დავწეროთ, ანუ შეგვიძლია გრაფემული გამოსავლის ლექსიკონი საერთოდ არ გამოვიყენოთ და გაგებული სიტყვის ფონემები პირდაპირ გადავიყვანოთ გრაფემულ დონეზე (ვინაიდან არსებობს პირდაპირი კავშირი ფონემურ დონესა და გრაფემულ დონეს შორის). რაც შეეხება, ინგლისურ ენაში, უნდა ვიცოდეთ როგორ იწერება სიტყვა, ვინაიდან მართლწერა არ ემთხვევა გამოთქმას და აქედან გამომდინარე საჭიროა გრაფემული გამოსავლის ლექსიკონის აქტივირება, ვინაიდან ფონემური დონიდან ასოების პირდაპირი გარდაქმნით გრაფემულ დონეზე ინგლისურში ჩვენ დავუშვებთ მართლწერაში ორთოგრაფიულ შეცდომებს.

განვიხილოთ რამდენიმე პაციენტის შემთხვევა და ამ მოდელის თანახმად ვნახოთ თუ რომელი დონეა ამოვარდნილი.

X იყო პაციენტი, რომელსაც არ შეეძლო შინაგანი მეტყველების დონეზე შეედარებინა ორი სიტყვა ერთმანეთისთვის, მაშინ როცა, შეეძლო მათი სწორად დაწერა და შემდეგ შედარება. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ X პაციენტი ვერ იყენებდა მეტყველების გამოსავლის ლექსიკონს და ფონემურ დონეს.

Y იყო პაციენტი, რომელსაც არ შეეძლო მეტყველებითი რეპროდუქცია, მაგრამ ნაკლები პრობლემები

ჰქონდა მართლწერაში, ანუ მეტ-ნაკლებად იყენებდა გრა-ფემული გამოსავლის ლექსიკონს და ვერ იყენებდა მეტ-ყველებითი გამოსავლის ლექსიკონს. ამავე პაციენტს შე-ეძლო ნაცნობი სიტყვების წერა, მაგრამ არ შეეძლო მცდარი სიტყვების წერა, რადგან ფონემური დონე ჰქონ-და ამოვარდნილი, გრაფიკული გამოსავლის ლექსიკონში კი მას არ ჰქონდა ეს უცხო სიტყვები, შესაბამისად ვერც წერდა. რაც შეეხება ნაცნობ სიტყვებს, წერდა გრაფიკუ-ლი გამოსავლი ლექსიკონიდან.

იყო ასევე აღწერილი პაციენტი, რომელსაც გაგო-ნილი სიტყვის მნიშვნელობა არ ესმოდა, მაგრამ შეეძლო მისი გამეორება და სწორად დაწერა. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას ამოვარდნილი ჰქონდა სე-მანტიკური დონე. მაგრამ საინტერესოა როგორ ახორციე-ლებდა სიტყვის გამეორებას ან ნაკარნახევის დაწერას? არსებობს პირდაპირი კავშირები სმენითი შესავლის ლექ-სიკონს და და მეტყველების გამოსავლის ლექსიკონს შო-რის (იხ. სქემა №1.) ასევე პირდაპირი კავშირი მეტყველე-ბითი გამოსავლის ლექსიკონს და გრაფემული გამოსავ-ლის ლექსიკონს შორის. სწორედ ამ კავშირების გამოყენე-ბით ახორციელებდა პაციენტი სიტყვის გამეორებას და მის დაწერას მიუხედავად იმისა, რომ არ ესმოდა მისი მნიშვნელობა.

არის შემთხვევები, როცა პაციენტები უშვებენ შეცდო-მებს და არცერთ ზემოთაღნერილ დონეზე მათ ჩავარდნა არ აქვთ, ასეთ შემთხვევებში ხშირად დარღვეულია გრაფემული დონე, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ფონემის (ფონე-მათა მწკრივის) გრაფიკულ გამოსახულებაში გადაყვანა. იმის-თვის, რომ გრაფიკული დონიდან გადავიდეთ წერაზე საჭიროა კიდევ ორი დონის აღოგრაფიული (ასოების ფორმის, კონტუ-რების სივრცითი რეპრეზენტაცია) და გრაფიკული მოტორუ-

ლი პატერნის (კალმის თანმიმდევრული მოძრაობა გრაფემის ფორმის მოსახაზად) გადალახვა. თუ დაზიანება მოხდა რომელიმე ამ დონეზე შესაბამისად მართლწერაში ვუშვებთ შეცდომებს.

### **ლიტერატურა:**

Human Neuropsychology G. Neil Martin

Human Cognitive Neuropsychology Andrew W. Ellis

Cognitive Neuropsychology Ndrew W. Young

**Inga Zarandia**

### **Cognitive Neuropsychology of the Spelling Summary**

On the aforesaid “Neuropsychological Spelling Model” drop - out different level causes various errors in spelling that is good explain different errors in spelling at patients with different damages.

**Инга Зарандия**

**Когнитивная нейропсихология правописания**


**Резюме**

По вышеупомянутому “нейропсихологической модели правописания” выпадение разных уровней вызывает различные ошибки в правописании, которое хорошо объясняет различные ошибки в правописании у пациентов с различными повреждениями.

## ნათხევი

### ინგა ზარანდია

ნათხემი (cerebellum) ვითარდება IV ბუშტუკის დორსალური კედლიდან. ზემოდან დაფარულია დიდი ტვინით. ნათხემი წონაა 120-150გრ. საგიტალურ ჭრილში ის 3-4 სმ-ია, ხოლო ფრონტალურ ჭრილში 9-12ს.-ია. მიუხედავად იმისა, რომ ნათხემი თავის ტვინის წონის მხოლოდ 10%-ს შეადგენს, იგი ტვინის ნეირონების ნახევარზე მეტს შეიცავს და მისი გამტარი გზების შემადგენელი ბოჭკოების რაოდენობაც აღემატება აფერენტებსა და ეფერენტებს.



ნათხემი წონასწორობის ორგანოდან (ერთდერთი გრძნობი ორგანო, რომლის აფერენტები კოლატერალების სახით ნათხემს აღწევენ) და სენსორული შეგრძნებების მეშვეობით (ტკივილის და ტემპერატურის გარდა) მუდმივად იღებს ინფორმაციას მდებარეობის შესახებ, რაც მას

პოზისა და მოძრაობის ნატიფი კოორდინაციის საშუალებას აძლევს. ნათხემი არეგულირებს ნებით მოძრაობებს, კუნთების ტონუსს, ავტომატიას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს წონასწორობის დაცვაში. ნაწილია ექსტრაპირა-მიდული სისტემებისა.

ნათხემის ნელა განვითარებადი დაავადება პაციენტისთვის თითქმის შეუმჩნეველია (ტვინის პლასტიურობის ხარჯზე), მაშინ როცა უცებ წარმოჩენილი დაზიანება საკმაოდ მძიმე შედეგებს იწვევს: ნათხემის დაზიანების შედეგი არასდროს არ არის პარალიჩი და მგრძნობელობის დაკარგვა, ვლინდება ძირითადად კოორდინაციის დარღვევების სახით. ვითარდება თავბრუსხვევა, დგომის, სიარულის, მეტყველების, ნატიფი მოძრაობების (წერა და ა.შ.) დარღვევები. იცვლება სახის გამომეტყველება-სახე უმოძრაო ხდება (ე.ნ. ბუდას სახე).

ნათხემში არჩევენ არაწყვილად ნაწილს – ჭიას და წყვილად ჰემისფეროებს. მისი ზედაპირი დაფარულია დარებით, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფენ მცირე სხეულებს. ჭიის თითოეული უბანი ჰემისფეროს გარკვეულ წილთან არის დაკავშირებული. არჩევენ ნათხემის ორ ზედაპირს: ზემო და ქვემო.

ფილოგენეზურად ნათხემი სამ ნაწილად იყოფა: არქიცერებელუმი (ნოდულუსი+ფლოკულუსი), პალეოცერებელუმი (ჭიის ზემო ნაწილი და პარაფლოკულუსი) და ნეოცერებელუმი (ნახევარსფეროები). ნათხემის დაყოფა ფილოგენეზური ნიშნით თითქმის ემთხვევა მის დაყოფას საპროექციო ზონების მიხედვით. არქიცერებელუმი დაკავშირებულია ვესტიბულურ ბირთვებთან და მას ვესტიბულოცერებელუმს უწოდებენ; პალეოცერებელუმს კავშირები აქვს ზურგის ტვინთან და სპინოცერებელუმი ეწოდება; ხოლო ნეოცერებელუმი ხიდთანაა დაკავშირებული

(პონტოცერებელუმი). თითოეული საპროექციო ზონა ნათხემის ღრმა ბირთვების ერთ წყვილს უკავშირდება: ვესტიბულოცერებელუმი პროეცირდება კარვის ბირთვზე, სპინოცერებელუმი – ინტერპოზიტუსზე, ხოლო პონტოცერებელუმი – დაკბილულ ბირთვზე.

ნათხემის კავშირი ტვინის სხვა ნაწილებთან ე.ნ. ნათხემის ფეხების (გამტარი კონები) საშუალებით ხორციელდება.

ნათხემის ზემო ფეხი უკავშირდება ტვინის ღეროს წინა ნაწილს, შეიცავს როგორც აფერენტულ (წინა სპინოცერებელარული ტრაქტი), ასევე ეფერნტულ გზებს (ცერებელო-რუბრალური ანუ ცერებელოცერებრალური გზა). ამ გზის ბოჭკოვების მცირე რაოდენობა უკავშირდება თალამუსის ვენტროლატერალურ ბირთვს).

ნათხემის შუა ფეხი უკავშირდება ხიდს და მხოლოდ აფერენტებს შეიცავს პონტოცერებელარული გზის სახით, რომელიც შუბლის, თხემის კეფისა და საფეთქელის წილებიდან წამოსულ ინფორმაციას ხიდის ბირთვებზე გადართვის შემდეგ ნათხემს აწვდის.

ნათხემის ქვემო ფეხი უკავშირდება მოგრძო ტვინს. მის შემადგენლობაშია აფერენტები: უკანა სპინოცერებელარული ტრაქტი, ბულბოცერებელარული და ვესტიბულოცერებელარული გზები (ვესტიბულო-ცერებელარული ერთადერთი გზაა, რომელიც უშუალოდ წონასწორობის ორგანოდან წამოსულ იმპულსაციას პირდაპირ ან ვესტიბულურ ბირთვებზე გადართვით აწვდის ნათხემს). ეფერენტები: ცერებელოვესტიბულური და ცერებელოოლივარული გზები.

ნათხემის ეფერენტების თავისებურებაა ის, რომ ისინი მხოლოდ ნათხემის ღრმა ბირთვებზე გადართვის შემდეგ მიემართებიან სამიზნე სტრუქტურისაკენ, მცირე

გამონაკლისების გარდა, როდესაც უშუალოდ პურკინიეს უჯრედების აქსონები მთავრდება ვესტიბულურ ბირთვებზე.

ნათხემი შედგება რუხი და თეთრი ნივთიერებისა-გან. რუხი ნივთიერება ქმნის ნათხემის ქერქს და ღრმა ბირთვებს, ხოლო თეთრი – გამტარ გზებს. საგიტალურ განაკვეთზე თეთრი და რუხი ნივთიერება ლამაზ სურათს ქმნის, რომელსაც ნათხემის ცხოვრების ხეს უწოდებენ.

ნათხემის ღრმა ბირთვებია – კარვის ბირთვი, სა-ცობისებრი ბირთვი, ბურთისებრი (რამოდენიმე მცირე ზომის ბირთვის კომპლექსი) და დაკბილული. ლიტერატუ-რაში ხშირად ბურთისებურ და საცობისებურ ბირთვებს ერთად აერთიანებენ და Nuclei interpositus უწოდებენ. კარ-ვის ბირთვი ნათხემის ბირთვებიდან ყველაზე უფრო მე-დიალურად მდებარეობს, IV პარკუჭის კარვის თავზე გა-დამრთველი უბანია. დაკბილული ბირთვი ყველაზე დიდი და ლატერალურად განლაგებული ბირთვია.

აღსანიშნავია ნათხემის ელემენტების უჯრედული რეგულარული ორგანიზაცია: 6 ტიპის უჯრედები 3 შრე-დაა განლაგებული. პურკინიეს უჯრედების აქსონები ნათ-ხემის ერთადერთი ეფერენტული ბოჭკოებია, რომლებიც პროეცირდება ნათხემის ღრმა ბირთვებზე, ტვინის ღერო-სა და ზურგის ტვინის ბირთვებზე. რაც შეეხება აფერენ-ტებს, ნათხემში შემოსული ბოჭკოები შეიძლება ორ ჯგუ-ფად დაიყოს: ხავსისებური და მცოცავი. ეს უკანასკნელი ოლივას ბირთვიდან იღებს საწყისს და პურკინიეს უჯრე-დებზე მთავრდება; ყველა დანარჩენი აფერენტი ხავსისე-ბური ბოჭკოებითაა წარმოდეგენილი.

ნათხემის ქერქში ნეირონული გადართვა აგზნება-შეკავების რეგულირების შესანიშნავ მაგალითს წარმოად-გენს.

## **ლიტერატურა:**

Шульговский В.В. Основы нейрофизиологии. Москва.,  
2002

თ. იოსელიანი ზოგადი ნეიროფიზიოლოგია.  
თბ., 1993

Александрова Ю.И. Психофизиология Питер.СПб.  
2001

**Inga Zarandia**

### **The Cerebellum**

Resume

The cerebellum is located just above the brain stem and toward the back of the brain. It is relatively well protected from trauma compared to the frontal and temporal lobes and brain stem.

The cerebellum integrates nerve impulses from the labyrinths of the ear and from positional sensors in the muscles; cerebellar signals then determine the extent and timing of contraction of individual muscle fibres to make fine adjustments in maintaining balance and posture and to produce smooth, coordinated movements of large muscle masses in voluntary motions.

## **Инга Зарандия**

### **Мозжечок**

#### **Резюме**

Мозжечок расположен выше ствола мозга и в задней части мозга. Это часть мозга хорошо защищена от травмы по сравнению с лобными и височными долями ствола мозга.

Мозжечок объединяет нервные импульсы из лабиринта уха и от мускулов; мозжечковые сигналы определяют степень сокращения отдельных мышечных волокон, чтобы сделать точные настройки в поддержании баланса и положения и произвести гладкие, скоординированные движения мускул в свободных движениях.

## სტრესის დაძლევის პიროვნული ფაქტორები

### ქეთევან ბერიძე

თანამედროვე მეცნიერებაში სტრესს (ინგლ. stress-დაძაბვა, ზენოლა) უწოდებენ მდგომარეობას, რომელშიც ორგანიზმი იმყოფება ახალ პირობებთან შეგუების პროცესში. ამ დროს ორგანიზმი თავისებურად იძაბება და მობილიზდება, რათა შეინარჩუნოს ან ალიდგინოს ნორმალური ფუნქციონირების უნარი ახალ პირობებში. ამრიგად, სტრესი არის ორგანიზმის მიერ განხორციელებულ რეაქციათა პატერნი იმ მასტიმულირებელი მოვლენის მიმართ, რომელიც ურღვევს წონასწორობას, გამოცდას უწყობს მას ან აღემატება მისი დაძლევის უნარს~. კანადელი ფიზიოლოგი ჰანს სელიუ, ვინც მეცნიერებაში შემოიტანა ეს ცნება, ხაზგასმით მიუთითებს, რომ რამდენადაც ცოცხალი ორგანიზმის არსებობის შინაგანი და გარეგანი პირობები განუწყვეტლად იცვლება, ამდენად ცოცხალი ორგანიზმი თითქმის მუდმივად სტრესულ მდგომარეობაშია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სტრესი ზოგადად, სრულიადაც არაა რაღაც განსაკუთრებული და ექსტრემალური მდგომარეობა. სტრესი სიცოცხლის განუყრელი ნიშანია. იგი უზრუნველყოფს ყოველი ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას, მის ცვალებადობას პირობების ცვალებადობის შესაბამისად.

სტრესი შეიძლება გამოიწვიოს როგორც უარყოფითმა, ისე დადებითმა მოვლენამ. სტრესის დროს იცვლება ადამიანის ბიოლოგიური და ფსიქიკური პროცესები. სუსტი, ანუ

მცირე სტრესი ადამიანმა შეიძლება ვერც შეამჩნიოს, მაგრამ. ამგვარი ცვლილებები ახლავს ყოველდღიურ მოთხოვნილებებს და ემოციებს. ძლიერი, ანუ დიდი სტრესი შეუმჩნეველი არ რჩება, იგი მოიცავს მთელ პიროვნებას, რის შედეგადაც შეიძლება განვითარდეს იშემია, სისხლის ჩაქცევა, აფექტი, მძიმე დეპრესია, სრული ამნეზია, პიროვნების გაორება და ცვლილებები, რომელმაც შეიძლება სიკვდილიც კი გამოიწვიოს. ასეთი ცვლილებების მიზეზი, ძირითადად, არის ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე ცვლილება ადამიანის ცხოვრებაში.

არსებობს ფაქტორები, რომლებიც ეხმარება ადამიანს სტრესის დაძლევაში. განვიხილოთ სტრესის დაძლევის პიროვნული ფაქტორები.

პიროვნული თვისებები მნიშვნელოვნად განაპირობებს სტრესის განვითარებას. ზოგიერთი ადამიანი ადვილად უმკლავდება სტრესულ მდგომარეობას, ზოგიერთს უჭირს მასთან გამკლავება და შესაძლებელია დასახმარებლად სპეციალისტსაც კი მიმართოს. განვიხილოთ ის პიროვნული თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია სტრესის აღმოცენებაზე და მასთან გამკლავებაზე, კერძოდ ქცევითი ტიპი, თვითშეფასება, კონტროლის ლოკუსი, სიმტკიცე, შფოთვა.

**ქცევითი "A" ტიპი** - არიან ადამიანები, რომლებიც ყოველთვის დაკავებული არიან, ყოველთვის სადღაც ეჩქარებათ. ასეთები არიან მაგალითად, ადმინისტრატორები. მათ მაგიდაზე ყოველთვის ბევრი ქაღალდია, ისინი მუშაობენ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგაც. ქცევის A ტიპი - "ესაა პიროვნული თვისებების განსაკუთრებული ერთობლიობა, რომელთა შორისაც არის შეჯიბრის დაუოკებელი

წყურვილი, აგრესიულობა, მოუთმენლობა”, ასევე ”თავისუფლად მიმდინარე, მაგრამ რაციონალური მტრული დამოკიდებულება და პრაქტიკულად ყოველთვის ღრმად დამალული დაუცველობა. ქცევის B ტიპი წარმოადგენს საპირისპირო ქცევით პატერნს, ქცევის B ტიპის ადამიანები არ ავლენენ მტრულ დამოკიდებულებას, არ ჩქარობენ და არ იწვიან შეჯიბრების სურვილით. ქცევის A ტიპის ადამიანებში აღმოჩნდა უფრო მეტი გულის იშემიური დაავადების მქონე, ვიდრე ქცევის B ტიპის ადამიანებში. ქცევის A ტიპის ადამიანთა შორის არიან მწეველები და მათ სისხლში არის ქოლესტერინის დიდი რაოდენობა. მაშინაც კი, როცა ეს ფაქტორები არაა გამოხატული, ქცევის A ტიპის ადამიანები უფრო მიდრეკილი არიან გულის იშემიური დაავადებისკენ, ვიდრე ქცევის B ტიპის ადამიანები. გარდა ამისა, მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ინფარქტგადატანილებში განმეორებითი შეტევის ალბათობა უფრო მეტია ქცევის A ტიპის ადამიანებში, ვიდრე ქცევის B ტიპში. ქცევის A ტიპის ადამიანებში ინფაქტი მიმდინარეობს უფრო მძიმედ, ვიდრე ქცევის B ტიპში, მაგრამ აუხსნელი მიზეზებით, გულის შეტევის შემდეგ გადარჩენის შანსი უფრო აქვთ ქცევის A ტიპის ადამიანებს, ვიდრე ქცევის B ტიპს. ქცევის A ტიპი დამახასიათებელია, როგორც მამაკაცებისთვის, ისე ქალებისთვის და ერთნაირად აზიანებს ორივეს ჯანმრთელობას. ქალებისა და A ტიპის ქცევის გვიანდელი კვლევები უჩვენებს, რომ არსებობს კავშირი ქცევის A ტიპსა და ფსიქოსომატიკას შორის. ასევე შემჩნეულია, რომ ქცევის A ტიპის ქალებს ებადებათ ბავშვები, რომლებიც ასევე ეკუთვნიან ქცევის A ტიპს. ოღონდ

ქცევის A ტიპი არ წარმოადგენს ქცევითი პატერნების უბრალო ნაკრებს, რომელიც იწვევს გარკვეულ დაავადებას. ზოგიერთ გამოკვლევაში საერთოდ არ იქნა აღმოჩენილი არავითარი კავშირი A ტიპის ქცევის პატერნსა და სიკვდილიანობას ან კარდიოლოგიურ განყოფილებაში მოთავსებას შორის. პირველ რიგში, ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ ქცევის A ტიპი, ისევე როგორც ქცევის ნებისმიერი სხვა ტიპი, ბავშვს გადაეცემა მშობლებიდან, რომლებიც ყოველთვის აჩქარებენ ბავშვებს, დროზე გაიწმინდონ კბილები ან დაწვენენ დასაძინებლად; მასწავლებლებისაგან, რომლებსაც სურს, რომ მოსწავლეებმა დავალება შეასრულონ მითითებულ დროში, უფროსებისაგან (დირექტორები), რომლებიც ითხოვენ, რომ თანამშრომელმა გააკეთოს რაც შეიძლება მეტი - დასავლურ საზოგადოებაში ქცევის A ტიპი მაღალი ღირებულებისაა. დადგენილ იქნა, რომ A ტიპის მამების ვაჟებიც ყალიბდებიან A ტიპად. თითოეული ცდილობს მოიქცეს ისე, რომ მისი ქცევა მოიწონონ. სინამდვილეში საჭიროა, მოვიწონოთ ქცევის B ტიპი და იგნორირება გაუკეთოთ A ტიპის ქცევას. A ტიპის ქცევის მოდიფიკაციის ერთ-ერთი საშუალება შეიძლება იყოს ყოველკვირეული რეალისტური მიზნებისა და თითოეული მიზნის მიღწევისთვის ჯილდოს სიის შედგენა. ასევე შეიძლება იმ ქცევითი თვისებების სიის შედგენა, რომლისგანაც ადამიანს სურს გათავისუფლება და სასჯელის სიის შედგენა, თუ ეს თვისებები დროულად არ იქნება ლიკვიდირებული.

### **თვითშეფასება.**

ადამიანის ქცევაზე გავლენას ახდენს ის წარმოდგენა, რომელიც მას გააჩნია

საკუთარი თავის შესახებ. თუ

ადამიანს საკუთარ თავზე აქვს ცუდი წარმოდგენა, მაშინ იგი არ ენდობა საკუთარ გადაწყვეტილებებსა და მოსაზრებებს და ამდენად, ძლიერად იქნება დამოკიდებული სხვა ადამიანებზე. ამასთანავე, იგი შეეცდება, თავისი ქცევა ააწყოს იმ ადამიანთა ქცევაზე, რომლებთანაც ხშირად აქვს ურთიერთობა. თვითპატივისცემის გრძნობის ნაკლებობას არც თუ იშვიათად მიყყავართ ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებამდე, მოუწესრიგებელ სქესობრივ ცხოვრებამდე და სხვა ნეგატიურ შედეგებამდე. მაღალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს იშვიათად აქვთ მსგავსი პრობლემები. თვითშეფასება დაკავშირებულია თვითდამტკიცებასთან, წარმატებასთან, საკუთარი თავის რწმენასთან. თვითშეფასება საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ადამიანის თვითშეფასებაზე მოქმედებს ის, თუ როგორ აფასებენ მას მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები და უფროსები და ლოგიკურია, რომ წარმატება ამაღლებს თვითშეფასებას, ხოლო წარუმატებლობა – ადაბლებს მას. სტრესის მართვის მთავარ არსს წარმოადგენს საკუთარი თავისა და მიღებული გადაწყვეტილებების რწმენა, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს მოახდინოს საკუთარი ცხოვრების კონტროლირება.

### **კონტროლის ლოკუსი.**

კონტროლის ლოკუსი ესაა - საკუთარ ცხოვრებაზე პიროვნული კონტროლის ის აღქმული ზომა, რომელსაც ადამიანის აზრით, იგი ფლობს. კონტროლის გარეგანი ლოკუსის მქონე ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ მცირე გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე, მაშინ როცა შინაგანი ლოკუსის მქონე ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ შეუძლიათ საკუთარი ცხოვრების

კონტროლირება. კვლევები აჩვენებს, რომ გარეგანი ლოკუ-  
სის ადამიანებს - ექსტერნალებს-აქვთ საკუთარი ცხოვრე-  
ბის კონტროლირების ნაკლები მიღრეკილება, რადგან არ  
სჯერათ, რომ ამას აქვს რაიმე აზრი. მაგალითად, აღმოჩნდა,  
რომ გარეგანი ლოკუსის მქონე ავადმყოფები და პატიმრები  
დიდად არ ინტერესდებოდნენ იმ დაწესებულებით, რომელ-  
შიაც ისინი იმყოფებოდნენ და იძლეოდნენ ნაკლებ შეკით-  
ხვებს, ვიდრე შინაგანი ლოკუსის მქონე ანუ ინტერნალები.  
სხვა კვლევებში გამოჩნდა, რომ არსებობს კავშირი სიმსუქ-  
ნესა და გარეგან ლოკუსს შორის. სავარაუდოდ, მსუქან ადა-  
მიანებს ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი თავის კონტროლი-  
რება და უფრო ეყრდნობიან გარეშე ვითარებებს, ვიდრე ისი-  
ნი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გავლენას ახდენენ საკუთარ  
ცხოვრებაზე. ინტერნალები ჭამენ მხოლოდ მაშინ, როცა  
მშივრები არიან და არა იმიტომ, რომ ხედავენ რაღაც გემრი-  
ელს. აღმოჩნდა, რომ მწეველების უმეტესობაც არის ექ-  
სტერნალი. ისინი დამოკიდებული არიან ნიკოტინზე და სრუ-  
ლებით არ ფიქრობენ იმაზე, რომ შეიძლება მოწევისთვის  
თავის დანებება და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. გა-  
საგებია, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავისი ცხოვრების რა-  
ღაც სფეროს კონტროლირება, მაგრამ არ შეუძლიათ სხვა  
სფეროს კონტროლი. აზარტული თამაშების მიხედვითაც კი  
ექსტერნალები და ინტერნალები განსხვავდებიან ერთმანე-  
თისგან. აღმოჩნდა, რომ ექსტერნალები ამჯობინებენ ისეთ  
თამაშებს, რომელიც დაკავშირებულია გამართლებასთან,  
ხოლო ინტერნალებს ურჩევნიათ ის თამაშები, რომლებიც  
დაკავშირებულია მოსაზრებულობასთან. ექსტერნალები -  
ბინგო და რულეტკა, ხოლო ინტერნალები - პოკერი და

ბლეკჯეკი. ხშირად ადამიანს იმაზე მეტად შეუძლია თავისი ცხოვრების კონტროლირება, ვიდრე მას მიაჩნია, მაგრამ მეორე მხრივ, არასწორია მოსაზრება, რომ იგი აკონტროლებს მთელ თავის ცხოვრებას. ჯონ ბერტი დარწმუნებულია, რომ ყველა ადამიანი არის საკუთარი ცხოვრების თანაავტორი, მას შეუძლია რაღაცის კონტროლირება, რაღაცის – არა და ზოგი ადამიანი ვერ ხედავს ამათგან ერთ-ერთს, ანუ ბევრი დარწმუნებულია იმაში, რომ მათ საერთოდ არ მიუწვდებათ ხელი კონტროლზე. ისე როგორც თვითპატივისცემა, კონტროლის ლოკუსიც ყალიბდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და შეუძლებელია მისი ერთ დღეში შეცვლა, მაგრამ ამ კონცეფციის გაცნობა ადამიანს აძლევს მართლაც დიდ შესაძლებლობებს. მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როცა ამ თეორიის გაცნობის შემდეგ ადამიანმა შეძლო იმის დანახვა, რომ მას მართლაც შეუძლია საკუთარი ცხოვრების საკმაოდ გაკონტროლება და თავი დაანება მოწევას. უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი რამ – კონტროლის გრძნობის გაჩენასთან ერთად მოდის პასუხისმგებლობის გრძნობა. ექსტერნალები თავის წარმატებასაც და წარუმატებლობასაც მიაწერენ გარეგან ძალებს და გარემოებებს, ინტერნალები კი თავის წარმატებაზე და წარუმატებლობაზეც პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე. ადამიანი ვალდებულია პასუხი აგოს თავის ქცევაზე, თუ თვითონ წყვეტს, როგორ მოიქცეს.

### **შფოთვა.**

სპილბერგერის განმარტებით, შფოთვა – ესაა დაძულობის სუბიექტური გრძნობა, რომელსაც თან ახლავს ნეგატიური აზრები, ნერვიულობა, მოუსვენრობა, ასევე ავტო-

ნომიურ ნერვული სისტემის აქტივაცია. ზოგიერთი შფოთვას უწოდებს ირაციონალურ შიშს, რომელიც გამოიხატება ფიზიკურ აგზნებაში და თან ახლავს რაღაცისგან გაქცევის ან თავის არიდების სწრაფვა. სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს არ შეუძლია გაუმკლავდეს ხელისშემშლელ შფოთანობას. ამიტომ ზოგიერთი ღებულობს ნარკოტიკს, სვამს ან სხვანა-ირად ცდილობს თავისი მდგომარეობის შეცვლას, რათა გა-ექცეს შემაშფოთებელი სტიმულების ზემოქმედებას. თუმცა, ცხადია, რომ ესაა პრობლემის მხოლოდ დროებითი გადაწყვეტა, ხოლო მათი შედეგები კი მავნეა ადამიანისთვის: იგი არამარტო არ თავისუფლდება შფოთიანობისაგან, არამედ დამატებით ხდება ნარკოტიკებზე დამოკიდებული. ჯეროლდ გრინბერგმა შეიმუშავა შფოთიანობის დაძლევის გარკვეული ტექნიკები, რომელთაგან ერთ-ერთს ჰქვია ”გარემოსთან შეგუება.” მაგალითად, თუ ადამიანი შფოთავს ტელევიზიით გამოსვლის წინ, ავტორი ურჩევს, რომ უფრო ადრე მივიდეს სტუდიაში, გაიარ-გამოიაროს, რითაც იგი ეჩვევა ამ ადგილს და იგი ეჩვენება ნაკლებად საშიშად და შესაბამისად, დაბლდება შფოთიანობის დონე. შემდეგი ტექნიკაა ”სახელის გადარქმევა.” მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა ფოკუსირება უნდა გააკეთოს შემთხვევის დადებით ასპექტებზე და არა უარყოფითზე. მაგალითად, თუ სტუდენტი იტანჯება საგამოცდო შფოთვით, უკეთესია განიხილოს არა როგორც ჩაჭრის შესაძლებლობა, არამედ როგორც ახლის გაგების ან თავისი ცოდნის გამოვლენის შანსი. ”საუბარი საკუთარ თავთან” - ამ ტექნიკისთვის აუცილებელია ობიექტურობა. ადამიანმა უნდა ჰქითხოს საკუთარ თავს, თუ რა რეალური საფრთხე იმალება იმ სიტუაციაში, რომელიც მას აშ-

ფოთებს. ჩვეულებრივ, რეალური საფრთხე არის საკმაოდ უმნიშვნელო და ნეგატიური შედეგის ალბათობა მცირეა. ”აზრების გაჩერება” - ეს მარტივია. როცა თავს იჩენს ნეგატიური აზრები, შეიძლება მათი უბრალოდ გაჩერება. იმისათვის, რომ ადამიანმა ისწავლოს აზრების შეჩერება, მან უნდა აითვისოს კუნთების ღრმა რელაქსაციის ტექნიკა. როცა თავს იჩენს შემაშფოთებელი აზრები, ადამიანმა საკუთარ თავს უნდა უთხრას, რომ არ მისცემს ამ აზრებს განვითარების საშუალებას და უნდა გამოიყენოს რელაქსაციის ტექნიკა. კუნთური რელაქსაციის ალტერნატივას წარმოადგენს ნეგატიური, ნაკლებ რეალური აზრების შეცვლა უფრო რეალისტურით. გარდა ამისა, არსებობს შფოთიანობის დაძლევის სხვა ტექნიკებიც, რომელთა ავტორებიც არიან იოზეფ ვულპე (სისტემატური დესენსიბილიზაცია) და ალბერტ ელისი (ABCDE ტექნიკა). სისტემატური დესენსიბილიზაციის მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: შფოთვის გამომწვევი სიტუაციის განცდისას ან წარმოსახვისას ადამიანმა უნდა გამოიმუშაოს რეაქცია, რომელიც შეუთავსებელია შფოთვასთან (მაგალითად, მოდუნდეს). ამ ტექნიკის გამოსაყენებლად ადამიანმა უნდა შეადგინოს შიშის გამომწვევი სიტუაციების იერარქია. ეს იერარქია წარმოადგენს პატარა ნაბიჯების თანმიმდევრობას (როგორც მინიმუმ 10), რომლებსაც თანდათანობით მივყავართ შფოთვის გამომწვევ სიტუაციამდე. ამ მეთოდის გამოყენება ადამიანს შეუძლია შედარებით უსაფრთხო პირობებში იმის წარმოდგენით, რომ იგი აეროპორტშია (პასიური დესენსიბილიზაცია) ან შეუძლია მისი გამოყენება რეალურ სიტუაციაში.

ABCDE ტექნიკის ავტორი – ელისი ამტკიცებს, რომ შფოთვა – ესაა ირაციონალური რწმენების შედეგი. ელისის აზრით, ადამიანები დარწმუნებულები არიან შემდეგში: პირველი – ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყოთ კომპეტენტური, ადექვატური და წარმატებული; მეორე – ყოველთვის და ყველას უნდა ვუყვარდეთ და მოვწონდეთ; მესამე – თუ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, ეს საშინელებაა და კატასტროფა. ადამიანი განიცდის წარუმატებლობას, ან რაღაცას ისე ვერ აკეთებს, როგორც საჭიროა და შედეგად, უკითარდება ირაციონალური რწმენები, რომელსაც თუ კარგად დავუფიქრდებით, არა აქვს არავითარი საფუძველი. ელისი მიაჩნია, რომ ადამიანმა უნდა შეისწავლოს ისინი და შეძლებს მათთან გამკლავებას.

### სიმტკიცე.

გამოკვლევებში გამოვლენილია მიზეზები, რომლებიც აბრკოლებს სტრესის გამო ავადმყოფობის განვითარებას ზოგიერთ ადამიანთან, მაგრამ არ მოქმედებს სხვებზე. კობაზამ აღმოაჩინა სამი ფაქტორი, რომელთა არარსებობა განასხვავებს დაავადებისაკენ მიღრეკილ ადამიანებს დანარჩენებისაგან: მოვალეობა, კონტროლი, ამტანიანობა. **მოვალეობა** (ვალდებულება) - ესაა ”ტენდენცია მთლიანად მიეცე შენს საქმეს, როგორიც არ უნდა იყოს იგი“; **კონტროლი** - ტენდენცია იფიქრო და მოიქცე ისე, თითქოს შეგიძლია მოვლენებზე გავლენის მოხდენა. **ამტანობა** - ესაა იმის რწმენა, რომ ცხოვრებისათვის დამახასიათებელია ცვლილებები და რომ ცვლილებები - ესაა პროგრესის და პიროვნული განვითარების მამოძრავებელი ძალა. ძირითადი აზრი

მდგომარეობს იმაში, რომ ცვლილებები უნდა აღიქვათ, როგორც გამოწვევა და არა როგორც მუქარა. ადამიანებს, რომლებსაც ახასიათებთ ეს თვისებები, უწოდებენ მტკიცეს, რადგანაც მათ შეუძლიათ სტრესისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ნერვული შერყევების გამო ისინი არც ისე ხშირად ხდებიან ავად. მეცნიერებმა ჩატარეს კვლევები და დაადგინეს, რომ ვალდებულებას, კონტროლსა და ამტანობას ადამიანის ჯანმრთელობისათვის აქვს ბუფერული ეფექტი. სიმტკიცის კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ ჩატარდა კვლევათა რიგი, რომლებმაც დაამტკიცეს ვალდებულების, კონტროლისა და ამტანობის გავლენა სიმტკიცეზე და ეს ეხება სხვადასხვა ჯგუფებს: რეზერვისტებს, სკოლის მასწავლებლებს, მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებს, ახალწერებულებს თუ სტომატოლოგიური კლინიკის პაციენტებს. სიმტკიცე გავლენას ახდენს წმინდა ფსიქოლოგიურ მაჩვენებლებზე. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ იგი ამცირებს ფსიქოლოგიური დისტრესის ხარისხს, აძლიერებს ბედნიერების განცდას ოჯახში და საქმიანობაში და ამაღლებს ადაპტურობას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა მეცნიერი ერთნაირად არის დარწმუნებული იმაში, რომ სიმტკიცე ადამიანს იცავს ავადმყოფობისაგან. ისე როგორც სხვა რთული მოვლენების შემთხვევაში, ჯანმრთელობაზე სიმტკიცის გავლენის დიაგნოსტირება რთულია. მაგალითად, ფანჯრა გააკეთა დასკვნა იმის შესახებ, რომ სიმტკიცე არაა დამოუკიდებელი მოვლენა და პირიქით, მოწმობს ცხოვრებასთან ცუდ შეგუებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, სიმტკიცის შესწავლა დღემდე გრძელდება.

## **ლიტერატურა**

Дж. Гринберг. Управление стрессом. Питер, 2002.  
Д. Майерс. Психология. Минск, 2001.  
თ.ნანებიშვილი. ქცევის ფსიქოფიზიოლოგია, თბილისი,  
2003.

[www.lossofsoul.com/STRESS/index.htm](http://www.lossofsoul.com/STRESS/index.htm) -проект о Жизни,  
**30.12.2010**

**Ketevan Beridze**

### **Personal Factors of the Stress**

#### **Summary**

The human personality has a significant influence on the development of the stress. Some persons easily overcome stressful condition, while others are hampered in his face. Internaly oriented persons more successfully cope with stress than externaly oriented.

**Кетеван Беридзе**

**Личностные факторы преодоление стресса**

**Резюме**

На развитие стресса значительное влияние оказывают личностные свойства человека. Некоторые люди легко преодолевают стрессовые состояния, в то время, как другие затрудняются в его преодолении. Интерналы более успешно преодолевают стресс, чем экстерналы.

## **როგორი და ლოგიკური დონეები ხეირო ლიგვისტურ პროგრამირებაში**

### **ქეთევან ბერიძე**


მოგეხსენებათ, რომ ჩვენი რწმენები ძალიან დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ქცევებზე. სასიამოვნოა იმაზე ფიქ-რი, რომ თუ ადამიანს მართლა სჯერა ის აუცილებლად მი-აღწევს მიზანს, მაგრამ თუ მას შეუძლებლად მიაჩნია ამის მიღწევა ვერანაირი ძალა ვერ დაარწმუნებს მას იმაში, რომ ეს ყველაფერი პირიქითაა. ისეთი რწმენები, მსჯელობები, როგორიცაა: „უკვე ძალიან დაგვიანებულია“, „ვერაფერს ვერ გააწყობ, „აქ მე უძლური ვარ“, „მე-გარემობის მსხვერ-პლი ვარ“ და ა.შ. ადამიანს ხელს უშლის წინსვლაში. ადამიან-თა უმრავლესობა აღიარებს, რომ მათი რწმენების სისტემა როგორც პირდაპირ ისე ირიბად მოქმედებს მათ ჯანმრთე-ლობაზე.

ჩვენს ქცევაზე გავლენას ახდენს ასევე სხვა ადამია-ნების მსჯელობები და რწმენები ჩვენს შესახებ, რომლის და-დასტურება შესაძლებელია ორიგინალური გამოკვლევის სა-ფუძველზე. კერძოდ, ბავშვებზე ჩაატარეს ტესტირება რათა დაედგინათ მათი გონებრივი განვითარების დონე, შეარჩიეს საშუალო გონებრივი განვითარების მქონე ბავშვები, რომ-ლებიც გაანაწილეს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფი მიაბარეს მას-წავლებელს როგორც „განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოე-ბული“ მოსწავლეები, ხოლო მეორე ჯგუფი სხვა მასწავლე-ბელს მაგრამ, როგორც „გონებრივად ჩამორჩენილთა“ ჯგუ-ფის მოსწავლეები. ერთი წლის შემდეგ ისევ შეამოწმეს მათი

გონებრივი განვითარების დონე. აღმოჩნდა, რომ ბავშვების უმრავლესობა, რომელიც ჩაირიცხა „ნიჭიერთა“ ჯგუფში მაღალი ქულები მიიღეს, ხოლო მეორე ჯგუფში კი პირიქით მოხდა, მოსწავლეებმა დაბალი ქულები აჩვენეს. მაშასადამე, მასწავლებლის დარწმუნებამ მოსწავლეების შესაძლებლობებში გავლენა იქონია მოსწავლეებზე. როგორც ვხედავთ, ჩვენს რწმენას შეუძლია ჩვენი გონებრივი შესაძლებლობების განსაზღვრაც კი, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის, სოციალური კავშირების, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ცხოვრებისეული წარმატებების განსაზღვრაც.

ადამიანის გამოცდილებას აქვს იერარქიული დაწყობილი სისტემა. აღქმა და ცალკეული ფაქტების ფიქსირება პირად გამოცდილებად ექვემდებარება მკაცრ კანონზომიერებებს ამ კანონზომიერებას აქვს ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელსაც ლოგიკურ დონეებს უწოდებენ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება ვილაპარაკოთ 5 ძირითად საფეხურზე: 1. გარემო, ეს შეიძლება იყოს როგორც შეზღუდვა; 2. ქცევა და რეაქციები, შეგნებული მოქმედება; 3. შესაძლებლობები და უნარები, სტრატეგია და მდგომარეობა. გეგმები და რუქები; 4. ღირებულებები და ფასეულობები, რწმენები. რის უფლებას ვაძლევ ჩემს თავს და მოტივაცია. გაუცნობიერებელი რეაქციები; 5. იდენტურობა. მისია, ვინ ვარ მე. ადამიანი მარტო ვერასოდეს ვერ შეძლებს ამ გზის გავლას და მას სჭირდება დახმარება ამ გზაზე. რობერტ დილტსი ამბობს, რომ: 1. გარემოში ადამიანს სჭირდება ასისტენტი და გზამმკვლევი ანუ მრჩეველი, რომელმაც ეს გზა მანამდე გაიარა. ეს დახმარება არის გარემოს დონეზე; 2. ქცევის დონეზე - ადამიანის ეხმარება ადამიანი; 3. უნარები,

შესაძლებლობები - მასწავლებელი, რომლის გამოც ჩვენ თვითონ ვსწავლობთ; 4. ღირებულებები და ფასეულობები, მრნამსი - მენტორი, ადამიანი, რომელიც ძალიან ავტორიტეტული იყო ჩვენთვის, რომლის ღირებულებები და ფასეულობები იქცა ჩვენთვის ღირებულად; 5. მე-იდენტურობა - სპონსორი ადამიანი, რომელმაც მოგვცა უპირობო სიყვარული, დაგვიჯერა. ყველა ჩვენთაგანს გვყავს: ასისტენტი, გზამკვლევი, ტრენერი, მასწავლებელი, მენტორი, და სპონსორი.



ეს ლოგიკური დონეები სულაც არ არის ჩაკირულ მდგომარეობაში, ის იცვლება. გარემო არის ყველაზე ზედა-

პირული, ის ადვილად იცვლება, ჩვენ როცა ქცევაზე ვლაპა-რაკობთ ისიც სხვადასხვანაირია და დამოკიდებულია გარე-მოზე. გარემოს შეუძლია შექმნას ემოცია. სწორედ შექმნილი ემოცია მოქმედებს უნარებზე, შესაძლებლობებზე და ა.შ. ხო-ლო ის, თუ როგორ ვიქცევი მე ეს დამოკიდებულია ჩემს უნა-რებზე და შესაძლებლობებზე, უფრო საინტერესოა ის, რომ ჩვენი უნარების გამოყენებაზე ძალიან დიდ გავლენას ახ-დენს გარემო, გარემო თუ არის კეთილგანწყობილი არის მე-ტი ალბათობა ჩემი შესაძლებლობების გამოყენების და რო-ცა ხდება პირიქით ითრგუნება ჩვენი შესაძლებლობები. რო-ცა ხდება ღირებულებების მკვეთრი ცვლილებები ახალგაზ-რდაში არის შინაგანი კონფლიქტები, ამიტომ სერიოზული მუშაობა არის ჩასატარებელი, რომ მოხდეს კონსესუსი. ლო-გიკურ დონეებში ცვლილებებისას ადგილი აქვს ცვლილე-ბებს სომატურ დონეზე და პირიქით. მაგალითად, თუ პრობ-ლემებია მე-ს იდენტურობაში, მაშინ დარღვეულია იმუნური და ენდოკრინული სისტემა.

ამრიგად, როცა ადამიანი განიცდის რაიმე სირთუ-ლეს, დაბრკოლებას, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ საიდან მო-დის ეს გართულება გარემოს კონტექსტიდან? თუ მიზეზი იმაშია, რომ მას არ შეუძლია ისეთი ქცევა განახორციელოს, რისი საშუალებითაც გაუმკლავდება ამ კონტექტს? თუ მი-ზეზი იმაშია, რომ მას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი სტრატეგია ან სამყაროს მოდელი, რუქა, რომელიც დაეხმა-რებოდა მას ამ ქცევის განხორციელებაში? თუ ეს იმიტომ ხდება, რომ რომ მას აქვს ღირებულებათა კონფლიქტი, რო-მელიც გავლენას ახდენს მის მთლიანად ცხოვრებაზე ან კონკრეტული შედეგის მიღწევაზე? თუ ეს გართულება და-

კავშირებულია იდენტურობასთან, რომელიც მთლიან სისტემაზე ახდენს გავლენას? ამ განსხვავებების ცოდნა სასარგებლოა ნებისმიერი ადამიანისთვის.

### **ლიტერატურა**

1. Р. Дилтс., Изменение убеждений с помощью НЛП., Москва 1997.
2. М. Эриксон., Мой голос останется с вами., Москва 2007.

**Ketevan Beridze**

### **Nature of Belief and Logical Levels in NLP**

#### **Summary**

Our beliefs have a tremendous impact on our behaviour. Everyone has beliefs, resource, and along with that-beliefs, impeding movement forward. From the psychological point of view, you can talk about the 5 main levels: 1. The external environment, 2. The conduct, actions, 3. Abilities, 4. Beliefs and values, 5. identity. When a person has any difficulty, we should determine what level from comes this glitch.

**Кетеван Беридзе**

**Природа убеждения и логические уровни в НЛП**

**Резюме**

Наши убеждения оказывают огромное влияние на наше поведение. У каждого есть убеждения, служащие ресурсом, и наряду с этим – убеждения, сдерживающие движение вперед. С психологической точки зрения, можно говорить о 5 основных уровнях: 1. внешнее окружение, 2. поведение, поступки, 3. способности, 4. убеждения и ценности, 5. идентичность. Когда человек испытывает какое-либо затруднение, то нам следует определить, из какого уровня приходит данное затруднение.

## ფსიქოლოგიური პრაქტიკის ჩატარების პროცესები

### მარინა მასხულია

ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს (მაგისტრანტების) პრაქტიკიკა საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო) ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. პრაქტიკის მიზანი და მოცულობა განისაზღვრება საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამის საჭიროებით.

ფსიქოლოგიური პრაქტიკა მოიცავს შემდეგ ნაწილებს

I სასწავლო-გაცნობითი პრაქტიკა

1.დაწესებულების ფსიქოლოგის მუშაობის სისტემის გაცნობა: მიზნები, ამოცანები, ძირითადი მიმართულებები, ფორმები და მეთოდები;

2.პროფესიული ეთიკის ათვისება;

3.ფსიქოლოგიის მუშაობის სპეციფიკა - საგანმანათლებლო, საკონსულტაციო, სოციალურ - საინტერვენციო;

4.ფსიქოლოგის პროფესიული პოზიციის, ქცევის სტილის ანალიზი;

5.ფსიქოლოგის სამუშაო ადგილი (კაბინეტის) ორგანიზაციისადმი მოთხოვნების გაცნობა. დოკუმენტაციის წარმოებისადმი მოთხოვნები;

6.ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის პროცედურაშიპასიური მონაწილეობა: დიაგნოსტიკური მუშაობის პროცესზე დაკვირვებისა და ოქმის დაწერის უნარის შემუშავება. მიღე-

ბული მონაცემების ანალიზი, ფსიქოლოგიური დასკვნის, სა-მომავლო ფსიქოლოგიური მუშაობის დაწერგვა;

7.ფსიქოლოგიური ინტერვენციის პროცედურაში სტუ-დენტების პასიური მონაწილეობა: საინტერვენციო სამუშაო-ების მსვლელობაზე დაკვირვება და ოქმის დაწერა, მიღებუ-ლი შედეგების ანალიზი, შემდგომი ფსიქოლოგიური სამუშა-ოების დაგეგმარება.

II მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროში პრაქტიკა

1.სტუდენტი ეცნობა ფსიქოლოგიის კაბინეტს, მოწყო-ბილებას;

2.ორგანიზაციის ფსიქოლოგიურ დოკუმენტაციას;

3.ფსიქიკის მუშაობის ძირითადი მიმართულებების ამოცანებისა და მიზნების გაცნობა: а) დიაგნოსტიკა  
ბ) ინტერვენცია - განვითარებული მუშაობა,  
გ) საკონსულტაციო მუშაობა,  
დ) ფსიქოლოგიური პროფილაქტიკა.

პრაქტიკის დამთავრებისას სტუდენტი ამზადებს შემ-დეგ დოკუმენტებს:

1.პრაქტიკის პერიოდში გავლილი, შესასრულებელ სა-მუშაოს გეგმას;

2.მასალები, რომლებიც მირებული იქნა პრაქტიკის პე-რიოდში: ფსიქოლოგიური გამოკვლევის ოქმი; განმავითარე-ბელი ან საინტერვენციო მუშაობის ---; მასალები ფსიქოლო-გიური პროფილაქტიკის შესახებ (მასალების შესრულებული უნდა იყოს დაწესებულების ფსიქოლოგის ან პრაქტიკის ხელმძღვანელის დავალების შესაბამისად).

3.პრაქტიკის ანგარიში:

- ა. პრაქტიკის პროდუქტიულობა;
- ბ. პრაქტიკის სირთულეები;
- გ. შენიშვნები და წინადადებები პრაქტიკის ჩატარებაზე.

III პრაქტიკა სასწავლო დაწესეულებაში

1. უმაღლეს სასწავლებელში მირებული თეორიული ცოდნის განმტკიცება და გალრმავება

2. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე დაკვირვება, გაანალიზება, დასკვნების გაკეთება

3. დამოუკიდებლად სასწავლო-აღმზრდელობითი  
მუშაობის დაგეგმვა

4. მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელების, კლას-გარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის გაცნობა და მონაწილეობის მიღება

5. მოსწავლის პიროვნების შესწავლა

6. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან დადებითი კონტაქტებისა და ურთიერთობების დამყარების უნარის შემუშავება

7. მასწავლებლების სამუშაო გეგმის გაცნობა, გაკვეთილებზე დასწრება

8. სხვადასხვა ტიპის გაკვეთილის (კომბინირებული, ახალი ცოდნის გადაცემის, ცოდნის განმტკიცების, გამოყენების, შემოწმების, პრაქტიკული მეცადინეობების, სასემინარო მუშაობის) მსველელობის გაანალიზება, მეთოდური თავისებურებების, აღმზრდელობითი ღირებულების, პროფესიული მიმართულების, მოსწავლეთა გონებრივი საქმიანობის აქტივიზაციის აღნიშვნა.

9. სკოლის ფსიქოლოგის სამუშაოს გაცნობა და მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება

### სასწავლო წლის მუშაობის სანიმუშო გეგმა (პრაქტიკის განმავლობაში)

თვე	მუშაობის შინაარსი
ოქტომბერი	პრაქტიკის ბაზის, მოსწავლეების, მასწავლებლების გაცნობა. პრაქტიკული ფსიქოლოგიის მუშაობის გაცნობა
ნოემბერი	დაწესებულების მოთხოვნით დაკვირვებისა და ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის ჩატარება
დეკემბერი	ფსიქოლოგიური დიაგნოსტირების შედეგების გაფორმება, ფსიქოლოგიური დასკვნების შედგენა
იანვარი	საპროექტო ფსიქოლოგიური სამუშაოების დაგეგმვა
თებერვალი	ფსიქოლოგიური დიაგნოსტირების ჩატარება დაწესებულების მოთხოვნით. საპროექტო ფსიქოლოგიური სამუშაოს ჩატარება
მარტი	ფსიქოლოგიური დიაგნოსტირების ჩატარება დაწესებულების მოთხოვნით. საპროექტო ფსიქოლოგიური სამიშაოების ჩატარება
აპრილი	პრაქტიკის შესახებ საანგარიშო დოკუმენტების შედგენა. კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება

ფსიქოლოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელის რეცენზიის (გამოხმაურების) ნიმუში

ფსიქოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა (სახელი, გვარი) გაიარა პრაქტიკა (სკოლის №, დასახელება, ადგილმდებარეობა) და მონაწილეობას ღებულობდა სკოლის ფსიქოლოგიის საქმიანობის სხვადასვება სფეროში.

ჩაატარა დიაგნოსტიკური სამუშაო დაწყებით კლა-  
სებში. სტუდენტმა მატემატიკურად დაამუშავა მირებული  
შედეგები. სამუშაოს მიზანი იყო ბავშვების ფსიქიკური პრო-  
ცესების ანალიზი. პარალელურად სტუდენტი აკვირდებოდა  
მოსწავლებს გაკვეთილის მსველობისას, რათა შეეფასებიან  
ნებისყოფითი ყურადღების, მოტივაციისა და ქცევის თავი-  
სებურებები.

სკოლის ადმინისტრაციის დავალებით სტუდენტმა  
ჩაატარა უფროსკლასელთა დიაგნოსტირება შფოთიანობისა  
და აგრესიულობის შესასწავლად. ამჟამად კეთდება წინასწა-  
რი დასკვნები.

სკოლის ფსიქოლოგთან ერთად ღებულობდა მონა-  
წილეობასუფროსკლასელთა პროფორიენტაციის პროგრა-  
მის შემუშავებაში და უახლეს პერიოდში დაიწყებს მუშაობას  
ამ მიმართულებით უფროსკლასელთა დიაგნოსტირებისა და  
კონსულტირებისათვის.

ჩვენ აღვნიშნავთ სტუდენტის (სახელის, გვარი) მა-  
ლალ პროფესიულ მომზადებას, ინიციატივას და შემსრუ-  
ლებლობას. კომუნიკაბელურობას და პიროვნული მომზადე-  
ბა საშუალებას აძლევს სტუდენტს აღვილად დაამყაროს ურ-  
თიერთობები მასწავლებთან, რაც პრაქტიკის წარმატებით  
დასრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სკოლის დირექტორი

(სახელი, გვარი)

ფსიქოლოგი

(სახელი, გვარი)

რიცხვი

ბეჭდი

**IV არასასწავლო დაწესებულებაში პროფესიული პრაქტიკა**

1. მიზანი - მუშაობის თავისებურებების გაცნობა
2. აქტიურად მიიღო მანონილეობა ფსიქოლოგიური მუშაობის პროცედურაში: პიროვნების ფსიქოლოგიური განვითარების დიაგნოსტირება; დიაგნოსტიკის შედეგების გაფორმება; შემდგომი მუშაობის დაგეგმვა;
3. ფსიქოლოგის პრაქტიკული პოზიციის, მრნამსის, ----, პროფესიული ეთიკის ათვისება;
4. ორგანიზაციის/დაწესებულების ფსიქოლოგის კალენდარული გეგმის შესაბამისად მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

**V სემესტრი - კვლევითი და საკვალიფიკაციო პრაქტიკა**

მიზანი: სააუდიტორო და დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდში მირებული ცოდნის განმტკიცება, გაფართოება და გაღრმავება

პრაქტიკის ძირითადი ამოცანები:

1. ფუნდამეტალური, პერიოდული ლიტერატურისა და მეთოდური მასალების შესწავლა, რომელიც მუშავდება სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომში;
2. სტუდენტის მიერ შერჩეული კვლევითი თემის აქტუალურობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის დადასტურება
3. საკვალიფიკაციო ნაშრომში გამოსაყენებელი პრაქტიკული მასალის შეგროვება, სისტემატიზაცია და განზოგადოება

4. Сტუდеნტთა კონკურენციისათვს ტეზისების ან გამოსაქვეყნებელი სტატიების მომზადება

პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება ინდივიდუალური პროგრამით, რომელიც მუშავდება სტუდენტის მიერ მეცნიერ ხელმძღვანელტან ერთად. თემა დაკავშირებული უნდა იყოს გამოსაშვებ საკვალიფიკაციო ნაშრომთან და გულისხმობს სიტემატურ ანგარიშგებას შესრულებულებული სამუშაოს შესახებ.

### **ლიტერატურა**

1. Положение об учебной и производственной практиках студентов государственного образовательного учреждения высшего профессионального образования. Елецкий государственный университет им. И. А. Бунина. <http://vashpsixolog..ru>;

2. Методика по психологу – педагогической практике (РБ). <http://vashpsixolog.ru>;

3. Программа ознакомительной практики студентов специальности 050716 – специальная психология. <http://www.igpu.ru>

**Marina Maskhuliâ**

**Problems of Psychological Practice  
Summary**

In the article there are shown the problems of psychological practice. The author offers various methods of psychological practice.

**Марина Масхулия**

**Проблемы проведения психологической практики**

**Резюме**

В статье показаны проблемы проведения психологической практики. Автор предлагает различные методы проведения психологической практики.

## კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპიის თავისებურებები

გურამ ჩაგანავა

ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის მიმართულების უმნიშვნელოვანესი კონცეფციად შეიძლება მიჩნეული იქნეს კარლ როჯერსის კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპია.

კარლ როჯერსის (Carl Renson Rogers: 1902 წლის 8 იანვარი - 1987 წლის 4 თებერვალი) ამერიკელი ფსიქოლოგი ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (აბრაჰამ მასლოუსთან ერთად). კარლ როჯერსის ფსიქოლოგიური მიდგომა, პრაქტიკა და იდეები გულისხმობენ ადამიანის შინაგანი შესაძლებლობის მასქსიმალურ რეალიზაციას. როჯერსის მოძღვრებამ ნოყიერი ნიადაგი ნახა არა მხოლოდ ფსიქოლოგიაში, არამედ აგრეთვე პედაგოგიკაში, სოციალურ მუშაობაში, იურისპრუდენციაში. გამოიყენება ეს იდეები პოლიტიკაში, მრეწველობაში, არმიაში, რელიგიურ მუშაობაში, თანამედროვე ფილოსოფიაში და თეოლოგიაში. კარლ როჯერსი ამტკიცებს რომ ადამიანის ორგანიზმში და პიროვნებაში არსებობენ პოზიტიური ძალები, რომლებიც განაპირობებენ ჯანმრთელობას, განვითარებასა და სრულყოფას. როჯერსი თვლის რომ საკუთარი კომპეტენტურობისა და განვითარების დონის მიღწევა არ არის ყოველთვის გაცნობიერებული.

ზუსტად საკუთარი კომპეტენციების დონის მიღწევა ანდა ამ მიმართულებით მოძრაობა ქმნის პიროვნების მთლიანობის განცდას, თვითკმაყოფილების განცდას და განარიდებს ფსიქოლოგიურ პრობლემებს, შფოთიანობის მდგომარეობას, დაუკმაყოფილებლობას, ნევროზებს.

თერაპევტის მთავარი მოვალეობაა კლიენტთან მე-გობრული, შემოქმედებითი კონტაქტის დამყარება და ფსიქოლოგიური დაცულობის ატმოსფეროს შექმნა, სადაც კლიენტი თვითონ დაიწყებს საკუთარი ჭეშმარიტი „მე“-ს შესაძლებლობების გამოყენებას. ზუსტად ეს დაეხმარება მას საკუთარი თავისა და სხვების რეალურ ჭრილში ობიექტივაციას. თერაპევტმა უარი უნდა თქვას თერაპევტის როლზე და ურთიერთობაში პროფესიული მანერისა და ტერმინების უგულებელყოფით გადავიდეს უბრალო და ბუნებრივი აზრებისა და გრძნობების გამოვლენაზე.

მკურნალობის ძირითადი საკითხები:

ძირითადი საკითხები

1. არის თუ არა კლიენტი სტრესის მდგომარეობაში,

სტუდენტი შეიძლება არ განიცდის საკუთარი დაბალი მოსწრების გამო, სანამ უფროსების მხრიდან დასჯის საშიშროება არ გამოიწვევს მასში სტრესს.

ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში აღვიქვამდით კონფლიქტს, როგორც შინაგან, ფსიქიკურ ფენომენს, იმ დროს როდესაც მრავალ შემთხვევაში კონფლიქტი წარმოიშვება გარკვეული სოციალური მოთხოვნით, რომლებიც წინააღმდეგობაში შედიან ინდივიდის მოთხოვნილებებთან.

სანამ იქნება მიღწეული თერაპევტული ეფექტი, დაძაბულობა რომელიც კონფლიქტით არის განპირობებული

განსაზღვრავს ავადმყოფურ მდგომარეობას და ის წინააღმდეგობაში მოდის იმ სტრუსთან რომელიც დაკავშირებულია ამ კონფლიქტის გადაწყვეტასთან, ფსიქოთერაპიასთან. ამრიგად ფსიქოთერაპია მაშინ იქნება წარმატებული, როდესაც ის ნაკლები დაძაბულობის გამომწვევი იქნება კლიენტისათვის.

## 2. სურს თუ არა კლიენტს დახმარება?

წარმატების ეფექტი იზრდება თუ კლიენტს სურს დახმარების მიღება

## 3. არის თუ არა ინდივიდი ოჯახის კონტროლის გარეშე

თუ ბავშვის ემოციურად დამოკიდებულია მშობლებზე, თერაპია რომელიც მხოლოდ ბავშვზე არის მიმართული ხშირად არ არის ეფექტიანი. კლიენტს უნდა ქონდეს საშუალება, შესაძლებლობა და უნარი შეცვალოს თავისი სიტუაცია, როდესაც ის მიაღწევს ამა თუ იმ დონის ინსაიტს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მუშაობა მშობლემთან, რომ მშობლებმა და ბავშვებმა ერთად შეცვალონ სიტუაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია წინააღმდეგობების ზრდა ბავშვებსა და მშობლებს შორის. შესაძლებელია მშობლის ეჭვიანობა. ანალოგიური შეიძლება იყოს სასწავლებელ-შიც. მაგრამ აქ წარმოიშვება კონფლიქტი საზოგადოებაზე და საზოგადოებრივ ნორმაზე დამოკიდებულის გამო, რაც ადამიანში აგრეთვე ქმნის დაძაბულობას.

## 4. შეესატყვისება თუ არა კლიენტი ასაკით, ინტელექტით და სტაპილურობით თერაპიის პროცესს.

ძირითად კლიენტების შერჩევისას არსებობს ტენდენცია ისეთების შერჩევისა, რომლებსაც აქვთ ნორმალუ-

რი გონებრივი შესაძლებლობები. უფრო იშვიათად უნიშნავენ თერაპიას დაბალი განვითარებისა ან დაბალი განვითარების საზღვარზე მდგომ ადამიანებს, როდესაც ფსიქოთერაპია ნაკლებ ეფექტიანი ხდება.

ასაკი - 50 წლის ზემოთ ძალიან დეტალურად არის საჭირო ფსიქოთერაპიის შესაძლებლობების განხილვა, რადგან მისი ეფექტიანობა ამ შემთხვევაშიც მცირდება ასაკის მომატებასთან ერთად. ოთხი წლის ასაკში უპირატესობა სათამაშო თერაპიას ენიჭება, ხოლო 10 წლამდე ვერბალური თერაპია იშვიათად გამოიყენება. ფსიქიკური არასტაბილურობის მქონე კლიენტები - ფსიქოპათიები, გონებრივად ჩამორჩენილები, თავის ტვინის ტრამვის მქონე პირები აგრეთვე ნაკლებ შეესატყვისებენ ფსქოთერაპიის კურსის პროცედურას.

### 5. ანამნეზი

სრული ანამნეზი კლიენტის სოციალური ყოფისა და კულტურულ ფაქტორების შესახებ საჭიროა სრული დიაგნოსტირებისათვის. მაგრამ ზოგჯერ ავადმყოფის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ართულებს ფსიქოთერაპიას.

როდესაც ჩვენ ვდილობთ სრული ანამნეზი მოვიპოვოთ, მაშინ კლიენტს რჩება შთაბეჭდილება, რომ თერაპევტი იღებს პასუხისმგებლობას მკურნალობაზე. მაგრამ თუ ასე არ არის და ჩვენ ანამნეზის მიღების შემდეგ ვცდილობთ პასუხისმგებლობა დავაკისროთ პაციენტს, ის ამას მიღებს ისე, რომ ჩვენ ვცდილობთ ავიცილოთ პასუხისმგებლობა.

6. კონსულტირება როგორ უნიკალური ურთიერთქმედება

1. თერაპიული ურთიერთოებები არ არის მშობლებსა და ბავშვს შორის ურთიერთობა, მათი ღრმა ემოციური კავშირურთიერთობებით;
2. თერაპიული ურთიერთოებები არ არის მეგობრული ურთიერთობა სადაც სრული ურთიერთგაგება, მიღებისა და გაცემის სურვილის ტენდენციები მოქმედებენ;
3. თერაპიული ურთიერთოებები არც მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობაა, სადაც ხელმძღვანელი და დაქმედებარებული გამოიყოფა და თავიდანვე გარკვეულია, რომ ერთი ასწავლის, მეორე კი სწავლობს და აქცენტი ინტელექტუალურ სფეროზე კეთდება;
4. თერაპიული ურთიერთოებები არც ექიმისა და პაციენტის თერაპიაა, სადაც არსებობს ექსპერტული დიაგნოსტიკა და დირექტიული მოთხოვნები ექიმის მხრივ;
5. თერაპიული ურთიერთოებები არც კოლეგიალობაა (თუმცა მისი ელემენტები არსებობს);
6. თერაპიული ურთიერთოებები არც ბელადისა და მისი მიმდევარის ურთიერთობებია;
7. თერაპიული ურთიერთოებები არც მღვდლისა და მრევლის ურთიერთობებია.

არა ეს არის სპეციფიკური ურთიერთობა, თუმცა ზოგჯერ თერაპევტები გადადიან ერთ-ერთ ზემოთ აღნიშნულ ფორმაზე.

მაგ. ფრონიდიზმში ანალიტიკოსი ღებულობს საკუთარ თავზე მშობლის როლს. ოღონდ ეს არის მშობელი, რომელსაც შეიძლება ყველაფერი მოუყვე და არ გეშინია რომ დაგსჯიან.

7. თერაპიაული უთირთობების ძირითადი ასპექტები  
1. სითბო და თანაგრძნობა კონსულტანტის მხრიდან. აქ  
აფექტური კავშირია განსაზღვრულ საზღვრებში. განსაკუთ-  
რებული ინტერესი კლიენტის მიმართ და ემოციურად ჩარ-  
თულობა. კლიენტი მგრძნობიარია კლიენტის მოთხოვნების  
მიმართ, მაგრამ უნარი აქვს გააკონტროლოს საკუთარი  
იდენტიფიკაცია, საკუთარი თავი.

2. გრძნობების გამოვლენის საკმაო თავისუფლება, რო-  
დესაც თერაპევტი ღებულობს კლიენტის ყველა გამოთქმას,  
ზნეობრივი უკუშეფასებითი მსჯელობის გარეშე.

#### 8. გარკვეული შეზღუდვები

ა. კლიენტი შეიძლება მივიდეს ან არ მივიდეს სეანსზე,  
დააგვიანოს, ილაპარაკოს ტყუილა-უბრალოდ რათა განერი-  
დოს რეალურ ფაქტებს, მაგრამ არ შეუძლია უფრო მეტი  
დრო წართვას კონსულტანტს ვიდრე ეს არის განსაზღვრუ-  
ლი;

ბ. პატარა ბავშვმა შეიძლება გატეხოს სათამაშო, გამო-  
ავლინოს ნებისმიერი გრძნობა, მაგრამ არ შეიძლება გატე-  
ხოს ფანჯარა ანდა თავისი დესტრუქციული ტენდენცია გა-  
იტანოს ჰოლში ან საერთოდ კაბინეტის გარეთ;

9. ნებისმიერი იძულებისა თუ ზემოქმედებისაგან თავი-  
სუფლება

#### 10. არადირექტიული კონსულტირების პროგრამა

1. კონსულტანტი უნდა უსმენდეს მოასაუბრეს მოთმი-  
ნებით და კეთილგანწყობით და ამავე დროს ოდნავ კრიტი-  
კულად;

2. კონსულტანტი არ უნდა ავლენდეს არანაირ ძალაუფ-  
ლებას;

3. კონსულტანტი არ იძლევა რჩევას ანდა მორალური ხასიათის შენიშვნებს;

4. კონსულტანტი არ უნდა ედავებოდეს კლიენტს;

5. კონსულტანტი უნდა საუბრობდეს და იძლეოდეს კითხვებს მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების დროს;

ა. რათა დაეხმაროს კლიენტს გამოთქვას თავისი აზრი;

ბ. რათა განარიდოს კლიენტი რაიმე შიშისაგან ან შფორტისაგან;

გ. რათა შეაქოს კლიენტი საკუთარი აზრებისა და გრძნობების სწორად გადმოცემისათვის;

დ. რათა მომართოს საუბარი იმ საგნებზე, რომლებიც გამოტოვებული ანდა უარყოფილი იყო კლიენტის მიერ;

ე. რათა განიხილოს გარკვეული მომენტები, თუ ეს აუცილებელია.

## 11. ფარული განზრახვები

დირექტიული მეთოდი გულისხმობს, რომ კონსულტანტი ირჩევს სასურველ და სოციალურად მისაღებ მიზანს, რომელსაც უნდა მიაღწიოს კლიენტმა. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ კონსულტანტი - ისეთი პიროვნებაა, რომელიც მაღლა დგას კლიენტზე, რადგან თვლის რომ კლიენტს არ აქვს უნარი მიიღოს სრული პასუხისმგებლობა საკუთარი მიზნის არჩევისა.

არადირექტიული მეთოდი -ეფუძვნება ვარაუდს, რომ ადამიანს აქვს უფლება შეარჩიოს საკუთარი ცხოვრებისეული მიზნები, მაშინაც კი როდესაც ისინი განსხვავდებიან იმათგან, რისი შეთავაზება შეუძლია კონსულტანტს. აგრეთვე იგულისხმება, რომ თუ ინდივიდს აქვს საკუთარი თავისა

და საკუთარი პრობლემების გააზრების საშუალება, ის, უფრო მოსალოდნელია, რომ მიიღებს გონიერ გადაწყვეტილებას.

არადირექტიული მეთოდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ყოველი ინდივიდი იყოს ფსიქოლოგიურად დაოუკიდებელი და ამტკიცოს საკუთარი ფსიქოლგიური მთლიანობა.

დირექტიული ჯგუფი ცდილობს მთელი ძალისხმევა მიმართოს პრობლემაზე, რომელსაც გამოხატავს კლიენტი. თუ პრობლემა წყდება იმ სახით, რომელსაც მხარს უჭერს კონსულტანტი და თუ სიმპტომები გაუქმებულია - კონსულტირება წარმატებულია. არადირექტიული ჯგუფი აქცენტს აკეთებს კლიენტზე და არა პრობლემაზე. თუ კლიენტი თერაპიული ურთიერთობებით აღწევს ისეთ მდგომარეობას, რათა გაიგოს საკუთარი ურთიერთობები რეალურ გარემოსთან, მან შეიძლება შეარჩიოს რეალობასთან ადაპტაციის ადეკვატური საშუალება, რომელსაც აქვს მისთვის უმაღლესი ღირებულება. ის უფრო უკეთ დაძლევს პრობლემებს, მომავალში ზუსტად საკუთარი თავის უკეთესად გაცნობიერების გამო და საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის გამოცდილების მიღების ზრდის გამო.

## 12. კონსულტირების პროცესი

1. ემოციური განთავისუფლება - ემოციების განვითარება აზრების, განწყობების, გძნობების, ემოციურად შეფერადებული იმპულსების გახსნაა.

2. განთავისუფლების სტიმულირება.

ა. კლიენტი როგორც საუკეთესო გიდი;  
თერაპიულ პროცესში კლიენტისათვის არ არის საჭირო  
საკუთარი თავის დაცვა. ამიტომ რეალური დაბრკოლებები  
კლიენტის ცხოვრებაში თხრობის დროს ცხადი ხდება.

კლიენტის ზოგიერთი პრობლემა არის ინტელექტუა-  
ლური და ისინი არ მოითხოვენ კონსულტანტის ჩარევას. თუ  
მას არ შერუძლია ამოცანის გადაჭრას, ვერ ხვდება რა გან-  
სხვავებაა კრეტინსა და მონგოლოიდს შორის - აქ ფსიქოლო-  
გია ვერაფერში დაეხმარება - მას დამატებით ცოდნა ესაჭი-  
როება.

მაგრამ შეგუების პრობლემა იშვიათად არის ინტელექ-  
ტუალური პრობლემა. თუმცა ბავშვებთან გვხვდება ინტე-  
ლექტუალური პრობლემა შეგუებისას. ზრდასრულ ადამია-  
ნებში კი მთავარია გაუცნობიერებელი ემოციური ფაქტორე-  
ბი.

სტუდენტი ვერ ირჩევს პროფესიას. ორივე თანაბარი  
ღირეულებებისაა. ასევე ვერ ირჩევს ინსტიტუტს და სხვისი  
სტიმულირებით ირჩევს. გაირკვევა, რომ მისთვის თვითონ  
მერყეობას აქვს ღირებულება.

ფსიქოანალიტიკური პრინციპი - „ყველა გზა რომში  
მიგვიყვანს“ ანუ ემოციური განთავისუფლების ნებისმიერი  
საშუალება გვეხმარება ძირითადი კონფლიქტის აღმოჩენას.

ბ. რეაქცია გრძნობებზე და არა აზრობრივ შინაარსზე  
მხოლოდ ბავშვები და პოეტები ავლენენ გრძნობების  
უფრო ღრმა გაგებას. ერთი დრამატურგი ამბობს - ემოციუ-  
რი შედგენილობა შემადგენელი ნაწილია ჩვენი ნებისმიერი  
გამოთქმისა.

### 13. რეაქცია ამბივალენტურ გრძნობებზე

ზოგჯერ ფსიქოლოგი ივიწყებს რომ არსებობს ამბი-  
ვალენტური გრძნობები. სიყავრული და სიძულვილი, სიმპა-  
თია და ანტიპათია „გესმის რომ უნდა დასაქმდე კომერცია-  
ში, მაგრამ სინამდვილეში მოგწონს მუსიკა; გაბრაზებული  
ხარ მამაზე, მაგრამ მაინც გიყვარს ის“, „არ მოგწონს ჯგუფი,  
მაგრამ გინდა გახდე მისი წევრი“.

ასეთი ამბივალენტობის მიღწევა, უკვე ნიშნავს, რომ  
საქმე წინ მიდის, რადგან არ არის შეზღუდული ერთი პოლუ-  
სის გრძნობით.

თუ კონსულტანტი ხაზს გაუსვამს მხოლოდ დამოკი-  
დებულებას მშობლების მიმართ, რთული იქნება პოზიტიური  
გრძნობების გამოვლენა კლიენტისათვის.

ამიტომ ამბივალენტური გრძნობები უნდა გახდეს  
მსჯელობის საგანი, ისევე როგორც ნეგატიური თუ პოზიტი-  
ური. . ხშირად ეს წინააღმდეგობა არის კონფლიქტის არსი.  
მაგალითად, მამა სძულეს, რადგან ის აკრიტიკებდა შვილს  
და არასრულფასოვნება თითქოს იმიტომ ჩამოუყალიბდა,  
მაგრამ აღფრთოვანებულია მისი მეცნიერული მიღწევებით.  
ამ გრძნობების გამოვლენამ გაანთავისუფლა კლიენტი შინა-  
განი კონფლიქტებისაგან.

#### 14. კონსულტანტის მიმართ დამოკიდებულება

პოზიტიური ემოციები - დრო არ ყოფნის კლიენტს.  
ამბობს რომ თვითონ უნდა გახდეს ფსიქოლოგი. ასეთი და-  
მოკიდებულება მყარდება, როგორც თერაპიის პროცესის,  
ისე თერაპევტის მიმართ.

ნეგატიური დამოკიდებულება კონსულტირების მიმართ შეიძლება გამოვლინდეს დაგვიანებით, სეანსის შეწყვეტით, შეუძლებლობით იმსჯელოს საკუთარ პრობლემებზე - შეიძლება ცნობიერებაში შემოვიდა ისეთი მასალა, რომელთანაც შეხვედრას განერიდება კლიენტი და გადაწყვეტილება ავადმყოფურად მიიღება. ასეთი სიტუაცია უნდა ვალიაროთ. აქ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს წინააღმდეგობა სულაც არ არის აუცილებელი კომპონენტი, რადგან ამ შემთხვევაში, კლიენტი, ჯერ არ მომწიფდა ემოციური განწყობის შესახებ სამსჯელოდ.

### 15. რისკები თერაპიის პროცესში

არასისტემური, ერთჯერადი შეხვედრების დროს არ არის მოწესრიგებული პროცესი. კონსულტანტი არ არის დაწმუნებული რომ პროცესი კარგად მიმდინარეობს, ყველაზე საუკეთესო გზაა მივცეთ კლიენტს საშუალება თვითონ ილაპარაკოს.

### 16. დაფარული გრძნობების გამოაშვარავება

ვერბალურად თერაპევტი უნდა ადასტურებდეს მხოლოდ იმ გრძნობებს, რომლებიც გამოთქმულია.

ხშირად განწყობა (ემოციური) იმალება მის სიტყვებში და კონსულტანტს შეუძლია მათზე მსჯელობა, მხოლოდ დაკვირვების საფუძველზე. თუ ისინი არ არიან ძლიერ დათრგუნული - თერაპიის პროცესი დაჩქარდება. მაგრამ, თუ ასეთი გრძნობები ითრგუნება კლიენტის მიერ, მათი კონსულტანტის მიერ ხსენება შეიძლება იქნეს აღქმული როგორც სერიოზული საშიშროება კლიენტისათვის, რაც წარმოშობს წყენას და წინააღმდეგობას.

### 17. უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი შეცდომები:

კონსულტანტი არ არის ზუსტი კლიენტის ემოციური მდგომარეობისა და შეგრძებების განსაზღვრაში.

კლიენტი უარყოფს ასეთ დებულებას და შეიძლება ფსიქოლოგმა მოიხადოს ბოდიში. მაგრამ განმეორება ცუდია, რადგან კლიენტი იფიქრებს, რომ მას ყურადღებით არ უსმენდნენ.

სირთულეებს იწვევს ისიც, როდესაც კლიენტის მეტყველება სწეულებასთან არის დაკავშირებული, გაუგებარია. ასეთ შემთხვევაში ისეთი ფრაზები „მე მგონი, მე რაღაც არ მესმის“, ... ხშირად იწვევს შემდგომ ემოციურ განმუხტვას.

### 18. სპეციფიკური პრობლემები

ა. წინააღმდეგობის გამწევი კლიენტი.

როდესაც ჩანს ანტოგონიზმი გაჩუმებაში, საუბარში ფსიქოლოგის მიმართ. წინააღმდეგობის აღიარება კონსულტანტის მიერ კონტაქტის მიმართ, კლიენტის მხრივ, მეტწილად ნეიტრალიზაციას უკეთებს ამ გრძნობას, როგორც ბარიერს კონსულტირებისათვის.

კონსულტანტმა კი დაახლოებით შემდეგი შინაარსის რამ უნდა უთხრას „მე მესმის რომ არ მოგწონვარ და შენ არ მოგწონს აქ მოსვლა. მე ვთლი, რომ შენი დამოკიდებულება ბუნებრივია. თუ გსურს, შეგიძლია ვისაუბროთ ისეთ რამეზე, რომლებიც არ არის შენთვის მტკიცნეული და შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო გსურს თუ არა უფრო მნიშვნელოვან რამეზე ვისაუბროთ .

ბ. კლიენტი მოითხოვს პასუხს.

როდესაც კლიენტი წარმოადგენს თავის პრობლემას ის მოითხოვს - „ახლა კი მითხარით, რა უნდა გავაკეთო“.

პრაქტიკა ადასტურებს ასეთ კლიენტებს პასუხი არ სჭირდებათ.

ასეთ შეკითხვას კლიენტი აყენებს იმიტომ, რომ ან უნდა ფსიქოლოგი გადავიდეს მის მხარეზე, ანდა რათა გამოიყენოს კონსულტანტი თავისი მტრული დამოკიდებულების გამოსავლენად.

გარკვეული სიტუაციაში - წარმოიშვა პრობლემა და დედასა და შვილს შორის. დედას სურს იცოდეს რა ქნას. კონსულტანტი თავს არიდებს პასუხს და რეაგირებს ემოციაზე - თქვენ, როგორც ჩანს, ძალიან დალონეული იყავით მაშინ ბავშვთან ურთიერთობებით. ქალს უკვე შეუძლია გააგრძელოს საუბარი და ის ამბობს, რომ ის თვითონ იყო უფრო მეტად დამნაშავე, ვიდრე მისი ბიჭი.

საყურადღებოა, რომ პირველ სეანსებში ის ნეგატიურ გრძნობების გამომთქმელი იყო საკუთარი ბავშვის მიმართ. ახლა კი ქალმა თვითონ ნახა გამოსავალი და შეცვალა მისი დამოკიდებულება და მიაღწია სიტუაციის ჭეშმარიტ გაგებას.

#### 19. თერაპევტული პროცესის სტადიები:

1. ადამიანის მიერ ფსიქოლოგისადმი დახმარებისათვის მიმართვა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლიენტი მოვიდა ფსიქოთერაპევტთან, მაგრამ უნდა მივიყვანოთ იმ გაგებამდე, რომ ეს მას სჭირდება - მივიდეთ იქამდე, რომ ეს მისი სურვილია.

2. დახმარების გაწევის სიტუაცია - ფსიქოლოგი ეხმარება, მაგრამ პაციენტიც იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას. პაციენტის ამოცანაა, რათა გულწრფელო-

ბით შექმნას ისეთი სიტუაცია, რომ გადაწყვდეს პრობლემა (მაგალითად 10 წლის შვილთან ურთიერთობები, )

3. პასუხისმგებლობის გადაცემაა - თერაპევტი ეუბნება კლიენტს: შენ თუ შეგიძლია მოხვიდე პარასკევს - შეიძლება.

ხო, როგორც იტყვი ისე იქნება.

4. კონსულტანტი ასტიმულირებს გრძნობების თავი-სუფალ გამოვლენას, რაც ნაწილობრივ მეგობრული დამოკი-დებულებით ხორციელდება. კლიენტმა უნდ იგრძნოს, რომ ეს მისი დროა და მას შეუძლია ნებისმიერად გამოიყენოს ის (რათა განთავისუფლდეს, განიცადოს კათარსისი) არ შეენი-ნალმდეგოს ვიღაცის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას.

### **ლიტერატურა**

1. რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თსუ გამომცემლობა, თბ., 2009.
2. Роджерс К., Клиент – центрированная психотерапия, «Психотерапия», М., 2007.
3. Сахакиан У. С., Техники консультирования и психотерапии, ЭКСМО-ПРЕСС, М., 2000.

**Guram Chaganava**

**Peculiarities of the Client-Centered Therapy  
Summary**

Client-Centered Therapy (CCT) was developed by Carl Rogers in the 40's and 50's. It is a **non-directive** approach to therapy, "directive" meaning any therapist behavior that deliberately steers the client in some way. A non-directive therapy is very appealing to many clients, because they get to keep control over the content and pace of the therapy.

**Гурам Чаганава**

**Особенности клиент – центрированной терапии  
Резюме**

Клиент – центрированная терапия была развита в 40-ых -50-ых годах Карлом Роджерсом. Это недирективная терапия. Директивная означает, что поведение терапевта специально направляет клиента определенным образом. Недирективная терапия очень близка для многих клиентов, так как они могут контролировать содержание и ход терапии.

## მორენის ფსიქოთერაპიის საკითხები

### გურამ ჩაგანავა

ჯეკობ ლევე მორენი (1892-1974) ფსიქოდრამის, სოციოდრამის, ჯგუფური ფსიქოთერაპიის ავტორი. რუმინეთში, განათლება მიიღო ვენაში სადაც 1917 წელს დაიცვა დისერტაცია. 1919 წლიდან 1927 წლამდე მუშაობდა ფსიქიატრად ავსტრიაში. მან ჩამოაყალიბა ჯგუფური ფსიქოტერაპიის პრინციპები, რომლების ეყრდნობა სოციომეტრიას, პიროვნებათაშორისი ურთიერთობების შესწავლას. მორენომ შემოიღო ტერმინი „სოციატრი“- ჯგუფების არასწორი ორგანიზაციის შესახებ წარმოდგენა, რომელიც აგრეთვე მოიცავს ჯგუფში დევუციური ქცევის კონტროლს. 1927 წელს მორენი საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში სადაც მუშაობდა ფსიქიატრად და ცნობილი იყო ფსიქოდრამის სპეციალისტად. 1936 წლიდან სიკვდილამდე მორენი განაგებდა სანატორიუმს ნიუ-ორენჯში.

ფსიქოდრამა შექმნილი იყო მორენოს თეატრალური ექსპერიმენტის „სპონტანური თეატრის“ საფუძველზე, რომელიც ორიენტირებული იყო ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზაციაზე „ცხოვრების თეატრში“. შინაგანი და პიროვნებათაშორისი ცლილებები, რომლებიც მიიღწეოდა „სპონტანური თეატრის“ მონაწილეთა მიერ ფსიქოდრამის სამკურნალო, ფსიქოთერაპევტულ მეთოდად - გარდაქმნის საფუძველი გახდა.

მორენო ფროიდის ფსიქოანალიზის მოწინააღმდეგე იყო და მას ხელოვნურ მეთოდად თვლიდა, რომელიც სიზ-მრებისა და სიტყვების ხელოვნურ სამყაროს უტოლდება. მორენო კი აქცენტს აკეთებდა ბუნებრივ სიტუაციაში მოქმედებაზე და ქცევაზე და მისი მოძღვრება აგრეთვე მოიცავ-და როლური ტრენინგების მეთოდებს.

ფსიქოდრამა ეფუძვნება შეხვედრას (ენკაუნტერი), რომლის მთავარი პრინციპია ანტიმიმესის (ანტიმიბაძულობა). ფსიქოდრამაში დინამიკური პროცესები წარმოიშობიან ორი საწინააღმდეგო ტენდენციის საფუძველზე: შეხვედრა (ენკაუნტერი) არის ანტიმიმესის ასპექტი, თეატრალიზაცია კი გულისხმობს მიბაძულობას (მიმესისი). შეხვედრის ობიექტი ფსიქოდრამაში თვითონ ადამიანია, რომელსაც მორენო უწოდებს „შენ“. მოქმედების მიზანი იმაშია რათა „დრამის“ დახმარებით გათამაშებული იქნეს განსხვავებული გრძნობები.

მორენო თვლიდა, რომ ფსიქოდრამა „ეხმარება პრო-დაგონისტს ააგოს ხიდი აღებულ როლს, თამაშსა და ყოველ-დღიურ არსებობას შორის, გავიდეს რეალურის, ჩვეულებრივის საზღვრებიდან, იგრძნოს არსებობის სიღრმე, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს შეხვედრის (ენკაუნტერი) უმაღლეს ფორმამდე... მიაღწიოს არსებობის უმაღლეს წერტილს... სიცოცხლის სიღრმისეულ არსს. ფსიქოდრამისათვის საჭიროა 5 ელემენტი: სცენა, სუბიექტი/პაციენტი, რეჟისორი, ჯგუფი ფსიქოთერაპევტის დახმარებისათვის ან დამატებითი ეგო და აუდიტორია.

სუბიექტი/პაციენტი საკუთარ თავს განასახიერებს სცენაზე, თამაშობს როლებს, რომლებიც შეიძლება გამოყე-

ნებული იქნენ წარსული და თანამედროვე მოვლენების, პრობლემების მიმართ. ეს ყველაფერი სპონტანურად ხდება. მთავარი ამოცანაა - სცენაზე სუბიექტს მიეცეს საშუალება იყოს ის ვინც ის სინამდვილეში არის, უფრო სიღრმისეულად და განსაზღვრულად ვიდრე, ამას ის ყოველდღიურად ახერ-ხებს. რეჟისორი ასრულებს დამდგმელის, ფსიქოთერაპევტი-სა და ანალიტიკოსის როლს, რომელიც უკეთებს ინტერპრე-ტაციას დრამას, ზოგჯერ მსახიობისათვის და ზოგჯერ მა-ყურებლისათვის. დამხმარე ეგოები -ანუ თერაპევტული მსა-ხიობები ასრულებენ სამ ფუნქციას: თამაშობენ სხვადასხვა პერსონაჟებს სუბიექტის ცხოვრებაში, წარმართავენ და თა-მაშობენ სოციალური მკვლევარების როლს. აუდიტორია შედგება სუბიექტის ნათესავებისა და მეზობლებისაგან და ორგვარ მიზანს ემსახურებიან: დაეხმარონ სუბიექტს ან გახ-დნენ სუბიექტად როლების შენაცვლების აზრით. ამგვარად ფსიქოდრამა ითვალისწინებს შემდეგ ელემენტებს: პროტა-გონისტი - პაციენტი - ფსიქოდრამის სუბიექტი, მთავარი შემსრულებელი, რომელიც წარმოადგენს საკუთარ პრობლე-მებს. 2. თერაპევტი - (რეჟისორი-ფასილიტატორი) ვინც ეხ-მარება პაციენტს საკუთარი პრობლემების შესწავლაში. 3. თერაპევტის დამხმარები -დამხმარე -ეგოები; 4. მაყურებე-ლი.

ფსიქოდრამა მოიცავს სამ ძირითად ფაზას: ინიცია-ლური ანუ მოსამზადებელი (გახურება). საკუთარი დრამა-ტული მოქმედებების განხილვა. ინიციალურ ფაზაში აირჩევა პროტაგონისტი. ინიციალურ ფაზაში ხდება მომზადება, რომლის არსია მონაწილეობის სპონტანობის სტიმულირება,

შიშის, შფოთიანობის, წუხილის, პიროვნული დაცვის მოხსნა. შესაბამისი ემოციური ატმოსფეროს შექმნა.

მეორე ფაზა - როლების გათამაშება. ამ პროცესში პაციენტი აღწევს კათარსისს და აცნობიერებს ნამდვილ საკუთარ განცდებს, განწყობილებებს, პრობლემებს და კოფლიქტებს. ამ პროცესს აადვილებს ისეთი მეთოდები როგორიც არის „-“, „ორეულები“, „სხვა მე“, „მონოლოგი“, „დიალოგი“, მომავლის პროგრამები, რეალობის შემოწმება.

მესამე ფაზა - განხილვის ფაზა ანუ ინტეგრაცია -და-მასრულებელია. იწყება პაციენტების გამოსვლებით, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ფსიქოდრამულ მოქმედებებში. მათ წარმოადგენენ საკუთარ შთაბეჭდილებებს, განცდებს, ასოციაციებს, აზრებს, მოგონებებს.

სოციოდრამა - მიმართულია ინდივიდუალური წარმოდგენებისა და პიროვნებათაშორისი ურთიერთოებების ანალიზზე და გადამუშავებაზე. სოციოდრამა არ შემოიფარგლება ცალკეული ადამიანის პრობლემებით ან ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის. ის მიმართულია მთლიანად საზოგადოების კულტურის, სოციალური, ეთიკური და სხვა პრობლემებზე. სოციოდრამა მიმართულია კოლექტიური როლების, როლური კონფლიქტების, წარმოდგენების, გამოცდილების, ურთიერთობათა განხივაზე.

ტექნიკური თვალსაზრისით სოციოდრამა არ განსხვავდება ფსიქოდრამისაგან, თუმცა აქ უფრო მეტი მონაწილეა წარმოდგენილი. აქ წარმოიშვება კოლექტიური იდენტიფიკაცია და კოლექტიური კათარსისი. მორენო ფიქრობდა, რომ სოციოდრამა საშუალებას აძლევს ადამიანებს გარდაქმნან საზოგადოება.

მორენო აგრეთვე ცნობილია, როგორც სოზიომეტრი-ის დამფუძნებელი. სოციომეტრია ვიწრო მნიშვნელობით ფსიქოლოგიური ტესტია, რომელიც გამოიყენება მცირე ჯგუფში პიროვნებათაშორისი (ემოციური) კავშირების გა-მოსავლენად. სოციომეტრია უკავშირდება სოციოგრამების შედგენას, ჯგუფური ერთიანობის სოციომეტრიული კოეფი-ციენტების გამოვლენას. ჯ. მორენოს მიერ შექმნილი სოცი-ომეტრის თეორია ახდენს ემოციური ურთიერთობების შეს-წავლასჯგუფში თუმცა სათანადოდ არ ფასდება ჯგუფის ნევრების სხვა ურთიერთოებები.

### **ლიტერატურა**

1. Карвасарский Б. Д. Психотерапевтическая энциклопедия. ПИТЕР,СПб61999.
2. Сахакиан У. С., Техники консультирования и психотерапии, ЭКСМО-ПРЕСС, М., 2000

**Guram Chaganava**

**The Problems of Moreno Psychotherapy  
Summary**

In the article there are submitted the conception of Moreno which is one of the best representative of the psychology of the previous century. It is shown, that the practical psychology of Moreno is very important, because it put the foundation of the trainings, for the first time used the imagination personal and social roles in the psychotherapy.

**Гурам Чаганава**

**Проблемы психотерапии Морено  
Резюме**

В статье представлена концепция Морено, который является одним из лучших представителей предыдущего столетия. Показано, что практическая психология Морено очень важна, так как она положила основание тренингам, впервые были использованы в психотерапии воображаемые личностные и социальные роли.

## ფსიქოთერაპიული პარადიგმები

გურამ ჩაგანავა

### შესავალი

ფსიქოთერაპია როგორც მეცნიერების საგანი შეიქმნა XIX საუკუნის ბოლოს და სავსებით კანონზომიერად მის შექმნას უკავშირებენ ფროიდის სახელს. ამავე დროს მანამდე ფსიქოთერაპიის ნიშნები არსებობდა როგორც პირველყოფილ საზოგადოებაში, ასევე ძველ საბერინეთში და ფეოდალური პერიოდის ევროპაში. საერთოდ ადამიანთა ურთიერთობები ნორმალიზებულია და აუცილებლად გარკვეულ ნორმებს გულისხმობენ. ამიტომ ჩვენი არსებობა და სოციალური ურთიერთობები, მოვალეობები ხშირად წინააღმდეგობაში მოდიან ჩვენ სურვილებთან, ლტოლვებთან, მიღრეკილებებთან. რეალურად, თუ ჩვენ ფროიდს დავუჯერებთ ასეთი წინააღმდეგობები იწვევენ ფსიქიურ სნეულებებს, რადგან უკიდურესობებში ვვარდებით და თავისთავად წარმოიქმნება ფსიქიური სნეულება. ბუნებრივია ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმ ფსიქიურ სნეულებებზე, რომლებიც თან სდევს სომატურ სნეულებებს. სნეულების ხანგრძლივობა თავისთავად იწვევს ფსიქიურ აშლილობებს, გუნება-განწყობილების გაუარესებას, ურთიერთობების შეზღუდვას. უძველესი პერიოდიდანვე ჩამოყალიბებული იყო ზოგიერთი ფსიქოთერაპიული სტანდარტი, მაგ: ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ჩვენ ყოვლთვის უნდა დავიცვათ საშუალო, ოქროს შუალედი (კვეთა) მდგომარეობა. ეს პრინციპი თავისთავად არის ფსიქოთერაპიული მნიშვნელობის პრინციპი, რადგან ორივე

უკიდურესობა საკუთარი თავის პრეტენზიულობისა და თვითშეფასების გაზვიადება ანდა პირიქით დაკნინება და შეუფასებლობა იწვევს ფსიქიკურ სნეულებებს.

ეს პრინციპი მრავალ თერაპიაში არის გამოყენებული. მაგ: ცნობილი ავსტრიელი ფსიქოლოგი ალფრედ ადლერი ადამიანის ქცევის საფუძვლად თვლის არასრულფასოვნების კომპლექსს და მიაჩნია, რომ ის განაპირობებს ჩვენს ფსიქიკურ აშლილობებს, ხოლო თერაპია კი მარტივად დაკავშირებულია პირადი ღირებულების ამაღლებაში. ამის საპირისპიროდ კოგნიტურ ფსიქოლოგიას მიაჩნია, რომ ხშირად გაზვიადებული გვაქვს საკუთარი ღირებულებები, გრანდიოზულად გვაქვს წარმოდგენილი შესაძლებლობები და რადგან ეს გრანდიოზულობა არ შეესატყვისება რეალობას ასეთი მდგომარეობა თავისთავად იწვევს აშლილობებს. ეს განსაკუთრებით აღზრდის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რადგან როდესაც ბავშვს ვუსრულებთ ყველაფერს და გვგონია მასზე უკეთესი არავინაა, მას უმუშავდება ასეთი მაღალი თვითშეფასება, ხოლო შემდგომში მას პრობლემები ექმნება თანატოლებთან ანდა სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებიც არ აღიარებენ მის უპირატესობებს, რაც მასში ფსიქიკურ აშლილობას იწვევს. ისეთი მეცნიერება როგორიც არის ხალხთმცოდნეობა ფსიქოლოგებზე უფრო ადრე აქცევდა ყურადღებას ტაბუს წესებს, როდესაც ზოგჯერ, ზოგიერთ კულტურაში საგანზე შეხებაც კი იწვევდა საზოგადოებრივ სასჯელს, ხოლო მეორე მხრივ შინაგან დაძაბულობას. მაგალითად: *Ратцелъ-ис* წიგნში *Народоведение* აღწერილია ფაქტი, რომლის მიხედვით პოლინეზიელი ბელადის ფეხის ნაკვალევზე ტომის რიგითი ახალგაზრდა წევრის დაბიჯებამ მასში უდიდესი დაძაბულობა გამოიწვია, რადგან ბელადის ნაკვალევზე

შეხება ისევე, როგორც ტომის ბელადზე აკრძალული იყო. ეს უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა ამიტომ კი ახალგაზრდამ ფსიქოლოგიურად თვითონ დასაჯა საკუთარი თავი და შისისაგან გარდაიცვალა.

ეს მაგალითი მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოება მკაცრად სჯიდა ნორმების დამრღვევებს. მითუმეტეს პირველყოფილ საზოგადოებაში სადაც სასჯელი არ იყო დიფერენცირებული და არ არსებობდა დანაშაულის ხარისხთან შეფარდებული სასჯელის დიფერენციაცია. იმავე პერიოდში არსებობდნენ მარჩიელები, ჯადოქრები, წინასწარმეტყველები, ორაკულები. ისინი ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ის გართულებები, რომლებსაც ადამიანები აწყდებოდნენ საქმიანობაში. ამიტომ ეს ჯადოქრები, ორაკულები ცდილობდნენ მათ ხელში არსებული წარმოსახული საშუალებებით დახმარებოდნენ სომატურად და ფსიქიკურად სნეულ ადამიანებს. აქ მეტწილად უბრალოდ წარმოსახვის დემონსტრაცია იყო, თუმცა რეალურად ისინი დადებით შედეგსაც ღებულობდნენ, რადგან როდესაც ადამიანს სწამს, რომ ჯადოქარი განკურნავს, ხდება ადამიანის შინაგანი ფსიქიკური ძალების მობილიზება და სნეულება უკან იხევს. აქ მთავარი ის არის, რომ ჯადოქრის ავტორიტეტი შთამაგონებელია. ხშირად ჩვენი ფსიქიკური აშლილობებიც თვითშთაგონების საფუძველზე ყალიბდებიან, ხოლო როდესაც ამ ჩვენს ავადმყოფურ თვითშთაგონებას უპირისპირდება ავტორიტეტის მქონე ჯადოქრის არაჩვეულებრივი დარწმუნებულობა, რომ მას შეუძლია განგვკურნოს. ეს მდგომარეობა დადებითად მოქმედებს ჩვენზე და ხშირად მთლიანად თუ არა დროებითი განკურნება მაინც ხდება.

შემდგომში შედარებით უფრო განვითარებულ საზოგადოებაში ამ ფუნქციებს რელიგიური დაწესებულე-

ბის მსახურები ასრულებდნენ. ცნობილია რომ ძველ საბერძნეთში ზუსტად ღვთისმსახურები იყენებდნენ პირველად კათარსისის მეთოდს, რომელიც ცოდვების მონანიებასთან იყო დაკავშირებული და რომლის შემდეგ ადამინის ფსიქიური მდგომარეობა მსუბუქდებოდა, რადგან მას სწამდა, რომ ცოდვების ვერბალური მონანიებით ის კიდევაც იცილებდა ამ ცოდვებს და თავისუფლდებოდა იმ უარყოფითი ფსიქიური განცდებისაგან, რომლებიც ცოდვებით იყო განპირობებული. ჩვენ ვიცით, რომ არის-ტოტელემ პირველად დაუკავშირა ასეთი განწმენდა ანუ კათარსისი თეატრალური ნაწარმოების (ტრაგედიის) ცქარის დროს მიღებულ ამბივალეტურ (ორმაგ) გრძნობებს. ამ შემთხვევაში კომპეტენტური მაყურებელი ერთდროულად განიცდის შიშს ტრაგიკული სიუჟეტის გამო და ამავე დროს აღფრთოვანებულია პიესის ავტორის ხელოვნებით, სიუჟეტური მომენტების ბრწყინვალე შეთანაწყობით, ტრაგიკული დრამის კანონზომიერი განვითარებით, გადაუჭრელი პრობლემების მხატვრულად წარმოდგენით, მსახიობის მიერ მთავარი გმირის განცდების ჩვენებით, კულმინაციური მომენტის სიმძაფრით და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მდგომარეობით, რომელსაც ასეთი მაყურებელი აღწევს თეატრალური წარმოდგენის დროს. ეს მდგომარეობა დაკავშირებულია მისთვის ყოველდრიუმობის მოცილებასთან, მასზე ამაღლებასთან, როდესაც ცხოვრების ყველა პრობლემა უკან იხევს, როდესაც ადამიანი ივინყებს, რომ ის დროის თვალსაზრისით შეზღუდულ სამყაროში ცხოვრობს, რომელიც სიკვდილთან არის დაკავშირებული და დროებით მაღლდება ყოველდღიურობაზე. ის განიცდის განსაკუთრებულ სიმსუბუქეს, სინმინდეს, ამაღლებულობას და სიამოვნებას, რაც გარკვეული დონით ტრანსულ მდგომარეობას უახ-

ლოვდება და ადამიანი არა მხოლოდ უდიდეს სიამოვნებას განიცდის, არამედ აგრეთვე ყოველგვარი ფსიქიკური ნეგატიური ნალექისაგან, წუხილისაგან განთავისუფლებას გრძნობს, რასაც ზუსტად კათარსისი ეწოდება და რაც, რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესი ფსიქოთერაპევტული ეფექტია.

### **ფსიქოანალიტიკური მიმართულება**

ამ მიმართულების ფუძემდებელია ზიგმუნდ ფროიდი, რომელიც დაიბადა 1856 წელის 6 მაისს ფრაიბურგში. ის დაიბადა ებრაულ ოჯახში, მამა იყო მცირე მრეწველი და მოვაჭრე. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ვარკვეულწილად ოჯახურმა გარემომ, ებრაულმა ტრადიციებმა და საოჯახო ტრადიციების სიმკაცრემ იმოქმედა ზ. ფროიდის მსოფლმხედველობაზე. ბავშვობიდანვე ფროიდი ოცნებობდა სამხედრო კარიერაზე, ბევრს კითხულობდა, კარგად იცოდა ფრანგული, ინგლისური, თავისთავად გერმანული. ალბათ ეს მისი მრავალმხრივი განვითარება საფუძვლად დაედო ფსიქოანალიტიკურ მიმდინარეობას, რომელმშიც შერწყმულია კლინიკური დაკვირვებები პაციენტზე, რეალისტური ექსპერიმენტები, მითოლოგია, ესთეტიკა, ეთნოლოგია, ფსიქოლოგია და ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად უამრავი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა არსებობს ფსიქოთერაპიაში, მაინც, მის საფუძვლად რჩება ფსიქოანალიზი და ამ მიმართულების წარმომადგენლები ზემოდან უყურებენ ყველა სხვა მიმართულების წარმომადგენლებს, რადგან აქ არ არსებობს მზა რეცეპტები, ტექნიკები, რომელთა გამოყენების საფუძველზე შესაძლებელია ფსიქიკური აშლილობების დაძლევა ფსიქოთერაპევტის მიერ. ფსიქოანალიზი

მართლაც ანალიზზეა ორიენტირებული, რომელიც მოითხოვს ძალიან დიდ დამკვირვებულობას, ვარიაციულ აზროვნებას, უამრავი ჰიპოთეზის წამოყენებას, ნიუანსებზე მომართულობას, მითოლოგიის კარგ ცოდნას, ადამიანის წარმოსახვის უშრეტი შესაძლებლობების გამოყენებას და ამავე დროს პაციენტისა თუ კლიენტის ინიციატივაზე ორიენტირებულობას. ალბათ ფრონდის თეორიას ორიგინალობას მხოლოდ როჯერსის კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპია უახლოვდება.

ფრონდი პირველად ნევროპათოლოგიით იყო დაინტერესებული. ამტკიცებენ, რომ ეს იძულებითი ინტერესი იყო, რადგან ის ისეთ სამსახურს ეძებდა, რომელსაც შეეძლებოდა მისი ცხოვრებისეული მოთხოვნილიბების დაკმაყოფილება. ცნობილია, რომ ებრაელებისათვის, მაშინდელ ევროპაში, სამხედრო კარიერა შეუძლებელი იყო, ხოლო სამედიცინო კი დასაშვები იყო. სამედიცინო სპეციალობით ვენის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფრონდი მიემგზავრება საფრანგეთში, სადაც მუშაობს ცნობილ ფრანგ ნევროპათოლოგ შარკოსთან, რომელიც სპეციალიზირდებოდა ისტერიის სწეულების მკურნალობაზე. ვენაში დაბრუნების შემდეგ, ფრონდი უკავშირდება ბროიერს და მასთან ერთად საფუძველს უყრის ფსიქოანალიზს. შემდგომში ის შორდება ბროიერს და ცალკე აყალიბებს ფსიქოანალიზის მოძღვრებას. ამტკიცებენ, რომ ბროიერთან დაშორების მრავალ ფაქტორთა შორის იყო ისიც, რომ ფრონდი კარგად ვერ ფლობდა ჰიპნოზის ტექნიკას, რომელსაც ზალიან კარგად იყენებდა ბროიერი. ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთ თვალსაზრისს. ვფიქრობთ, რომ ფრონდს შინაგანად არ მოსწონდა ის რომ საკუთარი თავის შთაგონებით ანდა ნეგატიურ გარემოებათა ზემოქმედებით წარმოქმნილი ფსიქიკური აშლი-

ლობები დაიძლეოდა ისევ შთაგონებით, ოღონდ ჰიპნოზური შთაგონებით, ხოლო ადამიანის პიროვნება, როგორც ასეთი იგნორირებული იყო. თუმცა გასაგებია, რომ ანალოგიურ პრეტენზიებს ფროიდსაც უყენებენ, როდესაც ის ადამიანის ქცევის საფუძვლად ორ ინსტინქტს- ლიბიდოსა და ტანატოსს აცხადებს. ფროიდს მიაჩნდა, რომ ნევროზების მკურნალობა შესაძლებელია ჰიპნოზის გამოყენების გარეშე, რადგან ჰიპნოზის მდგომარეობაში დაძლეული ფსიქოლოგიური სიმპტომები ზოგჯერ ისევ აღდგება ხოლმე. ამიტომ ფროიდმა უარი თქვა ჰიპნოზზე..

### „ელექტრას კომპლექსი“

კარლ იუნგი ამტკიცებდა, რომ “ოიდიპოს კომპლექსის” საპირისპიროდ, რომლის იდეა ეკუთვნის ზ. ფროიდს არსებობს ასევე “ელექტრას კომპლექსი”. ფროიდის მსგავსად მან მიმართა ძველ ბერძნულ მითოლოგიას და სოფოკლეს ტრაგედიას ელექტრას შესახებ. ამ ტრაგედიის მიხედვით ომიდან სახლში ბრუნდება აგამემნონი, ხოლო სანამ აგამემნონი ომობდა მისმა მეუღლემ გაიჩინა საყვარელი და მასთან ნებივრობდა. აგამემნონის ქალიშვილი ელექტრა კი აღშფოთებული იყო ამით, რადგან უყვარდა მამა და სძულდა მოლალატე დედა. როდესაც ომის შემდეგ დაპრუნდა ელექტრას ძმა ელექტრას შთაგონებით მან მოკლა დედა, რომელმაც მანამდე საყვარელთან ერთად მოკლა მამა. ეს ტერმინი “ელექტრას კომპლექსი” ამჟამად გამოიყენება “ოიდიპოს კომპლექსის” პარალელურად მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ “ოიდიპოს კომპლექსის” მიხედვით ვაჟს ეზიზლება მამა, მამაში ხედავს მეტოქეს და არაცნობიერი ტენდენცია გააჩნია დედის მიმართ, ხოლო “ელექტრას კომპლექსი” საპირისპიროს გუ-

ლისხმობს, ქალიშვილს სძულს დედა და არაცნობიერი ტენდენციები აქვს მამისკენ, თუმცა ეს ყველაფერი, ბუნებრივია ორივე შემთხვევაში, ფანტაზიების დონეზეა.

## მოძღვრება ნევროზების შესახებ

ფსიქოანალიტიკური მოძღვრება უკავშირდება ფრონიდისეულ გაგებას ამათუმ ფსიქიკური სწეულების წარმოშობის შესახებ. ფრონიდი გამოდიოდა მარტივი სტრუქტურის აღწერიდან და მისი თვალსაზრისით ადამიანის ფსიქიკაში მოქმედებს ორი ძირითადი გენეტიკური ტენდენცია, რომლებიც გამოიხატებიან ლიბიდოსა და ტანატოსის ტენდენციებში. პირველი დაკავშირებულია სიამოვნების მიღებასთან, ხოლო მეორე სიკვდილთან და ზიანის მიყენებასთან. ფრონიდის მიხედვით ეს ტენდენციები აისახებიან ჩვენს ფსიქიკაში და ისინი უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ნევროზულ მდგომარეობებთან.

ფრონიდის მიხედვით ინსტინქტები მემკვიდრეობით მიიღება. ისინი სანამ ბავშვს არ განუვითარდება ცნობიერება მისი ცნობიერების მიღმა მოქმედებენ მის ფსიქიკაზე და შემდგომში თავისთავად აისახებიან მის ცნობიერებაში. ფრონიდი ამტკიცებს, რომ ლიბიდოსური ტენდენციების მქონე ადამიანი სინამდვილეში არავითარ სიამოვნებას არ განიცდის, რადგან მთელი მისი ძალისხმევა მიმართულია ლიბიდოსური ტენდენციების შესაფერხებლად მათი საზოგადოებრივ ნორმებთან შეუთავსებლობის გამო. ამისათვის პიროვნება იყენებს ფსიქიკის ე.ნ. დაცვის მექანიზმებს, რომლებიც გარეგნულად უზრუნველყოფენ ადამიანის ფსიქიკურ სტაბილურობას. ამ დაცვის მექანიზმებს შორის ასახელებენ: განდევნას, რაციონალიზაციას, რეგრესიას, სუბლიმაციას, ტარნსფორმაციას, პროექ-

ციას, იდენტიფიკაციას. ფრონტის მიხედვით ჩვენი ცნობიერების გარეგნული სტაპილურობა სულაც არ ნიშნავს, რომ სოციალურად მიუღებელი ტენდენციები აღარ არსებობენ. არა ისინი საუკეთესო შემთხვევაში იცვლიან მიმართულებას და სოციალურად მისაღებ ფორმაში განსახიერდებიან ანუ სუბლიმირდებიან. მაშინ კი როდესაც ისინი არ სუბლიმირდებიან ისინი ითრგუნებიან პიროვნების ფსიქიკის დაცვის მექანიზმებით, რაც ადამიანის ფსიქიკის გარეგნულ სტაპილურობას უზრუნველყოფს, თუმცა ინსტინქტების ფარული ანუ არაცნობიერი მოქმედება ნევროზში (ფობია, ისტერია თუ აკვიატება)პოულობს განსახიერებას.

### **ფსიქიკური აპარატის ტოპოგრაფიული და სტრუქტურული მოდელი**

როგორც ვიცით, პირველად ფრონტის მიხედვით ფსიქიკური სივრცე გულისხმობდა სამ ძირითად შემადგენელ ნაწილს არაცნობიერს, წინაცნობიერს და ცნობიერს.

აქედან, რეალურად, ჩვენი ფსიქიკის ძირითადი ნაწილი არაცნობიერში არის განთავსებული და თვითონ ცნობიერების სტრუქტურაც კი მნიშვნელოვანწილად არაცნობიერის ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. მართლაც თუ ჩვენ ავიღებთ ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას, გამოვა, რომ ჩვენ ახლა ვიწერთ რამდენიმე სიტყვას, გვახსოვს ეს რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ჩვენი ცნობიერების ფარგლები არ მოიცავენ რაიმე სხვას და ეს ყველაფერი ჩვენი სურვილის მიუხედავად. შესაძლებელია, რომ ამავე დროს, ჩვენი ცნობიერების შინაარსს იკავებდეს. არა ლექციის ჩაწერა, არამედ ოჯახში საჭმლის მომზადების გარემოებები. ამ შემთხვევაში, ერთდროულად სურვილის მიუხე-

დავად, შეუძლებელია ცნობიერება იყოს ორი რამეთი და-კავებული. ამრიგად უეჭველია, რომ ადამიანის ცნობიე-რების არეალი ძალიან ვიწროა და ის დროში ძალიან მცირე მონაკვეთს ასახავს. თითქმის ყველაფერი დანარ-ჩენი არაცნობიერ სფეროს უკავია.

შემდგომში ფრონდი დაეთანხმა მის კრიტიკოსებს და ფსიქიკის სტრუქტურამ განიცადა ცვლილება. ცენ-ტრში არის განთავსებული ეგო, რომელიც საკუთარ ცნო-ბიერებასთან არის გაიგივებული. ეგოს ქვემოთ განლა-გებულია ალტერეგო-ქვეცნობიერი, ზემოთ კი სუპერეგო. ფრონდმა ასეთი სტრუქტურის შემოთავაზებით სინამ-დვილები შეცვალა ნევროზების გამოწვევის თავისებურე-ბები. თუ წინათ ნევროზების გამოწვევა უშუალოდ დამო-კიდებული იყო ადამიანის მიერ ლიბიდოზური თუ ტანა-ტოსური ტენდენციების(ალტერეგო) ბლოკირებაზე ამჟა-მად, ფრონდის მიმდევრების თვალსაზრისით ნევროზების გამომწვევად შეიძლება მივიჩნიოთ ზემეს ანუ სუპერეგოს მოქმედება, რომელიც კრძალავს, ახორციელებს ცენზუ-რას, განდევნის, აიძულებს მას რომ შეცვალოს დამოკი-დებულება და ამრიგად მაიძულებელი ტენდენციები ფაქ-ტობრივად იმდენად ძლერებია, რომ ისინი იწვევენ ჩვენი ეგოს მელანქოლიურ გუნება-განწყობილებას, დათრგუ-ნულ მდგომარეობას, დეპრესიას და ჩვენი ფსიქიკის მოწ-ყვლადობას ანუ შემგუებლობას ამა თუ იმ სიმპტომთა მიმართ. როგორც ხედავთ, აქ თითქმის არ ჩანს ესა თუ ის ინსტინქტი. პირველად ფრონდის მიხედვით, თითქოს თავისთავად გენეტიკურად ვლინდება ეს ორი ინსტინქტი და ისინი გაცნობიერების გარეშე იწვევენ ნევროზულ მდგომარეობებს, ამ შემთხვევაში კი შეცვლილი სტრუქ-ტურა და აქცენტები, გვაძლევენ საშუალებას, ვივარაუ-დოთ ( იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩვენ ვეთანხმებით ფრო-

იდს), რომ ნევროზს არა მხოლოდ ლიბიდოსი თუ ტანა-ტოსის ინსტინქტების ზემოქმედება იწვევს, არამედ აგ-რეთვე შესაძლებელია, რომ იგივე ნევროზი ჩვენ გაგვივი-თარდეს მაგალითად იმის გამო, რომ ხდება ნებისმიერი ჩვენი მიღრეკილების ბლოკირება სუპერეგოს მიერ.

## **ფსიქოთერაპიული პროცესის ორგანიზაცია ნინასნარი ინტერვიუ**

ფსიქოანალიზი მიიჩნევს, რომ თითქოს ფსიქოანა-ლიტიკურ ინტერვენციას (ჩარევას, მკურნალობას) არ ექ-ვემდებარებიან ფსიქოზური აშლილობების მქონე პიროვ-ნებები, ნარცისული ორიენტაციის ადამიანები, ფსიქოპა-თები და გარკვეული ასაკს მიღწეული ადამიანები. მაგა-ლითად ფრონდი თვლიდა, რომ ფსიქოანალიზს ექვემდე-ბარებიან მაქსიმუმ სამოც წლამდე ადამიანები. ფსიქოპა-თები აგრეთვე არ ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ ინ-ტერვენციას, რადგან ყველა ამ კატეგორიის ადამიანს არ შეუძლია სრულყოფილად გაანალიზოს საკუთარი მდგომა-რეობა და კონტაქტში შევიდეს ფსიქოლოგთან მათი სნე-ულების პრობლემებზე სასაუბროდ. მაგალითად, ნარცი-სული ორიენტაციის ადამიანი არის საკუთარ თავში არაჩვეულებრივად დარწმუნებული, თავშეყვარებული პი-როვნება და ამიტომ მას არ შეუძლია კრიტიკულად განი-ხილოს საკუთარი წარსული, სხვებთან ურთიერთობები, საკუთარი ღირსება, ნაკლოვანებები. ასეთივე არის მაგა-ლითად, აგზნებადი აქცენტუაციის მქონე ფსიქოპათი, რომელთანაც შეუძლებელია საუბარი მისი ფეთქებადი ხასიათის გამო და ამა თუ იმ საკითხში ძლიერი თვით-დარწმუნებულობის გამო. იგივეა ისეთი რთული სნეულე-ბებით დაავადებულ ადამიანებთან ურთიერთობები, რო-

გორიცაა შიზოფრენია. აქ სავსებით შესაძლებელია, რომ ფსიქოლოგი არაადეკვატურ რეაქციას წააწყდეს შიზოფრენიით დაავადებული ადამიანის მხრივ მისი ნეგატივიზმის, ეჭვიანობის, თუ შეუკავებლობის გამო. ფროიდი მკურნალობდა მხოლოდ ინტელექტუალურ ადამიანებს, მაღალი წრის კარგად აღზრდილ ქალებს ანდა ახალგაზრდებს, რომლებიც აგრეთვე ეკუთვნოდნენ ინტელიგენციის წრეს. ამ კატეგორიის ადამიანებს, ფროიდის მიხედვით, გააჩნიათ უნარი ჩაუღრმავდნენ საკუთარ წარსულს, მოახდინონ რეგრესია და ფსიქოლოგთან ერთად იმსჯელონ საკუთარ პრობლემებზე. ამჟამად ყველა ეს დებულება უარყოფილია. მიიჩნევენ, რომ არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის ასაკს, სწეულებას. უბრალოდ ფსიქოლოგმა უნდა მოძებნოს იმისი საშუალება, რათა უპირველეს ყოვლისა დაითანხმოს პაციენტი ფსიქოლოგიურ ინტერვენციაზე და ასეთ შემთხვევაში უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა თუ როგორი სწეულება აქვს ადამიანს, როგორი გუნება-განწყობილება. სინამდვილეში თანხმობა მნიშვნელოვანნილად განაპირობებს შედეგს, რადგან პაციენტი ორიენტირებული ხდება ფსიქოლოგთან თანამშრომლობაზე.

ძალიან ხშირად ფსიქოლოგთან მისული პაციენტი ელის, რომ ყველაფერი უცებ მოხდება, რომ ფსიქოლოგი ჯადოქარია და მისი პირველივე ვიზიტის შემდეგ ყველაფერი გაირკვევა და პაციენტი განთავისუფლდება ყოველგვარი პრობლემისაგან, მაგალითად, დაუბრუნდება შეყვარებული, იპოვის სამუშაოს და ა.შ. რა თქმა უნდა ასეთი ორიენტაციები დღესაც გავრცელებულია, ამიტომ ფსიქოლოგმა უნდა აუხსნას კლიენტს, რომ ის ისე შეეცდება წარმართოს მათი ურთიერთობები, რათა თვითონ პაციენტს მიეცეს შესაძლებლობა დასძლიოს ესა თუ ის ფსიქოლოგიური პრობლემა. ამავე დროს პაციენტმა უნდა

იცოდეს, რომ ფსიქოანალიზი სინამდვილეში ეს არის საკუთარ ფსიქიკაში ჩაღრმავების მეთოდი და ამიტომ აუცილებელია, რომ ის იყოს გულწრფელი, მოიხსნას შებოჭილობა და დარწმუნებული იყოს, რომ კონფიდენციალობა იქნება დაცული. ფრონიდი მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე სიზუსტეს. დათქმულ დროზე პაციენტის გამოცხადებას და შეთანხმებულ დროში სეანსის დასრულებას.

ფრონიდი თვლიდა აგრეთვე, რომ მნიშვნელოვანია ყოველი სეანსის ღირებულების ზუსტი განსაზღვრა. ამრიგად პირველივე სეანსზე უნდა იყოს ყველა ფორმალური მხარე მოგვარებული.

აუცილებელია ჩვენ გავარკვიოთ ის გარემოებები, თუ რატომ მოვიდა პაციენტი ჩვენთან, ვისი რჩევით ან იძულებით, როგორი დამოკიდებულება აქვს ფსიქოლოგიური ურთიერთობებისადმი, იზიარებს თუ არა იმ იდეას, რომ იგი მსმენელის როლში კი არ არის, არამედ აქტიური მონაწილის როლში. გასარკვევია ანიჭებს თუ არა ის უპირატესობას ერთობლივ მუშაობას თუ კონსულტირებას, განწყობილია თუ არა დადებითად ფსიქოლოგიური ურთიერთობების მიმართ თუ სკეპტიკურად უყურებს მათ.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გარკვევის შემდეგ ფსიქოლოგი ეკითხება პაციენტს მის შემაწუხებელ მდგომარეობაზე, უსმენს, ცდილობს მისცეს ისეთი შეკითხვები, რომლებიც გამოავლენენ კლიენტის უნარს ჩაუღრმავდეს საკუთარ განცდებს, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგანაც ხშირად ფრონიდი უარს ეუბნებოდა მკურნალობაზე იმათ, რომლებსაც არ შეეძლოთ საკუთარ სნეულებაში ჩაღრმავება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდის გამოყენება.ფრონიდი თხოვდა პაციენტს აღწეროს მისი უშუალო ურთიერთობები ოჯახში, მეგობრებთან, საზოგადოე-

ბაში და გულწრფელად ილაპარაკოს ყველაფერზე. აქაც ვლინდება პაციენტის ანალიზის უნარი, ხოლო ამავე დროს ფსიქოლოგი ღებულობს მნიშვნელოვან ინფორმაციებს პაციენტის წარსულზე და აწმყოზე. მიაჩნიათ, რომ შესაძლებელია ყველა ეს საკითხი არ იყოს ამონტურული პირველივე შეხვედრაზე. ამიტომ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ურთიერთობებისათვის.

ამ საკითხთა რიგში პაციენტის მომავალი შედის. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან პაციენტის ვიზიტი მისი მომავლით არის განპირობებული და ამიტომ პაციენტის მიზნების შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ფსიქოანალიტიკური ინტერვენციის ეფეტიანობას. ხშირად პაციენტები ცდილობენ ყურადღება გაამახვილონ ზოგად საკითხებზე და უგულებელყონ კონკრეტული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არაცნობიერად ენინაალმდეგებიან ფსიქოთერაპიას. ჩვენ უნდა შევეცადოთ კონკრეტულ საკითხებზე გადავიყვანოთ საუბარი.

### **ძირითადი ფსიქოანალიტიკური პროცედურები**

კონფიდენციალური – გამოაშეარავება. ანალიზის დროს მნიშვნელოვანია ის, რომ პაციენტი ზოგჯერ უპირისპირდება თერაპევტს და ეს დაპირისპირება ძალიან მნიშვნელოვანია. თერაპევტმა ამ დაპირისპირებაზე რაღაცნაირად უნდა მიუთითოს მას. უთხრას პაციენტს - თქვენ ხომ არ მიბრაზდებით მე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თერაპევტი ხვდება თუ რა განცდები აქვს პაციენტს. იმ შემთხვევაში, როდესაც კონფიდენციალური პროცედურები, თერაპევტმა უნდა მისცეს საშუალება პაციენტს კიდევ უფ-

რო სიღრმისეულად გამოავლინოს თავისი დამოკიდებულება თერაპევტის მიმართ.

ინტერპრეტაცია – ფსიქოანალიზის ძირითადი ნაწილია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ანალიზის პროცესში ჩვენ მაქსიმალურად ვიყოთ ნეიტრალურები, მომთმენი და უნდა გვახსესოვდეს, რომ პაციენტის მხრივ დადებითი თუ უარყოფითი ემოციების ნებისმიერი გამოვლინებები ეს არის პაციენტის მიერ წარსულში განცდილი ემოციების გადმოცემა. ჩვენ არ უნდა შევაფასოთ ისინი, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი გადმოიტანება ჩვენზე. ეს არ არის ნამდვილი აზრები და გრძნობები, არამედ გადმოტანის პროცესში პაციენტი თავისუფლდება იმ გრძნობებისაგან, რომლებიც მას ანუხებდა წარსულში და ანუხებს ამჟამად, ხოლო თუ ჩვენ დავიწყებთ მის გადარწმუნებას, მისი გრძნობებისა თუ აზრების უარყოფას, მაშინ გამოვა რომ ის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია სიმპტომის შემქმნელი გარემოებების დაძლევასთან უკან დაუბრუნდება მას და ის აღარ განთავისუფლდება ამ პრობლემისაგან. არსებობს კონტრგადატანა ანუ როდესაც თერაპევტი ივიწყევს იმ ფსიქოანალიტიკურ კანონს, რომ ნეიტრალური უნდა იყოს ნებისმიერ სიტუაციაში, გამოხატავდეს თანაგრძნობას, მაგრამ თვითონ არ უნდა აჰყვეს პაციენტის გრძნობებს. შეინარჩუნოს სიმშვიდე, თუმცა კი ყოველთვის გამოხატავდეს სიმბათიას. ამავე დროს არ არის საჭირო, რათა თერაპევტი მთლიანად გაიხსნას პაციენტის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის ცნობილი იქნება ტერაპევტის ცხოვრების დეტალები, მისთვის აღარ დარჩება ადგილი, რათა არაცნობიერად თერაპევტზე გადმოიტანოს მის წარსულში განცდილი ნეგატიური განცდები და ამგვარად განთავისუფლდეს მათვან.

ფრონიდის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ გაცნობიერება რეალურად არსებული ფსიქოგენეტიკური სტადიების შესაბამისად ხდება, რომლებიც შეესატყვისება ორალურ, ანალურ, ფალოტურ, ლატენტურ თუ გენეტალურ ფაზებს. ამიტომ თუ ჩვენ ვამჩნევთ, რომ ადამიანი ავლენს თავის ინფანტილიზმს, რომელიც ორალურ სტადიასთან არის დაკავშირებული ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას ვისაუპროტო იმ ტენდენციების შესახებ, რომლებიც ორალურ ფაზაზე წარმოიშობიან.

### **ფსიქოანალიტიკური ტრენინგები:**

1. ყველაზე უფრო ადრეული მოვონება (10-15 წუთის განმავლობაში). მოხერხებულად მოთავსდით სავარძელში, დახუჭეთ თვალები და მოადუნეთ სხეული. გაემგზავრეთ შორეულ ბავშვობაში სამოგზაუროდ, დაიწყეთ თავისი ცხოვრება დღევანდელი დღიდან ყველაზე უფრო ადრეულამდე. მიეცით საკუთარ თავს იმის უფლება, რომ დაინახოთ მკრთალი წარმოდგენები, წარსულის სურათები, ბეგერები, ხმები, დაუმთავრებელი მეტყველება. იგრძენით წარსულის შეხებები, სუნები. რას გრძნობთ ამ შემთხვევაში, როგორი გრძნობები წარმოგეშვებათ. როგორი აზრები მოგდით თავში. იყავით ამ მდგომარეობაში იმდენსანს რამდეხანსაც თქვენ გსურთ. შემდეგ კი დაიწყეთ აწმყობი დაბრუნება, ნელა, ფრთხილად გაახილეთ თვალები, მიმოიხედეთ ირგვლივ, რას გრძნობთ, თქვენ რას შეიგრძნობთ სხეულებრივად. ჩაიწერეთ ყველაფერი რვეულები რაც კი განიცადეთ, რა გრძნობები და აზრებიც გქონდათ. მოგზაურობის დროს რა სიახლე აღმოაჩინეთ საკუთარ თავზე და სხვებზე, ვის შეხვდით ამ მოგზაურობისას.

**2. ურთიერთობების პატერნები.** აღწერეთ საკუთარი მთავარი ემოცია მშობლების მიმართ. გახსოვდეთ, რომ ყოველი ადამიანი განიცდის უამრავ გრძნობას თავისი მშობლების მიმართ, სინაზიდან სიცივემდე, შეცოდებიდან აღფრთოვანებამდე, აგრეთვე ზიზლი, ბრაზი, დანაშაული. ნუ შეეცდებით დაადანაშაულოთ ან გაამართლოთ ვინმე, თქვენ უბრალოდ განიცდით და ეს განცდები არავის მოუტანს ზიანს.

**3. შეადგინეთ ადამიანთა სია** (მამაკაცები და ქალები), რომლებიც თქვენ ყველაზე უფრო მეტად მოგწონთ ცხოვრებაში (მშობლების გარდა). ჩამოთვალეთ რომელი თვისებები მოგწონთ და რომელი არა. აღნიშნეთ, მოიფიქრეთ და ჩაწერეთ აქვთ თუ არა ამ მამაკაცებს და ქალებს რაიმე საერთო. თქვენს მშობლებში რა თვისებები მოგწონდათ და რა არ მოგწონდათ ბავშვობაში. შეადარეთ ის მახასიათებლები, რომლებიც თქვენ მიაკუთვნეთ თქვენს მშობლებს და ის მახასიათებლები, რომლებიც სხვა ადამიანებს მიაწერეთ

### **ობიექტი - ფსიქოლოგიური ურთიერთობები**

ეს მიმართულება ჯერ კიდევ ზიგმუნდ ფროიდის სიცოცხლეში წარმოიშვა და მისი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო ინგლისელი ფსიქოლოგი მ.კლაინი, რაპაპორტი, ერიქსონი და სხვა. საქმე იმაშია, რომ სიტყვა ობიექტი გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ფროიდის მიერ და ის სხვა ადამიანს ნიშნავდა, ანუ როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ობიექტთან ფსიქოლოგიურ ურთიერთობებზე იგულისხმება ადამიანთან ურთიერთობები. ობიექტი კი ადამიანს იმიტომ ეწოდება, რომ ბავშვისთვის სხვა ადამიანები მისი მისწრაფებების, სურვი-

ლების უბრალოდ დამაკმაყოფილებელი ობიექტებია ანუ სა-შუალებებია.

### **ეგო ფსიქოლოგია და რეალობასთან ადაპტაცია.**

ამ ახალ მიმართულებას ეწოდება აგრეთვე ეგო - ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელიც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განიხილება, როგორც ფსიქოანალიზის განსხვავებული ვარიანტი. ჩვენ ვიცით, რომ ფსიქოანალიზი ეგო ღებულობს ენერგიას იდისაგან ანუ ალტერ ეგოსა-გან. ჩვენ გვახსოვს რომ ფრონიდის მიხედვით ფსიქიური ენერგია კონცენტრირებულია იდში ანუ ალტერ ეგოში.

ეს ბიოენერგეტიკული ენერგიაა, რომელიც კვებავს ჩვენს ცნობიერებას ანუ ეგოს და ზეცნობიერებას – სუპერ ეგოს. ზუსტად აქ არის განსხვავებული მიდგომა. ობიექტ - ფსიქოლოგიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ცნობიერებას ანუ ეგოს იდისაგან დამოუკიდებლად გააჩნია ენერგია, რომელიც საერთოდ არ არის დაკავშირებული არც სექსუალურ და არც დესტრუქციულ საწყისებთან. ეს არის ჩვენი გრძნობის ორგანოების მოქმედების ენერგია ფიზიკური გადაადგილების, შინაგანი მდგომარეობის, ორგანიზმის ფუნქციების, რომლებიც არ არის დაკავშირებული ფრონიდისეული ფსიქოგენეტიკური სტადიებისა და ფაზების ფუნქციონირებასთან. უფრო მეტიც ამ მიმართლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ფსიქიური აშლილობები სულაც არ არის აუცილებელი, რომ დაკავშირებული იყოს ფრონიდისეულ გენეტიკურ ფაზებთან, რომლებსაც (ორალური, ანალური, ფალოტური, ლატენტური, გენიტალური) ისინი ხშირად განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ. მაგალითად, ერიკსონს მიაჩნდა, რომ ორალურ ფაზას დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზისო ნდობის წარმოქმნაში, ხოლო ლატენტურ ფაზას განიხილავს, როგორც საკუთარი თავისადმი ნდობის შემუშავე-

ბის ფაზას საკუთარი ეფექტურობისა და უნარიანობის განვითარების გამო. ამ დროს კი ფრონტი თვლიდა, რომ ამ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებები არ ყალიბდება. უფრო მეტიც ერიკსონი ამტკიცებს, რომ ენ. თვითიდენტობა, როგორც საკუთარი თავის გაცნობიერება გარემოსაგან თავის გამოყოფა და ამავე დროს გარემოსთან ადაპტაციის ერთ-ერთი საფუძველი დაბადებიდანვე მოქმედებს, რის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი ფრონტი. მის ჩამოყალიბებაში პრობლემების წარმოქმნამ შესაძლებელია წარმოშვას დროს ესა თუ ის ფსიქიკური აშლილობა. ჩვენ ვხედავთ რომ ობიექტის – ურთიერთობების ფსიქოლოგია სულაც არ არის კონცენტრირებული ბავშვობის პერიოდის განცდებზე და მას მიაჩნია რომ ეგო ისევე ფლობს ენერგიებს, როგორც იდი – ქვეცნობიერი. ფსიქიკური აშლილობა კი შეიძლება გქანვითარების ნებისმიერ დროს წარმოიშვას. ამრიგად ეგოს გააჩნიადიდი ენერგია, რომელიც მნიშვნელოვანნილად ორიენტირებულია გარემოსთან შეგუების უზრუნველსაყოფად.

### **მ. კლაინის ფსიქოლოგიური განვითარების თეორია**

კლაინი ყველაზე ახლოს იდგა ფრონტითან, მაგრამ მისი თეორია მაინც განსხვავდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვილი ბავშვის განვითარების თავისებურებები. კლაინი თვლიდა, რომ ეს პერიოდი შეიძლება ორ ნაწილად დაყოოთ: I-დაბადებიდან 3-4 თვემდე- პარანოიდულ ან პარანოიდ-შიზოიდური პერიდი, რომელიც შეესატყვისება ფრონტი თვითიდენტობის საწყის ეტაპს; II -6 თვიდან 1 წლამდე, რომელ-

საც კლაიმი დეპრესიის პერიოდს უწოდებს. კლაინი ფიქრობს, რომ ბავშვი მის დაბადებას განიცდის, როგორც ტრავმას, რადგან კარგავს აბსოლუტურად უზრუნველყოფილ მდგომარეობას დედის ორგანიზმში და მოქმედება უნევს მისთვის საშიშ გარემოში. ის ვერც დედის ფიგურას, თუნდაც სახეს ვერ აღიქვამს და ის მხოლოდ დედის მკერდს აღიქვამს როგორც მისთვის სასარგებლოს. ამავე დროს, რადგან ახალშობილს მხოლოდ დედის მკერდდთან აქვს ურთიერთობა ბავშვისათვის დედის მკერდი ორგვარი დამოკიდებულების მატარებელია. ორგვარი იმიტომ, რომ დედის მკერდს მიაწერს ბავშვი აგრეთვე ყველა იმ უსიამოვნებას რაც მას ხვდება, ამიტომ ერთდროულად დედისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს ანუ უყვარს და სძულს. ამავე დროს დედა ერთადერთი არსებაა, რომელიც იტანს ბავშვისაგან ნებისმიერ დესტრუქცია-აგრესიას და მაინც ცდილობს მოუაროს, მოეფეროს და დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები. ბავშვმა კი ყველაფერ ამაზე შეიძლება დესტრუქციულად უპასუხოს და როგორც ცნობილია, არცთუ იშვიათად კბენს მკერდს.

კლაინი ამტკიცებს, რომ ბავშვი ფანტაზიებში შეიძლება ყველაფერ ცუდს დედას მიაწერს და ასეთი ტენდენციები ჩვენც გაგვაჩნია, როდესაც იმდენად აგრესიულები ვხდებით, რომ ვკარგავთ საკუთარ ქცევაზე კონტროლის უნარს და პირზე დორბლმოდებულები ვამტკიცებთ, რომ  $2 \times 2 = 5$ , ანუ ვვარდებით უკიდურესობაში. ისევე, როგორც ვამბობთ “შეგჭაბ”, თუმცა ზოგჯერ ეს მოფერებით კი არა, არამედ ერთმანეთთან დავაში ვეუბნებით “ერთ ლუკმად არ მეყოფი”. აშკარაა, რომ 6 თვის ასაკისათვის ბავშვი უკვე ადიფერენცირებს ანუ ყოფს, განაცალკევებს დადებითსა და

უარყოფითს. ის თითქოს ხვდება რომ დედის მიმართ სისაძაგლეს სჩადის და ამიტომ დეპრესიაში ვარდება, მას დანაშაულის გრძნობა უვითარდება და ამ დანაშაულის გრძნობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მის-თვის როგორც სამომავლო სუპერ ეგოს ჩამოსაყალი-ბებლად. ამავე პერიოდში ის უკვე დედას მთლიანად აღიქვამს, მაგრამ ზოგჯერ როდესაც დესტრუქციული განცდები უჩნდება გარემოსთან ურთიერთობის დასამ-ყარებლად, ასათვისებლად ის ეძებს ვიღაც სხვას და ასეთ სხვა ობიექთად მას შეიძლება მამაშეხვდეს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვი ამ თეორიის მიხედ-ვით გენეტიკურად მოცემული და ბავშვობის პერიოდში განხორციელებული ლიბიდოსური და ტანატოსური ტენდენციების საფუძველზე კი არ მოქმედებს, არამედ ეგოს სულ უფრო გაძლიერებული შესაძლებლობების საფუძველზე მოქმედებს, როდესაც საკუთარ მეობას სხეულთან, ფსიქიკურ შესაძლებლობებთან აიგივებს და ეს გაცილებით მნიშვნელოვანია მისთვის, ვიდრე გენე-ტიკურად განპირობებული ლიბიდო თუ ტანატოსი. საქმე იმაშია, რომ ბავშვისთვის მთავარია გარემოსთან შეგუება, ადაპტაცია და სხვა ადამიანების მისი მოთ-ხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საშუალებებად, ობიექტებად გამოყენება. ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვი იძულებულია რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს საკუ-თარ თავთან გაიგივებულობას, თვითიდენტობას და ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი ქცევის კონტროლი, გარემოს დაუფლება და გარემოსთან შე-გუება. კლაინი მიიჩნევს, რომ აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დედა, რომელიც გახსნილია ბავშვისთვის და რომელიც თვითონ კისრულობს ბავშვის ინტერესე-ბის დამაკმაყოფილებლის როლს. ეს კი უანგარობაა,

რადგან შეუძლებელია, რომ ბავშვის მიმართ დედის მხრიდან განეული სამსახური რამენაირად იქნეს ანაზღაურებული.

### **სეპარაცია, ინდივიდუაცია - მარგარეტ მალარეს მიხედვით**

მარგარეტ მალარე იყო ვენელი ფსიქოლოგი(პედიატრი და ბავშვის ფსიქოანალიტიკოსი) რომელმაც განავითარა ზიგმუნდ ფროიდისა და უფრო მეტად მ. კლაინის ფსიქოლოგიური მოძღვრება. მალერი ძირითადად მიყვებოდა ფროიდის კონცეფციას და მიაჩნდა, რომ ადრეული ასაკის ბავშვობის პერიოდს დიდი მნიშვნელობა გააჩნია მთლიანად პიროვნების ჩამოყალიბებაში და ფსიქოპათოლოგიური ტენდენციების ფორმირებაში. მალერი რეალურად იყო პირველი, რომელმაც საფუძველი დაუდო რთული ფსიქური აშლილობების დაკავშირებას ბავშვისა და დედის, ბავშვისა და ზრდასრული ადამიანის ურთიერთობებს. მისი მოძღვრების საფუძველზე უკვე სხვა ფსიქოლოგები ცდილობდნენ ასეთი ურთიერთობების დაკავშირებას ფსიქიკურ აშლილობებთან, მაგალითად შიზოფრენიასთან. თვითონ მალერი ცდილობს ორიგინალურად გადმოსცეს ბავშვის განვითარების პერიოდიზაცია და ის განსხვავდება ფროიდისეული პერიოდიზაციისაგან. მალერი გამოყოფს შედეგ ეტაპებს: დაბადებიდან 1-2 თვემდე აუტიზმის პერიოდი; 2-6 თვემდე სიმბოიზმის პერიოდი; 6-2 წლამდე სეპარაცია - ინდივიდუაციის პერიოდი.

1. აუტიზმის პერიოდი არ უნდა აურიოთ რეალურ აუტიზმთან, როდესაც ბავშვი წელიწად-ნახევრისა თუ 3 წლის ასაკშიც კი განკერძოებულია გარშემომყოფთაგან. ეს აუტიზმი ჩვეულებრივ დაბადების შედგომი მდგომა-

რეობის ასახვაა, რადგან ბავშვი ახალ გარემოში მოქმედებს. ის თითქმის ვერ აღიქვამს გარემოს, ფსიქიკურადაც ჩაკეტილია საკუთარ თავში, ძალიან სუსტია და მთლიანად დამოკიდებულია სხვებზე. ის წყნარია და ეს მისი სიწყნარე არაკონტაქტურობა ზუსტად იმით არის განპირობებული, რომ ის აბსოლიტურად უცხო სიტუაციაშია და მისთვის ეს სიტუაცია საშიშია. მას მნიშვნელოვნად მარტივი დეპრესია ახასიათებს. მალერი აღნიშნავს, რომ ბავშვის დეპრესია ახალშობილობიდან თანხმობაშია დედის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ დეპრესიასთან. ცნობილია, რომ ქალებსაც ხშირ შემთხვევაში ჩვილის დაბადების შემდგომ მერიოდში დეპრესია უვითარდებათ და ზოჯერ ის იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება სერიოზულ დეპრესიაშიც გადაიზარდოს ანდა კიდევ უფრო მძიმე ფსიქიკურ სნეულებაში. ამიტომ მალერი აღნიშნავს, რომ გარკვეულწილად ბავშვისა და დედის მდგომარეობა უახლოვდება ერთმანეთს და შესაძლებელია, რომ დედის თერაპიული ფონი საშუალებას აძლევს მას უკეთ გაუგოს ბავშვს. საყურადღებოა, რომ მალერი უარყოფითად აფასებს ამ პერიოდში სხვების მიერ ხვევნა-კოცნას, მოფერებას და ა.შ. რადგან ბავშვისთვის ეს ყველაფერი უცხოა და მისთვის დადებითი ემოციური ფონის შემქმნელია დედასთან სხეულებრივი კონტაქტი, რაც ყოველგვარი გადამეტებული თითქოსდა მოფერების ტოლფასია. შედგომში ეს მოსაზრებები გავრცელებული და დამუშავებული იქნა და სხვა ფსიქოლოგები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ დადებითი ემოციების გამოხატვის უნარი ზუსტად დედასთან ფიზიკური კონტაქტის საფუძველზე ყალიბდება და თუ ბავშვებს ასეთი კონტაქტის დამყარების საშუალება არა აქვთ მაშინ ისინი ემოციურად ნაკლულები არიან.

2 თვიდან მთავრდება აუტიზმის ანუ უკიდურესი განკურძოების პერიოდი და ბავშვი უღიმის დედას და ეს ნიშნავს, რომ დედასა და ბავშვს შორის მყარდება სიმბიოზი, რომელიც, პირველ რიგში, ბავშვის დაცულობის გრძნობას უზრუნველყოფს, როდესაც ის დაშორებულია დედისეულ სხეულებრივ სითბოს მაგრამ ერთიანობის მდგომარეობას მაინც გრძნობს. სიმბიოზი ბავშვის პირვების განვითარების აუცილებელ კომპონენტად ითვლება, რადგან დედის ემოციები, მზრუნველობა, ემპათია უშუალოდ გადადის ბავშვზე და ბავშვის ემოციური განვითარება, ემოციების სწავლებით კი არ ხორციელდება, არამედ ერთდროული ემოციური ასახვითა და თანაგანცდით. ამიტომაც არის რომ 6 თვემდე ბავშვი და დედა ერთიან სისტემას წარმოადგენენ. 6 თვიდან იწყება სეპარაცია – ინდივიდუალურია. სეპარაცია განიხილება, როგორც ჩვილის მიერ საკუთარი თავის რეპრეზენტაციის პროცესი, რომელიც გამოცალკევებულია დედის რეპრეზენტაციისაგან. ინდივიდუალიზაცია კი აღნიშნავს პატარა ბავშვის მცდელობას ჩამოაყალიბოს საკუთარი დამოუკიდებელი იდენტობა, საკუთარი ინდივიდუალური მახასიათებლები.

აქ გამოიყოფა ქვეფაზები 1. დიფერენციაცია (10 თვემდე) .ბავშვის შემეცნების პროცესი გარემო საგნების გამოყოფაზე არის ორიენტირებული და ის უპირველეს ყოვლისა დედის სახეს გამოყოფს. ამავე დროს ასეთი გამოყოფა ალბათ უზრუნველყოფს ბავშვის სიმბიოზის მიჯაჭვულობაში გადასვლას და ის ყოველთვის უყურებს დედას და ამ ასაკიდან დედისაგან დაცილება ბავშვის ფსიქიკაში შიშის განცდას იწვევს. როგორც ჩანს ის სხვებისგან კარგად აღიქვამს დედას და უცხო ადამიანებზე პირვანდელი ფობია უნვითარდება მას. დიფერენციაცია აუცილებელი კომპონენტია, რაც ბავშვის გარემოს სწო-

რად შემეცნებას უზრუნველყოფს. თავისთავად თუ ჩვენ ამ პერიოდებში საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ანუ დარღვეულია ეს პერიოდები არ არის გამო-რიცხული ფსიქიკურ სწეულებათა განვითარება.

1. პრაქტიკულობის ქვეფაზა დაახლოებით 1,5 წლამდე გრძელდება, როცა იწყება ლოკომოციის ანუ გა-დაადგილების ფაზა და მართლაც ბავშვი სცილდება დე-დას და ჩქარა ბრუნდება ისევ მასთან. ანუ მალერი ამ-ბობს, რომ ბავშვი თითქოს სახლში ბრუნდება. უფრო მეტიც, როცა 1,5 წლის ბავშვის სხვა ბავშვებთან თამა-შობს ის მხარდაჭერისათვის ყოველთვის დედას უყურებს და კიდევაც შეიძლება დაანებოს თავი თამაშს და დედას დაუბრუნდეს.

2. დაახლოების ქვეფაზა. ამ პერიოდში მნიშვნე-ლოვანია აგრეთვე 2,5 ასაკში განვითარებული თვითდარ-წმუნებულობის განცდა, რომელიც შეიძლება განსაკუთ-რებულ თვითდარწმუნებულობაშიც გადაიზარდოს და ეს აყალიბებს ბავშვის თვითცნობიერებას და აქაც ძალიან მნიშვნელოვანია დედის მხრივ სიყვარულის გამოვლენა, რადგან თუ სიყვარულს არ გამოავლენს დედა მაშინ ბავშვს განუვითარდება დედის უკუგდების ტენდენცია, თვითჩაკეტილობის, იზოლაციის ტენდენცია.

### ჰაინც კოხეტი და ნარცისიზმი

ჰაინც კოხეტი ავითარებს ფროიდისეულ წარ-მოდგენებს ნარცისიზმის შესახებ. მაგრამ ფროიდისაგან განსხვავებით ის თვლის, რომ ნარცისიზმი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნეგატიური მოვლენა, მისი თვალ-საზრისით ბავშვის ფსიქიკის სწრაფი განვითარება თავის-თავად იწვევს საკუთარ თავზე გაზვიადებული წარმოდგე-

ნას. ეს წარმოდგენა გრანდიოზულ მე-ში გამოიხატება. კოხუტის მიხედვით ეს გრანდიოზული მე დედის მხრივ დაძლეული უნდა იყოს ისევ ემპატიით. წინააღმდეგ შემთხვევაში დაახლოებით სამი წლის ასაკში ვითარდება ნეგატივიზმი, რომელიც დედასთან დაპირისპირებას ასახავს და ეს დაპირისპირება გარკვეულწილად დედისაგან ემპატიის გამოვლენის ნაკლულობის შედეგია. მძიმე შემთხვევაში კოხუტი თვლის, არ არის გამორჩეული, რომ ამ დაპირისპირებამ საფუძველი დაუდოს შემდგომში დედასთან უფრო მეტ დაშორებას. ნარცისული ტენდენციების გაძლიერება შეიძლება დედის მიერ ბავშვის მიღწევების აღიარების საფუძველზე კი არა, არამედ ამ მიღწევასთან დაპირისპირების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ თუ ჩვეულებრივი ბავშვის თვითშეფასება, აღიარება ვითარდება დედასთან სიახლოვის, ემოციური თანაგანცდის, დედის იმედად ყოფნის საფუძველზე მაშინ თუ ბავშვს აკლდება დედის მხრივ ამ განცდების გამომწვევი სტიმულები მაშინ შესაძლებელია ორო გზა. ერთ შემთხვევაში ბავშვი უკიდურეს ნეგატიურ თვითშეფასებას ანვითარებს, კნინდება მისი მაღალი პრეტენზიულობა და ის დედის ნების უბრალო შემსრულებელი ხდება და არ არის გამორიცხული რომ ასეთი განვითარება ზღუდავს პიროვნების სრულყოფილ ფორმირებას. მეორე – დედისაგან საქმარისი, მისი ტენდენციის განმანტკიცებელი სტიმულების დროს ბავშვი შორდება დედას და მისი წარცისიზმი გაზვიადებულია და წარმოდგენა ჩვეულებრივ (ნორმალურ) წარცისიზმს სცილდება, რაც დედის უკუგდებაში, ეგოიზმში, ემოციების სხვებისადმი გამოვლენის სისუსტეში და ადამიანებთან ურთიერთობების სირთულეში გამოიხატება.

## **ფსიქოლოგიური ინტერვენცია ნარცისიზმის სამკურნალოდ**

კოხუტი ამბობს, რომ ინტერვენცია რეალურად უნდა იმეორებდეს იმ დამოკიდებულებას, რომელიც დედამ დააკლო შვილს მის მიმართ დამოკიდებულების პროცესში. ამიტომ კოხუტი ამტკიცებს, რომ ნარცისული ტენდენციების მქონე პიროვნებას საშუალება უნდა მიეცეს გამოხატოს საკუთარი გრანდიოზული მიდრეკილების სტიმულები. ჩვენ არ უნდა დავუპირისპირდეთ მას და ნებისმიერ მის სიტუაციას, მდგომარეობას, გამოთქმას გაგებით უნდა მოვეკიდოთ. აქ არის რთული მომენტი. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენ გრანდიოზული ტენდენციების მქონე პიროვნებას დავეთანხმებით თუ არ დავეთანხმებით, აქ მეტყველების შინაარს კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ ემოციურ დამოკიდებულებას, ანუ ფსიქოლოგი ემპათიით უნდა მოეკიდოს ნებისმიერი შინაარსის გამოთქმას, რადგან თანდათანობით ამ პიროვნების მიერ ფსიქოლოგთან გამოვლენილი ემპათიისი შეთვისება საფუძველი გახდება გრანდიოზული ტენდენციების შემცირებისა და საკუთარ თავში უბრალოდ დარწმუნებულობის შენარჩუნებისა, რაც ინტერვენციის წარმატების საწინდარი იქნება.

### **კოგნიტური ფსიქოთერაპია**

ამჟამად მიიჩნევენ, რომ ყველაზე რთული, ხანგრძლივი და განსაკუთრებული დახელოვნების მქონე ფსიქოანალიზი სინამდვილეში უწყვეტი პროცესია და დიდ დროს მოითხოვს, ამავე დროს ის მოითხოვს პაციენტის განსაკუთრებულ ინტელექტუალური შესაძლებლო-

ბებს. ამიტომ ფსიქოანალიზი ფართოდ ვერ გამოიყენება თავისი სირთულის გამო. ფსიქოანალიზის წარმატება ზოგიერთი ვარაუდით შემთხვევათა 25-30 % ფარგლებში თავსდება. იმ დროს კი როცა კოგნიტური ფსიქოთერაპია წარმატებას აღნევს დაახლოებით 35-40% ფარგლებში. ამიტომ ეს მიმართულება მეტად პოპულარულია, რადგან ის არ შემოიფარგლება, მხოლოდ ვიწრო კოგნიტური ფსიქოთერაპიის მიღწევებით და ინტენსიურად იყენებს სხვა მიმართულებების ტექნიკებს. ბიჰევიორალურმა ტექნიკებმა საფუძველი დაუდო კოგნიტურ-ბიჰევიორალურ თერაპიას. ეს მიმართულება ეფუძვნება იმ თვალსაზრის, რომ ფსიქიკური სწეულებები ორი ძირითადი ფაქტორებით არის განპირობებული: 1. ავტომატიზმები – ყოველდღიური ჩვევები, მშობლების მოსაზრებები, ემოციური სტერეოტიპები, რომელთა დიდი ნაწილი არ არის გაცნობიერებული, ყალიბდებიან ბავშვობაში, თუმცა შემდგომშიც განაგრძობენ ჩამოყალიბებას და ჩვენთვის შეუმჩნევლად ახდენენ ჩვენზე ზეგავლენას. 2. საბაზისო კონსტრუქტები – ეს არის საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ღირებულებები, დამოკიდებულებათა თავისებურებები, ურთიერთობათა განმეორებადი მდგომარეობები, ფასეულებები, რომლებიც აგრეთვე არ გვაქვს გაცნობიერებული და შეიძლება არც არიან სისტემატიზებულები. შეიძლება ისინი შემთხვევით ახდენენ ჩვენზე ზეგავლენას. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ფრანგული ეგზისტენციალიზმი არის ძალიან მნიშვნელოვანი მიმდინარეობა თანამედროვე ფილოსოფიაში და ფსიქოლოგიაში. მისი წარმომადგენელი ფკაფკა წერს თავის წარმოებში “წერილი მამას” – “შენ დამამუნჯე მე, რადგან შენი ხელის აწევა და წამოძახილი – გაჩერდი! მე ეხლაც მახსოვს და ის მზღვდავდა და ახლაც მზღვდავს მე.” ამრიგად ამ მწერალს, როგორც

ჩანს, შეუმუშავდა საკუთარი განცდების გამოხატვის ბლოკირების ტენდენცია. ა ეს კარგად ჩანს მის სხვა ნაწარმოებებში. იქ ერთ-ერთ პერსონაჟს გარდაეცვალა მამა, ყველა მიდის მასთან თანაგრძნობის სათქმელად, მას კი არანაირი შეცოდების, თანგრძნობის, მწუხარების განცდა არა აქვს და მას ეს თანაგრძნობის გამოვლინებები ხელოვნურ ქცევად მიაჩნია, საკუთარი თავიც კი ეზიზრება, რადგან არ არის გულწრფელი ადამიანებთან, ღებულობს ამ თანაგრძნობას, როდესაც მწუხარებას არ განიცდის. აქ კარგად არის აღწერილი ავტომატიზმი, რომელიც მისი რეალური სურვილის მიუხედავად მან უნდა გამოხატოს. ის გამოხატავს ამ ავტომატიზმს, მაგრამ არ ეთანხმება მას. ასეთივეა ანა კარგნინას მაგალითი, რომელიც უვარდება მატარებელს იმ აზრით, რომ ამით ის შურს იძიებს თავისი მოღალატე შეყვარებულზე. გამოდის, რომ ავტომატიზმი ყალიბდება, როგორც მეტყველებითი გამოთქმა, და ეს არ არის ჩვეულებრივი აკრძალვის ან დებულების, თუ ტრადიციის სახით ჩამოყალიბებული მაგრამ მნიშვნელოვანია, რადგან ახდენს ჩვენზე დიდ ზეგავლენას. კოგნიტურ ფსიქოთერაპიამ შეიმუშავა ფსიქიკურ აშლილობათა საკუთარი წარმოდგენები.

მაგალითად, დეპრესია დაკავშირებულია სამ ნეგატიურ შეფასებასთან: საკუთარი თავის, სოციალური გარემოს და ჩვენი მომავალის. ეს არის დეპრესიის ტრიადა, რომელიც განაპირობებს დეპრესიული განცდების ჩამოყალიბებას. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საკუთარი თავის მაქსიმალურ დაკანინებას, გაუფასურებას, არარაობად მიჩნევას. ადამიანი ცდილობს თითქოსდა ყველა ბოროტების, ყველა უარყოფითი თვისების საკუთარ თავზე მიწერას. ის ნებისმიერ საკუთარ ქცევას წარუმატებლად აფასებს, თუნდაც რეალურად მას წარმატება ჰქონდეს. ის

ცდილობს საკუთარი ლირებულებების შემცირებას და თვითშეფასების დონის მაქსიმალურ დაწევას, თანაც მას ეჭვი არ ეპარება, რომ მისი პიროვნება უღირსია, საქმიანობაში უუნაროა, ურთიერთობებში მიუღებელი და ასეთი თვითგვემა მისთვის ძალიან დამახასიათებელი ხდება.

მისი ნებისყოფა ბლოკირებულია, აზროვნება კი ნეგატიურია. ასეთ მის შინაგან გვემას ამტკიცებს, მისი თვალსაზრისით საზოგადოებრივი დამოკიდებულების თავისებურება, რომლის მიხედვით მის გარშემო მყოფი ადამიანები მის წინააღმდეგ არიან მომართული. ამავე დროს ის თვლის, რომ თვითონ არ არის ლირსი ქონდეს ადამიანებთან ურთიერთობა. თავისთავად გასაგებია, რომ ტრიადის მესამე ნაწილი, მომავალი მუქ ფერებში აქვს წარმოდგენილი დეპრესიულ პიროვნებას. მისთვის მომავალი არ არსებობს, ის კარგავს რწმენას, რომ რაიმეს მიაღწევს მომავალში, რომ გამოვა დეპრესიდან. რწმენის უქონლობა კი თავისთავად იწვევს სუიციდურ ტენდენციებს. ეს თითქოს კანონზომიერი შედეგია, რადგან მას სძულს საკუთარი თავი. მისი არსებობა გაუმართლებელია სხვებთან ურთიერთობაში. ის არის ყველაფერი ცუდის შემოქმედი და მისი სიცოცხლე ნულის ლირებულებისაა. აპათიურობა, განკერძოებულობა, საკუთარ თავში ჩაკეტილობა განაპირობებს ამ ტრიადის არსებობას. კოგნიტური ფსიქოლოგის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ამ ყველაფრის მიზეზი ზუსტად ავტომატიზებული საბაზისო კონსტრუქტებია, რომლებიც ნარკოტიკივით მოქმედებენ და ჩვენ ვხდებით მათზე დამოკიდებული. ამიტომ აუცილებელია ამ ავტომატიზებული სტერეოტიპების გადახედვა, გადაფასება და ახალი ლირებული, რეალური კონსტრუქტების ანუ ჩვევების წარმოქმნა. გამოყოფენ შემდეგ თავისებუ-

რებებს. რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ავტომატიზებული აზრების წარმოქმნაში.

1. საკუთარი თვითნებობის საფუძველზე ისეთი დებულებების კონსტრუირება, რომლებსაც არა აქვს რეალური საფუძველი და ისინი მხოლოდ ჩვენს პირად თვალსაზრისს შეესატყვისებიან;

2. გაზვიადებული განზოგადება ეყრდნობა შემთხვევით ფაქტორებს და მოვლენებს, რომლებიც ხშირად არ მეორდებიან, შემთხვევით ხასიათის მატარებლებია და მათი განზოგადება გაუმართლებელია, მაგრამ ჩვენ მაინც ვანზოგადებთ, ამით ვარწმუნებთ საკუთარ თავს, რომ ჩვენ არავის ვუყვარვართ.

3. შერჩევითი განზოგადება – ხშირად ჩვენთვის საზიანო შემთხვევებს უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ ვიდრე ისინი იმსახურებენ. მაგალითად, სიზმარში ნანახს ვაზვიადებთ ამ სიზმრის ყოვლისმომცველობას და მის სიძლიერეს მივაწერთ.

4. დაკნინება და გაზვიადება. ჩვენს მსჯელობაშორი ერთმანეთისაგან საპირისპირო ტენდენციები ვითარდება ჩვენ ვაკნინებთ წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს და, პირიქით, ვზრდით ვაძლიერებთ უარყოფით ტენდენციებს და მოვლენებს, რომლებიც შეიძლება მართლაც არსებობენ. მაგრამ მათი რეალური ზემოქმედება ჩვენზე უმნიშვნელოა.

5. პერსონალზაცია –საკუთარი თავისადმი ყველაფრის მიკუთვნება, ჩვეულებრივ ის განამტკიცებს ჩვენს მიერ საკუთარ თავზენარმოდგენებს, აფართოებს ჩვენი პირადი სივრცის ფარგლებს, გვხვდის აგრესიულებს, ეგოისტურად განწყობილებს. თავისთავად პერსონალზაცია ყველაფრის კარგის მიკუთვნებაში შეიძლება გამოიხატოს. დეპრესიული პიროვნებისთვის კი დამახა-

სიათებელია ყველაფერი ცუდის მიკუთვნება საკუთარი თავისადმი. როგორც ჩანს დეპრესიული პიროვნება გან-წყობილია უარყოფითი თვისებების უნებლიერ ათვისებაზე.

6. დეპრესიას მაქსიმალიზმი ახასიათებს, ანუ ამ მდგომარეობაში ადამიანი ყველაფერში უკიდურესობის მომლოდინება. თუ წარმატებაზეა საუბარი ის უკიდურეს წარმატებას მოელის და თუ ამას ვერ აღწევს საკუთარ პიროვნებას ადანაშაულებს. ასეთი მაქსიმალიზმი შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე, საკუთარი თავის გადამეტებულ თვითშეფასებაში, უნარების გაზვიადებაში. ასეთი გარკვეული გრანდიოზობა და ნარცისიზმი ძალიან მყიფე მდგომარეობაა, ცვალებადი, არ ეფუძვნება ლოგიკურ შეფასებას, მსჯელობას და ამიტომ მაქსიმალური მოთხოვნა, ერთის მხრივ, სწავლაში წარმატების მიმართ, შეიძლება საფუძველი გახდეს უკიდურესი წარუმატებლობის მოლოდინისა. ასეთი მაგალითები ბევრია: მშობელი აზვიადებს შვილის შესაძლებლობებს, შთაუნერგავს ასეთ წარმოდგენას, შემდგომში კი როდესაც ბავშვი ვერ აღწევს შესაბამის შედეგს (გაზვიადებულს) არ არის გამორიცხული დეპრესიული მდგომარეობის ჩამოყალიბება. საყურადღებოა, რომ ეს მიმართულება იყენებს ფსიქოანალიტიკურ ტერმინოლოგიას, მაგალითად, გადატანის-განდევნის, რაციონალიზაციის, მაგრამ მიიჩნევს, რომ მთავარი არის მაინც ლოგიკური მსჯელობა.

### **კოგნიტური ფსიქოთერაპიის ძირითადი ნიშნებია:**

1. გამოავლენს საკუთარ ფსიქოლოგიურ ავტომატიზმებს;
2. არკვევს საკუთარ კავშირურთიერთოებებს საკუთარი აზრების ავტომატიზმებსა და ემოციებს შორის;

3. განიხილავს ყველა არგუმენტს ამ ავტომატიზებული აზრების საწინააღმდეგოდ და სასარგებლოდ;

4. დაძებნის, ამ ავტომატიზებული განცდების უფრო რეალისტურ ინტერპრეტაციისა და შეფასებას;

5. შეისწავლის, გამოავლენს და შეცვლის დეზორგანიზაციის წარმოდგენებს, დებულებებს, რომლებიც ინკვენტურარებისა და გამოცდილებების შეცვლას.

## გეშტალტ თერაპია

**პიროვნული ზრდის თერაპია და პრაქტიკა.** ამ მიმართულების ფუძემდებელია ფრედერიკ პერლსი(1893-1970). ეს არის გერმანელი ფსიქოლოგი, რომელიც თავიდან იყო ფსიქოანალიტიკოსი და საქმიანობდა ცნობილი გერმანელი ფსიქოანალიტიკოსის რაიხის ხელმძღვანელობით. გერმანიაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ, პერლსი წავიდა ემიგრაციაში სამხრეთ აფრიკაში, შემდეგ კი აშშში, სადაც მან თანდათან ჩამოაყალიბა გეშტალტ ფსიქოლოგიის შესაბამისი ფსიქოთერაპია. ჩვენ ვიცით, რომ გეშტალტ ფსიქოლოგია არის ძირითადად აღქმის სფეროს მომცველი მიმდინარეობა, რომელიც მთლიანად აღქმას ასახავს, და ამტკიცევს, რომ მთლიანობითი აღქმა თავის-თავად მოქმედია ადამიანის ფსიქიკაზე და ის გულისხმობს მთლიანობის უპირატესობას.

პერლსმა აბსოლუტურად სხვა მიმართულება მისცა გეშტალტ ფსიქოლოგიას და ფაქტიურად ახალი კლინიკური მიმდინარეობა ჩამოაყალიბა. პერლსი ამტკიცებდა, რომ არსებობს ადამიანის ფსიქიკაში ორი ძირითადი საწყისი 1. ბიოლოგიური, რომელიც მოიცავს შიმშილს, წყურვილს, სქესობრივ მიღრეკილებებს, უსაფრთხოების ტენდენციებს 2. სოციალური, რომელიც ჩვენ შეთვისებული

ლი გვაქვს საზოგადოებაში. პერლისის მიხედვით ამ ორ საწყისს შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა, რადგან ბიოლოგიური საწყისები ჩვენი არსებობის შინაგან საწყი-სებს შეესატყვისებიან და ისინი განაპირობებენ ჩვენს არ-სებობას. სოციალური საწყისები კი ხელოვნური საწყისე-ბია, შეთანხმებული და ამგვარად შეიძლება არც იყვნენ ჭეშმარიტი. ჩვენს განვითარებაში ჩვენ გავდივართ რამ-დენიმე ეტაპს, მაგრამ ამ ეტაპების გავლაში მნიშვნელო-ბანი როლი ენიჭება მშობლების ტაქტიკას ჩვენს მიმართ. აქ ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: 1. ჩვენი სი-სუსტის, ბავშვური უსუსურობის გამო მშობლები ავლენენ ზედმეტ მეურვეობას, ჩვენი ქცევის რეგლამენტირებას, დამორჩილებას და ჩვენ ასეთ სიტუაციაში გვიმუშავდება მშობლებზე დამოკიდებულების ტენდენცია, არა გვაქვს შინაგანი ინიციატივა, სიახლისადმი ლტოლვა, შემოქმედე-ბითობა ამგვარად ყალიბდება ისეთი პიროვნება, რომე-ლიც უსუსურია. მეორე შემთვევაში მშობლები ცდილო-ბენ მაქსიმალურად მისცენ ბავშვებს მოქმედების თავი-სუფლება და აქაც შეიძლება უკიდურესობასთან გვქონ-დეს საქმე. ბავშვი მისი სისუსტის გამო ვერ ეგუება გა-რემოს, ვერ ადაპტირდება ვერ ნახულობს გარემოსთან ურთიერთოებებში შესაფერისი, ტაქტიკური ნაბიჯების ერთობლიობას და ამიტომ მშობლების მხარდაჭერის გა-რეშე მისთვის მინიჭებული თავისუფლება განაპირობებს იმას, რომ ბავშვი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნე-ლობით ვერ დგას ფეხზე. მას დაურწმუნებლობის გან-ცდა ეუფლება და გარემოსთან შეგუება უჭირს რაც პი-როვნულ ზრდას აფერხებს. მშობლებთან ურთიერთობაში მას უვითარდება ორი მისი ფსიქიკის ინსტანცია 1. გადა-ტანითი გამოთქმით ეს არის «ძალი ზემოდან», რომე-ლიც ბავშვის შინაგანი ქცევის მაკონტროლებელ ინსტან-

ციად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს არის სხვა სიტყვებით სინდისი, რომელიც ჩვენზე ზემოქმედებს, ჩვენს ქცევას წარმართავს, ქცევას, ემოციებს განაპირობებს. ზნეობრივ სტერეოტიპებს აყალიბებს. 2. ეს არის «ძალლი ქვემოდან» ანუ ლეკვი რომელიც დამოკიდებულია ზემო ძალლზე, მაგრამ საკუთარი ურთიერთობების გამო ის ხშირად არ არის გულწრფელი, ხშირად ცდილობს გამოიყენოს ზედა ძალლი და არაპირდაპირ წარმართოს მისი მოქმედება. აქ ანალოგიაა ბავშვის ქცევასთან, რომელიც ტირილით, გაბუტვით, მოფერებით ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მშობლებზე და წარმართოს მათი ქცევა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

პერლსი წერს, რომ ჩვენი სრულყოფის, განვითარების პერიოდები მოიცავენ სრულყოფის ისეთ ეტაპებს, რომლების ერთდროულად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც განვითარების ისეთი შინაგანი ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოხსნის ეტაპებად 1. სიცრუის, თვალთმაქცობის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვახასიათებს და განსაკუთრებით სოციალურ ურთიერთობებში გვაქვს ნიღაბი. სიმართლეს საკუთარი პიროვნებასაც კი არ ვეუბნებით. ეს ნიღაბი აადვილებს ჩვენს შეგუებას გარემოსთან, მაგრამ სამაგიეროდ აფერხებს ჩვენი შინაგანი რეალური ღირებულებების გამოვლენას, არ ვართ გულწრფელი და ეს არა მხოლოდ სხვებს აზიანებს, არამედ ჩვენშიც იწვევს არასასიამოვნო განცდებს და ნებისმიერი ჩვენი სიცრუე არ შეიძლება მივიჩნიოთ გამარჯვებად. ასეთი სიცრუა ამავე დროს ადამიანს უყალიბებს ფანტასტიკურ არარეალისტურ სამყაროს, რომელსაც პერლსი უწოდებს **მაიას**. ეს სამყარო თითქოს გვაკმაყოფილებს ჩვენ, ამავე დროს ხელს უწყობს სამყაროდან გამოცალკევებას და ჩვენს ურთიერთობებში წარმოიქმნება წარმოსახული და რეა-

ლისტური შეფასებების შეუთავსებლობა – შეუჯერებლობა. ასეთი დისონანსი არ შეიძლება იწვევდეს ფანტასტიკური მაიას სამყაროში ყოფნით დაკმაყოფილებას, მაგრამ ჩვენ სიცრუეზე ვართ ორიენტირებულები, ვატყუებთ საკუთარ თავს და სხვებს და ფანტაზიურ სამყაროში ყოფნა ერთგვარი დამცავი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს შინაგანი ფსიქიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია ინდივიდუალურ ურთიერთობათა გასაცნობიერებლად ზემო და ქვემო ძაღლების სიტუაციაში დადგომა, ანუ მონაცვლეობით ვდგებით ხან ზემო და ხან ქვემო ძაღლის სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აგრეთვე ე.წ. ცხელი სკამის მეთოდიკით პიროვნული სირთულეებისაგან განთავისუფლება და ადგილმონაცვლეობის განხორციელება საკუთარი შინაგანი სირთულეების, სიცრუების, ფანტაზიების დასაძლევად და რეალუსტურ ღირებულებამდე მისასვლელად..

**სიცრუის შემდეგ მოდის ფობიების ეტაპი.** ჩვენ გვეშინია რომ მშობლები არასწორად გაგვიგებენ, რომ ისინი არ დაგვეხმარებიან, რომ მათი მეურვეობის გარეშე ვერ შევძლებთ არსებობას, რომ ისინი ძლევამოსილნი არიან და ჩვენ არაგულწრფელად ვეგუებით მათ, გვეშინია მათი და ვცდილობთ გამოვიყენოთ ისინიამავე დროს მუდმივად გვაქვს შიში, რომ შეიძლება ისეთი რამ გავაკეთოთ რაც მშობლების რისხვას, უკმაყოფილებას, აღშფოთებას გამოიწვევს. ჩვენ ვუფრთხილდებით მათ და ეს გადამეტებული სიფრთხილე იწვევს იმას, რომ არა მხოლოდ მშობლებთან ურთიერთობაში, არამედ სხვა სიტუაციებშიც ჩვენ გვივითარდება ფობიები, აკვიატებები.

**ჩიხის ეტაპი** – ჩვენ ვერ ვპოულობთ ჩვენი წინსვლის საფუძველს. ჩვენ თითქოს დაუძლეველი სირთუ-

ლეების წინაშე ვდგევართ, ჩიხში ვართ მოქცეულნი და გამოსავალი არ არსებობს. ეს მდგომარეობა თავისთავად ჩვენი სულიერი განცდების გაუძლურებას, ბლოკირებას და მძიმე განცდებს იწვევენ.

შემდგომი არის იმპლოზიური ეტაპი. ამ ეტაპზე ჩვენ ფსიქოლოგიურად განადგურებულები ვართ, სიკვდილის ველით, არ არსებობს რაიმე პერსპექტივა, სიცოცხლეს დაკარგული აქვს ღირებულება და აზრი, ჩვენი მდგომარეობა ემსგავსება ყოვლად დაძაბულ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება მძიმე დეპრესიასთან იყოს დაკავშირებული.

**ექსპლოზიური ეტაპი.** პერლსი მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე პიროვნების განვითარება დაკავშირებულია საკუთარი ფსიქიკის შებოჭილობის დაძლევასთან ანუ თუ ჩვენ ვწუხვარ უნდა გამოვხატოთ, თუ გვძულს გამოვხატავთ სიძულვილს... თუ რაღაც აგრესიული ქცევა გვინდა უნდა გამოვხატოთ, არ შევაჩეროთ სიცილის, სიძულვილის, სიხარულის ტენდენციები. პერლსი ამბობს, რომ ფსიქოთერაპიის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ფსიქოლოგთან ურთიერთობაში პაციენტს თუ კლიენტს უნდა ქონდეს შესაძლებლობა, რომ გამოხატოს მისი ნებისმიერი ტენდენცია. ასეთი აფეთქება აუცილებელია, მაგრამ ის ვერბალურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ეს სავსებით საკმარისია და არსებობს უამრავი ალწერილობა ბავშვებთან ურთიერთოებებში, როდესაც ბავშვს აძლევენ საკუთარი ტენდენციების გამოხატვის უფლებას და ისინი განიტვირთებიან ისეთი დაძაბულობისაგან, შინაგანი მუხტისაგან რომელიც ვერ პოულობს გამოხატვას.

## ფრუსტრაცია და გეშტალტ ფსიქოლოგია

ჩვეულებრივ მიღებულია დეპულება, რომ ჩვენი იმედების, მისწრაფებების შეუსრულებლობა იწვევს ფრუსტრაციას. ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში მშობლები ცდილობენ აარიდონ ბავშვები ფრუსტრაციას. პერლსი თვლის, რომ ფრუსტრაცია არ უშლის ხელს და პირიქით ადამიანის განვითარების აუცილებელი კომპონენტია, რადგან ბავშვს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს შეხვდეს დამაბრკოლებელ სიტუაციას, გადალახოს ის მშობელთან ერთად და მას შეუმუშავდება დაბრკოლებათა გადალახვის უნარი. სხვა შემთხვევაში კი ის იქნება დამოკიდებული ამ დაბრკოლებაზე. ამიტომ აუცილებელია შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, რომლებიც საშუალებას მისცემს ადამიანს დასძლიოს გარემოში წარმოქმნილი სირთულეები. ტრენინგები თავისთავად არ შეიძლება მივიჩნიოდ უშუალოდ დამაბრკოლებელი სიტუაციის დაძლევად, მაგრამ ისინი საშუალებას აძლევენ ადამიანს წარმოსახვის საშუალების საფუძველზე გაითამაშონ მატრამვირებელი სიტუაცია და დასძლიონ ის. რთული სიტუაციის წარმოსახულად დაძლევა კი შესაბამის განწყობას უყალიბებს ადამიანს და ანალოგიურ სიტუაციებში მას შესაფერისი მოქმედების განწყობა აქვს შემუშავებული. ამიტომ მრავალი გეშტალთფსიქოლოგიური სავარჯიშო დაკავშირებულია ისეთ სტრატეგიებთან, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანს გაერკვეს საკუთარ ფსიქიკურ განცდებში და მოიხსნას შინაგანი დაპირისპირება.

მაგალითად, შეიძლება ჩვენ საკუთარ პიროვნებაში დავადასტუროთ დადებითი და უარყოფითი მე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივწეროთ წერილი საკუთარ დადებით მეს ან უარყოფით მეს. თერაპევტის დანიშნულებაა პაციენ-

ტთან ურთიერთობაში წინ აღუდგეს პაციენტის ტენდენციას, რომელიც ორიენტირებულია მეურვეობაზე, საკუთარ სისუსტეზე და ისეთი სიტუაცია უნდა შეიქმნას, რათა პაციენტი ფრუსტრირებული იყოს, არ გაიზიაროს მისი ტენდენციები, რომლებიც მას ქონდა ჩამოყალიბებული ბავშვობის პერიოდში დამოკიდებულებაზე, არასრულფასოვნებაზე. გეშტალტ თერაპია ასეთ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს პაციენტის ასეთი ვითარების იგნორირებას. უფრო მეტიც პაციენტის დამოკიდებულება თერაპევტის მიმართ შეიძლება იყოს პატერნალისტული ანუ ისეთი დამოკიდებულება, რომელიც მშობლებსა და ბავშვებს შორის ყალიბდება. გეშტალტ თერაპიის თვალსაზრისით ჩვენი პრობლემები დაკავშირებულია იმ აბსტრაქტულ შეფასებებთან, აღქმასთან რომლებიც უყალიბდებიან ადამიანს განვითარების პერიოდში.

### თერაპევტული პროცედურები და სავარჯიშოები

გეშტალტფსიქოლოგიის ამოსავალი პუქტია **აქ და ამჟამად** მდგომარეობის უპირატესობა, რაც თავისთავად გულისხმობს წარსულში მომხდარი მოვლენების უგულებელყოფას, უმნიშვნელოდ მიჩნევას, არარეალობასთან გაიგივებას. სინადვილეში აქ თერაპია მიმართულია ზუსტად წარსულში შეთვისებული დებულებების, ჩვევების, რაღაც გზავნილების უკუგდებაზე, მათ ისეთ განცდაზე, რომელიც არ გულისხმობს მათ ინტერპრეტაციას, რადგან ინტერპრეტაცია ფსიქოანალიზს ახასიათებს. აქ კი ლაპარაკია უშუალო განცდაზე. აქ და ამჟამად ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ წარსულში განცდილი რაიმე მდგომარეობა, რაიმე ფაქტი, თუ გრძნობა. ეს კი თავისთავდნიშნავს, რომ ჩვენი სრულყოფილი არსება არ შეიცავს

წარსულში განცდილს და ჩვენ ჩვენი გრძნობის ორგანოების მოქმედებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. საქმე იმაშია, რომ წარსულში განცდილი ტრავმა თუ კონფლიქტური სიტუაცია **ახლა და ამჟამად** არც აღქმაში, მხედველობის მეშვეობით, არც სმენით შეგრძნებებში და არცერთ შეგრძნებებში არ გვაქვს მოცემული. ამიტომ გამოდის, რომ ჩვენი პიროვნება რეალურად ამჟამინდელი განცდის თვალსაზრისით არ შეიცავს რაიმე მატრამირებელ გარემოებას. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პაციენტის ფსიქიკაში წარსული არ არის წარმოდგენილი, ის წარმოდგენილია მის მეხსიერებაში და ჩვენ მას ამჟამინდელი განცდები უნდა დავუპირისპიროთ. ასეთი დაპირისპირების საშუალებას იძლევა ჩვენთვის ნაცნობი მეთოდიკა-ძალლი ზემოთ და ძალლი ქვემოთ ან ცხელი სკამის მეთოდი. გეშტალტ ფსიქოლოგია ყველაზე კარგად იყენებს კათარსისის მექანიზმს, მაგალითად: თუ ჩვენ ვართ ქვემო ძალლის პოზიციაში თერაპევტის საშუალებით, ზემო ძალლს, რომელიც გვზღუდავს, აბრკოლებს აზრებისა და განცდების თავისუფლად გამოვლენას ჩვენ ყველაფერი უნდა ვუთხრათ. ცხელ სკამზე ყოფნის დროს თერაპევტი ცდილობს, რომ პაციენტმა გაიაროს ყველა ეტაპი – სიცრუის, ფობიის, ჩიხის, იმპლოზიური და ექსპლოზიური. ზუსტად ექპლოზიური აფეთქება გვაძლევს საშუალებას, რაც გვაქვს დაგროვილი ჩვენი ქცევის შემპორკველის მიმართ უნდა გამოვთქვათ და რაც შეიძლება ინტენსიური, ძლიერი ემოციების საშუალებით. ასეთი გამოთქმა, საკუთარი განცდების დემონსტრირება კი თავისთავად გვანთავისუფლებს იმ მდგომარეობიდან რომელიც წარსულშიგვექონდა და ჩვენ განვიცდით კათარსის. ამ შემთხვევაში გვემატება გაბედულობა, ჩვენი პიროვნება გადალახავს ფობიას, რომელიც ხელოვნურად არის შექ-

მნილი და ამგვარად ჩვენ პიროვნული ზრდის გზაზე ვდგებით და მატრამვირებელი გარემოებები ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდებიან. ამ შემთხვევაში ასეთი შედეგის მიღწევა შეიძლება საკუთარ თავთან დიალოგის საშუალებით, როდესაც ის მის პიროვნებაში ცდილობს დიალოგი გამართოს საკუთარ პიროვნებაში გაბატონებულ თუ დამოკიდებულ პიროვნებასთან.

გეშტალტფსიქოლოგია გვთავაზობს პასუხისმგებლობის განმტკიცებას. მას მიაჩინა, რომ სრულყოფილი, ზრდასრული ადამიანი არ შეიძლება ელოდოს მშობლებისაგან, საზოგადოებისაგან მისი მდგომარეობის წარმართვასა და დახმარებას. ამიტომ ეს თეორია გვთავაზობს ასეთ სტრატეგიას, მაგალითად: მე ვსწავლობ სტატისტიკას, ეს გათვალისწინებულია ფსიქოლოგიური სპეციალობის სტანდარტით. ამიტომ მე ვერ მიშველის ვერცერთი პედაგოგი, ვერც აქცია, რადგან მე ვარ პასუხისმგებელი, მოქმედი პირი და ყოველთვის ჩემზეა დამოკიდებული ყველაფერი, რაც კი ჩემთან არის დაკავშირებული. პასუხისმგებლობის აღება არის მთავარი ტენდენცია, რომელიც ადამიანს ახასიათებს, რადგან უპასუხისმგებლობა ბავშვებისადმი არის დამახასიათებელი. თერაპევტული მიდგომა გესტალტ ფსიქოლოგიაში დაბრკოლების გადაღახვაზე ორიენტაციაში გამოიხატება. აქ ფრუსტრაცია ხელის შემშლელი კი არა ჩვენი ძალების მობილიზების საფუძველია. ცხოვრება საერთოდ ფრუსტრაციათა ერთობლიობაა და მის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი, პასუხისმგებელი პიროვნების ჩამოყალიბება. რეალურად პასუხისმგებლობის გაცნობიერება განაპირობებს ფსიქოლოგიურ სწერულებათა დაძლევას.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვეულებრივად, როდესაც ადამიანს აქვს ფსიქიკური აშლილობები, ასეთ შემთხვევაში

ხშირად ადგილი აქვს პროექცირებას – გადატანას. გეშტალტ ფსიქოლოგია სთავაზობს ამ მეთოდის გამოყენებას ინტერვენციაში, მაგალითად, ბავშვს ეშინია მშობლის, მას უნდა შესთავაზოთ მშობლის როლის შესრულება და ასეთი როლის შესრულებით ის ჩვენს ფსიქოლოგიურ სეანსში თერაპევტთან ურთიერთობაში გაითამაშებს იმას რაც მისთვის წარმოადგენს საფრთხეს.

პაციენტს ვთავაზობთ ითამაშოს მისი ხასიათის საწინააღმდეგო როლი ანუ თუ ის სერიოზულია, ითამაშოს არასერიოზულის როლი, თუ სანგვინისტური ტიპია ითამაშებს ფლეგმატიკის ან მელანქოლიკის როლი ანუ მისთვის ჩვეულებრივი როლის თავისებურება უკუაგდოს და ამგვარად ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინოს საკუთარ ფსიქიკაში.

ვთავაზობთ პაციენტს, რომ მან მოირგოს ნებისმიერი სოციალური როლი და გაითამაშოს ის მაგალითად, დირექტორის, ბოშას და ა.შ.

### **თერაპევტული პროცესის შინაარსი და სტრატეგიები:**

1. პროექტორი-ისეთი ადამიანია, რომელსაც მისი საკუთარი პიროვნების რაღაც ნაწილები ფსიქიკური კონსტრუქტები შეცვლილ, ძნელად აღსაქმელ ფორმაში გადააქვს სხვებზე. ასეთ შემთხვევაში მას ექმნება შთაბეჭდილება, რომ ის სტაბილურ მდგომარეობას აღწევს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი გადატანა არ არის სტაბილური მდგომარეობის შემომტანი მის ფსიქიკაში, რადგან ყველაფერი რჩება მის პიროვნებაში და ის მხოლოდ გარეგნულად აღწევს სტაბილურობას, რაც არ არის კათარსისი, რადგან ის ღიად არ აკეთებს საკუთარი ტენდენციების რეალიზაციას და ამიტომ მისი შემაწუხებელი ბუნება მას არ სცილდება და მასთან რჩება.

2. ინტროექტორი- ადამიანი თითქოს ჩაერთვება გარემოსთან ურთიერთობაში, ცხოვრებაში მაგრამ ასეთი ჩართულობა არ არის ჭეშმარიტი ის ხელოვნურია და სიმსუბუქეს ის არ განიცდის.

3. რეტროფლექტორი – ასეთ პიროვნებას უბრუნდება შეცვლილი ფორმით ის რაც მან გადასცა საზოგადოებას და ის კონცენტრირდება საკუთარ თავზე, თუმცა ვერ აღწევს ჭეშმარიტ მდგომარეობას, საკუთარ პიროვნებასთან გულლიაობას, პასუხისმგებლობის აღებას.

4. დეფლექსია-ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი გაურბის პირდაპირ კონტაქტს სხვებთან და კონკრეტული მდგომარეობის ასახვის ნაცვლად, კონკრეტული საუბრის ნაცვლად ის ზოგადი მოსაზრებებით შემოიფარგლება და როცა ჩვენ გვინდა მის მდგომარეობაზე ვისაუბროთ ის ამბობს რომ ახლა ყველას უჭირს, ანუ ზოგადად მსჯელობს.

5 კონფლუენცია- ეს არის პაციენტის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ის არ არის გულწრფელი და ცდილობს სხვებთან, გარემოსთან იყოს მაქსიმალურად შეგუებული. უკრიტიკოდ აღიარებს საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ სტანდარტებს კონფორმულად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობა შეიძლება მივაკუთვნოდ ფსიქიკური დაცვის მდგომარეობას. ამათ ეკუთვნის აგრეთვე, ისეთი თხრობა, რომელიც არ ასახავს რეალურ ვითარებას, თუმცა შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, მაგრამ შინაარსის გამოტანა ძალიან რთულია. საუკეთესო შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს საუბარი, მაგალითად -რა ცუდი ამინდია ბათუმში.

### **თვითშეფასება**

პაციენტს შეიძლება დაბალი თვითშეფასება ჰქონდეს, რომელიც აბრკოლებს მის ურთიერთობას და განაწყო-

ბას მათ მორჩილებაზე, ურთიერთობის გაუარესებაზე, დეპ-რესიულ გუნება-განწყობილებაზე. ამიტომ თერაპიის მიზა-ნია ობიექტური თვითშეფასების დადასტურება, რადგან თა-ვისთავად ადამიანის არსებობა უკვე არის დადებითი ფაქტი და თვითშეფასების ისეთი სანინდარი, რომლითაც ჩვენ კმა-ყოფილები უნდა ვიყოთ. აქვე არის უკიდურესობა, რომელიც ცუდია, ეს არის პერფექციონიზმი – აბსოლუტური სრულყო-ფილება, რაც უზარმაზარ სტრესულ მდგომარეობას იწვევს და ჩვენი მისწრაფებებისა და რეალური მდგომარეობის გან-სხვავებულობა ფსიქიკური აშლილობის საფუძველი ხდება. აქვე უნდა განვიხილოთ “მე უნდა” მდგომარეობა, რომელიც ნიშნავს, რომ თითქოს ვიღლაცა გვავალდებულებს ჩვენ, რომ განსაკუთრებით მაღალ დონეს უნდა მივღწიოთ ამ “უნდა”-სთან განსხვავება აგრეთვე იწვევს ფსიქიკურ აშლილობას და სავსებით დამაკმაყოფილებელია თუ “ჩვენ უნდა”-ს რეალის-ტურად დავუპირისპირებთ “მე მინდა”-ს, რომელიც არ იქნე-ბა არც გაზვიადებული და არც დამამცირებელი მდგომარე-ობის ამსახველი.

### **პასუხისმგებლობა**

უმნიშვნელოვანესი თერაპიული მიდგომაა, რადგან თერაპევტი უნდა ცდილობდეს, რათა პაციენტს არ ჰქონდეს მოლოდინი, რომ თერეპევტი იღებს პასუხისმგებლობას მის გამოჯანმრთელებაზე. მაგალითად, როდესაც თერაპევტი ეუბნება პაციენტს- “შენ თუ ცუდ გუნებაზე ხარ, თავის მოკ-ვლას თუ აპირებ დაგვანებე თავი, მაგრამ შენ თუ ჩვენთან მოხვედი პასუხისმგებლობა აიღე და ჩემგან კი არ დაელოდო, რომ მე შენ დაგეხმარები, არამედ მე შენ შეგიწყობ ხელს, რომ შენ დაეხმარო შენს თავს.

### **ინტიმურობა**

ითვლება ძალიან მნიშვნელოვან სტრუქტურად გეშ-ტალტ ფსიქოლოგიაში და აქ იგულისხმება საკუთარ თავთან

გახსნილობა. ამიტომ ობიექტური თვითშეფასება, კონტაქტებზე ორიენტირებულობა, უმუალობა არის ჯანსაღი ცხოვრების აუცილებელი პირობა.

### **კომუნიკაცია**

გეშტალტ ფსიქოლოგია სინამდვილეში უარყოფს ვერბალურ კომუნიკაციას და აქ აქცენტი კეთდება ქცევის გამოხატვაზე. ჩვენი შეგრძნებების, მდგომარეობის გაცნობიერებაზე, გრძნობებზე და მოქმედებაზე.

### **მტრული დამოკიდებულება**

გეშტალტ ფსიქოლოგიას მიაჩნია, რომ მტრული დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვაყენებს ზიანს, ამიტომ მტრული დამოკიდებულების გამოვლენა აუცილებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ თუ მეზობელს ვერ ეგუებით მას უთხრათ ყველაფერი, მაგრამ საკმარისია ფსიქოთერაპიული სეანსის დროს ცხელ სკამზე გამოხატოთ ეს თქვენი ტენდენციები.

### **კონტროლი**

ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია როგორც საკუთარი ქცევის კონტროლთან ისე სხვების მხრიდან ჩვენი ქცევის კონტროლთან. მნიშვნელოვანია ჩვენი დამოკიდებულება. თუ ჩვენ ზოგადად კონტროლს უარყოფითად ვაფასებთ, გამოვა, რომ ის რაც სინამდვილეში მიიღწევა არის ჩვენთვის უცხო. ამიტომ ის რასაც ჩვენ დაუფლებული ვართ, მაგალითად, საკუთარი ქცევის, გრძნობების ცონტროლს, ეს დაუფლებულობა ჩვენს უპირატესობაზე მეტყველებს და ის არ შეიძლება გავიგოთ როგორც სხვების მიერ თავსმოხვეული.

### **ღირებულებები და ცხოვრების არსი**

გეშტალტ ფსიქოლოგიას მიაჩნია, რომ ცხოვრების არსი მდგომარეობს ორ სიტყვაში “აქ” და ”ახლა”(ამჟამად”). ეს მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ვამბობთ, რომ

ადამიანი რწმენით არსებობს და ეს არის მისი უმნიშვნელოვანესი განცდა. გეშტალტ ფსიქოლოგია ამტკიცებს, რომ კმაყოფილი უნდა ვიყოთ ამჟამინდელი არსებობით, ხოლო მომავალი კი შიშისმომგვრელია. თუ ჩვენ ამჟამინდელ მდგომარეობასა და სამომავლო მდგომარეობას შორის განსხვავებაზე გავაკეთებთ აქცენტს, მაშინ უთუოდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გავაუარესებთ, რადგან სინამდვილეში მომავალი უცნობია. ამიტომ აქცენტი კეთდება ამჟამინდელზე, რომელიც ცხადად გვაქვს წარმოდგენილი.

### **ლიტერატურა**

1. რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო, ფსიქოლოგია და ცხოვრება, თუ გამომცემლობა, თბ., 2009, 666-672 გვ.
2. ი. იმედაძე, ფსიქოლოგიის საფუძვლები, „მწიგნობარი“, თბ., 2008, 411-422 გვ.
3. Сахакиан У. С., Техники консультирования и психотерапии, ЭКСМО-ПРЕСС, М., 2000, с. 530-571.
4. Свядош А. М., Психотерапия, Питер, СПб, 2000, с. 22-97.
5. Соколова Е. Т., Общая психотерапия, Тривола, М., 2001, с. 225-239.
6. Epstein N. B., Vlok L. A., Research on the results of various firms of psychotherapy, In: Psychotherapy: Research and Trainings, New York, Oxford, 1980, p. 107-115.

**Guram Chaganava**

**Paradigms of the Psychotherapy  
Summary**

In the article there are discussion according different psychological directions in psychotherapy. It is shown the origin, methods and the using of the different consulting and intervention methods and the result of their usage in practical area of curing the mental illnesses.

**Гурам Чаганава**

**Парадигмы психотерапии  
Резюме**

В статье представлены различные психологические направления в психотерапии. Показано происхождение, методы и использование различных методов консультирования и интервенции а также результаты употребления этих методов в практической сфере лечения психически больных.

## **ზან პიაშვის თეორიის მიხედვით კოგნიტური განვითარების პროგლემა**

**მაია თომიძე**

კოგნიტური განვითარება - ეს არის ბავშვების ცხოვრების განმავლობაში გონებრივ უნარებში განხორციელებული ცვლილებები.

ინტელექტი - ძირითადი ცხოვრებისიეული ფუნქციაა, რომელიც ეხმარება ადამიანს შეეგუოს გარემოს. ასეთ ადაპტაციას აქვს ადგილი, როდესაც ბავშვი იგებს თუ როგორ ჩართოს ტელევიზორი, გამოიყვანოს ამოცანა, გადაჭრას პრობლემა.

პიაშვი თვლიდა, რომ ინტელექტი - ეს არის წონას-წორობის ფორმა, რომელზეც ორიენტირებულია ყველა კოგნიტური სტრუქტურა.

ინტელექტუალური საქმიანობა ხორციელდება ერთი მიზნით: რათა მიღწეულ იქნეს დაბალანსებული, ჰარმონიული ურთიერთობა ადამიანის გონებრივი პროცესთა და მის გარემოცვას შორის. ასეთ დაბალანსებულ მდგომარეობას უწოდებენ კოგნიტურ ბალანსს, ხოლო პროცესს კი ბალანსირებას.

პიაშვის მიხედვით ბავშვები - აქტიური და ცნობისმოქვარე მკვლევარებია, რომლებიც მუდამ ხვდებიან ახალ სტიმულებს, რაც ყოველთვის არ არის გასაგები მათვის. ეს შეუთავსებლობა (კოგნიტური დისბალანსი) აიძულებს მათ განახორციელონ გონებრივი ადაპტაცია.

კოგნიტური სქემები

1. ქცევითი (ან სენსომოტორული) სქემა, - ეს არის ორგანიზებული ქცევითი პატერნი, რომელსაც იყე-

ნებს ბავშვი ობიექტების წარმოდგენისათვის და მათზე რეაგირებისათვის, ასეთი ინტელექტუალური სტრუქტურები წარმოიშვებიან პირველად 2 წლამდე ასაკში. ჩვილის ცოდნა ობიექტებზე დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ მოქმედებას ახორციელებს ბავშვი ამ ობიექტით და არა მისი სახელწოდებით.

## 2. სიმბოლური სქემა

მეორე წლის პერიოდში ბავშვი ითვისებს პრობლემების გადაწყვეტისა და მათზე ფიქრის უნარს, მათზე ზემოქმედების გარეშე. ბავშვი გონებრივად წარმოიდგნს განცდებს და იყენებს ამ გონებრივ სიმბოლოებს, სიმბოლურ სქემებს.

მაგალითი: ჟაკლინთან მოვიდა სტუმრად ბიჭი (18 თვის), რომელიც რაღაცით იყო დაღონებული, ის ცდილობდა გამოსულიყო საბავშვო მანეჟიდან, ყვიროდა და ურტყამდა მანეჟს ფეხებს. ჟაკლინი გაოცებული იყო.

მეორე დღეს მან იგივე გაიმეორა. ჟაკლინმა ჩამოაყალიბა გონებრივი წარმოდგენა, ხატი, ბავშვის ისტერიკისა, რამაც განაპირობა მისი ქცევა.

## 3. ოპერაციული სქემები

7 წლის და უფროს ასაკში ბავშვების აზროვნება ხასიათდება ოპერაციული საქმეების არსებობით. კოგნიტური ოპერაცია – ეს არის შინაგანი გონებრივი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ადამიანი რათა გააკეთოს ლოგიკური დასკვნა.

რვა წლის ბავშვმა, რომელმაც პლასტილინით გაკეთა ბურთულა და შემდეგ გაასწორა ის როგორც ნამცხვარი, იცის, რომ პლასტილინის რაოდენობა არ შეიცვალა, რადგან გონებაში შეუძლია განახორციელოს უკუმოქ-

მედება და აცნობიერებს, რომ იგივე იგივე ბურთულის გაკეთება არის შესაძლებელი ე. ი. რაოდენობა იგივეა.

5 ნლის ბავშვს, რომელსაც არ შეუძლია «გონებრივი ოპერაციების» განხორციელება, თუ დაინახავს, რომ ბურთულა გადაკეთდა დისკად დაასკვნიან რომ დისკში მეტია პლასტილინი, რადგან ის უფრო მეტ სივრცეს იკავებს. ეს ბავშვი მსჯელობს გარეგნული თვისებების საფუძველზე.

პიაუეს აზრით კოგნიტური ოპერაციები – ეს არის გონებრივი მოქმედებები, რომლებიც აღინიშნება მათემატიკური სიმბოლოებით – «», «», «», «», «», «», «», «», ყველა ეს გონებრივი მოქმედება უკუმოქმედებას გულისხმობს

მაგალითად: მიმატება ანულირდება გამოკლებით,  
კოგნიტური პროცესები

ორგანიზაცია – ამ პროცესის საშუალებით ბავშვები აერთიანებენ არსებულ საქმეებს რთულ, ახალ ინტელექტუალურ სტრუქტურებში. მაგალითად, ბავშვი, რომელსაც აქვს რეფლექსები «დათვალიერების», «ხელის გაწვდენის», «ტაცების», სწრაფად უკეთებს ორგანიზებას ამ საქმეებს რთულ სტრუქტურაში – მხედველობით წარმართული ხელის გაწვდომა.

ორგანიზაციის მიზანია – ადაპტაციისათვის ხელის შეწყობა. ადაპტაცია ხორციელდება ორი ერთმანეთის შემავსებელი საქმიანობით: ასიმილაცია და აკომოდაცია.

ასიმილიცია – პროცესია, რომლის მეშვეობით ბავშვები ცდილობენ ინტერპრეტაცია გაუკეთონ ახალ გამოცდილებას იმ ტერმინებში, სქემების მოდულების შესაბამისად, რაც მათ უკვე აქვთ.

პატარა ბავშვი, რომელიც პირველად ხედავს ცხენს, შეეცდება გააკეთოს მისი ასიმილირება იმ სქემის

საფუძველზე, რომელიც მას აქვს და ცხენი ძალლთან გა-  
აიგივოს მისი ოთხფეხობის გამო

აკუმულაცია (ასიმილაციის დამატება) – ეს არის  
არსებული სტრუქტურების შეცვლის პროცესი ახალი  
განცდების ახსნისათვის. ასე, თუ ბავშვი აცნობიერებს,  
რომ ცხენი არ არის ძალი, შეძლებს მოიგონოს ახალი  
სახელი ამ ახალი არსებისათვის. ამრიგად, მან განახორ-  
ციელა ფსიქიკაში არსებული ოთხფეხა ცხოველის სქემის  
ცვლილება (აკუმულაცია).

### **კოგნიტური განვითარების სტადიები პიაჟეს მიხედვით**

ოთხი პერიოდი

1. შენსომოტორული (2 წლიდან)
2. ოპერაციამდელი – (2-7 წელი)
3. კონკრეტული ოპერაციების სტადია (7-11 წელი)
4. ფორმაციული ოპერაციების სტადია (11 და შემ-  
დეგ).

პიაჟემ დაარქვა ამ სტადიებს – განვითარების ნვა-  
რიანტული თანმიმდევრობა ე. ი. ყველა გაივლის ამ სტა-  
დიებს იგივე თანმიმდებრობით.

1. სენსომოტორული სტადია (2 წლამდე)

ბავშვები ახორციელებენ სენსორული ინფორმაციი-  
სა და მოტორული უნარების კოორდინაციასა და ქმნიან  
ქცევით სქემებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მათ  
იმოქმედონ და «ცნონ» გარემო სამყარო. ამ სტადიაზე  
რეფლექტორული პიროვნება გარდაიქმნება რეფლექსურ  
პიროვნებად

პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება

რეფლექტორული საქმიანობა (1 თვე)

თანდაყოლილი რეფლექსების გამოვლენა. ახალი  
ობიექტების ასიმილაცია ამ რეფლექტების სქემებში (სა-

თამაშობის, საწოვარას, გადასაფარებელის წოვა) და რეფლექსის აკომიდაცია ამ ახალი ობიექტების მიმართ.

ეს არის პრიმიტიული ადაპტაცია – რაც კოგნიტური განვითარების დასაწყისია.

პირველი ცირკულარული რეაქცია (1-4 თვე)

პირველი არარეფლექსური სქემა ვითარდება მაშინ, როდესაც ბავშვი შემთხვევით აღმოაჩენს, რომ მისი განსხვავებული რეაქციები მას შეუძლია გააკონტროლოს (დიდი თითის წოვა, ღილინი). ეს სასიამოვნოა და შეიძლება განმეორება. ასეთი პირვანდელი რეაქციები ყოველთვის კონცენტრირდება ბავშვის სხეულზე.

ცირკულარული – ნიშნავს განმეორებებს

მეორადი ცირკულარული რეაქციები (4-8 თვე)

ბავშვები აღმოაჩენენ, რომ შეუძლიათ გააკეთონ რაღაც საინტერესო საკუთარი სხეულის მიღმა, მაგ. რეზინის იხვზე თითის დაჭერით ის ხმას გამოსცემს. ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვები ახერხებენ საკუთარი თავისა და ობიექტების დიფერენცირებას, რომელთაც ის წარმართავს, მაგრამ (პიაჟეს მიხედვით) ეს არ არის დაგეგმილი მოქმედება, თუმცა წააგავს აშკარად – რადგან შემთხვევით იყო აღმოჩენილი.

მეორადი სქემების კოორდინაცია

ბავშვები კოორდინაციას უკეთებენ ორ ან სამ მოქმედებას რათა მიაღწიონ უბრალო ამოცანას. მაგალითად, თქვენ დადევით სათამაშო ბალიშის ქვეშ. ბავშვი ამოიღებს სათამაშოს და გამოიტანს მას. აქ განზრახული მოქმედებაა. პირველი – ბალიშის აწევა არ იწვევს სიამოვნებას, მაგრამ შემთხვევით არ სრულდება – პიაჟე თვლის, რომ ასეთი კოორდინაცია არის მოზანმიმართული ქცევის ადრეული ფორმა.

მესამეული ცირკულარული მოქმედება (12-18 თვე)

ბავშვები იწყებენ ექსპერიმენტირებას. მაგალითად, თუ უწინ ის ხელით იჭერდა რეზინის იხვს, ეხლა დააგდებს მას იატაკზე, აბიჯებს მას, აჭერს ბალიშს, რათა გაიგოს ექნება, თუ არა იგივე ეფექტი.

სს განაპირობებს ბავშვის ცნობისმოყვარეობას – სამყაროს შეცნობის მოტივაციით.

პრობლემების სიმბოლური გადაწყვეტა

ეს სტადია საკუთარ მწვერვალს აღწევს, როდესაც ბავშვები ახორციელებენ ქცევითი სქემების ინტერნალიზაციას, რათა ჩამოაყალიბონ მენტალური სიმბოლოები ან ხატება. ახლა ბავშვს შეუძლია გონებრივად ჩაატაროს ექსპერიმენტი და შეუძლია გაიგოს ის თუ როგორ გადაწყვიტოს პრობლემას.

II მიბაძულობის განვითარება

8-12 თვეებდე ბავშვებს არ აქვთ მობაძვის უნარი. მიბაძვ სქემა არ არის სწორი, მაგალითად, თქვენ მოხარეთ და გამართეთ თითი - ბავშვი მთლიანად მოხრის (შეკუმშავს) და გამართავს ხელს. ზუსტი მიბაძულობისათვის საჭიროა ძალიან ხშირი პრაქტიკა.

ნებისმიერი მიბაძულობა ხდება უფრო ზუსტი 12-18 თვეებში.

გადავადებული მიბაძულობა ანუ უნარი აღწარმოებისა ამჟამად არ არსებული მოდელისა პირველად ვლინდება 18-24 თვის ასაკში (მაგალითად, უაკლინმა განახორციელა მისი მეგობრის ისტერიკა – 2 საათის შემდეგ). პიაჟე თვლიდა, რომ ამ ასაკში მათ შეუძლიათ მეხსიერებიდან ამოილონ ხატები, მენტალური სიმბოლოების კონსტრუირება შეუძლიათ.

სხვა მკვლევარებაი არ ეთანხმებიან პიაჟეს და აღნიშნავენ, რომ გადავადებული მიბაძულობა 9 თვის

ასაკში ვლინდება და ამგვარად სიმბოლური წარმოდგენები უფრო ადრე ვლინდებიან.

მაგალითად, 9 თვის ბავშვებს შეუძლიათ მიპაძონ უბრალო მოქმედებას რამდენიმე დღის შემდეგ – მაგალითად, ღილაკზე თითის დაჭერა სათამაშოს ასამუშავებლად.

III ობიექტების მუდმივობის განვითარება

ეს არის იმის გაცნობიერება, რომ ისინი მაშინაც არსებობენ, როდესაც არ ჩანან.

4 თვემდე ბავშვი არ დაიწყებს იმ ობიექტის მოძებნას რომელიც მოწონს, რომელსაც ვერ ხედავს ე. ი. არ არის მისთვის.

4-8 თვის ბავშვები ნახულობენ ნახევრად დაფარულ ობიექტებს, ან ნახევრად გამჭვირვალე თევზის ქვეშ ობიექტს.

მაგრამ წარმოდგენა ობიექტზე ყალიბდება მხოლოდ 8-12 თვეებში

პიაჟეს მაგალითი: 10 თვის უაკლინი.

უაკლინი ზის ლოგინზე, საბანზე. პიაჟე იღებს მისგან სათამაშოს და მალავს საბნის ქვეშ მარცხნივ. ეძებს სათამაშო და იღებს მას. შემდეგ პიაჟე - ართმებს სათამაშოს და დებს უაკლინისაგან მარჯვნივ, მაგრამ უაკლინი ისევ მარცხნივ ეძებს.

ამრიგად პიაჟეს მიხედვით კოგნიტური განვითარება თანდათან მიმდინარეობს.

## **ლიტერატურა**

1. Би Х., Развитие ребенка, Питер, СПб., 2004
2. Майерс Д., Психология. Попурри, Минск, 2001

**Maya Toidze**

### **Problem of Jean Piaget's Cognitive Development Theory Summary**

The article shows the main features of Jean Piaget cognitive development theory. There are description of basic cognitive schemas (behavioral, symbolic, operating). The author presents data on the cognitive processes and stages of development.

**Майя Тойдзе**

### **Проблема когнитивного развития по теории Жана Пиаже Резюме**

В статье показаны основные особенности когнитивного развития по теории Жана Пиаже. Дано характеристика основных когнитивных схем (поведенческих, символьических, операционных). Представлены данные по когнитивным процессам и стадиям развития.

## ჟურნალისტიკა

ვსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების  
გაშუქება თანამედროვე ქართულ მასში დაგვი

### გურანდა შამილიშვილი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში სულით ავადმყოფების ტელევიზიის მიერ შექმნილი პორტრეტების განხილვა საშუალებას მოგვცემს სტერეოტიპების თეორია უკეთ გავიზიაროთ. ამ დისკურსის მიზანია, გვიჩვენოს არა მარტო ის, თუ როგორ უკავშირდება მნიშვნელობა მასობრივ კომუნიკაციებში შექმნილი პორტრეტების მეშვეობით გარკვეულ სიტყვებს, არამედ ისიც, თუ როგორ გვეხმარება ზოგადად სიტყვათა მნიშვნელობების კონსტრუქციის თეორია, გავიგოთ, რა გავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაცია კონკრეტულ ინტერპრეტაციებსა და საერთო კულტურულ შეხედულებებზე. ამისთვის სულით ავადმყოფების მაგალითები იმიტომ მოგვყავს, რომ მასმედიაში ამ კატეგორიის ადამიანების სტერეოტიპული პორტრეტები დღესაც დიდი წარმატებით იქმნება. ჩვენ დავინახავთ, რომ სულით ავადმყოფების უარყოფითად ასახვის იდეა მედიას არ გამოუგონია. მედია მხოლოდ ამტკიცებს და ამყარებს ადამიანების ზიზღს სულით ავადმყოფების მიმართ და აძლიერებს შეურაცხადობის იმ ტრადიციულ გაგებას, რომელიც არსებობს მათთან დაკავშირებით.

სულით ავადმყოფებს დიდი ხნის გამნავლობაში ისე ეპყრობოდნენ, როგორც სოციალურად გარიყულ ადამიანებს. იმისთვის, რომ სოციალური უარყოფის ეს სქემა

კარგად გავიგოთ, მოკლედ მიმოვიხილოთ ამ მნიშვნელობების ისტორია, რომელიც სულით ავადმყოფებთან დაკავშირებით არსებობს. ამ გზით ჩვენ შევძლებთ ავხსნათ, თუ რა გავლენა შეუძლია კულტურას ინდივიდუალურ ინტერპრეტაციებსა და ქცევაზე და გამოვავეთოთ მედიის როლი სტერეოტიპების ამ გარკვეული ნაკრების ჩამოყალიბების საქმეში.

შუა საუკუნეებში დამოკიდებულება იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც ჩვენ „სულით ავადმყოფებს“ ვუწოდებთ, გაცილებით კეთილგანწყობილი იყო. მოგვიანებით, აღორძინების ეპოქაში, მდგომარეობა შეიცვალა და ადამიანები „სიგიურის“ მიმართ უფრო მეტ შიშსა და ზიზღს ამჟღავნებდნენ. „გიურებს“ ხშირად ხომალდებში სვამდნენ, ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდათ და მცირეოდენ ფასად ხალხს უჩვენებდნენ.

კომიკური და პათეტიკური სულებით დატვირთული „სულელების ხომალდები“ ევროპის ზღვებსა და არხებს სერავდნენ. ამ მოგზაურობებიდან ზოგიერთი პაციენტი სიამოვნებასაც იღებდა, ზოგიერთზე გარემოს შეცვლა სასიკეთოდ მოქმედებდა და იკურნებოდა კიდეც. ზოგის მდგომარეობა კი უარესდებოდა და ისინი მარტოდმარტო, ოჯახისაგან მოშორებით იღუპებოდნენ. ამგვარად, სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრებლებს, რომლებიც თავიანთ „გიურებს“ თავიდან იშორებდნენ, შეეძლოთ უცხოელი ჭკუიდან შემცდარი ადამიანების ცქრით დამტკბარიყვნენ, როდესაც ამ საცოდავი ხალხით დატვირთული ხომალდი ნავსადგურს მიადგებოდა.

ადამიანების ხომალდებში ჩასმისა და დამტარებლობის პრაქტიკამ ევროპელების ტვალში სიგიურს თავისებური ელფერი შესძინა. შეურაცხადობა მათთვის ძიზღის მომგვრელი გახდა, ერთგვარი წყევლა, რომელიც ტა-

ობიდან ტაობას გადაეცემა, რომელიც უნდა დამალო, და-საჯო და რომლისაც უნდა გეშინოდეს.

სამწუხაროდ, საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ სამედიცინო თვალსაზრისს ბევრად ჩა-მორჩიებოდა. მისი შეცვლა მაჟამადაც დიდ დროსა და ძა-ლისხმევას მოითხოვს. სულით ავადმყოფობა ამჟამადაც საშინელ დამღად (სტიგმად) მიაჩნიათ და მათ, ვინც ამ დაავადებისაგან სრულიად განიკურნა, უზარმაზარი ძა-ლისხმევა სჭირდებათ იმისათვის, რომ საზოგადოებამ ნორმალურ ადამიანებად ცნობს. (დეფლორი დენისი, მა-სოპრივი კომუნიკაცია, 2009წ, გვ. 385–386)

მედიის ფუნქცია არასოდეს ყოფილა ისეთი მნიშ-ვნელოვანი და საგულისხმო, როგორც ამჟამადაა. ხალხი საკუთარ სამყაროს იცნობს არა უშუალოდ, არამედ მედი-ის საშუალებით, მის გონებაში შექმნილი არასრული და გამრუდებული სურათებით.

ამიტომაცაა, რომ ინდივიდი ხშირად გამხდარა რეპორტაჟის გმირიც და ამავდროულად მსხვერპლიც. ალბათ დამეთანხმებით, რომ მედიის მსხვერპლის როლში ყოფნა, ყველაზე მეტად მტკიცნეულია იმ ადამიანებისათ-ვის, რომლებიც საზოგადოებამ “გიუებად” და “გადარეუ-ლებად” მონათლა. ფსიქიკური პრობლემების მქონე ადა-მიანების 22% ამბობს, რომ მედია-პუბლიკაციების შემდეგ თავს გრძნობს უფრო იზოლირებულად და მიტოვებულად. (მედია და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები - ფონ-დი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი”-ს გამოცემა, ობ.2009, გვ. 7)

სამწუხაროდ საზოგადოებას არ სჯერა ამ ადამია-ნების შესაძლებლობების და უნარების, რადგან ინფორმა-ციის ნაკლებობის, მანკიერი ჩვეულების და კარგი მაგა-ლითების დეფიციტის ატმოსფეროში ცხოვრობს. XXI სა-

უკუნეში ფსიქიური აშლილობა და სტიგმა მითოლოგიზი-რებულია, პრობლემები-განდევნილი და სტიგმატიზირებუ-ლი, ადამიანები დავიწყებული, არადა უურნალისტებს აქვთ შესანიშნავი შესაძლებლობა, რომ საზოგადოებას გაახსენონ ეს დავიწყებული ადამიანები, მოუთხრონ რეა-ლურად რა პრობლემები აწუხებთ მათ, რამდენად არის დაცული მათი უფლებები, როგორ ცხოვრობენ, რაზე ფიქრობენ და ოცნებობენ.

დაიძლიოს სტიგმა და ფსიქიური ჯანმრთელობის შესახებ შეიქმნას უფრო მეტი პოზიტიური სტატია და რეპორტაჟი საკმაოდ რთულია, მაგრამ თუ კი უურნა-ლისტები მედია-პროდუქტს პროფესიონალიზმით მოამ-ზადებენ, გაცილებით მეტს მიაღწევენ, შეცდომებს თავს აარიდებენ და დაიცავენ ამ პრობლემების წინაშე მდგარ ადამიანებს მარტობისა და იზოლაციისაგან.

უურნალისტებმა, უნდა იცოდნენ, თუ როგორ უნდა მივუდგნენ ფსიქიური დაავადების მქონე რესპოდენტებს ან როგორ გავაშუქოთ სუიციდი, რომელიც ფსიქიურ აშ-ლილობასთანაა კავშირში და რა თავისებურება ახასია-თებს ძალადობაგანცდილი ბავშვის ინტერვიუს ან როგორ უნდა მივიღოთ მისგან ინფორმაცია ისე, რომ არ დავარ-ღვიოთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ადამიანებს, რომელ ქვეყანაშიც უნდა ცხოვრობ-დნენ, არ გააჩნიათ იმუნიტეტი ფსიქიური აშლილობის მიმართ. მსოფლიოში დაახლოებით 450 მილიონ ადამიანს აღენიშნება ფსიქიური ჯამრთელობის პრობლემები, რის გამოც ფსიქიური აშლილობები ყველაზე გავრცელებულ დაავადებათა რიცხვში შედის. მსოფლიო ჯანდაცვის ორ-განიზაციის მონაცემებით, ყოველ მეოთხე ოჯახში, სულ ცოტა, ერთი ოჯახის წევრს მაინც აქვს ფსიქიური აშლი-ლობა ცხოვრების რაღაც მონაკვეთში. ყველაზე ნათელი

მაგალითია დეპრესია, რომელიც ავადმყოფობის და შრო-  
მისუუნარობის გამომწვევ მიზეზთა შორის მეოთხე ად-  
გილზეა. დეპრესიით დაავადებულთა რაოდენობა მუდმი-  
ვად იზრდება, როგორც განვითარებულ ისე განუვითარე-  
ბელ ქვეყნებში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 1999 წლის  
მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საშუალო და დაბალშემო-  
სავლიან ქვეყნებში დაავადებათა ტკირთის 10% სწორედ  
ფსიქიკურ აშლილობებზე მოდის.

მეცნიერთა დასკვნებით, ფსიქიკურ აშლილობათა  
90% განკურნებადია, უახლესი სამკურნალო მეთოდების  
წყალობით, მაგრამ სტიგმის დამღუპველი ზეგავლენიდან  
გამომდინარე, უმრავლესობა დროულად არ მიმართავს  
სამკურნალო და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს.  
მსგავსი ცენტრები და დაწესებულებები მსოფლიოს სხვა-  
დასხვა ქვეყნებში მრავლად არსებობს. მათ შორის საქარ-  
თველოშიც. ამ კუთხით ჩვენს ქვეყანაშიც აქტიურ მოღ-  
ვანეობას ეწევა სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო  
ორგანიზაციები. 2008 წლის 8 აგვისტოს, 6 არასამთავრო-  
ბო ორგანიზაციის მიერ საქართველოს ფსიქიკური ჯან-  
მრთელობის კოალიცია დაფუძნდა. კოალიციის მიზანია  
საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას და თავი-  
სუფლებების პატივისცემაზე დაფუძნებული ფსიქიკური  
ჯამრთელობის სისტემის შექმნის ხელშეწყობა. აღნიშნუ-  
ლი ორგანიზაციები დღესაც აქტიურ საქმიანობას ეწევი-  
ან. 2008 წელს, ფონდმა “გლობალური ინიციატივა ფსიქი-  
ატრიაში-თბილისი” საქართველოში ფსიქიკური აშლილო-  
ბის მქონე ადამიანთა სამედიცინო-სოციალურ საჭიროება-  
თა კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგების თანახმად:

1. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანები  
ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს მიეკუთვნება. მიუ-

ხედავად შრომისუნარიანი ასაკისა და განათლებისა, მათი აბსოლიტური უმრავლესობა (90%) უმუშევარია, შემოსავ-ლის ერთადერთი წყარო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით გათვალისწინებული პენსიაა;

2. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა 18% განქორწინებლია, 40% არასდროს ყოფილა დაოჯახებული.

3. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა სო-ციალური ურთიერთობები ღრიბია, მათი 74% წლებია არა ყოფილა სტუმრად. 88%-ზე მეტი ძირითადად სახლშია გა-მოკეტილი.

4. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა 88%-ს კონფლიქტი აქვს ოჯახში.(მედია და ფსიქიკური ჯანმრთე-ლობის საკითხები - ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსი-ქიატრიაში-თბილისი”-ს გამოცემა,თბ.2009წ, გვ.18)

ჩვენს საზოგადოებაში მრავალი მცდარი შეხედუ-ლებაა დამკვიდრებული, რაც ბადებს სტიგმას და მას დისკრიმინაციულ ქცევად გარდაქმნის.

სულიერი ჯამრთელობის პრობლემებთან დაკავში-რებით რამოდენიმე მითი არსებობს:

1) „სულიერად დაავადებულები მოძალადეები და საშიშები არიან”;

2) „სულიერად დაავადებულები საბრალოები და ნაკლებად ჭკვიანები არიან”;

3) სულიერი ჯამრთელობის პრობლემები პიროვნე-ბის გონიერებაზე გამოწვეული”;

4) სულიერი დაავადება განუკურნებელია”;

აღნიშნული ჩამონათვალი მხოლოდ და მხოლოდ ყალბ ფაქტებს შეიძლება ეფუძნებოდეს. ადრე თუ გვიან აქტიური საზოგადოების და მედიის წყალობით ეს მითე-ბიც უნდა გაქრეს, თორემ ერთხელ განდევნილს და გა-

რიყულს ისევ და ისევ მხარდამჭერი გარემო თუ დააბრუნებს უკან, საზოგადოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სულიერად დაავადებულების მიმართ დამოკიდებულება ნაკლებად ნეგატიურია, ვიდრე დემონციისა და დეპრესიის შემთხვევაში, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანები საზოგადოებაში მოძალადებად, აგრესიულ და საშიშ პიროვნებებად აღიქმებიან.

1991 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა “სულიერად დაავადებულთა დაცვისა და სულიერი ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების პრინციპები”, რომელშიც ჩამონერილია სულიერ დაავადებებთან ასოცირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ნორმები და პრინციპები. ამ კუთხით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც არსებობს არაერთი ორგანიზაცია, რომლებიც სწორედ ამ სფეროში ეწევიან აქტიურ მოღვაწეობას, თუმცა კარგი მკურნალობა, მედიის აქტიური მუშაობა ამ კუთხით და მხარდამჭერი საზოგადოება დისკრიმინაციის აღმოფხვრის მთავარი ქვაკუთხედია. (ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები-ფონდი “კორდეიდის” გამოცემა, თბ.2009, გვ.4).

ბოლო 30 წლის მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგად შეიძლება თამამად ითქვას, რომ მასმედია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღია სტიგმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ კომპლექსურ ბრძოლაში. სტიგმატიზირებულები ხშირად გულჩათხრობილნი არიან და სხვა ადამიანებთან ნაკლები ურთიერთობა აქვთ, მათ დამოკიდებულებები იმ ფილმების, სატელევიზიო პროგრამებისა თუ სიახლეების საფუძველზე უყალიბდებათ, რასაც ისინი უყურებენ. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რა როლი

აკისრია მედიას სულიერად დაავადებულთა სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საქმეში. იგი ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ეს გარიყული ადამიანები საზოგადოებაშივე დააპრუნოს.

კვლევები ადასტურებს, რომ ქართულ სივრცეში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას არასათანადო ყურადღება ეთმობა. ტელეგადაცემები ხშირად არასწორად წარმოაჩენენ აღნიშნულ პრობლემას. ფსიქიკურად აშლილი და სტიგმატიზირებული ადამიანების გაშუქება, პასუხისმგებობასთან ერთად, პროფესიონალიზმის უმაღლეს საფეხურს მოითხოვს. უურნალისტმა გაითვალისწინოს უნდა, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებსაც აქვთ უნარი სრულად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადამიანებს, რომლებიც მკურნალობენ შეუძლიათ აკონტროლონ თავიანთი აშლილობა. საზოგადოების მიუღებლობა ხშირად მათვის ერთადერთი ბარიერია. მხარდამჭერ საზოგადოებაში ისინი სრულად ავლენენ თავიანთ უნარებს. კვლევები ადასტურებს, რომ ასეთი ადამიანების ინტელექტის კოეფიციენტი საშუალოა. ისინი ჩვენსავით ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ოცნებობენ, აქვთ ნატვრები და იმედები.

ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა უფლებები ხაზგასმულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში და აღიარებულია კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” ძირითადი დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ფსიქიატრიული დახმარების ფორმებსა და ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა უფლებებს. კანონის პრეამბულაში ნათქვამია: “საქართველო, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო აღიარებს, რომ ფსიქიკური

ჯანმრთელობა არის ადამიანის ჯანმრთელობის ფუნდა-  
მენტური ნაწილი და საზოგადოების კეთილდღეობის აუ-  
ცილებელი პირობა, ხოლო ფსიქიკური აშლილობის მქონე  
პირთა უფლებების დაცვა სახელმწიფოს მოვალეობაა...”

მიხედვად ამისა, ქართულ რეალობაში ხშირად  
ირღვევა ადამიანის უფლებები. დღეს უკვე გახშირდა  
შემთხვევები, როდესაც უურნალისტებს კაცის შეურაც-  
ხყოფა “ჩირად არ უღირთ”. დღესდღობით სენსაციის  
მოყვარულობა “პური არსობისაა” გამხდარი მედიისთვის.

კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად, ადამიანის პირა-  
დი ცხოვრება ხელშეუხებელია, ხოლო 41-ე მუხლის შესა-  
ბამისად, დახურულია “ოფიციალურ ჩანაწერებში არსებუ-  
ლი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის  
ჯამრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო სა-  
კითხებთან”. არავის აქვს უფლება, მოითხოვეს საჯარო  
დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ  
რა დაავადება გადაიტანა ამა თუ იმ კონკრეტულმა პირ-  
მა, როგორია მისი შემოსავალი და ა.შ. აგრეთვე, პირად  
საიდუმლოებად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი სხვა ინ-  
ფორმაცია, რომელიც პირის ინდენტიფიცირების საშუა-  
ლებას იძლევა.

მედიის მუშაობაში ფსიქიკური აშლილობის მქონე  
პირთა უფლებების ნათლად ნარმოჩენა და მათი დაცვა,  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, იმისათვის რომ სა-  
ზოგადოებამ აღიაროს და პატივი სცეს ფსიქიკური პრობ-  
ლემების მქონე ადამიანების უფლებებს. გასათვალისწინე-  
ბელია ის ფაქტიც, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე  
ადამიანთა უფლებები არაერთ საერთაშორისო დოკუმენ-  
ტშია ხაზგასმული. გაეროს უფლებების დაცვის სისტემა,  
ფსიქიკური ჯამრთელობის დაცვის ევროპული დეკლარა-  
ცია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლე-

ბების საერთაშორისო აქტი და კიდევ არაერთი დოკუმენტი არსებობს, სადაც შესვდებით ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დეტალურ აღწერას.

ღოდესაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებზე წერთ ან ამზადებთ რეპორტაჟს, გახსოვდეთ:

1. ხელი არ უნდა შეუწყოთ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების შესახებ არასწორი წარმოდგენის განმტკიცებას-რომ ისინი არიან სახიფათონი, უსუსურნი და ა.შ

2. ხელი არ უნდა შევუწყოთ ადამიანებისათვის იარღიყის მიკერებას. ანდა მოერიდოთ დამამცირებელი ტერმინების გამოყენებას, მაგალითად, შიზოფრენიკი, პარანოიკი, ფსიქოპათი, ფსიხი ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ტერმინოლოგიის არამართებულ და შეუსაბამო გამოყენებას. გამოიყენეთ თანამედროვე ტერმინები-მაგ.ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი და არა მანიაკი, ან ფსიხი, მთვარეული ან შიზოფრენიკი, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სამსახური/დაწესებულება და არა საგიშეთი და ა.შ

3. დაუშვებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ირელევანტურად დაკავშირება კრიმინალურ-კანონსაწინააღმდეგო ქცევასთან(მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით დაავადებული პრობაციას გადის მაღაზიაში ქურდობისათვის)

4. პირველ ადგილზე დააყენეთ ადამიანი და არა მისი ფსიქიკური დავადება. ფოკუსი ინდივიდზე უნდა გაკეთდეს და არა მის პრობლემაზე ან და ფსიქიკურ აშლილობაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ ისტორიის-თვის-ამბისთვის ეს გადამწყვეტია.

5. აქცენტი დასვით მთლიან პიროვნებაზე და აჩვენეთ-გადმოეცით ფ/ჯ პრობლემა კონტექსტში, როგორც ადამიანის ცხოვრების ერთი ნაწილი.

6. წარმოაჩინეთ ადამიანი მისი მრავალფეროვნებით და მრავალ პლანში. ქცენტი უნდა გაკეთდეს მის შესაძლებლობაზე, უნარებზე, ნიჭიე და არა შეფერხებებზე და უუნარობაზე. ბევრი მომხმარებელი ცხოვრობს სავსე და და ქმედითი ცხოვრებით. გაშუქებისას უნდა აისახოს და გამოჩნდეს, ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანები როგორც საზოგადოების აქტიური და ქმედითი წევრები. მათი წარმოჩენა ადამიანებთან ურთიერთობისას, შრომის პროცესში ხელს უწყობს დაბრკოლებების და ბარიერების ნერგებას და კომუნიკაციის არხებს ხსნის.

7. მიეცით საშუალება მომხმარებლებს თავადისაუბრონ საკუთარ თავზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე მოწოდებული ისტორიები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან მომხმარებლების ჩათვლით. ისტორიის ყველა შრე –ნიუანსი ვერ დაიფარება თუ ინფორმაციის წყარო მხოლოდ ბიუროკრატები, პროფესიონალები ან ის ადამიანები არიან, ვისაც არ გამოუცდია, არ შეხებია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

8. მომხმარებლები წარმოადგინეთ პოზიტიური კუთხით. სასურველია, იტერვიუ აიღოთ იმ ადამიანებისაგან, ვინც გამომჯობინდნენ ან მათ აღენიშნებათ გამომჯობინების პოზოტიური დინამიკა ანუ პოზიტიურად მიდის დაძლევა ან გამკლავება.

9. სათუთად და ყურადღებით მოეკიდეთ გარკვეულ ტერმინებსა და ცნებებს ჰედლაინებში. ჰედლაინი პირველ შთაბეჭდილებას ქმნის. სენსაციისთვის წარსულში ხშირად იყენებდნენ ტერმინებს ფსიქიკური ჯანმრთელო-

ბის საკითხების სფეროდან. დაუსვით საკუთარ თავს კითხვა, არის თუ არა ჰედლაინი ამბის შესაბამისი.

10. გამოიყენეთ სიტყვები, რომლებიც ზუსტად ახასიათებენ სიტუაციას ან ადამიანს. ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ბევრი ადამიანი არც ძალიან წარმატებული და არც ძალიან ტრაგიკული ფიგურაა. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ჩვენი მსგავსი. შიტყვები არ უნდა იყოს განსჯითი, ან ემოციური და ზუსტად უნდა ასახავდნენ ფაქტს და ისტორიას.

11. მუდმივად განიახლეთ ცოდნა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში სიახლეების შესახებ. პოზიტური დახასიათება არ გააძლიერებს დრომოქმულ მითებს ფსიქიკური დაავადებების შესახებ.

12. გამოიყენეთ დიაგნოსტიკური კატეგორიები მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს რელევანტურია და აუცილებელი. ამ დროს სასურველია იხმაროთ: „მას აქვს შიზოფრენია”, ვიდრე ის „შიზოფრენიკია”.

13. არ დაუკავშიროთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები საფრთხეს. მომხმარებლები ნაკლებად სჩადიან დანაშაულს ძირითად მოსახლეობასთან შეფარდებით.

14. მოერიდეთ იუმორის მოშველიებას სხვა ადამიანის ღირსების შესალახად.

(ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები საქართველოში, თბ.2009წ..გვ.11)

ამრიგად, უურნალისტი, რომელსაც ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთან ექნება შეხება, პირველ რიგში უნდა იცნობდეს კანონს „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ”, რადგან ამ გზით თავიდან აიცილებს შეცდომებს, რომელთაც ადამიანის უფლებების დარღვე-

ვამდე მივყავვართ. მასმედიის წარმომადგენლებს საერთო კულტურასთან ერთად უნდა ჰქონდეთ სამართლებრივი ცნობიერება, უნდა იყვნენ კანონმორჩილნი და თვითნებურად არ გადალახონ სამართლებრივი ზღვარი. ფსიქიკური და სტიგმატიზირებული ადამიანებისადმი მიძღვნილ მედია-ნაწარმს პოზიტიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ საზოგადოებრივ თვალსაზრისზე

### **ლიტერატურა**

1. მედია და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები - ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი”-ს გამოცემა, თბ.2009წ
- 2.საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა, „უურნალი „სოლიდარობა”, თბ.2007წ.
3. კანონი “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ”,2005წ.
- 4.ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები-ფონდი “კორდეიდის” გამოცემა, თბ.2009წ.
5. ადამიანის უფლებები და პოლიციური პრაქტიკა, თბ. 2005 წ;
- 6.საყვარელიძე ფრიდონ. პრაივატი, ანუ განმარტოების სიკეთის შესახებ (თავისუფლება №1 (13) (2003 იანვარი) თავისუფლების ინსტიტუტი. თბილისი;
- 7.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- 8.ადამიანის უფლებების დაცვის კონვენცია;
- 9.საქართველოს კონსტიტუცია;
- 10.საქართველოს უურნალისტთა ეთიკის ქარტია, 2009 წ;
- 11.ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია;
- 12.ზოგადი პროფესიული სტანდარტები, უურნალისტის პროფესიული მოვალეობები, 2008 წ.;
- 13.დეფლორი დენისი, მასობრივი კომუნიკაცია, თბ.2009წ.

- 14.სასამართლო ქურნალისტივის სახელმძღვანელო, 2002 წ;
- 15.ქურნალისტური ეთიკა და თვითონეგულირების მექანიზმები, „თავისუფლების ინსტიტუტი”, 2003 წელი
- 16.საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბ.2002წ.
17. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები საქართველოში, თბ.2009წ.

## **Guranda ShamiliSvili**

### **Mental health issues in the materials of the Georgian Press Summary**

Informing the public and journalists about mental health issues it is extremely important. It is known that the media is an indicator of the prevailing views in the public consciousness. At the same time they are a powerful means of shaping public opinion. An analysis of the image of psychiatry, psychopathology, general issues related to mental health, which are represented in the media, provides valuable information about the attitude of society to the mentally ill to psychiatric care psychiatrists and psychiatry in general. Public opinion as reflected in the materials of the press, may be one indicator of the effectiveness of mental health services adequacy of organizational and legal aspects of their activities. In this regard, psychiatrists and other mental health professionals in their work should take into account the influence of the media, that they can have on public opinion when discussing mental health issues ..

Publication of relevant and timely, and contains not only an analysis of information, published in the pages of the Georgian press, but also a range of measures aimed at developing ethical guidelines with the press and other media.

**Гуранда Шамилишвили**

**Вопросы психического здоровья в материалах грузинской  
прессы**  
**Резюме**

Информирование населения и журналистов о проблемах психического здоровья необычайно важно.

Известно, что СМИ являются своеобразным индикатором бытующих в общественном сознании представлений. В то же время они являются мощным средством формирования общественного мнения. Анализ образа психиатрии, психической патологии, вообще проблем, связанных с психическим здоровьем, которые представлены в СМИ, позволяет получить ценную информацию об отношении общества к психически больным, к психиатрической помощи, к психиатрам и психиатрии в целом. Общественное мнение, отраженное в материалах прессы, может явиться одним из индикаторов эффективности деятельности психиатрических служб, адекватности организационных и правовых аспектов их деятельности. В связи с этим психиатры и иные специалисты психиатрических служб в своей работе должны учитывать фактор влияния средств массовой информации, который они могут оказывать на общественное мнение при обсуждении **вопросов психического здоровья**.

Публикация актуально и своевременно и содержит не только анализ информации, опубликованной на страницах грузинской прессы, но и круг мер, направленных на выработку этических принципов с представителями прессы и других СМИ.

## ახალი მედიის პრობლემები

### ნესტან მამუჭაძე

ახალი მედიის შექმნამ ტრადიციულ მედიას გარკვეული სახეცვლილებები მოუტანა. აუდიტორიის მიზიდვის გამო, ე. წ. „ძველი მედია“ იძულებული გახდა გარკვეული კორექტივები განეცადა, რაც თვით ეპოქითაა ნაკარნახევი. ახალი მედიის დაარსება ძველი მედიის წინაშე გარკვეულ კითხვებს სვამდა – გააგრძლებდა თუ არა ძველი მედიასამუალება მუშაობას და თუ გააგრძლებდა რა სახით? ტერმინი „ახალი მედია“ მჭიდროდ უკავშირდება ცნებას ვებ 2.0, რაც გულისხმობს ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობას და გამოყენებას. ეს კი ის ინსტრუმენტებია, როთაც „ძველი მედია“ უნდა განახლდეს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი მედია ახალი ტექნოლოგიების პირობებში თუ არსებობს დროებითა და ჩვენს წინაშე იგი განახლებული მედიის სახითაა წარმოდგენილი. ის ტრადიციები, რაც მას გააჩნია, მისი საფუძველია და ახალი ტექნოლოგიები კი განვითარების უპირველესი წყარო.

მას შემდეგ, რაც ინტერნეტმა ტრადიციული მედიასაშუალებების ფუნქციები შეითვისა, ადამიანები მიხვდნენ, რომ მსოფლიო აბლაბუდა მათ არამარტო ინფორმაციის მიმღებ, არამედ გადამცემად ყოფნის საშუალებასაც აძლევდა. ამ საფუძველმა შექმნა სოციალური ქსელები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათმა ნაწილმა ძალიან მალე დაასრულა არსებობა, ნაწილი კი დღემდე არსებობს, თუმცა ერთ ადგილზეა გაყინული, ნაწილი კი

გამუდმებით განიცდის მოდერნიზაციას. სოციალური ქსელები, რომლებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ, ხშირ შემთხვევაში ახალი მედიის შემოსავლის წყარო ხდება (და ზოგჯერ ძირითადიც). მაშასადამე, ტრადიცული მედია ამ მხრივაც საჭიროებს ბევრი რამის გადახარისხებას.

ყველა სახის მედიაკამპანიის მარკეტინგული სტრატეგია გულისხმობს კომპანიის ძალისხმევას, გაიკეთოს რეკლამა იმ ორი ჯგუფის წინაშე, ვისი მხარაჭერაც ესაჭიროება უწყვეტი ფუნცქიონირებისთვის. მოგეხსენებათ, ესენი აუდიტორია და რეკლამის დამკვეთები გახლავთ. აუდიტორიის გარეშე მედია საუკეთესო პროდუქციის წყალობითაც ვერ მიიზიდავს რეკლამის დამკვეთებს, რაც ბუნებრივია, კომპანიისთვის დამლუპველია.

მედიასაშუალებებს ქსელში და ინტერნეტის გარეთ მზარდ კონკრეტულ ბაზარზე უწევთ სარეკლამო თანხების საკუთარი წილისათვის ბრძოლა. თუ აქამდე ბრძოლა მედიას უწევს კონკურენცია გაუწიოს თავად რეკლამის დამკვეთსაც, რადგან რეკლამათა პოტენციური დამკვეთიც დღეს თვითრეკლამის, სოციალური კამპანიებისა და აქციების გზით ცდილობენ გაიკეთონ რეკლამა, რაც შესაძლებელია იაფად, საერთოდ უფასოდაც კი აუდიტორიის ხარჯზე. მათ ამის საშუალებას ინტერნეტი აძლევთ. შესაბამისად, სარეკლამო შემოსავლების დიდი ნაწილი დღეს კვლავ რეკლამის დამკვეთებთან ბრუნდება, არ რჩება.

თუ პრესა ყიდის ადგილს ფურცელზე, რადიო და ტელევიზია საავტორო დროს, ინტერნეტში შეიძლება გაიყიდოს დროც და ადგილიც, თან შეიძლება იმ რაოდენობით, რომ გაყიდვა ინდივიდუალურად შესაძლებელია მორგებული იყოს მომხმარებელზე.

იტერნეტში რეკლამას სხვადასხვა სახე აქვს. აქ განსაკუთრებით გააქტიურებულია თავითრეკლამის ფორმები და ფარული რეკლამა. ტრადიციულ ფორმად ჩამოყალიბდა ინტერნეტისთვის ბანერული რეკლამა. თუ გვერდი ორიენტირებულია ვიდეოპროდუქციის წარმოებაზე, გავრცელებული ფორმაა ვიდეოფაილის დაწყებამდე ან დასრულებისას, ან ლაივმაუნყებლობის ჩართვისას, სარეკლამო ვიდეორგოლების ჩვენება.

საქართველოში ახლახანს გამოვიდა წიგნი „facekookma რა ჰქნა“, რომლის ავტორიც „თი ბი სი“ ბანკია. წიგნი, რომელიც ბანკმა რამდენიმე რამდენიმე ქართველი ბლოგერის პოსტებისგან შეკრა, ფასიანია და შვიდ ლარამდე ლირს. წიგნის პრეზენტაციას წინ ხმაურიანი სკანდალი იძლოდა: ბანკის მიერ შედგენილ ხელშეკრულებაში ეწერა, რომ მის თანახმად, ბლოგერები საკუთარი ბლოგის საავტორო უფლებებს კომპანიას გადასცემდნენ. ატეხილი აუიოტაჟის გამო, ბანკს ოფიციალური ბოდიში არ მოხდია, სამაგიეროდ კი წიგნის გრანდიოზული პრეზენტაცია გაიმართა, სადაც მონაწილეებს უფასო ტორტი და სასმელი ერგოთ.

სხვადასხვა გვერდებზე გამოქვეყნებული კვლევების თანახმად, დიდ ბრიტანეთში, სოციალურ ქსელებში, მცირებიზნესის წარმომადგენლები აქტიურობენ. ბრიტანელი ბიზნესმენების 77% აცხადებს, რომ სოციალური ქსელები საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციისთავის არ გამოუყენებიათ. მხოლოდ 23% აკეთებს გვერდებს ამა თუ იმ სოციალურ ქსელში.

ასეა მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებშიც. ქართული კომპანიებსთვის კი ”დალაიკებებით“ გატაცება ერთგვარი სახადია, რომელსაც ადრე თუ გვიან ისინი მოიხდიან. ეს გარ-

დაუვალია, რადგან ბიზნესი სარეკლამო კომპანიების შედეგებს უყურებს. სოციალურ ქსელზე მირებული ამდენი ”ლაიკი” კი საქონლის რეკლამას წარმოადგენს, რასაც კომპანიის მეპატრონე უსახსროდ აკეთებს. თუმცა, აქვე დავსძენდით იმასაც, რომ ”დალაიკების” ბუმის დასასრული რეკლამის დამკვეთების მედიაორგანიზაციებში დაბრუნების საწინდარი ნაკლებად უნდა იყოს.

2010 წლის დასაწყისში სხვადასხვა კომპანიების ანალიტიკოსებმა გამოაქვეყნეს, რომ აშშ-ში ინტერნეტ-რეკლამაზე გაღებული ხარჯები რეკლამის ბეჭდურ სახეობებს გაუსწრებს. რეკლამის ინტერნეტში გადიდება არ ნიშნავს იმას, რომ ტელევიზიები, პრესა და რადიო სარეკლამო შემოსავლებს იმავე მაჩვენებლით კარგავს, პირიქით, წარმატებული მედიაორგანიზაციების შემთხვევაში, რომლებსაც არ უჭირთ ინტრერნეტის შესაძლებლობების სწორად გამოყენება, ონლაინ რეკმალა მხოლოდ შემოსავლის წყაროა და დაკარგვის.

სოციალური ქსელის სივრცეს როგორც რეკლამის, ასევე ანტირეკლამის გასარეკეთებლადაც იყენებენ. ამის ნატელი მაგალითია 2011 წლის მაისში ფეისბუქზე გავრცელებული მოყვარულების მიერ ”პოპულში” გადაღებული ვიდეო. კადრში ჩანს ვირტხა, რომელიც პროდუქტზე თავისუფლად დარბის. ბუნებრივია, მასალას შესაბამისი გამოხმაურება მოყვა საზოგადოებისგან. ეს ყველაფერი კი სავაჭრო ცენტრის ოროდუქტის მომხმარებელტა რაოდენობაზე აისახა. მოგვიანებით ”პოპული” იძულებული გახდა, რეკლამა სხვადასხვა რეიტინგულ მედიასაშუალებასა თუ ინტერნეტ-გვერდზე განეთავსებინა.

დასავლეთის პრაქტიკა დღეს ბანეროგაცვლითი ქსელის სისტემას რეფორმებს უწინასწარმეტყველებს. ცვლილებათა უმთავრეს მიზეზად წამყვანი ქვეყნების ინტერნეტ-სივრცის გაცვლითი ქსელებისათვის ისეთ კომპანიატა მომრავლება გახდა, რომელებსაც ბანარული რეკლამის განთავსებასთან ერთად ფულის გადახდის შესაძლებლობაც აქვთ და შესაბამისად, არ აქვთ სურვილი, სხვა რეკლამა საკუთარ საიტზე განათავსონ. სწორედ ამიტონ, გაცვლითი ქსელების საკომისიო გადასახადი 50%-მდე არის გაზრდილი და ბანეროგაცვლითი ქსელის უფასო მომსახურებით მხოლოდ პატარა საიტებიღა სარგებლობები.

მაშასადამე, ძველს ახალი ენაცვლება. თავდაპირველად სიახლეს დადებითად ერთეულები ხვდებიან, მაგრამ საბოლოოდ ყველა ერთ დასკვნამდე მიდის – ტექნოლოგიების წინსვლას, მოდერნიზაციას რთულია მხარი აუქციო. საბოლოოდ კი მსოფლიო აუდიტორია სიახლეთა ფერხულში ავტომატურად ერთვება.

## ლიტერატურა

- 1. კუპრაშვილი GARB 2011:** კუპრაშვილი ნათია. ”ახალი მედია – ძველი მედიისათვის ” (გზამკვლევი) გამომცემლობა ”კოლორი”.
- 2. ახალი მედიის საფუძვლები 2010:** (რედაქტორი თამარ კალმახიტაშვილი, შემდგენლები თინათინ დვალიშვილი და სანდრო ასათიანი. გამომცემლობა TOL.
3. [www.media.ge](http://www.media.ge)

**Nestan Mamuchadze**

**The Problems of the New Media**  
**Resume**

The development of new media caused changes in traditional media. It is impossible for media to attract clients, without possessing the auditory, even if the best outcome is produced. An advertisement in internet is diversified. In internet advertisement very actual is self-advertisement and subliminal advertisement. Social networks are used at present as for advertisement, so for anti advertisement. According to the western experience, many changes can be forecasted in this direction, too.

**Нестан Мамучадзе**

**Проблемы новых средств массовой информации**  
**Резюме**

Разработки новых средств массовой информации обусловили изменения в традиционных средствах массовой информации. Это невозможно для СМИ не имея аудитории привлеч клиентов, даже если имеется хороший результат Реклама в Интернете диверсифицирована. В сети Интернет реклама является актуальной в виде саморекламы и подсознательной рекламы. Социальные сети используются в настоящее время как для рекламы, так и для анти-реклама. В соответствии с западным опытом многие изменения можно также прогнозировать в этом направлении.

## პოლიტიკური მეცნიერებები

### ევროკავშირი გლობალურ პოლიტიკაში

ირაკლი მანველიძე

პოსტიპოლარული საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ევროკავშირის მზარდი როლი და მნიშვნელობა უდავო ფაქტია. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც კარგა ხანია ფიგურირებს აზრი ევროკავშირის, როგორც გლობალური ლიდერის შესახებ. ვინაიდან, საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის ზრდა გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკის განვითარების ტენდენციებზეც. მასზე საუბარია ყველა იმ მნიშვნელოვან სამეცნიერო-ანალიტიკურ ნაშრომში, რომლებიც ეხება გლობალურ პოლიტიკას და იმ ტენდენციებს, რომელთაც ადგილი აქვს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ევროკავშირის, როგორც გლობალური აქტორის პოტენციალის შეფასების კრიტერიუმი ძალიან მაღალია. მართალია, ამ კუთხით მასში მოტანილია ბევრი დამაჯერებელი არგუმენტი, მაგრამ არსებობს გარკვეული გადაჭარბებაც. თუნდაც ის რომ არ სურთ საკითხის შესწავლაში გამოიყენონ კრიტიკული და ანალიტიკური მეთოდოლოგია. თუმცა ევროკავშირის საერთაშორისო როლის შემსწავლელი ბევრი სამეცნიერო ნაშრომი საკითხს სწორედ ამ მიმართებით განიხილავს. მართებულია მოსაზრება, რომ ევროკავშირი განვიხილოთ გლობალური ლიდერობის კონტექსტში, მიუხედავად იმისა რომ ევროკავშირი

ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სრულად „ინტეგრირებულ სუბიექტად“.

ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის შე-სახებ დასავლურ პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთი-ერთობების სამეცნიერო თეორიებში არსებობს რამდენიმე მიდგომა. ერთ-ერთ ქოლისტიკური (აქცენტის გაკეთება რო-გორც ერთ მთლიანზე) მიმართულების თანახმად ევროკავ-შირი საერთაშორისო არენაზე უკვე გამოდის როგორც ერ-თიანი მოთამაშე აქტორი (მართალი, არ არის სახელმწიფო, მაგრამ ფაქტობრივად ანალოგიურია) და ყურადღება გამახ-ვილებულია მის საერთაშორისო საქმიანობაზე.

მეორე მიმართულება - ინსტიუტუციონალისტები აქ-ცენტს აკეთებს იმაზე, რომ ევროკავშირი წარმოადგენს არა როგორც ერთიან უნიტარულ ერთობას, არამედ ის შედგება მრავალმხრივი რეალობისაგან, რომლებიც გამოდიან არა როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები, არამედ როგორც საერთაშორისო ინსტიტუტების ან სხვა ინსტიტუტების ფუნქციები, რომლებშიც ისინი შედიან.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კონსტრუქ-ტივიზმის მიმართულება კი ამტკიცებს, რომ ევროკავშირი უკვე პასუხუბს იმ ხუთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს, რომე-ლიც საშუალებას იძლევა იგი ჩაითავლოს როგორც საერთა-შორისო აქტორი. კერძოდ, მას წევრი სახელმწიფოებისაგან აქვს ლეგიტიმურობა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტი-ლების მიღებაზე; ეფექტურად შუძლია აწარმოოს მოლპარა-კებები საერთაშორისო ურთიერთობების სხვა აქტორებთან და შესაბამისად, ამისთვის მას გააჩნია შესაბამის ინსტრუ-მენტები და საშუალებები; შეუძლია განსაზღვროს პოლიტი-

კური პრიორიტეტები და ჩამოაყლიბოს ერთიანი პოლიტიკა; წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ჩამოყალიბდენენ საერთო ფასეულებებსა და ღირებულებებზე<sup>1</sup>.

ზემოხსენებული მიმართულებები წარმოადგენს იმის მა-გალითს, თუ როგორ შეიძლება გაიყოს და აქცენტი გაკეთ-დეს პოლიტიკური მოქმედების ორი განუყოფელი კომპო-ნენტიდან ერთ-ერთზე ან როგორც აგენტზე და ან რო-გორც სტრუქტურაზე, რომელშიც ის არსებობს.

ბევრი დასავლელი მკვლევარი თვლის, რომ ევროკავში-რი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც „არამთლიანად კონსტრუირებული“ საერთაშორისო აქტორი, რომელიც მეტნაკლებად დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო არენაზე სა-ვაჭრო პოლიტიკის სფეროში, არსებით გავლენას კი გარე-მოს დაცვის განვითარების სფეროში და ზოგიერთ სხვა სფეროშიც, განსაკუთრებით კი აღსანიშნავია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით.

ევროკავშირის როგორც ევროპული და მსოფლიო პო-ლიტიკის აქტორის ზემოთმოცემული კონცეპტუალიზაცია გულისხმობს ევროკავშირის როგორც პროექტის დაუსრუ-ლებლობას და მისი საგარეო პოლიტიკური განზომილების ფუნქციონალური დონეების ფრაგმენტაციას, რომლებიც რჩება მის სამ გამყოფს შორის: ევროპულ თანამეგობრო-ბას/საზოგადოებას, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკებს, რომლებიც ასევე გულისხმობს უშიშროებისა და თავდაცვის ევროპულ პოლიტიკას, და იუსტიციის და ში-ნაგანი საქმეების სფეროში თანამშრომლობას. ამავე დროს,

---

<sup>1</sup> Bretherton, C. And Volgert, J. The European Union as a Global Actor . - London : Routledge, 1999.

იუსტიციის და შინაგანი საქმეების საკითხები იყოფა პირველ (იმიგრაცია, საგარეო საზღვრეების დაცვა/სავიზო პოლიტიკა და პოლიტიკური თავშესაფარის მიცემა) და მესამე მხარე-ებს შორის. თუმცა როგორც მკლევარები აღნიშანვენ, ყველა ნიშნის არსებობის მიუხედავად მას არ გააჩნია საკამარისი პოლიტიკური ლიდერობა და შეთანხმებული პოლიტიკური ნება<sup>2</sup>. ვინაიდან მრავალდონიანი ევრკავშირი ასევე ითვა-ლისწინებს მრავალმხრივი საგარეო და უსაფრთხოების პო-ლიტიკებს, რომელებსაც ახასიათებთ გარკვეული სისუტე და რომელიც გამომდინარეობს გადაწყვეტილების მიღების მრვალცენტრისტულობიდან და სახელმწიფოების და სხვა-დასხვა ინტერესების ჯგუფების პრიორიტეტების კონკუ-რენციიდან. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა მისი ახ-ლანდელი მდგომარეობით მართალია არ არის ერთიანი მაგ-რამ წარმოადგენს საერთოს. ევროკავშირის საგარეო პოლი-ტიკა შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც სამი ქვესის-ტემის: ევროგაერთიანების, ევროკავშირისა და მათში შემა-ვალი სახელმწიფოების პოლიტიკის შეხამება, რომლებიც მჭიდროდ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, როგორც ჩა-მოყალიბების დონეზე, ასევე მათი რეალიზაციის მსვლელო-ბისას.<sup>3</sup>

20-ე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან შემუ-შავდა ევროკავშირის მრავალმხრივი მართვის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს სისტემური თეორიების მრავალსა-ხეობას და აპელირებეს საშიანო და საგარეო პოლიტიკას შო-

---

<sup>2</sup> Ortega, Martin (Ed.). Global views on the European Union. Chaillot Papers No.72. Paris : European Union Institute for Security Studies. November 2004. P.120.

<sup>3</sup>

რის არსებული ადრეული დაყოფის დაძლევის შესახებ წარმოდგენაზე. მოცემული კონცეფციის თანახმად, მართვის სხვადასხვა დონეებს შორის - ზენაციონალური, ნაციონალური და სუბნაციონალური - არსებობს სხვადასხვა ურთიერთმოქმედების არხები და ურთიერთაკვშირები, რომელებიც ახდენენ მონოპოლიის ლიკვიდაციას მართვაზე და მნიშვნელოვანილად ასუსტებს ნაციონალური მთავრობის უფლებამოსილებას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამასთანავე ძლიერდება ზენნაციონალური აქტორების უფლებამოსილება (ევროკომისია, ევროპარლამენტი და ევროკავშირის სასამართლო), ისინი ახდენენ დამოუკიდებელ გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე და მათ შედეგებზე. ასევე, რეგიონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაზე.<sup>4</sup>

ევროკავშირი მხარს უჭერს საკუთარი შიდა და საგარეო პოლიტიკური ინტერესების გოლბალურ კონტექსტში განხილვას, ვინაიდან თვლიან, რომ ტრანსნაციონალურ ეპოქაში გეოგრაფიულად შორეული რეგიონებიდან მომდინარე საფრთხე ისევე იწვევს დიდი ყურადღებას და საზრუნავს, როგორც ახლომდებარე არეალიდან.

საერთაშორისო ტერორიზმი, ბირთვული საფრთხეები, რომელიც არსებობს ჩრდილო კორეაში და სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოება, სიტუაცია ავღანეთსა და ეკვატორულ აფრიკაში, ეგვიპტესა და ლიბიაში, ომის შემდგომი რეკონსტრუქცია და რეფორმები ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში – ეს არის არასრული სია იმ საერთაშორისო პრობლემებისა, რომლის გადაწ-

---

<sup>4</sup> Nugent, Neill. The Government and Politics of the European Union. 5th ed. - Durham : Duke University Press, 2003. P. 473-474.

ყვეტაშიც ევროკავშირი პირდაპირ მონაწილეობას იღებს, როგორც ერთადერთი მამოძრავებელი საერთაშორისო სუბიექტი.

ევროკავშირის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები იძლევა იმის მყარ საფუძვლეს რომ მან პრეტენზია განაცხადოს გლობალურ აქტორობაზე საერთაშორისო პოლიტიკაში.

ევროკავშირში, რომელშიც გაერთიანებულია 27 სახელმწიფო თავისი 500 მილ<sup>5</sup>. ადამიანის შემადგენლობით, ანარმობებს მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის მეოთხედს. აქედან გამომდინარე, არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ იგი ჩატული იყოს გლობალური მოთამაშეების წრეში.<sup>6</sup> საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ევროკავშირი თავისი მოსახლეობით აღემატება აშშ-ს (290,3 მილ), რუსეთს (144,5 მილ), იაპონიას (127 მილ), თუმცა ჩამორჩება ჩინეთს (1,287 მილ) და ინდოეთს (1,05 მილ).<sup>7</sup> ევროკავშირის საერთო ფართობია 4 892 685 კმ<sup>2</sup>.<sup>8</sup> შედარებისათვის: აშშ-ის და ჩინეთის ფართობი დაახლოებოთ შეადგენს 9,6 მილ.კვ.კმ-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვით მათ წინ უსწრებენ მხოლოდ რუსეთი და კანადა (17,1 და 10,0 მილ.კვ.კმ). 2001 წლისათვის ევროკავშირის მარტო 15 ქვეყნის მშპ მიმდინარე

---

<sup>5</sup> ევროპის კავშირი, თავისუფალი ენციკლოპედია ვიკიპედია - <http://ka.wikipedia.org>

<sup>6</sup> A Secure Europe in a Better World. European Security Strategy. Adopted at the European Council meeting in Brussels, December 12, 2003. P. 1. ix. bmuli: <http://ue.eu.int/solana/docs/031208ESSIEN.pdf>

<sup>7</sup> CIA World Factbook 2003. იხ. ბმული: <http://www.cia.gov>, განთავსების თარიღი, 28.03.2004).

<sup>8</sup> ევროპის კავშირი, თავისუფალი ენციკლოპედია ვიკიპედია - <http://ka.wikipedia.org>

ფასებში შეადგენდა 8,7 მილიარდ დოლარს. ეს 22%-ით ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ს მშპ (11,2 მილიარდი დოლარი), მაგრამ ორჯერ მეტი ვიდრე იაპონიისა და ჩინეთის მშპ (4,5 და 3,85 მილიარდი დოლარი). თუმცა, მშპ-ს მაჩვენებლით ერთსულ მოსახლეზე (20,7 ათასი დოლარი) ევროკავშირი ჩამორჩება აშშ-ს (36,5 ათასი დოლარი.) და იაპონიას (32,6 ათასი დოლარ.), მაგრამ 6,5 ჯერ აჭარბებს ჩინეთის დონეს (3,105 ათასი დოლარი).<sup>9</sup> ეკონომიკური ტემპის ზრდით ევროკავშირი წინ უსწრებს იაპონიას, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ. 1990 წლიდან 2003 წლამდე იაპოპნიაში მშპ წელიწადში საშუალოდ 0,3%-ით იზრდებოდა, ევროკავშირში 1,6%-ით, ხოლო აშშ-ში 2,8%-ით.<sup>10</sup> საკმაოდ სწრაფად განვითარდა ჩინეთის ეკონომიკა. დასავლეთის შეფასებით მისი ყოველწლიური ზრდა ბოლო ათწლეულის მანძილზე იყო არანაკლები 9%-ისა.<sup>11</sup> მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ის, რომ ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო თვით ევროკავშირის პოლიტიკიდან გამომდინარე. კერძოდ, ევროკავშირი ემზადებოდა ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის და გააზრებულად ხდებოდა ეკონომიკური ზრდის შეჩერება და უპირატესობა ენიჭებოდა ინფლაციის შეზღუდვის ამოცანებს, სახელმწიფო

---

<sup>9</sup> The European Union and World Trade / Compiled by Hanna Skytta. EU Commission Speakers Bureau. November 2002; The Economic Weight of Nations. (<http://www.cesifo.de>)

<sup>10</sup> OECD Economic Outlook. November 2003. № 74. P. 50.

<sup>11</sup> Yueh L.Y. China's Economic Growth with WTO Accession: Is It Sustainable? // Asia Programme Working Paper № 1. Royal Institute of International Affairs. London, May 2003. P. 2. (<http://www.riia.org/pdf/research/asia/Chinas%20Economic.pdf>)

ვალისა და დეფიციტის შემცირებას.<sup>12</sup> ამჟამად ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ს და იაპონიას<sup>13</sup>.

ევროკავშირი მსხვილი მოთამაშეა საერთაშორისო ვაჭრობაში. ევროკავშირის 15 ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მოცულობამ 2002 წლისათვის მიაღწია 1,87 ტრილიონ დოლარს, ამ დროს ევროკავშირის და აშშ-ს წილი საერთაშორისო ვაჭრობაში 2002 წლისათვის იყო 18,5% და 18,7%.<sup>14</sup> ჩინეთი საგარეო ვაჭრობის პრუნვაში ძლიერ ჩამორჩებოდა ევროკავშირს და აშშ-ს. მისი წილი მსოფლიო ვაჭრობაში შეადგენდა 6,1%-ს, ოდნავ მეტი მოდიოდა იაპონიაზე (7,4%), რომელიც 2,5 ჯერ ჩამორჩებოდა ევროკავშირს ამ მაჩვენებლის მიხედვით.

2004 წელს ევროკავშირის გაფართოებამ ორმაგად მოახდინა გავლენა მისი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელზე. ევროკავშირის ახალი წევრები ვროკავშირის სტანდარტების მიხედვით მიეკუთვნებოდნენ სუსტი ქვენების რიცხვს. ამიტომაც მშპ-ს მაჩვენებელმა ერთ სულ მოსახლეზე დაიწყო შემცირება, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ დაიწყო შენელება. ევროკავშირს გააჩნია შანსი განამტკიცოს ეკონომიკური ცენტრის პოზიციები მსოფლიო სავაჭრო ბლოკში. ამასთანავე არსებობს ოპტიმისტური პროგნოზი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის გაფართოება დააჩქარებს ეკო-

<sup>12</sup> European Commission Office of Statistics – Eurostat. იბ. ბმული: <http://europa.eu.int/comm/eurostat/public/datasshop>

<sup>13</sup> ევროპის კავშირი, თავისუფალი ენციკლოპედია ვიკიპედია - <http://ka.wikipedia.org>

<sup>14</sup> Leading exporters and importers in world merchandise trade. 2002. (WTO Data) იბ.ბმული:[http://www.wto.org/english/res\\_e/statis\\_e/its2003\\_e/section1\\_e/i06](http://www.wto.org/english/res_e/statis_e/its2003_e/section1_e/i06)

ნომიკურ ზრდას. ახალი წევრი ქვენები ეცდებიან მაქსიმალურად სწრაფად შეამცირონ ეკონომიკური ჩამორჩენა ევროკავშირის მოწინავე ქვეყნებთან მიმართებაში, თუმცა მსოფლიო ეკონომიკური და ევროკავშირის ცაკლეულ ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური კრიზისები გარკვეულ გავლენას იქონიებს ამ ტენდენციებზე.

ბოლო პერიოდში ევროკავშირი უდავოდ გადაიქცა მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალად, რომლის პოზიციაც აშკარად ანგარიშგასაწევია საერთაშორისო თანამეგობრობაში. მაგრამ, ევროკავშირის მშპ-ის 64% მხოლოდ ევროკავშირის 4 წევრ ქვეყნაზე (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი და იტალია) მოდის, მაშინ, როცა ბოლო ორი გაფართოების შედეგად გაწევრიანებულ 12 ქვეყნაზე ერთად მოდის ევროკავშირის მშპ-ის 5 %.<sup>15</sup>

ასე, რომ ევროკავშირი თავისი გაფართოების პირობებში შეგუებული იყო აზრს ეკონომიკური ტემპების ზრდის დროებითი შენელების შესახებ, იმის გამო რომ შემოედო ერთიანი ევროპული ვალუტა, რომელსაც ევროკავშირისათვის უნდა მოეტანა სარგებელი გრძელვადიან პერსპექტივაში. ევრო უნდა ყოფილიყო გლობალური ეკონომიკური გავლენის ფაქტორი. მისი შემოღებით ევროკავშირს გაუჩნდა შესაძლებლობა აშშ-საგან დამოუკიდებლად გაატაროს ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკა. ევროს როლის გაზრდას შეუძლია გაზარდოს საგარეო კრედიტების მოცულობა ბანკოტების ემისიის ხარჯზე. ასევე, შესაძლებელია გაიზარდოს ევროპის საფინანსო ცენტრის შემოსავლები ფირმები-

<sup>15</sup> რ. ფუტკარაძე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2010, გვ. 21-22.

სათვის და ევროკავშირის ქვეყნებისათვის.<sup>16</sup> ამავე დროს რთულია ევრო განხილულ იქნას იმ ინსტრუმენტად, რომელიც ევროკავშირის მმართველ ორგანოებს საშუალებას მისცემს გამოიყენოს ის საგარეო პოლიტიკაში საკუთარი მიზნების მისაღწევად. ეკონომიკური და სავალუტო კავშირების პროექტი, რომლის ნანილიც იყო ევროს შემოღება, გათვლილი იყო ევროკავშირის ფინანსური და საგარეო ვაჭრობის პოზიციების ზრდაზე. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ევროს სერიოზული გამოცდაა. რამდენად შეძლებს ის გაუმკვლავდეს გარკვეულ პრობლემებს დოლართან მიმართებით, ბევრად განსაზღვრავს ევროკავშირის როლს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

გარდა ეკონომიკური პოტენციალისა, ევროკავშირის ლიდერული როლის მნიშვნელოვანი ელემენტია მისი კულტურული და პოლიტიკური გავლენა, რომლის მასშტაბები ფაქტიურად ინარჩუნებენ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, ვინაიდან დღეისათვის „ევროპული ფასეულობები“ საკმაოდ ფართო ხასითისა გახდა და ის მოიცავს შეხედულებებს ისეთ საკითხებზე როგორიცაა: სადაო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკების გზებით მოგვარების შეახებ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და ადამიანის თავისუფლების, ეთნიკური უმცირესობის დაცვას და ა.შ. გარდა ამისა, „ევროპული ფასეულობების“ სხვა კომპონენტები არის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უზუნველყოფა საზოგადოებრივი სოლიდარობის საფუძველზე. საბოლოოდ კი, ევროპელების კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

---

<sup>16</sup> Буторина О. Международная валютная система // Россия в глобальной политике. 2003. № 4

აღნიშნული ფასეულობები გავლენას ახდენენ და განაგრძობენ ზემოქმედებას ბევრი არაევროპული ქვენებისა და რეგიონების პოლიტიკურ კულტურაზე—აღმოსავლეთ აზიიდან მოყოლებული აფრიკასა და ლათინურ ამერიკაზე.

შიდა პოლიტიკურ დონეზე ეს ფასეულობები პირობითად ნაწილდება ყველა გაერთიანებულ ევროპულ სახელმწიფოზე. ისინი გამოდიან საჭირობოტო მოტივებით, რითაც ევროკავშირი მიიწევს საერთო საგარეო პოლიტიკის განვითარებისაკენ.<sup>17</sup>

ევროპული ფასეულობების მიმზიდველობამ თავისი როლი შეასრულა მრვალი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების საქმეში. ევროპულმა ჰუმანურმა ფასეულობებმა ითამაშეს დიდი როლი ანტიკომუნისტური ოპოზიციის ლეგიტიმიზაციის საქმეში ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. მან ამ საქმეში გარკვეულად დიდი როლი ითამაშა.

თუ კი აშშ-ს ადმინისტრაცია თავისი გავლენის პროვოკირებას ახდენს ძალის მეშვეობით, ევროკავშირი ცდილობს სწორედ ზემოაღნიშნული ხერხებით მოახდინოს გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე. ევროსაბჭო, რომელებც გარკვეულწილად გავლენას ახდენენ ევროკავშირის ქვეყნები, არის ყველაზე რადიკალური და ყველაზე გავლენიანი უფლებათა დამცავი ორგანიზაცია მსოფლიოში. ევროკავშირი ფორმალურად კი ითვლება ევროპულად, მაგრამ ფაქტობრივად აყალიბებს მსოფლიო კანონდამცავ ნორმებს და ამასთანავე, ცდილობს გაამკაცროს და განავითაროს მისი მოქმედება საერთაშორისო არენაზე. ადამიანის უფლებათა დამცველები თითქმის მთელს მსოფლიოში აპელირებენ სა-

---

<sup>17</sup> Lindley-French J. The ties that bind // NATO Review. Autumn 2003.

კუთარ ქვეყანებში ადამიანთა უფლებებისა და პოლიტიკური თავისუფლების დაცვის საკითხებით და ამ საქმეში ევროპის პოზიციები მათ უფრო მეტ ინტერესს იწვევს, ვიდრე აშშ-ის. ისინი უფლებათა დაცვის საქმეში აქტივობის ლიდერობას ანიჭებენ ევროკავშირს და ისიც შესაბამისად ახდენს გარკვეულ ზემოქმედებას ამა თუ იმ ქვეყნებზე, აქედან გამომდინარე ეს გარემოება, როგორც მორალურ პოლიტიკური ზემოქმედების პოტენციალი, წარმოადგენს ევროკავშირის ორგანიზაციული რესურსების ელემენტს. სწორედ ამის დამადასტურებლად ითვლება ის ფაქტი, რომ ევროპაში განთავსებულია ისეთი სასამართლო ორგანოები და ტრიბუნალები, როგორიცაა გაეროს საერთაშორისო სასამართლო; საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავის საკითხების შესახებ, ადამიანთა უფლებების დაცვის შესახებ გამართული საერთაშორისო სამართლებრივი სასამართლო და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მათზე მკვეთრად იგრძნობა აშშ-ის გავლენა, ევროკავშირი მაინც დიდ გავლენას ახდენს არატრივიალურ აქციებზე. მაგ., 2004 წელს განახლდა სასამართლო პროცესი აშშ-ს წინააღმდეგ სერბისა და ჩერნოგორიის სარჩელის შესახებ ნატოს მიერ სამხედრო ჩარევის გამო ყოფილი იუგოსლავის ტერიტორიაზე და ამარიკული სამხედროების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ.<sup>18</sup>

ევროკავშირის სამხედრო პოტენციალის გაზრდის სფეროში ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო 1999 წელს დაწყებული საუბარი ევროპის სწრაფი რეაგირების ძა-

---

<sup>18</sup> NATO military expenditure on personnel and equipment, 1993–2002. ([http://projects.sipri.org/milex/mex\\_nato\\_93-02.pdf](http://projects.sipri.org/milex/mex_nato_93-02.pdf))

ლების შექმნის შესახებ. ეს ინიციატივა ითვალისწინებდა 100 000 სამხედრო მოსამსახურისაგან შემდგარი კონტიგენტის ფორმირებას, რომელსაც ექნებოდა სწრაფი დისლოკაციის უნარი კონფლიქტების ზონებში და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა ერთი წლის ვადით. ეს პროექტი უნდა განხორციელებულიყო 2003 წელს, მაგრამ ვერ განხორციელდა დაფინასების და პროექტის მონაწილეებს შორის პოლიტიკური წინააღმდეგობის გამო. შედეგობის მან სახე შეიცვალა ახალი ფორმატით და მისი ნაწილობრივი განხორციელება უნდა დაწყებულიყო 2007 წელს, ხოლო სრულად 2010 წლისათვის, თუმცა კვლავ უშედგოდ.<sup>19</sup>

ევროკავშირი ეფექტურად იყენებს საერთაშორისო არენაზე საკუთარ ორგანიზაციულ რესურსებს, რომლებიც განისაზღვრება ევროკავშირის მონაწილეობით მრავალრიცხოვან, მრავალმხრივ საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებში, რეჟიმებში, ფორუმებსა და დიალოგებში. ევროკავშირის ძალუძს უფრო საზრიანად გამოიყენონ ეს რესურსები, ვიდრე მსხვილი ნაციონალური სახელმწიფოებს, რომლებიც მიდრეკილნი არიან უფრო სწორხაზოვანი მეთოდით დაიცვან თავისი პოზიციები.

ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ ყველაზე პრესტიული საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში. ევროკავშირს ვაჭრობის, პარტნიორობის და ასოციაციის საკითხებში გააჩნია ოფიციალური ორმხრივი შეთანხმების საქმეში დიდი ქსელი, ურთიერთობე-

---

<sup>19</sup> NATO-EU cooperation taken to a new level , <http://www.nato.int/docu/update/2003/03-march/e0317a.htm>

ბის გამოცდილება ევრაზიის, აფრიკის, კარიბის აუზის, წყნარი ოკეანის აუზისა და სამხრეთ ამერიკის ათეულობით ქვეყნებთან. აქვს სპეციალური რეგიონალური შეთანხმებები, რომლებიც შეეხება ვჭრობის, ინვესტიციების, ენერგო მატარებლების, გარემოს დაცვის, ასევე თავდაცვისა და ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს, ევროკავშირის მიერ ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულებები ხმელთაშუა ზღვისპირეთის, ლათინურ ამერიკის, აზიის და აფრიკის, კარიბის და წყნარი ოკაენის აუზების ქვეყნებთან.

ევროკავშირი კარგად იყენებს საკუთარ ორგანიზაციულ რესურსებს და ამით უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობას. პარტნიორი ქვეყნების მიერ შესაბამის საკანონმდებლო ნორმების მიღების შემთხვევაში ევროკავშირი უმარტივებს აღმოსავლეთ ევროპის და ხმელთაშუა ზღვისპირეთის პარტნიორი ქვეყნების ფირმებს და კომპანიებს ბიზნესის წარმოებას. ასეთი ტენდენცია აუმჯობესებს დასავლეთ ევროპის უზრუნველყოფას ნედლეულით და ხელს უწყობს მზა პროდუქციის შეშვებას ევროპის ბაზარზე.

ევროკავშირს გააჩნია დიდი გავლენა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და ცდილობს დაიცვას თავისი ინტერესები აშშ-სთან მიმართებით. ევროპელები უარყოფითად აფასებენ მსგავს ორგანიზაციაში იმ დისკრიმინაციულ ღონისძიებებს, რომელსაც ვაშინგტონი რიგ შემთხვევებში გამოიყენებს საერთაშორისო ვაჭრობაში. ევროკავშირი, როგორც ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ბლოკი ერთდროულად ფლობს 25 ხმას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში და გააჩნია მოლაპარაკებების წარმოების უდიდესი რესურსი. მას შეუძლია ადვილად მოახერხოს ხელსაყრელი დათმობე-

ბის მიღწევა იმ სახლმწიფოსთან, რომელიც პრეტენდენტობას გამოაცხადებს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში წამყვან როლზე.

ევროკავშირს ორგანიზაციული რესურსი საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესების გამო გავლენა მოახდინოს საერთაშორისო აქტორებზე, წინ წასწიოს ერთნი და ხელი შეუწყონ სხვათა ჩრდილში დარჩენას. სწორედ, საორგანიზ-ციო რესურსის საშუალებით შეუძლია ევროკავშირს გავლენა მოახდინოს იმ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს გეოგრაფიულად ახლო ან შორეულ რეგიონებში.

ევროკავშირი, რომელსაც გააჩნია *dliqueur* ორგანიზა-ციული პოტენციალი და არის მსოფლიოში უმსხვილესი სა-ვაჭრო ბლოკი, ეყრდნობა არაძალისმიერ ინსტრუმენტებს საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების საქმეში. ევროპელებს არ შესწევთ უნარი 2–3 თვეში შეცვალონ რეუმი რომელიმე ქვეყანაში, სამაგიეროდ მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მათ ხელისუფალებაზე და ხელი შეუწყონ ევრო-კავშირისათვის ხელსაყრელი ვარიანტების არჩევას სხვა-დასხვა კონფლიქტური სიტუაციების დროს.

ორგანიზაციული რესურსების გამოყენება ბევრად უფრო შეესაბამება ევროკავშირის პოლიტიკის მიზნებს, თუმცა ევროკავშირს, რომელიც საკუთარ თავს წარმოიდ-გენს საერთაშორისო პოლიტიკის ლიდერის კონტექსტში, ასევე გააჩნია სირთულეები მის ხელთ არსებული რესურსე-ბის გამოყენების საქმეში. კერძოდ, ევროკავშირისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მის შიდაპოლიტიკურ კურსში ნაციონალურ ხელისუფლებების საგარეო პოლიტი-კასთან ფრთხილი დამოკიდებულება და აქედან გამომდინა-რე ევროკავშირის ქვეყნებს შორის აზრთა შეუთანხმებლობა

საგარეო პოლიტიკის საკითხებში საერთაშორისო მიმართულებით.

თუ კი საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც არიან ევროინტეგრაციის ფუძემდებლები და მხარს უჭერენ ევროკავშირის ქვეყნების მიერ საერთაშორისო მიმართულებით კოორდინირებულ მოქმედებას, მაშინ დიდი ბრიტანეთი, დანია და ნიდერლანდები ხშირად გამორჩევიან თავშეკავებული ურთიერთობით ევროკავშირის საგერეო პოლიტიკის მიმართ. რაც კარგად ჩანს აშშ-ის პოლიტიკასთან თავშეკავებული დამოკიდებულებით. ასევე, ევროკავშირის სხვა ნეიტრალური ქვეყნებიც (ირლანდია, ავსტრია, შვეცია, ფინეთი) გამოირჩევიან ასეთივე მიდგომით და მხარს უჭერენ ავტონომიურ გადაწყვეტილებებს. მათი აზრით მსგავ მიდგომებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ აშშ-ის და ალიანსის ურთიერთობებს. ევროკავშირში ასეთი უთანხმოება განსაკუთრებით ძლიერად გამოიხატა 2004 წელს ევროკავშირის შემადგენლობაში ახალი წევრების მიღების შემდეგ, რომლებიც თავის პოლიტიკაში ვაშინგტონისკენ უფრო იყვნენ გადახრილები, ვიდრე პარიზისა და ბერლინისაკენ.<sup>20</sup>

ევროკავშირის წევრ-ქვეყნების ნაციონალურ ხელი-სუფლებებს შორის საგარეო პოლიტიკის წარმოების (ძირითადად აშშ-სთხ მიმართებით) გარშემო არსებულ წინააღმდეგობებს ენირება მათი ერთიან პოტენციალის გამოყენება საგარეო პოლიტიკის გატარებაში. თუმცა, ეს წინაღმდეგობები ეხება არა მარტო საგარეო საქმიანობას, არამედ, სა-

---

<sup>20</sup> Darnton J. Union, but Not Unanimity, as Europe's East Joins West // The New York Times. March 11, 2004.

კუთრივ ევროკავშირის შიგნით მიმდინარე რეფორმების საკითხებსაც. ამ საქმეში მნიშვნელოვან, როლს თამაშობს კავშირის არსებული საერთო სისტემების შეგუებლობის პრობლემა ნაციონალურ ორგანოებთან. ევროკავშირის ბიუჯეტის სტრუქტურა ძალიან რთულია. სხვათაშორის, ის მანამდე ჩამოყალიბდა ვიდრე აუცილებელი გახდებოდა საგარეო პოლიტიკის გამომუშავების შესახებ ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება. ამ სისტემის რეფორმირება ძალზე რთულია. საბოლოოდ, კი ევროკავშირის პოლიტიკური შესაძლებლობები საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომ ის ჩამოყალიბდეს როგორც ერთი მთლიანი სფერო, ამის სურვილი იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ მასზე გარკვეული თანხის დახარჯვაც კი აუცილებლი არ გამხდარა.<sup>21</sup>

ევროპაში იზრდება ახლო და შუა აღმოსავლეთის მუსლიმანური სამყაროდან ემიგრანტთა რიცხვი.<sup>22</sup> რადგანაც დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოების კეთილდღეობის მიღწევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისლამური ქვეყნებიდან მოსული იაფ მუშახელია, ევროპის ხელისუფალთ ხელს არ ძლევს გაამკაცრონ ემიგრაციის საკითხები და ახლო და შუა აღმოსავლეთიდან გამოსულ ხალხთა ცხოვრება აკრძალონ მათ ქვეყნებში.

გარდა ამისა, ევროპის ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი, ბრიტანეთი) ქალაქებში მუსულმები აყალიბებენ კომ-

---

<sup>21</sup> General Budget of the European Union for the Financial Year 2004. The Figures. Brussels, Luxembourg. January 2004. <http://europa.eu.int/comm/budget/pdf/budget/syntchif2004/en.pdf>

<sup>22</sup> Interim Report on an EU Strategic Partnership with the Mediterranean and the Middle East. European Commission. March 23, 2004. P. 2-3. [http://europa.eu.int/comm/external\\_relations/euromed/publication.htm](http://europa.eu.int/comm/external_relations/euromed/publication.htm)

პაქტურ სათვისტომოებს და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხდებიან ევროპული სახელმწიფოების მოქალაქეები მკაცრად ინარჩუნებენ მტკიცე კავშირს თავიანთ წარმომავალ ქვეყნებთან ან ზოგადად მსოფლიოს ისლამურ საზოგადოებასთან. ასეთი სათვისტომოები, რომლებიც ეყრდნობიან მათ შეძლებულ წარმომადგენლებს, რომლებიც ინტეგრირებული არიან ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტასთან, თანდათანობით იძენენ ზემოქმედების მომხდენი ბერკეტის მექანიზმის ფუნქციას. მუსულმანურ სათვისტომოებს შეუძლიათ დიდი ზეგავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე და თავიანი ინტერესების წარმატებული ლობირება ევროპის ქვეყნების და ევროავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირის განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნები მკაცრად რეაგირებენ ისლამური სახელმწიფოებისა და მუსულმანური ორგანიზაციების მიერ სხვა სახელმწიფოების მისამართით გაკეთებული მუქარის გამო.

ამ კონტექსტში ასევე გასათვალისწინებელია ისლამური ტერორისტული ქსელის როლი ევროპის ქვეყნების შიდა და საგარეო პოლიტიკის განვითარებაზე. 2004 წლის გაზაფხულზე, „ალ-ყაიდას“ ტერორისტულმა აქტებმა ესპანეთიში დიდი გავლენა იქონია პარლამენტის არჩევნებზე, სადაც ხელისუფლება დაკარგა იმ ძალამ, რომელიც მხარს უჭერდა აშშ-ს პოლიტიკას ერაყთან და ავღანეთთან მიმართებით. „ალ-ყაიდას“ მხრიდან ასეთი სცენარით მოვლენების განვითარების საშიშროებას კარგად გრძნობენ საფრანგათის, იტალიის, დანიის, გერმანიის, ბრიტანეთის პოლიტიკოსები – და ასევე ის ქვეყნები, სადაც მრავლრიცხოვანი მუ-

სულმანური თემები ქმნიან ისეთ გარემოს, სადაც საკმაოდ ადვილად შეუძლიათ თავი შეაფარონ ახლო და შეუ აღმო-სავლეთიდან გადმოსულმა ტერორისტებმა. ევროკავშირის შეთანხმებული რეაგირების შესაძლებლობა იმ მუქარაზე, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ისლამ-თან, საკამოდ დაბალია არსებული პერსპექტივის გათვალისწინებით. ზუსტად ასევე შეიძლება დაბალი აღმოჩნდეს ევ-როკავშირის მზადყოფნაც ვაშინგტონთან ერთად გამოვიდეს ისლამური ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო მეთოდებით.

ევროკავშირის ავტონომიური ლიდერობის ამბიციის შეზღუდულობაში დიდ როლს თამაშობს აშშ-ის მიზანმიმრთული მოქმედებები, რომელიც ისწრაფვის შეინარჩუნოს გავლენა დასავლეთ ევროპულ მოკავშირების პოლიტიკაზე. მათზე ვაშინგტონი გავლენის მოხდენს ახერხებს ჯერ კიდევ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური პროექტების დაგეგმარების სტადიაზე, როცა ზღუდავს ევროკავშირის ავტონომიის „არსასურველ“ ასპექტებს საგარეო პოლიტიკის და თავდაცვის საკითხებში.<sup>23</sup>

ევროკავშირისა და ნატოს გაფართოების შემდეგ მათი მონაწილეები ძირითადად თითქმის ერთი და იგივე ქვეყნები აღმოჩნდნენ. აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა თუ რომელია მათ შორის მთავარი ინსტიტუტი უსაფრთხოების პოლიტიკის საქმეში მეტად პრინციპული მნიშვნელობის საკითხია. ვინაიდან საქმე ეხება აშშ-ს პოლიტიკურ ზემოქმე-

---

<sup>23</sup> Троицкий М.А. Концепция «программирующего лидерства» в евроатлантической стратегии США // Pro et Contra. Осень 2002. Т. 7. № 4. <http://www.carnegie.ru/ru/pubs/procontra/67074.htm>

დების ხარისხს ევროკავშირზე და პირიქით.<sup>24</sup> საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის ლიდერობის ამბიცია მისი საკუთარი სამხედრო სტრუქტურის სისუსტის გამო საეჭვოა მოხდეს აშშ-სა და ნატოსთან კავშირის გარეშე. ევროკავშირის ლიდერობის პოტენციალზე მკვეთრად წევატიურად მეტყველებს ის, რომ ამერიკელმა პოლიტოლოგმა კეიგანმა მას უწოდა აშშ და დასავლეთ ევროპის „სტრატეგიული კულტურების შეუთანხმებლობა“.<sup>25</sup>

ამერიკული სტრატეგიული კულტურა სრულიად სხვაა. ის ვერ მოითმენს გვერდით არსებულ საფრთხეებს და ცდილობს იპოვოს გარკვეული, გათვლილი გადაწყვეტილება საშიშროების თავიდან ასაცილებლად.<sup>26</sup>

ამერიკულ-ევროპული ურთიერთობები მოიცავს კონკურენციის მჭიდრო კავშირის ელემენტებს როგორც ეკონომიკის სფეროში, ასევე პოლიტიკაში. აშშ წარმოედგენს ევროკავშირის უმსხვილეს პარტნიორს ვაჭრობაში. ევროკავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაზე აშშ-ს წილი 2002 წელს შეადგენდა 37,5%.<sup>27</sup> ვაჭრობაში აშშ-თან ევროკავშირს გააჩნია გარკვეული პროფიციტი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მზარდი დეფიციტის დროს ბრიუსელისათვის.<sup>28</sup> ჩინათან

---

<sup>24</sup> Albright M.K. The Right Balance Will Secure NATO's Future // Financial Times. December 7, 1998.

<sup>25</sup> Kagan R. Power and Weakness // Policy Review. June/July 2002. № 113. журнале «Pro et Contra» (Осень 2002. Том 7. № 4. С. 127-157). Kagan R. Of Paradise and Power. America and Europe in the New World Order. New York: Alfred A. Knopf, 2003. Р. Кейган, «America's Crisis of Legitimacy» (Foreign Affairs. March-April 2004. P. 65-101).

<sup>26</sup> A Secure Europe in a Better World. European Security Strategy. P. 7.

<sup>27</sup> Eurostat (COMEXT, CRONOS), IMF (DOTS). (<http://trade-info.cec.eu.int>, дата посещения 25.03.2004). Eurostat news release. 19 February 2004

<sup>28</sup> Eurostat news release. 19 February, 2004.

ვაჭრობაში ბოლო 10 წლის განმავლობაში სტაბილური ეკონომიკური მაკავშირებელი ევროკავშირსა და აშშ-ს შორის განიცდის გამოცდას კონკურენციაში, როგორც ვაჭრობაში, ასევე ფინანსებში. ხმამაღალი რეზონანსი გამოიწვია აშშ-სა და ევროკავშირს შორის იმპორტის შესახებ დავამ (ჰორმონალური საქონლის ხორცი). ევროს შემოღებამაც თავისებური წინააღმდეგობები გამოიწვია ევროკავშირსა და ვაშინგტონის შორის.<sup>29</sup> ერთ-ერთი წინააღმდეგობა დაკავშირებულია აშშ-ს მიერ უარზე კიოტის პროტოკოლის რატიფიცირებაზე სამრეწველო ნარჩენების ატმოსფეროში გაბნევის შემცირების შესახებ. ამ საკითხებში ევროკავშირს ამოძრავებს გარემოპირობებზე თანმიმდევრული ზრუნვა და მისწრაფება მიაღწიოს ბუნების დაცვის სტანდარტების ნორმებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ. ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი წარმატებული მიმართულებაა დაამტკიცოს თავისი ლიდერობა. ამასთანავე ეკონომიკური კონფლიქტი ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში წარმატებით გადაიღახება ევროკავშირისა და აშშ-ს საბაზო დამოკიდებულების გაერთიანების ხარჯზე. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ფარგლებში, როცა ბრიუსელი და ვაშინგტონი არეგულირებს თავიანთი ვაჭრობის წინააღმდეგობების დიდი ნაწილს, ორივე მხარეს უჭირავს შესაბამისი პოზიცია მესამე ქვეყნების ბაზრების გახსნის საქმეში. მათი დამოკიდებულება ახლოა შრო-

---

<sup>29</sup> Буторина О.В. Международные валюты: интеграция и конкуренция. М.: Деловая литература, 2003. С. 227-228

მის სტანდარტების ამაღლების სფეროში, გარემო პირობების დაცვაში.<sup>30</sup>

ევროპელები იზიარებენ აშშ-ს წუხილს მასიური განადგურების იარაღის გავრცელებისა და ტერორიზმის შესახებ. მაგრამ ევროკავშირი ამ კუთხით თავის დოკუმენტებში თავს იკავებს მძაფრი ფორმულირებისაგან. პირიქით, იგი გამოიწევა შემრიგებლური ტონით. ევროკავშირის დოკუმენტებში აღინიშნება ის, რომ, უფრო პრაქტიკული საშუალება მუქარის წინააღმდეგ ბრძოლისას არის მოძველებული პრობლემების გადაწყვეტა რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერებით.<sup>31</sup> ევროპელები არ მიისწრაფვიან იზოლირება გაუკეთონ ან ჩაახშონ საშიში რეჟიმები. პირიქით, გვათავაზობენ ავლზარდოთ ისინი და ვუზრუნველყოთ მათი ხელახალი ინტეგრაცია საერთაშორისო სარბიელზე.

თუ კი აშშ დგას „პროფილაქტიკური ომის“ პოზიციაზე, მაშინ ევროკავშირისათვის უფრო მიზანშეწონილია „პროფილაქტიკური ჩაბმა“. აშშ მიიღება ერთი ხელის დაკვრით დაამთავროს საშიშ რეჟიმთან საქმე მისი შეცვლის გზით. ევროკავშირი კი პოლიტიკური მეთოდებით ცდილობს ასეთი რეჟიმები დააყენოს „კეთილსინდისიერი მართვის“ გზაზე.<sup>32</sup>

აშშ-ს ცალმხრივი გადაწყვეტილება თავდაცვის პრობლემების სფეროში ნაწილობრივ ხელს აძლევს ევროპას, რო-

---

<sup>30</sup> Kagan R. America's Crisis of Legitimacy // Foreign Affairs. March/April 2004. P. 69.

<sup>31</sup> A Secure Europe in a Better World. P. 5.

<sup>32</sup> Haine J.-Y. ESDP: an overview. P. 8. <http://www.iss-eu.org>

მელიც ამ დროს აკრიტიკებს ამერიკის ადმინისტრაციის მოირიშე პოლიტიკას. თეთრ სახლს შეუძლია და რაც მათავარია მზადაა ჩამოაგდოს დიქტატორები ბალკანეთში და ახლო აღმოსავლეთში, დააკავოს საერთაშორისო ტერორისტები.<sup>33</sup>

ევროკავშირის სტრატეგია მდგომარეობს მის „მფარველობაში“ მყოფი სახელმწიფოებისადმი გააფართოვოს ეკონომიკური მხარდაჭერა. 2003–2004 წლებში ევროკავშირმა დაიწყო მოლაპარაკებები შეთანხმების ხელმოწერაზე აფრიკული სახელმწიფოებთან პარტნიორობის შესახებ, შემდეგ კარიბის გაერთიანებებთან. ეს მოლაპარაკებები ცნეს განვითარებადად. ევროკავშირი ცდილობს განავითაროს ეკონომიკა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტები ყველაზე ღარიბ ქვეყნებში.<sup>34</sup>

„ევროპა არასდროს ყოფილა ისე აყვავებული, დაცული და თავისუფალი“ – ასეთი სიტყვებით იწყება „ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია“, მიღებული 2003 წლის ივნისში.<sup>35</sup> იგი მოწმობს იმაზე, რომ ევროკავშირს აქვს მაღალი შეფასება. არ არის გასაკვირი ის რომ, ევროკავშირი მიიღება ლიდერობისაკენ, ის ამას იმსახურებს.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკური აქტივობა იზრდება მისი ინტეგრაციის სწრაფვასთან ერთად. ასევე, საერთო საგარეო პოლიტიკა გახდა ევროკავშირისათვის მისი

<sup>33</sup> Prodi R. The European Union's role after enlargement. Speech at the High-Level Conference on the future of transatlantic relations. Brussels. March 3, 2004. <http://europa.eu.int/rapid/start/cgi/guesten.ksh>

¶ См., например: Activities of the European Union: External Relations. An Overview. [http://www.europa.eu.int/pol/ext/overview\\_en.htm](http://www.europa.eu.int/pol/ext/overview_en.htm)

<sup>35</sup> A Secure Europe in a Better World. P. 2.

შეკავშირებისა და გაერთიანების ერთ-ერთი საშუალება. ევროპული საგარეო პოლიტიკური ინიციატივებისა და პრობლემების შედეგები, რომელიც ხვდება ბრიუსელს თავისი საქმიანობის გზაზე, სტიმულს აძლევს ევროპულ ინტეგრაციას. გარემომცველი გარემო ახდენს ზემოქმედებას. ევროკავშირი განსაღვრავს ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზებს და ისახავს ახალ მიზნებს, ათვიცნობიერებს რა თავის „გლობალურ პასუხისმგებლობას,“<sup>36</sup> ევროკავშირი ახორციელებს საგარეო პოლიტიკას აშშ-სთან თანამშრომლობის გზით და ასევე, „მცირე ძალის“ გამოყენებით სად და როდის არის ამისათვის ხელსაყრელი პირობები.

საერთაშორისო საზოგადოება მოიცავს რთულ სისტემას. ევროკავშირი ილტვის უზრუნველყოს მრავალმხრივი მოლაპარაებების დაცვა, ასევე განამტკიცოს საერთაშორისო მოლაპარაკებების ბაზა. ევროკავშირის პოლიტიკის პირველსახოვანი მიზანია ქვეყნების ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ძალიან დიდია ევროკავშირის საერთო მოცულობა პინანსური მხარდაჭერის სფეროში.<sup>37</sup>

ბოლო დროს მკვეთრად იკვეთება ევროკავშირის მისწრაფება, ითამაშოს ძირითადი როლი მსოფლიო პოლიტიკაში. თავისი განვითარების დასაწყისში ევროკავშირი იყო რეგიონალური მოთამაშე, მაგრამ ყოველწლიურად ევროკავშირი უფრო მეტი ძალისხმევით აცხადებს პრეტენდენტობას გლობალურ ლიდერობაზე, ისწრაფვის მონაწილეობა მიიღოს

---

<sup>36</sup> Activities of the European Union: External Relations. An Overview.

<sup>37</sup> Betts R. Is Strategy an Illusion? // International Security. Fall 2000. Vol. 25. № 2. P. 5-50.

კონფლიქტების გადაწყვეტაში არა მარტო ევროპის ტერი-  
ტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ევროკავშირი არ მიეკუთვნება არც საერთაშორისო  
ორგანიზაციების და არც უნიტარული სახელმწიფოების  
რიცხვს, ეს სპეციფიკა კი გარკვეულ გავლენას ახდენს საერ-  
თო ევროპული უსაფრთხოების შედეგებზე, როგორც საერ-  
თაშორისო ურთიერთობების თეორიტიკოსი ოლე უივერი  
თვლის, ევროკავშირი ეს არის განსაკუთრებული სტრუქტუ-  
რა უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. უივერი, ისევე  
როგორც სხვა ავტორები, ადგენს ერთმნიშვნელოვან კავ-  
შირს ევროკავშირის გაფართოების მოტივაციასა და ევრო-  
პული უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის და გამო-  
ყოფს სამ მნიშვნელოვან დონეს, ევროკავშირის იმ ფუნქციის  
შესაბამისად, რომელსაც ეს უკნასკნელი გამოიყენებს  
უსაფრთხოების მიღწევისათვის ევროპაში:

1. „პირთვის“ მთლიანობის შენარჩუნება და იმის უზრუნ-  
ველყოფა, რომ დასავლეთ ევროპაში დარჩეს მხოლოდ ერთი  
ინტეგრაციული ცენტრი და არ წარმოიშვას ახლები.

2. მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში შეუმ-  
ჩნეველი „მადისციპლინირებელი ძალის“ და ცენტრალური  
და აღმოსავლეთ ევროპისათვის „უხილავი და თავაზიანი  
მაგნიტის“ როლის თამაში.

3. პოტენციური როლი, რომელიც ითვალისწინებს პირ-  
დაპირ ჩარევას სპეციპიკურ კონფლიქტში.

ამრიგად, ევროკავშირი საკუთრივ ინტეგრაციის პო-  
ლიტიკის შედეგად, წარმოდგება წამყვან აქტორად ევროპუ-  
ლი უსაფრთხოების საქმეში. რაც შეეხება სტარტეგიულ გან-  
სახვავებას ევროკავშირის უსაფრთხოების სამ დონეს შო-

რის, მაშინ ნათელია, რომ „ბირთვი“ (წევრი სახელმწიფოები) წარმოადგენს უსაფრთხოების საზოგადოებას (ისევე როგორც ნატო), რომელთა წევრებს შორის სამხედრო კონფლიქტი სტრუქტურულად და კონცეპტუალურად შეუძლებელია. ამავე დროს ევროკავშირის სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობების გამოყენება „შორეულ აღმოსავლეთში“- გლობალურ დონეზე (მაგ., აზია და აფრიკა) სულ უფრო დიდი მნიშვნელობას იძენს.

**Irakli Manvelidze**

## **European Union In The Global Policy**

### **Summary**

United Europe is a very important and influential player in international relations, despite the fact that its political influence does not match its economic and the trade weight on a world scale. If EU makes full use of its influence, it is necessary to unite the analytical resources and improve decision-making procedures, to come out on the international arena of the united front and increase the level of foreign activities in close association within the union.

The Problems that exist all over the Europe and the World in 21-th century, conduct a global character. Working out single common strategy is only the way to solve these problems. None of the parties can not fully protect the national interests without Interconnection with other countries. Especially it concerns with foreign and security policy, that is the one of the most actual issue of European policies in the case of secure guarantee of the Europe.

**Иракли Манвелидзе**

**Евросоюз в глобальной политике**

**Резюме**

Объединенная Европа является важным и влиятельным игроком в современных международных отношениях, несмотря на то, что ее политическое влияние не сравнится с проводимой ею экономической и торговой политикой в мировом масштабе. Для того, чтобы Евросоюз полностью использовал свое влияние, необходимы аналитические ресурсы, улучшение процедур принятия решений, необходимость выхода на международную арену единым фронтом и повышение внешних действий в самом Союзе.

Проблемы, с которыми сталкивается в XXI веке не только Евросоюз, но и вся Европа, несут глобальный характер. Их решение возможно лишь выработав единную стратегию. Ни одна сторона не способна полностью защитить национальные интересы без взаимосвязи с другими государствами. Особенно это затрагивает внешнюю политику и политику безопасности, которые являются одними из самых актуальных вопросов в деле обеспечения безопасности Европы.

## ერთიანი ევროპა - ახალი გეოპოლიტიკური სივრცე

### ირაკლი გორგილაძე

აღიარებულია, რომ ევროპის გეოპოლიტიკური რუკა მინიმუმ სამი მსხვილი წარმონაქმნისგან (არეალი) შედგება. პირველი მათ შორის - კონტინენტური დასავლეთია, რომლის გულს საფრანგეთი, ესპანეთი და პორტუგალია წარმოადგენენ, განვითარებულ დასავლეთს ხშირად ინგლისსა და აშშ-ც განაკუთვნებენ. მეორე არეალი - ცენტრალური ევროპაა - აქ გაერთიანებული არიან ავსტრია, უნგრეთი, გერმანია, იტალია. მესამე წარმონაქმნია ევროპული რუსეთი. აღნიშნული გეოპოლიტიკური არეალები ხშირად კონტინენტზე დაძაბულობის ძირითადი მიზეზი ხდება. ხშირია კონფრონტაცია კონტინენტურსა და კუნძულოვან ევროპას შორის, ცენტრალურ ევროპას ხშირად საერთო ენის გამონახვა უჭირს ევროპის როგორც დასავლეთთან, ასევე მის აღმოსავლეთთან (სწორედ აქ მოიაზრება რუსეთი).

ისტორიულად ინგლისი (როგორც აშშ) დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ევრაზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან პოლიტიკურ, ეკოლოგიურ და გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში თაღასოკრატიული ხაზის გამტარებელი იყო. პირველმა მსოფლიო ომმა და ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, შესაბამისად მსოფლიო რუკაზე სსრ კავშირის გამოჩენამ, მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა გეოპოლიტიკურ ძალთა განლაგებაში - მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში სსრ კავშირი და ჩრდილოამერიკული შტატები მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოებად იქცნენ.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით 50-90-იან წლებში დასავლეთი ევროპა, ბრიტანეთის ჩათვლით, ობიექტურად ასრულებდა ბუფერული ზონის ფუნქციას. მეტროპოლიები-დან ეს სახელმწიფოები იქცნენ სატელიტებად. ბუნებრივია მსგავსი მდგომარეობა არ აწყობდათ ევროპის ძლიერ სახელმწიფოებს. საფრანგეთმა (შარლ დე გოლი) დაიწყო აშშ-ს კონტროლიდან გასვლის მცდელობა, შეიქმნა პარიზი-ბონის ლერძი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ თანამედროვე ევროპის ჩანასახად და რომელიც დღეს ღრმა ინტეგრაციის გზით ცდილობს შექმნას ძლიერი ევროპა, რომელსაც ძალუბს წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებს. საკუთრივ დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში მიმდინარეობს რთული შიდა პროცესები, რაც გარე თვალისოფას მხოლოდ პარიზსა და ვაშინგტონს შორის ტრადიციულად არსებულ წინააღმდეგობებს ჰგავს. ამიტომ ატლანტიზმის იდეები გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან. ფართოვდება ბლოკში თანამშრომლობის ფორმები (შეიქმნა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, რომელიც აწარმოებდა ომებს სპარსეთის ყურეში, იუგოსლავიასა და ა.შ.), მაგრამ პარალელურად მიმდინარეობს ორმხრივი თანამშრომლობა: ევროპულ (გფრ - საფრანგეთი), ჩრდილოეთ ევროპის მცირე სახელმწიფოებს და ბალტიის რეგიონის ქვეყნებს შორის. ღრმავდება ინტეგრაციული ურთიერთობები პოლიტიკის, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში (1).

მაასტრიხტის 1992 წლის შეთანხმება გახდა პირველი ნაბიჯი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციაში. მთავრობის მეთაურთა მომდევნო შეხვედრაზე ამსტერდამში 1997 წელს, ხელი შეეწყო დასავლეთი და ჩრდილოეთი ევროპის ქვეყნების გაერთიანებას ერთ სავალუტო სისტემაში (ევრო). ამსტერდამშივე იქნა მიღებული პრინციპული გადაწყვეტილება ევროკავშირში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს გა-

ერთიანების შესახებ. მათ შორის უმრავლესობა პოსტსაბჭო-თა სისტემიდან.

**XX** საუკუნის მიწურულს ნატოში მკაფიოდ გამოიკვეთა ორი ჯგუფი: ერთის მხრივ, აშშ - კანადა და ხშირად ბრიტანე-თი, მეორეს მხრივ - დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფო-ები. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პროცესი ობიექტური ისტორიული ხასიათის მატარებელია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა დან-გრეული ევროპისთვის თამაშის საკუთარი წესები ეკარნახა, კერძოდ მარშალის გეგმის მიხედვით. ამით ის შეეცადა ცი-ვილიზაციის ეს უძველესი ცენტრი „კოლონიალურ ზონად“ ექცია. თუმცა ეროვნული სიამაყის გრძნობა როგორც ფრან-გებში, ასევე გერმანელებში საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. პირველები ვინც უარი თქვეს ამერიკის გავლენაზე ფრანგები იყვნენ.

70-იან წლები კაპიტალისტური სამყარო გარდაიქმნა სამი ძალის სისტემად - პირველი - აშშ; მეორე - დასავლეთი ევროპა და მესამე - იაპონია. ამერიკის პოზიციების შესუს-ტებამ მაღლე ხელი შეუწყო მომდევნო ორი ცენტრის პოზიცი-ების გაძლიერებას. ამერ იკული ჰეგემონობისგან შენარჩუნ-და მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური აქტიურობა. სწო-რედ ამიტომ ამერიკელებთან ბრძოლაში უნდა ვეძიოთ ევრო-პული ინტეგრაციის საფუძვლებიც. ის ითვალისწინებს მრა-ვალი მიღწეულ მიზანს, მათ შორის: ერთიანი ევროპული ვა-ლუტის შექმნა, საბაჟო კავშირები, გასაღების ერთიანი ბაზ-რების შექმნა და ა.შ. სსრ კავშირის დაშლამ დღის წესრიგი-დან მოხსნა ევროპული ინტეგრაციის ინტენსიური პროცესის აუცილებლობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ევრაზიის დასავლეთი კონცხის გეოპოლიტიკურ ცენტრი, რა თქმა უნდა ახლო მო-მავალში ევროპის კავშირი გახდება. აუცილებელია მხოლოდ დრო, რათა გამყარდეს ის არსებულ საზღვრებში, სადაც

ერთ-ერთ წამყვან როლს სავარაუდოდ გერმანია შეასრულებს. საფრანგეთი კი ევროინტეგრაციის „პატრიარქის“ როლს შეასრულებს. იტალია სამხრეთ ევროპაში ლიდერობით შემოიფარგლება. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კი ლიდერის რეალური შანსი ვიშეგრადის ჯგუფის ოთხეულს (ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლონეთი) თანაბრად გააჩნიათ.

წინააღმდეგობები ევროპულ ინტეგრაციაში და ევროპის კონტინენტზე აშშ სტრატეგია ევროპის კონტინენტზე გეოპოლიტიკური სიტუაციის ორი სცენარის განვითარების პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

პირველი სცენარი. წარმატებული ინტეგრაციის შედეგად გეოპოლიტიკურ რუკაზე ჩნდება პოლიტიკურად გაერთიანებული ძლიერი ევროპა, რაც რა თქმა უნდა თავისი შედეგებით გეოპოლიტიკურ ძალთა ძირეული ცვლილებების ტოლფასი გახდება. როგორც აშშ-ში, ასევე ევროპაში მოვლენათა აღნიშნული სცენარით განვითარებას არაერთი მომხრე ჰყავს. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ფ. ბერგსატენი თვლის: ეკონომიკური ძლიერების ზოგიერთ პარამეტრებში ახლო მომავალში „ევროლანდი“ საკვანძო პოზიციებს დაიჭერს სავარაუდოა უპირატესობის მოპოვებაც აშშ-სთან (4).

აღნიშნული სცენარი ნიშნავს ორპოლუსიანი სამყაროს აღორძინებას, სადაც აშშ და ევროკავშირი გლობალურ მეტოქებად იქცნევიან. აღნიშნული მოდელის განვითარებაზე მეტყველებს მზარდი ანტიამერიკული განწყობა კონტინენტზე: ანტიგლობალისტების მოძრაობა და ა.შ. თუმცა განვითარებული საერთაშორისო მოვლენები არსებითად სხვა სცენარის გათამაშების აღბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.

მეორე სცენარი. სულ უფრო ცხადია ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების ნაცვლად მისი გაფართოვების პროცესი, რაც ევროინტეგრაციას წინააღმდეგობებით ავ-

სებს. ცნობილი ფრანგი გეოპოლიტიკოსი ჟ. ატალი მიიჩნევს, რომ განსაზღვრულ პერიოდში ევროკავშირში შევლენ 35-40 სახელმწიფო (უკრაინისა და საქართველოს ჩათვლით). წევ-რი-სახელმწიფოების რიცხოვნობის ზრდამ შესაძლებელია კიდევ უფრო გააღრმავოს არსებული ნინააღმდეგობები კავ-შირში. ამ ტენდენციების ზრდა ხელსაყრელია ამერიკის შე-ერთებული შტატებისთვის, რომელსაც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ნებისმიერ დროს შეუძლია არბიტრის როლი შეასრულოს და ინტეგრაციის პროცესი ატლანტიზმის კონ-ტროლ ქვეშ მოაქციოს (3).

ბოლო პერიოდში ევროპელი ეკონომისტები განიხილა-ვენ კიდევ ერთ პესიმისტურ სცენარს: თუკი რომელიმე ევ-როპული ქვეყანა ვერ გაუძლებს ეკონომიკურ შეჯიბრს, მისი ეკონომიკა კრიზისში შევა. აუცილებელი გახდება დოტაციე-ბი მდიდარი ქვეყნებიდან. შესაბამისად, ევროპული სირთუ-ლების არსებობა რეალურია, რის გამოც იზრდება ატლან-ტიკურ პარტნიორისგან დახმარების თხოვნის ალბათობაც. სწორედ ამან მისცა საშუალება ზ. ბუეზინსკის განეცხადები-ნა, რომ: ევროპა, მიუხედავად თავისი ეკონომიკური ძლიე-რებისა დე-ფაქტო აშშ სამხედრო პროტექტორატად რჩება, რის გამოც ახლო მომავალში ის ვერანაირად ვერ გახდება ამერიკა. ბიუროკრატიულად გატარებულ ინტეგრაციას არ ძალუს ერთობისთვის აუცილებელი პოლიტიკური ნების ჩა-მოყალიბება (6).

თანამედროვე პირობებში აშშ-ს ურთიერთობა ევროპის კავშირთან არათანაბარი სავაჭრო და ეკონომიკური ურთი-ერთობების გამო დაძაბულ ხასიათს ატარებს. მეტწილად ეს იმითაა განპირობებული რომ „ევრო“ ამერიკული ბაზრები-დან მნიშვნელოვან ფინანსურ ნაკადებს ზღუდავს, რაც კი-დევ უფრო ართულებს ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტს და მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს ამერიკულ დოლარს. ეს უკანასკნელი კი ასუსტებს ამერიკის სწრაფვას - უკარნახოს

მსოფლიოს ნავთობსა და ენერგორესურსების ფიქსირებული ფასები.

ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ჰ. კისინჯერი შენიშნავს, რომ „ევროპული სავალუტო სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად აშორებს ევროპას ატლანტიკურ ბლოკთან. დღეს არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისთვის, ვივარა-უდოთ რომ ევროპას ოდესმე გაუჩნდება სურვილი დაეხმა-როს ამერიკას (2). ალნიშნულ განცხადებაში ფაქტობრივად იმალება აზრთა სხვადასხვაობა ევროპულ და ამერიკულ ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის. რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. საერთაშორისო კოლიზიებს ევროპელები აფასებენ რეგიონული პოზიციიდან, მაშინ როცა ამერიკელები მას გლობალურ კონტექსტში განიხილავენ;

2. საერთაშორისო კონფლიქტების თუ პრობლემების წარმოშობისას ევროპელები უპირატესობას ანიჭებენ მოქმე-დებებს საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, ამერი-კელები კი უშუალოდ ერთვებიან მასში;

3. კონფლიქტების რეგულირებისას ევროპელები მი-მართავენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხერხებს, აშშ არ გა-მორიცხავს სამხედრო ჩარევის შესაძლებლობებსაც.

ამრიგად, ბოლო პერიოდში ევროპელებმა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დაიწყეს ახალი, არსებითად და-მოუკიდებელი პოლიტიკის გატარება. სადაც მნიშვნელოვანი გახდა მაასტრიხტის 1991 წლის და ამსტერდამის 1997 წლის შეთანხმებები. გარდა ამისა ცხადია, რომ დღეს ევროპა ცდი-ლობს შექმნას საკუთარი სამხედრო მრეწველობა, რაც ახლო მომავალში წარმატებებისა უსაფრთხოების გარანტიც გახ-დება. ამ მიმართებით საგულისხმოა, რომ ახალი გეოპოლი-ტიკური სუბიექტი - ევროპის კავშირი, საერთაშორისო ურ-თიერთობებში სულ უფრო ცდილობს გათავისუფლდეს ან-

ტლანტიზმის გავლენისაგან და დამოუკიდებელი სუბიექტის  
სტატუს მიიღოს.

### **ლიტერატურა**

1. A. Miller, “Europe’s East or East of Europe.” (Vostok Evropa ili na vostok iz Evropa). *Pro et Contra* 3, no. 2 (2009), p.5.
2. H. Kissinger, “Expand NATO now.” *Washington Post*, December 19,2008, A.27.
3. J. Attal, “Our hollow hegemony: Why foreign policy cannot be left to the market.” *New York Times*, 1 November, 2008,
4. F. Bergsten. The risk of a free fall of the dollar. THE INTERNATIONAL ECONOMY SPRING 2008
5. W. Christopher, “America’s leadership, America’s opportunity.” *Foreign Policy* no.98 (Spring 2005), p. 8.
6. Z. Brzezinski, “A geostrategic for Eurasia.” *Foreign Affairs* no. 76, no. 5,

### **Irakli Gorgiladze EU - New Geopolitical Area Resume**

Geopolitical map of Europe consists of three major entities of the (area). The first among them - Continental West. Which heart are France, Spain and Portugal, west development often consists of England and USA. Second area is - central Europe – there is UN of Austria, Hungary, Germany, and Italy. The third areal is European Russia. Geopolitical areal often becomes reason of continental tense. Is often confrontation between continent and island Europe. Central Europe sometimes has difficulties to find easy way to Europe as west as east.

**შრომების კრებული  
Сборник трудов  
PROCEEDINGS**

**სოციალურ მეცნიერებათა საკითხები**

**Вопросы социальных наук  
Problems of Social Sciences**

**II**

**რედაქტორი:**

**ირაკლი მანველიძე**

**გამომცემლობის რედაქტორი:  
იზა ხარებავა**

**ტირაჟი 200**



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge